



ნაქალაქარ  
**ნეკრესის**

უძველესი  
ქრისტიანული  
ტაძრები

The Early Christian Churches of the Ancient City of **Nekresi**



საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ilia State University

ნოდარ ბახტაძე Nodar Bakhtadze  
ვაჟა მამიაშვილი Vazha Mamiashvili  
ბაჩანა გაბეხაძე Bachana Gabekhadze  
ჯიმშერ ჩხვიმიანი Jimsher Chkhvimiiani

ნაქალაქარ **ნეკრესის**  
უძველესი ქრისტიანული ტაძრები

The Early Christian Churches of the  
Ancient City of **Nekresi**

თბილისი Tbilisi

2020

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და მონოგრაფიის რედაქტორი:  
ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

რეცენზენტები:

ვახტანგ ჯაფარიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
(სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)  
ანდრე ბერნაცკი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
(პოზნანის ადამ მიცეკვიჩის სახ. უნივერსიტეტი, პოლონეთი)  
ემმა ლუზლი-ლიმინგი, ხელოვნების, არქეოლოგიის და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი  
(ექსეტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი)

Project Supervisor and Scientific Editor of Monograph:

Nodar Bakhtadze, Doctor of Historical Sciences,  
Professor at Ilia Statae University, Georgia

Reviewers:

Vakhtang Japaridze, Doctor of Historical Sciences,  
Professor at Sokhumi Statae University, Georgia  
Andrzej Biernacki, Doctor of Archaeology,  
Professor at Adam Mickiewicz University in Poznan, Poland  
Emma Loosley-Leeming, Doctor of Art, Archaeology and Theology,  
Professor at University of Exeter, United Kingdom



მონოგრაფია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წლის საგამომცემო სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამარჯვებულია (№SP-19-346).  
გამოიცა ამავე ფონდის ფინანსური შემწეობით

This monograph was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia  
(grant № SP-19-346)

© ნოდარ ბახტაძე, ვაჟა მამიაშვილი, ბაჩანა გაბეხაძე, ჭიმშერ ჩხვიმიანი  
© Nodar Bakhtadze, Vazha Mamiashvili, Bachana Gabekhadze, Jimsher Chkhvimiiani

ყდის დიზაინი: დავით ჯანიაშვილი  
Cover design by Davit Janiashvili

დაკაბადონება: იოსებ ქემაშვილი  
Layout by Ioseb Kemashvili

ISBN 978-9941-8-2749-5

მონოგრაფია ეძღვნება საქართველოში, ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარე გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარ წერესის ტერიტორიაზე უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში გამოვლენილ ადრექრისტიანულ ძეგლთა არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული კვლევის საკითხებს. ნაშრომის ავტორებმა არქეოლოგიურ-სტრატიგრაფიული, შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზის და ტექნიკური მეთოდებით შეისწავლეს როგორც წერესის მონასტრის ანსამბლში ჩართული, ბოლო დრომდე უძველეს ქართულ ქრისტიანულ ბაზილიკად მიჩნეული მცირე სამლოცველო, ისე ნაქალაქარის სხვადასხვა უბანში, დიდწილად მათ მიერვე აღმოჩენილი ქრისტიანული ტაძრები და შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: ეს უკანასკნელი, დიდი და სავსებით კანონიკური გეგმარების, გვიანრომაულ-ადრებიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთის პროვინციების ნიმუშებთან მეტად მიახლოებული გეგმარების ბაზილიკები, მე-4 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-5 საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს აგებული იბერიის სამეფოს საერო და სასულიერო ხელისუფალთა ძალისხმევით.

ნაშრომში ახალ, ობიექტურ ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდაა მიჩნეული მე-20 ს-ის პირველ ნახევარში ქართველ ხელოვნებათ-მცოდნეთა წრეში შემუშავებული და სამეცნიერო მიმოქცევაში დღემდეც მნიშვნელოვანნილად დამკვიდრებული თეორია: თითქოსდა, იბერიის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად შემოღების შემდგომ ლამის საუკუნენა-ხევრის განმავლობაში, ქრისტიანული ტაძრების მშენებლები ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებზე მეტისმეტად დამოკიდებულების გამო, ნაკლებად უნევდნენ ანგარიშს რომის იმპერიის წიაღში შემუშავებულ, იმუამად ქრისტიანული კულტურის სფეროში მოქცეულ ქვეყნებში უკვე საყოველთაოდ მიღებულ გეგმარებით ნორმებს.

This monograph is dedicated to the research of the early Christian monuments revealed on the territory of the former city of Nekresi during the last two decades. They date back to late antiquity and the early Middle Ages and are located in the Kvareli municipality, Kakheti region. The authors of the work have studied the chapel of the Nekresi Monastery (which was considered the oldest Georgian Christian basilica) as well as the Christian temples revealed in different parts of the city using comparative archaeological and stratigraphical methods of typological and technical analysis. They concluded that the latest large basilicas were canonically designed buildings planned in late Roman and early Byzantine provincial style that must have been built by the efforts of the clerical and civil rulers of the Iberian Kingdom in the second half of the 4<sup>th</sup> century and the beginning of the 5<sup>th</sup> century.

Based on these new objective facts and arguments, the theory developed in fine art experts' circles in the first half of the 20<sup>th</sup> century, which is still considered credible today, can be considered groundless: one and a half centuries after proclaiming Christianity as the state religion, the builders in the Iberian Kingdom ignored widespread norms of Christian Church design developed in the Roman Empire, due to a dependence on the local architectural traditions.

## შინაარსი

შესავალი .....	7
ისტორიული წყაროების მიმოხილვა .....	10
ნაქალაქარ ნეკრესის არქეოლოგიური კვლევის ისტორია და ნაშრომის უმთავრესი მიზანი.....	19
თავი I. არქეოლოგიურ-ტუროთმოძღვული კვლევა ნეკრესის მონასტრის გეორგიალურ სამლოცველოში .....	27
თავი II. ჩაპუაურის სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა .....	46
ჭაბუკაურის ბაზილიკის არქეოლოგიურად დაფიქსირებული ხუროთმოძღვრული აღნაგობა და სტილისტური ანალიზი.....	48
ბაზილიკის მშენებლობის წინარე ქრონოლოგიური ფაზა. ნარმართული ტაძარი .....	63
ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევის დროს დაფიქსირებული ნივთიერი მასალის ანალიზი .....	68
ბაზილიკის ნაშენებზე მინაშენი ტაძარი .....	72
სავარაუდოდ, ბაზილიკის მშენებლობის ხანის წარწერა.....	76
დიდი ბაზილიკის წყობიდან გამოსვლის თარიღი.....	79
სატაძრო კომპლექსის ჩრდილოეთის სამლოცველო .....	82
თავი III. დოლოშოის სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა .....	89
ბაზილიკის ნანგრევებზე მოწყობილი გვიანდელი სამაროვანი და სამლოცველო ნიში.....	91
დიდი ბაზილიკის ხუროთმოძღვრული აღნაგობა და სტილისტურ-ქრონოლოგიური ანალიზი .....	104
დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების თანადროული სამარხები და მემორიალური კონსტრუქციები .....	119
გალერეის სარდაფში დადასტურებული სამარხები.....	129
სამწირველოს კრიპტაში დადასტურებული სამარხები.....	133
დოლოჭოპის დიდ ბაზილიკში დაფიქსირებული არქეოლოგიური სურათი თანადროულ ბუნებრივ, ისტორიულ და რელიგიურ-კულტურულ მოვლენათა ფონზე .....	139
დიდი ბაზილიკის უკანასკნელი რეკონსტრუქცია .....	147
დოლოჭოპის დიდ ბაზილიკის წინარე ქრისტიანული ტაძარი და მისი ანსამბლის შემადგენლობა .....	151
თავი IV. დისკუსია პირველი ქართული ძრის ტიპის შესახებ.....	159
ტუროთმოძღვული სტილის შესახებ.....	178
ტაბულები .....	187
ტაბულების აღწერილობა .....	201
ბიბლიოგრაფია .....	202
გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებელი .....	212

## შესავალი


საქართველოს ძირძველი ისტორიული მხარეების, კახეთისა და ჰერეთის უხვი კულტურული მემკვიდრეობის ფონზეც კი, ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გამორჩეულად მდიდარია სხვადასხვა ეპოქის ისტორიული ნაგებობებით და არქეოლოგიური ძეგლებით. ისედაც ულამაზეს ბუნებრივ გარემოს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს უძველესი ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები და ნაქალაქარ-ნასახლარები – დიდწილად ნაკლულნი და მრავალგზის გადაკეთებულნი, თუმცა, დღემდე მაინც ზეზეურად მდგომნი, ბედად გადარჩენილნი მრავალ განსაკლელს, სხვადასხვა წარმომავლობის დამპყრობელთა გამანადგურებელ ლაშ-



სურ. 1. ნეკრესის მონასტერი. აეროფოტო დასავლეთიდან (ბ. ვადაჭკორიას ფოტო)  
Fig. 1. Nekresi Monastery. Aerial photo from the west (Photo by B. Vadachkoria)

ქრობებს. უცხოელ თუ ადგილობრივ მოგზაურთა შორის ძალზე პოპულარულია კავკასიონის ქედის მთისწინია განშტოებათა კონცექტებსა და კალთებზე შეფენილი გრემის ნაქალაქარი, მისი „სავიზიტო ბარათი“ – მთავარანგელოზთა ტაძრის დიდებული კომპლექსით; ქართული არქიტექტურის ისტორიით დაინტერესებული მოგზაურები ხშირად სტუმრობენ სოფელ საბუის ნათლისმცემლის მონასტერს და წმინდა შიომ ეკლესიას, სოფელ შილდის ღმრთისმშობლის, წმინდა გიორგის და ბარცანას ეკლესიებს, ძველი გავაზის (ახალსოფლის) და არქის (მთისძირის) ნაქალაქართა გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ხანის ნასახლარ-ნატაძრალებს, ლელიანის წმინდა თევდორეს ეკლესიას, ტურისციხეს, ყადორის, აბაშის, ნინოების ციხე-სიმაგრეებსა და სხვა მრავალს.

ქართული ქრისტიანული კულტურის გამორჩეულ, განსხვალებულ ნიშანსვეტად ამ მხარეში, ალბათ, მაინც ნეკრესის მონასტრის ისტორიული კომპლექსი უნდა მივიჩნიოთ (სურ. 1). ადრეული შუა საუკუნეების გარიურაუზე დაარსებული და მომდევნო ეპოქებში თანდათან განსრულებული ეს ანსამბლი მდ. ალაზნის ველის მარცხენა კიდესთან, კავკასიონის ქედის უკიდურესი სამხრეთი განმტოვბის ტყით დაფარულ კალთაზეა შევენილი. ის შესანიშნავად მოჩანს ყვარელი-თელავის გზატკეცილიდან, დაახლოებით მერვე კილომეტრიდან.



#### სურ. 2. ნაქალატარ ნეკრისის გეგმა

Fig. 2. Plan of the former city of Nekresi

ჩვენ დღეს კარგად ვუწყით, რომ ეს ულამაზესი ხუროთმოძღვრული ანსამბლი უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში ამავე სახელწოდებით არაერთხელ მოხსენებული, ოდესლაც მძლავრი და სახელოვანი ქალაქის ვიზუალურ დომინანტს წარმოადგენდა. ისიც ვიცით, რომ ამ ქალაქის დიდილიად მიწის საფარქვეშ მოქცეული ნანგრევები აქვე, მთების წინა, ტყითა და სავარგულებით დაფარულ დაბლობებზეა შემორჩენილი, ორ ასეულამდე ჰექტარ ფართობზე (სურ. 2). თუმცა, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებრიობისთვის ნაქალაქარ ნეკრესის ზუსტი ადგილმდებარება, სულ ოთხიოდე ათეული წლის წინაც კი უცნობი იყო. მართალია, XIX-XX საუკუნეთა განმავლობაში, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხით დაინტერესებულ ზოგიერთ მკვლევარს და მხარეთმცოდნე-მოგზაურს, ხანდახან უჩინდებოდა სურვილი ნათელი მოეფინა ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის ქართლის სამეფოს ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის ლოკალიზაციის, მისი და ნეკრესის მონასტრის ურთიერთკავშირის საკითხისთვის,<sup>1</sup> მაგრამ ეს მცდელობანი პროფესიონალ ისტორიკოსთა თუ არქეოლოგთა მხრივ სპეციალურ, მიზანმიმართულ მუშაობაში არ გადაზრდილა.

მხოლოდ XX საუკუნის 80-იან წლებში, კახეთის მხარის ანტიკური და შუა საუკუნეების ქალაქების შესწავლის პროგრამის ფარგლებში, ალწერილ ტერიტორიაზე მუშაობისას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა<sup>2</sup> მივაკვლიერ მეტად მასშტაბურ, ჩვენ მიერვე გამოვლენილი ქვის გალავნით გამაგრებულ, აშკარად ქალაქის ტიპის დასახლების უაღრესად იავარქმნილ ნაშთებს. ამ ნამოსახლარი კომპლექსისა და ნაქალაქარ ნეკრესის იგივეობა, თუნდაც იმავე სახელით ცნობილ მონასტერთან მჭიდრო მეზობლობის გამო, ჩვენ ეჭვს იმთავითვე აღარ იწვევდა.

ამ რწმენით გამსჭვალულნი, მიკვლეული ნაქალაქარის რამდენიმე ნაგებობის არქეოლოგიური გათხრის პარალელურად, მომეტებული გულისყურით შევუდექით ისტორიულ ქალაქ ნეკრესის შესახებ შემონახული წერილობითი წყაროებისა და კარტოგრაფიული მონაცემების მოძიება-შესწავლას.

<sup>1</sup>. მირიანაშვილი, მ., ნეკრესი. ქურნ. „ივერია“, №203. ტფილისი, 1888. გვ. 2-3. ძამისაშვილი, რ. კორესპოდენცია კახეთიდამ. ქურნ. „ივერია“, №2 ტფილისი, 1879. გვ 136-141. კარბელაშვილი, პოლიევქტოს. იერარქია საქართველოს ეკლესიისა. ტფილისი, 1900. გვ. 25-27; და სხვ.

<sup>2</sup>. ექსპედიციას 1984-2003 წლებში, გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ამავე მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი; 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე, ახლა უკვე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგიდით მოღვაწე იგივე ექსპედიციას ხელმძღვანელობს არქეოლოგი და ხელოვნების ისტორიკოსი, ისტორიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ ბახტაძე.

## ისტორიული ცეკვების მიმოხილვა

ქალაქ ნეკრესის შესახებ ნარატიული მასალა არცთუ უხვად გვაქვს შემორჩენილი, თუმცა მათი ანალიზითაც კი, ერთი რამ ცხადლივ გამოსჭვივის – თითოეული ცნობა ცალსახად უჭერს მხარს ვერსიას, რომ ამ უძველესი ქალაქის ისტორია მჯიდროდ იყო დაკავშირებული ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, შემდეგ კი, ათასწლეულზე მეტი წელის განმავლობაში, ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ყოველ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ პროცესთან.

ქველი ქართული წერილობითი წყარო, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ გვაუწყებს, რომ იბერიის მეფე ფარნაჯომმა, რომელიც ძვ. წ. II საუკუნეში მეფობდა, კახეთში საფუძველი ჩაუყარა ქალაქ ნეკრესის მშენებლობას – „და ოწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ამ კონტექსტში, ნეკრესი ფარნაჯომის მიერ აშენებული ციხე-ქალაქების რიგში კი არ არის მოხსენიებული, არამედ სახელდობრ, როგორც ქალაქი. ნეკრესის ასეთ სტატუსს ადასტურებს აღნიშნულ წყაროში დაცული კიდევ ერთი ცნობა, სადაც საუბარია იმაზე, რომ იმავე საუკუნის ბოლოსვე, ამ ქალაქის მშენებლობა დაუსრულებია მეფე არშაკს – მან „განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“<sup>4</sup>. მოგვანებითაც, XVIII ს-ში, ვახუშტი ბატონიშვილი თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომში „აღნერა სამეფოება საქართველოებას“, რომელსაც აგრეთვე ისტორიული წყაროს მნიშვნელობა ენიჭება, ადასტურებს ქალაქ ნეკრესის ესოდენ ადრეულ ნარმობას და მისი მეფე ფარნაჯომის მიერ დაარსების ვერსიას.<sup>5</sup>

ქართლის სახელმწიფოს გაქრისტიანების ხანაში ქალაქ ნეკრესის მეტად დაწინაურებულ მდგომარეობაზე თუნდაც შემდეგი ფაქტები მეტყველებს: ab. წ. IV ს-ის



სურ. 3. ქალაქ ნეკრესის სამხრეთის თავდაცვითი ზღუდის არქეოლოგიურად გამოვლენილი მონაკვეთი

Fig. 3. The surveying element of the southern defensive wall of the former city of Nekresi

<sup>3</sup>. მროველი, ლეონტი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი, 1955. გვ. 29.

<sup>4</sup>. მროველი, ლეონტი. 1955. გვ. 33.

<sup>5</sup>. ბაგრატიონი, ვახუშტი. აღნერა სამეფოება საქართველოებას. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი, 1973. გვ. 545.

დასაწყისის ამბების თხრობისას მემატიანე მოგვითხრობს, რომ ქართველთა გამაქ-რისტიანებელი მეფე მირიანის მამამძეებელი და მზრუნველმა, მირვანოზმა „მოამ-ტკიცნა ზღუდენი ნეკრესის ქალაქისანი“<sup>6</sup> (სურ. 3). იგივე წერილობითი წყაროების ანალიზი ადასტურებს, რომ აქედან მოყოლებული, ახ. ნ. VII-VIII საუკუნეებამდე, ქალაქ ნეკრესის როლი ქართლის სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონო-მიკურ და კულტურულ-რელიგიურ პროცესებში, კვლავაც ფრიად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

მანც, რა პოლიტიკურ-ეკონომიკური წინამდლვრები განაპირობებდა ქალაქ ნეკრესის ესოდენ სტაბილურ ზეობას აღნიშნულ ეპოქებში? გვიანანტიკური ხა-ნის<sup>7</sup> მეორე სტადიაზე, IV-VI საუკუნეებში, როგორც ზოგადად საქართველოში, ისე კახეთა და ჰერეთში, ქალაქების განვითარებაში გარკვეული საერთო ტენდენ-ცია შეინიშნება: ახალი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ზოგი მათგანი დაკრინდა და უმნიშვნელო დასახლებულ პუნქტად თუ რიგით სიმაგრედ იქცა, ზოგიერთი კი პირიქით განვითარდა, გამსხვილდა და გარკვეულ პროვინციებში ჰეგემონურ მდგომარეობასაც მიაღწია. მაგალითად, IV-VI სს-ში დაწინაურდა და კახეთის ერთ-ერთი პოლიტიკური ცენტრი გახდა ქალაქი უჯარმა. ამავე დროსვე წარმოიშვნენ და მნიშვნელოვან სტრატეგიულ-ეკონომიკურ პუნქტებად ჩამოყა-ლიბდნენ ქალაქები – ჭერემი და ბოდბე (ბოდი):<sup>8</sup>

<sup>6</sup> მოველი, ლეონტი. 1955. გვ. 65

<sup>7</sup> XX ს-ის ქართულ სასტორო მეცნიერებაში, დამკვიდრებული იყო ისტორიულ ეპექათა თანა-მედროვე საზღვარგარეთულ ქვეყნებში მიმდებული კულტურული კუილისაციისგან რამდენადმე განსხვავებული პერიოდზაცია. ეს ტენდენცია ზოგადად საბჭოთა მეცნიერებისთვის იყო დამახასიათებელი: სანინააღმ-დეგოდ ევროპული შეფასებისგან, რომლითაც დროის მონაცემი – ახ. ნ. III-V საუკუნეები (უფრო კი, VII ს-ის ჩათვლითაც), ხშელთაშუ ზღვის აუზის რეგიონისთვის და ევროპის ქვეყნებისთვის მაინც, „გვან-ანტიკურ ხანა“ მოიხსენიება, საბჭოთა სივრცეში (და, ჯერჯერობით უმტეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებ-შიც) იგივე პერიოდი მიკუთვნებულია ადრეულ შუა საუკუნეებს. ეს გარემობა იმით იყო გამოწვეული, რომ მარქსისტული იდეოლოგიის მიხედვით, IV საუკუნიდან მოყოლებული, ევრ-აზიის მატერიკის ამ ვრცელ გეოგრაფიულ რეგიონში „მონათმულბრძობული ფორმაციური ფორმაციულ ლა-მის საყოველოთან შეკვალა, „ფეოდალური“ ფურმაციით (ალბათ იგულისხმებოდა დასაცავით რომის იმპერიის რლვევა, თუმცა რატომ აითვლიდნენ ამ მოვლენას IV საუკუნიდან, გაუგებარია). შესაბამი-სად, თითქოსდა, დანერთ „ადრეცენიდალური ხანა“. ეს ერთ კი, ტერმინილოგიური აღრევისგან თავის დაწერების მიზნით, გაიგივებულ იქნა „ადრეულ შუა საუკუნეებიან“, რაც ევროპულ კლასიფიკირებით VII-X საუკუნეებს გულისხმობს. არადა, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დიდი ხანი მიღებულია, რომ თუნდაც ფართო რეგიონული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, „უკოდალური ურთიერთიაბა“, არ შეი-ძლება გამოყენებულ იქნა როგორც ეპოქაზე მინანიშნებელი ცნება ლამის არის მთელ მატერიზუ – ასეთი ტერიტორიულობების ევრომირი საერთო და ხშელთაშუ ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებ-შიც კი, სხვადასხვა ხანაში მოხდა. ასეა თუ ისე, ჩვენში დღემდე დამკიდრებული აღნაშნული პერი-ოდინურია თანამედროვე საზღვარგარეთული აადგინური სიერციალის გაუგებრად ულერწ, ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ ნაშრომში (და მომავალშიც) ეპოქაზე მიმანიშნებელი ტერმინოლოგია დღესდღეობით ყველაზე მიღებული სერთაშორისო კლასიფიკირების გათვალისწინებით წარმოვადგინოთ.

<sup>8</sup> ქართული ისტორიული წერილობითი წყაროების მიხედვით, ჩამოთვლილი ახალი ქალაქების დაარსე-ბა თუ გაძლიერება იძერის სახელოვან მეფეს, ვახტანგ გორგასალს და მისი უშუალო მეკვიდრეებს, რეგის და დაჩის მიენერება (მუსხელშვილი, დავით. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბილისი, 2003. გვ. 164, 168), თუმცა, როგორც არქეოლოგიური კვლევებით ირკვევა, ზოგიერთი მათგანი ქართლის გაქრისტიანების ხანიში, მირიანის მეფობისას, უკვე არსებობდა (მამაიაშვილი, ხანა. ქალაქი ჭერემი. თბილისი, 2004. გვ. 11).

როგორც ჩანს, ამავე ხანაში თავის ძველ პოზიცია შეინარჩუნა და კიდევ უფრო დიდი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა ქალაქმა ნეკრესმაც, რომელიც, როგორც ამას აღნიშნული წერილობითი წყაროები და ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები ადასტურებს, ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში წარმოადგენდა მნიშვნელოვან ურბანულ ცენტრს.<sup>9</sup> ქალაქ ნეკრესის ზეობის შენარჩუნების ერთ-ერთი და, ალბათ უმთავრესი მიზეზი, მისი მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გახლდათ – ის გაშენებული იყო კავკასიონის ქედის ძირში, ორი განსხვავებული სამეურნეო ზონის შესაყარზე და მისი განქალაქება (ელინისტურ ხანაშივე) სწორედ ალაზნის ველის დაწინაურებული, დამჯდარი აგროკულტურული მეურნეობის ბაზაზე მოხდა, მთისა და ბარის წარმატებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე (ნეკრესის მახლობლად, მდინარეების: დურუჯის, ჩელთის და ინწობის ხეობათა აყოლებაზე მდებარეობდა ამიერ და იმიერ კავკასიის რეგიონთა დამაკავშირებელი ყველაზე მოხერხებული გზები და ულელტეხილები).<sup>10</sup> ნეკრესის სტრატეგიულად მომგებიან პოზიციას, გვიანანტიკურ ხანაში კიდევ ერთი, რეგიონული მნიშვნელობის მისიაც დაემატა: ეს მდიდარი ქალაქი ეკონომიკური ზონითურთ, მზარდი პოლიტიკური ზეგავლენის ერთგვარ პლაცდარმადაც იქცა ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ ქვეყნებზე, რასაც მაღლე, V-VII სს-ში, სახელმწიფო საზღვრების ჩრდილოეთით მნიშვნელოვან-წილად გაფართოებაც მოჰყვა. ახლადშემოერთებულ მხარეებთან კულტურული ინტეგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი, ცხადია, იმუამად უკვე იბერიის სამეფოს სახელმწიფო რელიგიის – ქრისტიანობის გავრცელება-გაძლიერება იყო ამ პროვინციებში, რაც აგრეთვე, დიდწილად ნეკრესის ეპარქიის მესვეურთა პრე-როგატივას შეადგენდა. ამ ამოცანათა წარმატებით დაგვირგვინებაზე ზრუნვა, ნეკრესის ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას და საეკლესიო იერარქებს შემდგომაც, მთელი ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების განმავლობაშიც, გამუდმებით უხდებოდათ.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, IV-V საუკუნეებში ქალაქ ნეკრესის პოლიტიკურად და ეკონომიკურად განსაკუთრებით გაძლიერების მიზეზთა თაობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ რიგი მონაცემებით, თითქოს სწორედ ქალაქი ნეკრესი წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ორი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ერთეულის, ეთნიკურად თითქმის იდენტური, მაგრამ იმხანად კულტურულად ჯერ კიდევ სავსებით თვითმყოფადი ტომებით დასახლებული პროვინციების – კახეთისა და ჰერეთის დამაკავშირებელ პუნქტს. ამავე თეორიით, ოდნავ მოგვიანებით, V ს-ის მე-2 ნახევრიდან, ქართლის სამეფოს საზღვრების ჩრდილოეთით და აღმოსავლე-

<sup>9.</sup> ჭილაშვილი, ლევან. კახეთის ქალაქები. თბილისი, 1980. გვ. 6, 13.

<sup>10.</sup> ამ გზებით XX საუკუნის ბოლომდე, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან საზღვრების ჩაკუთვამდე სარგებლობდა საქართველოსა და დაცესტნის საზღვრისპირა რაიონების მოსახლეობა.

თით მდებარე, მონათესავე ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული ტერიტორიის მიერთების ხარჯზე გაფართოების შედეგად, ქალაქი ნეკრესი, როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ ახლადშემოერთებული რეგიონების პოლიტიკური და სასულიერო ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა.<sup>11</sup>

ქალაქ ნეკრესის ესოდენ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, სრულიადაც არ უნდა გაგვიკვირდეს წერილობით წყაროში დაცული შემდეგი ცნობა: ქართლის გაქრისტიანებიდან დაახლოებით 3-4 ათწლეულის შემდეგ აქ, იქერის მეფე თრდატის<sup>12</sup> ძალისხმევით დაიწყო და მის სიცოცხლეშივე დასრულდა იმდენად გამორჩეული ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა, რომ ეს ფაქტი ისტორიულ ქრონიკებში ხაზგასმითაა აღნიშნული, როგორც საქვეყნო მნიშვნელობის მოვლენა: „და დაჯდა მეფედ თრდატ ..... და მეფემან რუსითვისა რუ გამოიღო და ეკლესიისა საფუძველი დადგა, და მის ზევე ნეკრესს კახეთისასა ეკლესია აღიშენა განსრულებით“;<sup>13</sup> „ხოლო მან [მეფე თრდატმა] გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია; და მანვე აღაშენა ეკლესია ნეკრესისა“.<sup>14</sup>

ამის შემდგომ, ერთ საუკუნესაც არ გაუვლია და ნეკრესის ეპარქია ქართული სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეპისკოპოსოდ გვევლინება.<sup>15</sup> ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ საეკლესიო ერთეულის ცენტრალური რეზიდენცია საკათედრო ტაძრითურთ, თვით ქალაქ ნეკრესის ფარგლებში ან ამ დასახლებული პუნქტის უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე დაფუძნდებოდა. მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სწორედ ქალაქ ნეკრესის მიმდებარე სერის კალთაზე, ფაქტობრივად მის გარეუბანში, VI საუკუნეშივე ჩაეყარა საფუძველი ჩვენ მიერ უკვე ხსენებულ მონასტერს, რომელიც მთელი შუა საუკუნეების გან-

11. მუსხელიშვილი, დავით. 2003. გვ. 53-191.

12. მიღებული ისტორიული ვერსიით, თრდატი იყო ქართლის გამაქრისტიანებელი მეფე მირიანის შვილიშვილი. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ქართლში მის მეფობის ხანად განსაზღვრავს დაახ. 369-393 წლებს (ჯვანაშია, ლაშა. ქართლი IV ს. პირველ ნახევარში. ქრისტიანობის გამოცადება სახელმწიფო სარწმუნოებად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბილისი, 1973. გვ. 82-83; გოილაძე, ვახტანგ. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონილოგია. თბილისი, 1990. გვ. 54-70).

13. მოქვევაა ქართლისაა, შატბერძის კრებული X საუკუნისა. თბილისი, 1979. გვ. 325.

14. მორცევი, ლეონტი. 1955. გვ. 137.

15. ჯუანშერის საისტორიო თხზულებაში, V ს-ის მე-2 ნახევრის მოვლენების თხრობისას, მეფე ვახტანგ გორგაბლის მიერ ჩამოყალბებულ თუ რეორგანიზებულ ქართულ საეპისკოპოსოთა ჩამონათვალში, მოიხსენიება „ჩელების ეპისკოპოსი“ (ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგაბლისა. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი, 1955. გვ. 199). ძევლი ქალაქი ჩელები ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ზუსტად არ არის ლოკალიზებული და, ძალზე დიდი ალბათობით, სწორედაც რომ თვით ქალაქ ნეკრესისა თუ მისი მემოგარენის „მიერო პოლიტიკური“ ერთეულის ძველი სახელწოდება უნდა იყოს („ნელქართან“, „ბირ“-თან ერთად) – მდ. ჩელითი (და, შესაბამისად, ამ სახელწოდების დიდი ხელია) ხომ სწორედ ნეკრესის სავარაუდო ლოკალიზაციის ტერიტორიის დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოედინება, და ესცე არ იყოს, ჯუანშერის თხზულების ჩამონათვალში, გეოგრაფიული რიგითობითაც ჩელების ეპარქია სანორედ რომ ამ არეალში იგულისმება. ამდენად, ამ საკითხში, ჩვენ ივანე ჯავახიშვილის პოზიციის მართებულობას გაზიარებთ და ვამყარებთ (ჯვანაშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია, წიგნი. II. თხზულებანი 12 ტომად, ტ. 2. თბილისი, 1983. გვ. 49)

მავლობაში ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ მძღავრ დასაყრდენს წარმოადგენდა. ქართული ისტორიული წყაროები და მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ტრადიცია, ამ მონასტრის დაარსებას VI ს-ის ცნობილი ქრისტიანი მოღვანის, ერთ-ერთი „ათცამეტ ასურელ მამათაგანის“, წმინდა აპიბოს ნეკრესელის სახელს უკავშირებენ.

მატიანე გვამცნობს: „...მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმეობელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშნები მრავალნი, მან და მოწაფეთა მისთა, რომელთა განაკუირვნეს ყოველნი ქართველნი“.<sup>16</sup> წერილობითი იტორიული დოკუმენტები სრულ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ასურელ მამათა მოღვაწეობამ უდიდესი როლი შეასრულა აღმოსავლეთ საქართველოს არაერთ, სასანური ირანის მიერ პრაქტიკულად ანექსირებულ რეგიონში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცების და ქართლის სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა-შენარჩუნების საქმეში. ამ მოღვაწეთა ცხოვრების ჰაგიოგრაფიული ხასიათის აღწერები მოგვითხრობს, რომ იოანე ზედაზნელმა და მისმა თანამოაზრებმა ქართლსა და კახეთში დააარსეს ახალი ეკლესიამონასტრები, რითაც ისინი ირანელი დამპყრობლების მიერ მოსახლეობისთვის თავსმოხვეული მაზდეანური სარწმუნოებისა და მათივე მფარველობით გაძლიერებული ერეტიკული ქრისტიანული მიმდინარეობების აღმოფხვრას უწყობდნენ ხელს. საქართველოში დღესდღეობით მყარად დამკვიდრებული საეკლესიო ტრადიციით, ეს რელიგიური მოღვაწენი ქალკედონური მიმდინარეობის საეკლესიო სწავლების დამკვიდრებას და გაძლიერებას ემსახურებოდნენ. მართლაც, როგორც ცნობილია, VI ს-ში ქრისტიანულ სამყაროში ქალკედონური აღმსარებლობა საგრძნობლად გაძლიერდა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 553 წელს კონსტანტინოპოლიში მოწვეულმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ. ამ კრებაზე დაგმობილ იქნა მონოფიზიზმი, ნესტორიანელობა და სხვა ერეტიკული მიმართულებები.<sup>17</sup> სწორედ ამ გარემოების, აღნიშნული ადგილობრივი საეკლესიო ტრადიციისა და ამ საკითხისადმი მიძღვნილი მეტწილი სამეცნიერო-თეოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე,<sup>18</sup> ქართლ-კახეთში ჩამოსული ასურელი მოღვაწეების მთავარ დამსახურებად, ქვეყანაში ქრისტიანული ასკეტიზმის იდეების დაწერვასთან ერთად, მართლმადიდებლური აღმსარებლობის საბოლოოდ დამკვიდრება ითვლება.

<sup>16</sup>. ჯუანშერი. 1955. გვ. 20.

<sup>17</sup>. Meyendorff, John. *Imperial Unity and Christian Divisions. The Church 450-680 A.D. The Church in History*. Crestwood, NY: St. Vladimir's Seminary Press, 1989. გვ. 167-178.

<sup>18</sup>. ჯავახიშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია, ნიგნი I. თხზულებანი 12 ტომად, ტ. I. თბილისი, 1979. გვ. 406-415.

ასურელ მამათა შორის, იერარქიული მდგომარეობითა და აქტიურობით, ერთ-ერთი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ნეკრესის მხარის ეპისკოპოსი აპიბოსი. მის დამსახურებად ისტორიული ტრადიცია, ნეკრესის მხარის სამწყსოში მონასტიციზმის ფართოდ დანერგვასთან, ქრისტიანული რწმენის განმტკიცებასთან და მწვალებლური იდეოლოგიისგან განწმენდასთან ერთად, ეპარქიის გეოგრაფიული საზღვრების ჩრდილოეთით, იპერიის სამეფოსთან ახლადშემოერთებულ მხარეების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაფართოებასაც მიიჩნევს. მაგალითად, მემატიანე ლეონტი მროველი, ერწო-თიანელთა და თუშების საბოლოო ქრისტიანიზაციაში სწორედ აპიბოს ნეკრესელის ღვანლს ხედავს,<sup>19</sup> ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „აქა [ქალაქ ნეკრესში] დაადგრა წმინდა აპიბოს, იგი ათორმეტ მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა მხრისა დიდოურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი“.<sup>20</sup> უნდა ვიფიქროთ, რომ წმ. აპიბოსის მოღვაწეობის სწორედ ეს უკანასკნელი ასპექტი – აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელების საბოლოოდ მოქცევა ქრისტიანობაზე, შესაბამისად კი პილიტიკური ბატონობის გავრცელება ამ რეგიონებზე, სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი იყო ქართლის სამეფოს იმუამინდელი, როგორც „დე ფაქტო“, ისე „დე იურე“ მმართველებისთვის; ამასთან, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ისტორიული ცნობებით, აპიბოსის მღვდელმთავრობის ხანაში, ამ მხარეში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ სხვა პროვინციაში, მაზდეანობის საკმაოდ მძლავრი კერა არსებულა – არაერთი გადმოცემით, ცეცხლთაყვანისმცემლებს სწორედ ნეკრესის ეკლესიის მახლობლად აუგიათ სალოცავი და მოსახლეობას აიძულებდნენ ცეცხლისთვის ეცათ თაყვანი.

ისტორიული და ჰაგიოგრაფიული ცნობებით, წმ. აპიბოსმა ნეკრესში დამკვიდრებისთანავე მედგრად გაილაშქრა მაზდეანობის წინააღმდეგ. მან ირანელთა წმინდა ადგილიც კი შეურაცხყო – „დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა იგი“. დამპყრობლებმა შეიძყრეს მღვდელმთავარი და მიჰვარეს მარზაპანს, რომელმაც იგი წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯვა, ხოლო რეხის ქვაბოვანი მონასტრის პერებმა აპიბოსის წმინდა ნაწილები სამთავისის მონასტერში დაკრძალეს პატივით.<sup>21</sup> გადმოცემით, ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის დროს, კათოლიკოს თაბორის სურვილით წმინდა მღვდელმონამის უხრწნელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში დაასვენეს და წმინდა ტრაპეზის ქვეშ დაფლეს.

ამჟამინდელი გამოკვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმ. აპიბოს ნეკრესელის მიერ ქალაქ ნეკრესსა თუ

<sup>19</sup> მროველი, ლეონტი. 1955. გვ. 126.

<sup>20</sup> ბაგრატიონი, ვახუშტი. 1973. გვ. 545.

<sup>21</sup> აბულაძე, ილია. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. თბილისი, 1955. გვ. 188-196.

შემოგარენში ეკლესია-მონასტრების დაფუძნებასთან თუ აღმშენებლობა-აღორძინებასთან დაკავშირებულ საკითხთა გარკვევა. ბოლო დრომდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ასურელ მამათა მიერ საქართველოში დაარსებული მონასტრების საორგანიზაციო სტრუქტურების, მათში მიმდინარე მოღვაწეობის ფორმათა თაობაზე ერთგვაროვანი აზრი არ არსებობდა. XIX ს-დან მოყოლებული სულ ბოლო დრომდე, ჩვენ მეცნიერებაში მეტად გავრცელებული ყოფილა მოსაზრება, რომ პირველი ქართველი მეუდაბნოები და მათ შორის ასურელი მოღვაწეებიც, მხოლოდ არაორგანიზებულ, უკიდურესად ასკეტურ „სადაყუდებულო“ მონასტრებს აფუძნებდნენ, სადაც ბერები პრიმიტიულ თავშესაფრებში ბინადრობდნენ და რამდენადმე სახიერ, ქვითკირის ეკლესია-სენაკებს არც კი აგებდნენ.<sup>22</sup> ეს შეხედულება, როგორც ჩანს, ამ წმინდანთა ცხოვრებებში მოყვანილი ზოგიერთი ეპიზოდის არასწორ ინტერპრეტირებაზე იყო დამყარებული. აღსანიშნავია, რომ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილიც ქართულ სამონაზვნო მოძრაობას ორ ფაზად დაყოფის იმ თეორიისკენ იხრებოდა, რომელიც სირიელ მამებს მხოლოდ მარტომყოფელური, პრიმიტიული მეუდაბნოების დამნერგავებად მიიჩნევდა, ხოლო ნამდვილი სამონასტრო სტრუქტურების დაფუძნებას ჩვენში VIII-IX სს-დან გულისხმობდა (წმ. გრიგოლ ხანძთელის და მისი დასის მოღვაწეობის ეპოქიდან).<sup>23</sup>

ამჟამად, ქართველი მეცნიერების მიერ უკანასკნელი ათწლეულებში ჩატარებული კვლევებით ნათელი გახდა, რომ საქართველოში VI ს-დან მოყოლებული (და, დიდი ალბათობით, გაცილებით ადრეც), იქმნებოდა არა მხოლოდ ნაკლებად ორგანიზებული, პრიმიტიული სადაყუდებულო უდაბნოები, არამედ, ისევე როგორც აღმოსავლური ქრისტიანული მონასტიციის მონინავე ტრადიციების რეგიონებში (ეგვიპტე, სირია-პალესტინა, მესოპოტამია, კაპადოკია და სხვ.), ყალიბდებოდა სრულყოფილი სამონასტრო სტრუქტურებიც, ზუსტად განსაზღვრული ტიპიკონებით; მათი არქიტექტურული კომპლექსები მოიცავდა როგორც გამოქვაბულ თუ ქვითეკირის ეკლესიებს და სამლოცველოებს, ისე საცხოვრებელ, სამეურნეო და საფორტიფიკაციო ნაგებობებს.<sup>24</sup>

მართლაც, დღევანდელი ნეკრესის მონასტრის ტერიტორიაზე, დაახლოებით VI-VII საუკუნეების ორი საკულტო ნაგებობა ზეზეურადაც გვაქვს შემორჩენილი:

<sup>22</sup>. გაფრინდაშვილი, გივი. სამონაზვნო მოძრაობა საქართველოში. ძეგლის მეგობარი, 80. თბილისი, 1988. გვ. 5; გაფრინდაშვილი, გივი. გარეჯი. თბილისი, 1987. გვ. 5-8.

<sup>23</sup>. ჯავახიშვილი, ივანე. ქართული სამართლის ისტორია. სახელმწიფო სამართალი. თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII. თბილისი, 1984. გვ. 31, 32.

<sup>24</sup>. ბახტაძე, ნოდარ. შუა საუკუნეების ქართული მონასტრების გენეზისისა და სტრუქტურის ზოგიერთი პრობლემა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ლოგოსი 1. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასან არსებული საერთო მოძრაობის სამეცნიერო ცენტრი. თბილისი, 2003. გვ. 13-21; ბახტაძე, ნოდარ. ქართული სამონასტრო მოძრაობის სათავეებთან. ძეგლის მეგობარი, 112. თბილისი, 2001. გვ. 17-27.

ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი (ე. ნ. სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპისა) და და დაახლოებით იმავდროულივე – მემორიალური სამლოცველო კრიპტითურთ (ამ უკანასკნელი ნაგებობის არქეოლოგიურად დათარიღების შესახებ, ვრცელი საუბარი შემდეგ თავში გვექნება).<sup>25</sup> ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ პირველი ბერ-მონაზვნების საცხოვრებლების, სატრაპეზოს თუ სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო ნაგებობების ნაშთებიც იქვეა შემორჩენილი, მიწის ქვეშ. მიუხედავად ამისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მონასტერმა საუკუნეების განმავლობაში აუნაზღაურებელი დანაკლისიც მრავლად განიცადა – ზოგიერთ ნაგებობას თუ ქრისტიანულ სინმინდეს ჩვენამდე, ალბათ, არ მოუღწევია.

სამწუხაროდ, ქართული წერილობითი წყაროები პრაქტიკულად არ შეიცავს ცნობებს ნეკრესის მონასტერსა თუ სრულიად ეპარქიაში VI საუკუნიდან მოყოლებული, გვიან შუა საუკუნეებამდე მომხდარი მოვლენების შესახებ. ნეკრესის მონასტერში წმ. აბიბოს ნეკრესელის მოღვაწეობის შემდგომ ეპოქებში მიმდინარე სამონაზვნო ცხოვრების შესახებ წერილობითი ცნობების დეფიციტს, როგორც ნაშრომის შემდგომ ნაკვეთებში ვნახავთ, ამ ანსამბლის შემადგენელ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ანალიზი და მონასტრის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები ავსებს. მაგალითად, ანსამბლის ნაგებობათა გეგმარებითი მახასიათებლები და ზოგიერთ მათგანში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, ნეკრესის მონასტერში როგორც VII-IX საუკუნეებში, ისე მთელი განვითარებული შუა საუკუნეების მანძილზე, მეტად ინტენსიურ სასულიერო მოღვაწეობასა და სერიოზულ აღმშენებლობით პროცესზე მიგვანიშნებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამ მხარემ და, სავარაუდოდ მონასტერმაც, VIII ს-ის I ნახევარში არაბთა გამარანაგებელი შემოსევა განიცადა, კომპლექსი იმხანად ცხოვრების რამდენადმე ხანგრძლივად მოშლის ან დამცრობის ნიშნები არ შეინიშნება. უფრო მეტიც: ფაქტობრივი მონაცემებით აქაც, ისევე როგორც საქართველოს ზოგიერთ სხვა პროვინციაში (მაგალითად, სამცხე-ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთში),<sup>26</sup> IX-X სს-ში, სამონასტრო ცხოვრების აყვავების კიდევ ერთი მძლავრი ტალღა დასტურდება – საკმარისია დავასახელოთ ამ პერიოდში ფრიად მონუმენტური მთავარანგელოზთა ეკლესიის, მეტად მასშტაბური საეპისკოპოსო სასახლისა და სატრაპეზოს კომპლექსის აგება (სურ. 2, 7, 14).<sup>27</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ ხანებში ნეკრესის ეპარქიის არსებობა კახეთის სამეფოს საეკლესიო ერთეულებად დაყოფის რუკის ფარგლებში დოკუმენტურად არ არის დადასტურე-

<sup>25.</sup> ბახტაძე, ნოდარ; თევდორაშვილი, ნათელა; ბაგრატიონი, გიორგი. ნეკრესი. ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის. თბილისი, 2010.

<sup>26.</sup> მერჩულე, გიორგი. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. თბილისი, 1946.

<sup>27.</sup> ელიზაბარაშვილი, ირინე. ნეკრესი. თბილისი, 1986. გვ. 12.

ბული, თვით ფაქტი მონასტრის ტერიტორიაზე ამდენად გრანდიოზული სასახლის მშენებლობისა,<sup>28</sup> რომელიც მომდევნო ეპოქებში დანამდვილებით ნეკრესის ეპისკოპოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა, გვაფიქრებინებს, რომ ამჟამადაც თითქმის თავდაპირველი სახით შემონახული ეს მონუმენტური სასახლე, IX-X საუკუნეებშივე იგივე დანიშნულებით იყო აგებული; შესაბამისად, მეტად დიდია იმის აღნა აღნა აღნა, რომ ნეკრესის მონასტერი იმხანად და მომდევნო საუკუნეებშიც, ნეკრესის ეპარქიის წინამდლობის კათედრის მოგალეობასაც ითავსებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მონასტრის კომპლექს XI-XIII საუკუნეებში მნიშვნელოვანი საეკლესიო თუ საყოფაცხოვრებო ნაგებობები აღარ შემატებია, არქეოლოგიურ ფენებში ამ ეპოქათა ნივთიერი მასალის დიდი სიჭარბე შეინიშნება, რაც საქართველოს სახელმწიფოს საერთო პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის ხანისთვის სრულიად კანონზომიერად გამოიყურება.<sup>29</sup> ნეკრესის მონასტერი VIII-X სს-ში, აღბათ უკვე იმდენად იყო უზრუნველყოფილი ეკლესია-ნაგებობებით კახეთის დამოუკიდებელი, თითქმის თეოკრატიული წყობის სამეფოს მმართველების მხრივ განსაკუთრებული ზრუნვის წყალობით,<sup>30</sup> რომ XI-XII სს-თა მიჯნაზე, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებული კახეთის არისტოკრატიას თუ ცენტრალურ ხელისუფალთ, დამატებითი ნაგებობების აღმართვა, უბრალოდ, აღარ დასჭირდათ.

რაც შეეხება მონალო-თათართა ურდოების შემოსევებისა და, საბოლოოდ, თემურ-ლეგიოს გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად გამოწვეულ, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვეითების სტადიას<sup>31</sup> – XIV ს-იდან XIX ს-მდე ხანას, ამ დროის ნივთიერი მასალა ნეკრესის მონასტრის განათხარ მასალაში შედარებით მცირეა და უსახური (განსაკუთრებით, ეს ეხება XVII-XVIII სს-ს). თუმცა, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ნარმოქმნილი კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს ხანმოკლე პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის ხანაში – XV ს-ის მე-2 ნახევრისა და XVI ს-ის განმავლობაში,<sup>32</sup> მონასტერს ქვითკირის რამდენიმე მომცრო ნაგებობა, მაგალითად, წმ. გიორგის მცირე სამლოცველო შეემატა; იმჟამადვე, ეპისკოპოსის სასახლეზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიმდებარედ, წყლის მთავარ რეზერვუარზე დაფუძნებული დიდი თავდაცვითი კოშკიც აღიმართა, რომელიც ნეკრესის მონასტრის ერთ-ერთ

28. ყუბინაშვილი, გიორგი. *Архитектура Кахетии*. Тбилиси, 1959. გვ. 555-557.

29. ჯავახიშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია, წიგნი. II. თხზულებანი 12 ტომად, ტ. II. თბილისი, 1983. გვ. 193-312.

30. ჭილაშვილი, ლევან. არქში. თბილისი, 1991. გვ. 179.

31. ბერძენიშვილი, ნიკო. საქართველოს ისტორია XIII-XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. 2. თბილისი, 1965.

32. ჭილაშვილი, ლევან. კახეთის ქალაქები. თბილისი, 2000. გვ. 28-116.

ვიზუალურ დომინანტად იქცა. გვიანი შეუა საუკუნეების სულ ბოლო სტადიაზე, ეკონომიკური საფუძვლის მოშლის კვალობაზე, სამონაზვნო ცხოვრება ნეკრესის მონასტერში მეტად შეკვეცილი სახით მიმდინარეობდა.<sup>33</sup>

თვით ქალაქ ნეკრესის ზეობისთვის კი, საფუძველი პირველად V-VI სს-თა მიჯნაზე ირანელთა, საბოლოოდ კი არაბთა გამანადგურებელ ლაშქრობებს შეურყევია. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი ტრაგიკული მოვლენა არაბი სარდლის, მარვან // იბნ-მუჰამადის მიერ საქართველოში VIII ს-ის 30-იან წლებში ჩატარებულ, სასტიკი სადამსჯელო ლაშქრობას უნდა უკავშირდებოდეს. ისტორიული წყაროებისა და ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის მონაცემების მიხედვით, VIII საუკუნიდან მოყოლებული, ქალაქი ნეკრესი ჯერ სოფლის ტიპის დასახლებამდე დაქვეითებულა, თანდათან კი აქაურობა სრულად გავერანებულა.<sup>34</sup> ვახუშტი ბატონიშვილი ნეკრესის ტერიტორიაზე ქალაქის არსებობას საქართველოში თემურ-ლენგის ლაშქრობებამდე, XIV-XV სს-თა მიჯნამდე ვარაუდობდა,<sup>35</sup> მაგრამ ჩვენ მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ ამ მიდამოებში, განვითარებული შეუა საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ სოფლის ტიპის დასახლებების არსებობა დაადასტურა (დაწვრილებით, იხ. ქვემოთ).

ამის შემდეგ, თანდათან, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე, ქალაქი ნეკრესის ადგილმდებარეობა და ისტორიული ხსოვნა ამ ქალაქის ოდინდელი ზეობის შესახებ, მახლობელი რეგიონებისა მოსახლეობისა და საქართველოს სწავლული საზოგადოებრიობის მეხსიერებაში, სრულ დავიწყებას მიეცა.

## **ნაქალაქარ ნეკრესის არქეოლოგიური კვლევის ისტორია და ნაშრომის უმთავრესი მიზანი**

ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის საწყის ეტაპზევე, ნაქალაქარ ნეკრესის გეოგრაფიულად ლოკალიზების დაკონკრეტების მცდელობისას, აღნიშნულ ლანდშაფტზე დაკვირვებამ გვაფიქრებინა, რომ ნაქალაქარის უბნები ამ მიდამოების ვიზუალური დომინანტის, ნეკრესის მონასტრის ქვემოთ გამლილ, მცირედ დაფერდებულ, ტყით და სამეურნეო სავარგულებით დაფარულ დაბლობებზე უნდა გვეძია. მოლოდინმა გაგვიმართლა – 1984-2019 წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ს. ჯანაშიას სახე-

<sup>33.</sup> ბახტაძე, ნოდარ; თევდორაშვილი, ნათელა...2010. გვ. 72-88.

<sup>34.</sup> ბახტაძე, ნოდარ; მამიაშვილი, ვაჟა; გაბერძე, ბაჩანა; ჩხვიმიანი, ჯიმშერ. დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, VII (52-B). თბილისი, 2016. გვ. 48.

<sup>35.</sup> ბაგრატიონი, ვახუშტი. 1973. გვ. 545.

ლობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და შემდგომ, მისი სამართალმემკვიდრის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგიდით ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა<sup>36</sup> ამ ტერიტორიებზე მრავალი უმნიშვნელოვანესი ძეგლი გამოავლინა, რომელთაც დიდად გაამდიდრეს ქართული ისტორიოგრაფიის ეროვნული ბაზა, ზოგი მათგანი კი საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის შენაძენადაც შეიძლება მივიჩნიოთ.<sup>37</sup> ნაქალაქარის სავარაუდო არეალში რიგორიგობით აღმოჩნდა საქართველოში მანამდე არნახული მასშტაბისა და დახვეწილი გეგმარების წარმართული ტაძარი (სურ. 4),<sup>38</sup> გრანდიოზული საკულტო, საცხოვრებელი და სამეურნეო წაგებობებით განაშენიანებული, გალავნით გარშემორტყმული ქალაქის უბნები (სურ. 3, 5);<sup>39</sup> მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოიკვეთა ნაქალაქარის

<sup>36.</sup> ნაქალაქარ ნეკენის შემსავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციაში 1984-2019 წლებში, სხვადასხვადონის მონაცილეობდენ ს. ჯინაშას სახელმისის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, შემდგომ კი საქართველოს ეროვნული მუზეუმის დანართული და მომდევნო თაობების ისტორიკოს-არქეოლოგების: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი 1994-2003 წწ.), ვ. ცისკაროშვილი, თ. ბერიძე, თ. კერძესლიძე, დ. აბუანდაძე, გ. კიფაძე, ნ. აფხაზია, ნ. ბახტაძე (ხელმძღვანელი 2004-2019 წწ.), კ. გოცაძე, კ. გოგიჩაშვილი, გ. ჭილაშვილი, ა. ქარუმშვილი, მ. ჩიმია, მ. ქაფანიძე, გ. ბახტურიძე, გ. კვანტიძე, გ. ჩუბინიშვილი, ვ. ლევავა და სხვები. 2012 წლიდან წამყვან ორგანიზაციისათვის, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, ამ ექსპედიციების თანაორგანიზაციორ და მუდმივ მონაცილე გახდა ილის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო) – არქეოლოგიის მიმართულების პროფესიონისა და სტუდენტების რესურსით. ამ პერიოდში წარმატებულ საველე და კამერალურ მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფესიონალის ბანტაბის დოკტორანტებმა, ამ ნაშრომის თანავალებისთვის: ვ. მამაშვილმა, ბ. გაბეგაძე და ჯ. ჩხეიმანიმ (ჯერ ილის უნივერსიტეტის სტუდენტების, შემდეგ კი ეროვნული მუზეუმის მეცნიერების სტატუსის) – 2017 წლიდან ექსპედიციასთან წაყოფირად თანამშრომლობს ექსტერის (ინგლისი) უნივერსიტეტის თეოლოგიისა და რელიგიის პრიფესიონი ე. ლუზლი-ლიმინგი; სულ ბოლოს, 2019 წელს, ნეკენის ნაქალაქარის არქეოლოგიურ კვლევას, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და მათ უნივერსიტეტის მორის დადგეული მრვალწლიანი საპარტიორო ხელშეკრულების საფუძველზე, შემოურთდენ კოლეგა-მეცნიერები პოზნანის (პოლონეთი) ადამ მიცეკვეჩის სახელმისიანი უნივერსიტეტიდან – ა. ბერნაცკა და ე. კლეინია.

<sup>37.</sup> ჭილაშვილი, ლევან. ნეკენის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი, 2004; ბახტაძე, ნოდარ; თევდორაშვილი, ნათელა; ბაგრატიონი, გორგო. ნეკენი. ცნობარი მომლოცველთა და მოვ ზურგთათვის. თბილისი, 2010; Bakhtadze, Nodar. Archaeological Research Upon One of the Earliest Georgian Christian Basilica. *Temporis Signa, IX. Fondazione Centro Italiano Di Studio Sull'alto Medievo*. Spoleto, 2014; Bakhtadze, Nodar. The Oldest Basilicas Revealed in Nekresi Former City and Hypotheses on the Architectural DeSign of the First Georgian Christian Churches. *Iberien zwischen Rom und Iran. Orients et Occidens*, 29. Stuttgart, 2019.


<sup>38.</sup> ეს ჭადარი, მისი პირველმკვლევარის, აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში, თითქმის 2 ათწლეულის განმავლობაში ფიგურირებდა როგორც მაზრეანული სამლოცველო (ცეცხლის ტაძარი) (ჭილაშვილი, ლევან. ნეკენის წარმართული სამლოცველობი. თბილისი, 2000). რამდენიმე წლის წინ კი, მასზე მეცნიერთა საერთობისო კვლევის მიერ ჩატარებული არქეოლოგიორიული კვლევების საფუძველზე გამოივენდა ნაშრომი, სადაც გამოთქმული მოსაზრება, რომ შესაბლოო ეს ძეგლი ასტრალური ლეთაბებისადმი, უფრო მზის კულტისადმი მიძღვნილი ტაძარია (Guggles, Clive; Simonia, Irakli; Bakhtadze, Nodar; An Astronomical Investigation of the Seventeen Hears Old Nekresi Fire Temple in the Eastern Part of Georgia. *Journal of Astronomical History and Heritage*, 12 (3), (Centre For Astronomy, James Cook University). Townsville, 2009).

<sup>39.</sup> ქართულ სამეცნიერო საზოგადოებრიბაში განსაკუთრებული რეზონანსი (და აზრთა დიდი სხვადასხვაობაც) გამოიწვია IV-V სს-თი დათარლებული ე. წ. „ნაგებებს“ უბანზე, საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსის შემადგენელი მარნის გათხრებასა აღმოჩენილმა ქართული დამწერლობის იმუშებმა. ასომთავრულით შესრულებული ეს წარწერები ამოკანრული იყო მეორად სამშენებლო მასალად გამოყენებულ ქვის ბლოკებზე, რომელიც უნისრიგოდ, თავბოლოშექცევით იყო ჩაშენებული ამ მარნის კედლებში და, ამდენად, კიდევ უფრო აღრეულ ხინაში უნდა ყაფილიყო შესრულებული. აღსანიშვნავისიც, რომ წარწერები ეპიფანიებს წარმოადგენს, თუმც, მათ შინაარსში სრულად არ ფიგურირების სახელმწიფო მუზეუმის და მათ შემდეგ მეცნიერების სამართალმემკვიდრის სახელმწიფო მუზეუმის და მომდევნო თაობების ისტორიკოს-არქეოლოგების: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელი 1994-2003 წწ.), ვ. ცისკაროშვილი, თ. ბერიძე, თ. კერძესლიძე, დ. აბუანდაძე, გ. კიფაძე, ნ. აფხაზია, ნ. ბახტაძე (ხელმძღვანელი 2004-2019 წწ.), კ. გოცაძე, კ. გოგიჩაშვილი, გ. ჭილაშვილი, ა. ქარუმშვილი, მ. ჩიმია, მ. ქაფანიძე, გ. ბახტურიძე, გ. კვანტიძე, გ. ჩუბინიშვილი, ვ. ლევავა და სხვები. 2012 წლიდან წამყვან ორგანიზაციისათვის, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, ამ ექსპედიციების თანაორგანიზაციორ და მუდმივ მონაცილე გახდა ილის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო) – არქეოლოგიის მიმართულების პროფესიონისა და სტუდენტების რესურსით. ამ პერიოდში წარმატებულ საველე და კამერალურ მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფესიონალის ბანტაბის დოკტორანტებმა, ამ ნაშრომის თანავალებისთვის: ვ. მამაშვილმა, ბ. გაბეგაძე და ჯ. ჩხეიმანიმ (ჯერ ილის უნივერსიტეტის სტუდენტების, შემდეგ კი ეროვნული მუზეუმის მეცნიერების სტატუსის) – 2017 წლიდან ექსპედიციასთან წაყოფირად თანამშრომლობს ექსტერის (ინგლისი) უნივერსიტეტის თეოლოგიისა და რელიგიის პრიფესიონი ე. ლუზლი-ლიმინგი; სულ ბოლოს, 2019 წელს, ნეკენის ნაქალაქარის არქეოლოგიურ კვლევას, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და მათ უნივერსიტეტის მორის დადგეული მრვალწლიანი საპარტიორო ხელშეკრულების საფუძველზე, შემოურთდენ კოლეგა-მეცნიერებები პოზნანის (პოლონეთი) ადამ მიცეკვეჩის სახელმისიანი უნივერსიტეტიდან – ა. ბერნაცკა და ე. კლეინინა.

ლოკალიზაციის საზღვრებიც: ქალაქის ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად დაშორებული, ზოგჯერ გორაკებითაც განცალკევებული უბნები, დაახლოებით 200-ოდე ჰქექტარი ფართობის, აღ მ ო ს ა ვ ლ ე თ - დ ა ს ა ვ ლ ე თ მიმართულებით წაგრძელებულ ტერიტორიაზე იყო განფენილი, მდინარეების - დურუჯისა და ჩელთის კალაპოტებს შორის.

ნეკრესის ნაქალაქარის ყველაზე ინტენსიურად განაშენიანებულ, ცენტრალურ უბანს ეკავა „ნაზვრევი გორის“ სახელით ცნობილი სერიდან (რომელზედაც სამონასტრო ანსამბლია გაშენებული) დასავლეთით, მსგავსივე კონფიგურაციის „სამარხების სერამდე“, დაახლოებით 1.5 კმ-ის გაყოლებაზე გაშლილი, დაბლობი ტერიტორია.<sup>40</sup> თუმცა, კიდევ ერთი მოზრდილი, უკიდურესი დასავლეთ უბანი, მონასტრის სამხრეთით ჩამომავალი „სასახლის ხევის“ დაბლობებიდან „კუდიგორის“ კონცხით გამოყოფილ, მდ. დურუჯის მარცხენა სანაპიროზეც ყოფილა განფენილი (ამჟამინდელ ნასოფლარ „დოლოჭობის“ ტერიტორიაზე).


ამგვარად ლოკალიზებული ნაქალაქარის ფარგლებში ჩვენი ექსპედიციების მიერ შესწავლილ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთაგან, წინამდებარენაში სპეციალური განხილვის საგანს წარმოადგენს ნეკრესის მონასტრის



სურ. 4. ნაქალაქარი ნეკრესი. „ცეცხლის ტაძარი“  
Fig. 4. Former City of Nekresi. “Fire Temple”

ბს უფლისადმი საველერებელი მიმართვები და ისინი არც ქრისტიანულ სიმბოლიკას შეიცავს. პალეო-გრაფიული ნიშნებით, ამ წარწერების შემადგენელი, აშეარად არქაული ასო-ნიშნების პალეოგრაფიულად ზუსტად დათარილების მცდელობამ, შედევი ვრ გამოილო. არაერთი ცნობილი ქართველი მეცნიერის აზრით (აკადემიკოსები: ლ. ჭილაძევილი, ზ. ალექსიძე; პროფესორი რ. პატარიძე), ეს წარწერები ძე. ნ. უკანასკნელ და ახ. ნ. 1-II სს-ს განეკუთვნება და, ამდენად, ადასტურებს ქართულ ისტორიულ წყაროთა ცნობებს ქართული ანბანის წინარე ქრისტიანულ ხანამ წარმოშობის შესახებ (ჭილაძევილი, ლევან. ნეკრესის სტევენესი ქართული წარწერები და ქართულ დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი, 2004). სხვა, არა ნაკლებ ცნობილი მეცნიერები, რომლებიც ქართულ ანბანს ქრისტიანობის გაერცელების თანმდევ ფენომენად მიიჩნევნ (მაგალითად, აკადემიკოსი თ. გამყრელიძე), კატეგორიულად ეწინააღმდევებან ამ მოსაზრებას. ჩვენ, აღნიშნული მარინის ქვეშ და მიმდებარე ფართებზე დანამდვილებით არსებული ანტიკური ანისის სამართვანის სრულფასოვან არქეოლოგიურ შესწავლამდე, რაც უასლოეს მომავალში გვაქს დაგეგმილი, ამ პრობლემის თაობაზე საბოლოო პოზიციის გამოხატვისგან (ამ ნაშრომის ფარგლებში მაინც), თავს ვიკავებთ.

<sup>40</sup> როგორც იგივე წერილობითი წყაროების ანალიზი გვარმშნებს, აქედან მოყოლებული ჩვ. ნ. VII-VIII საუკუნეებამდე, ქალაქ ნეკრესის, როგორც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფორპოსტის როლი ქართლის სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ-რელიგიურ პროცესებში, კვლავაც ფრიად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილყო.




სურ. 5. ნაქალაქარი ნეკრესი. ნაგებების უბანი  
Fig. 5. Former City of Nekresi. Nagebebi District

ტერიტორიაზე მდებარე ადრექ-რისტიანული მემორიალური სამლოცველო და უშუალოდ ქალაქში, ე. წ. „ჭაბუკაურისა“ და „დოლოჭობის“ უბნებში მდებარე, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ჩასახვისა და განვითარების პირველ ეტაპებთან დაკავშირებული სატაძრო კომპლექსები. ამ ძეგლებზე უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა, უძველესი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რაც შემდეგი გარემოებით არის განპირობებული.

ქართველი ხელოვნების ისტორი-

კოსთა სხვადასხვა პლეადის არაერთი ცნობილი ნარმომადგენელი, თითქმის ერთი საუკუნეა, რაც პრაქტიკულად უკრიტიკოდ იზიარებს XX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში ხელოვნების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო დარგის (ხელოვნებათმცოდნეობის) ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სავსებით დასაშვები იყო ქართულ წყაროებში მოხსენიებული, იბერიის მეფე თრდატის მიერ IV ს-ის მეორე ნახევარში ქალაქ ნეკრესში აგებული მნიშვნელოვანი ქრისტიანული ტაძრის იდენტიფიცირება ნეკრესის მონასტერში შემორჩენილ, მეტად მცირე ზომის, უცნაური გეგმარების სამლოცველოსთან (მაშინვე და შემდგომშიც, ყოველ მის მომდევნონ ნაშრომში, ამ ნაგებობას ბ-ნი გ. ჩუბინაშვილი ბაზილიკად მოიხსენიებდა და ამ ტიპის ეკლესიათა რიგში განიხილავდა) (სურ. 6).<sup>41</sup> ამასთან, პატივცემულმა მეცნიერმა, დიდწილად სწორედ ამ ძეგლის და კიდევ ორიოდე მინიატურული, ეკლესიის კვალობაზე ფრიად უჩვეულო აღნაგობის ნაგებობის (მაგალითად, ნაქალაქარ ჭერემის საკათედრო ტაძრის კომპლექსის შემადგენელი კრიპტის მინიატური) არქიტექტურული ფორმების გათვალისწინებით შეიმუშავა თეორია, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, ქართველი ხუროთმოძღვრები მთელი IV ს-ის განმავლობაში და დიდხანს V ს-შიც (V-VI სს-თა მიჯნამდე), მხოლოდ მომცრო, არცთუ მკაფიოდ

<sup>41.</sup> ყუბინაშვილი, გიორგი. თბილისი, 1959. გვ. 37-45; თუმანიშვილი, დიმიტრი. უძველესი ქართული საეკლესიო ნაგებობების გამო. გზაჯვარედინზე. თბილისი, 2008. გვ. 144-161.



სურ. 6. ნეკრესის მონასტერი. მემორიალური სამლოცველო. 6. სევეროვის ჩანახატი, გეგმა და ჭრილები. 1930-იანი წლების პუბლიკაციიდან

Fig. 6. Nekresi Monastery. Plan and cross-cut sections of the memorial chapel (after N. Severov): From a 1920s publication

ჩამოყალიბებული გეგმარებითი სტილის, უმთავრესად ბაზილიკებთან მხოლოდ სილუეტით მიმსგავსებულ ეკლესიებს აგებდნენ.<sup>42</sup> საქართველოში აგებული უადრესი ქრისტიანული ტაძრების მინიატურული ზომებისა და მათ გეგმარებაში იმუამინდელი მსოფლიო საეკლესიო კანონიკის ნორმების გაუთვალისწინებლობის ასახსნელად, გ. ჩუბინაშვილმა ისიც კი არ გამორიცხა, რომ პირველი ქართული ქრისტიანული სამლოცველოები ბიზანტიის იმპერიის სასულიერო ცენტრებიდან ჩამოსული მისიონერების მიერ (უპირველესად, იგულისხმებოდა უძველესი საეკლესიო გადმოცემების მიხედვით ქართველთა განმანათლებლად შერაცხული, მოციქულთა სწორი წმ. ნინო) მათ სამშობლოში უკვე არსებული ეკლესიების ზეპირი, არასრულყოფილი აღნერის საფუძველზე ყოფილიყო აგებული ადგილობრივი ოსტატების ხელით.<sup>43</sup> გამომდინარე აღნიშნულ ნაგებობების უძველეს ქართულ ქრისტიანულ ტაძრებთან იდენტიფიცირებიდან, პატივცემულმა მეცნიერმა ივარაუდა, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქართლის

<sup>42</sup>. ჩუბინაშვილი, გიორგი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. თბილისი, 1936. გვ. 23-27.

<sup>43</sup>. ტბილისი, გიორგი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. თბილისი, 1936. გვ. 37-45, 134-135.

სამეფოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იმდენად უნდობლობით თუ შიშით ეკიდებოდა ახალ რელიგიას, რომ ამ ეკლესიებში წირვისას მხოლოდ სასულიერო პირები შედიოდნენ და, შესაბამისად, მრევლის სრულად თავშეყრისთვის საკმაო მოცულობის ტაძრების აგების საჭიროება იმხანად არ იყო.<sup>44</sup>

ამრიგად, ამ თეორიის მიხედვით გამოდიოდა, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში, მრევლი ლიტურგიაში პრაქტიკულად არ მონაწილეობდა, ხოლო გვიანრომაულ-ადრებიზანტიურ და მეზობელ აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროთა პრაქტიკულად ყველა პროვინციაში ესოდენ სწრაფად და საყოველთაოდ გავრცელებული ნამდვილი, მოზრდილი ბაზილიკები, აღნიშნული მიზეზისა თუ დამკვეთმშენებელთა საეკლესიო არქიტექტურის პრინციპებში ბოლომდე გაურკვევლობის გამო, სრულიად არ იგებოდა.<sup>45</sup>

გარდა აღნიშნული ვერსიის შეუსაბამობისა რომაული თუ აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს ეკლესიათმშენებლობის თაობაზე საერთაშორისო სამეცნიერო წრეების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ისტორიულ ტენდენციებთან (ვრცლად იხ. ქვემოთ, IV თავში), ამავე დაშვების ფონზე, ლოგიკური მსჯელობიდან გამომდინარე, საჭოფმანო ჩანდა ნეკრესის განხილული სამლოცველოს კონკრეტული ფუნქციაც კი: გამოდიოდა, რომ ახალი აღმსარებლობის პირველი ტაძარი ქვეყნის ხელისუფალმა ამ სამეფო ქალაქიდან – ძირითადი მრევლის განსახლების ადგილიდან – საკმაოდ მოშორებულ, ძნელად მისადგომ და იმუშამად უთუოდ უკაცრიელ მთაზე ააგო; ამასთან, ეს ეკლესია იმდენად მცირე ზომის იყო, რომ წირვისას მასში მღვდლის გარდა ათიოდე ადამიანის ერთდროულად ყოფნაც კი გაჭირდებოდა (ასეთი ვერსია ლამის იმას გვაფიქრებინებდა, რომ ქალაქის მესვეურებს შეგნებულად არ სურდათ ქრისტიანობაზე ახლადმოქცეული მოსახლეობის ეკლესიის წიალთან მასობრივად დაახლოება და მათი რწმენის გაღრმავება); გაუგებარი ჩანდა ისიც, თუ რატომ გააჩნდა ასეთ ადრეულ, პატარა და განმხოლოებულ ეკლესიას შეუსაბამოდ ვრცელი კრიპტა. მისი აგების ხანის აღნიშნულ ვერსიას თუ დავეთანხმებით, ეს მარტირიუმი მხოლოდ ახლად შემოლებული სარწმუნოების მიმდევარი, ქალაქის (პროვინციის) მმართველი საგვარეულოს წარმომადგენლების ან წმინდანის რანგში აყვანილი მისიონერის თუ სასულიერო პირის დასაკრძალავად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მაგრამ რატომ დასჭირდებოდა ქრისტიანო-

44. ცუბინაშვილი, გიორგი. Пути развития Грузинской архитектуры. Вопросы истории искусства, 2. Тбилиси, 2002. გვ. 10, 11.


45. გ. ჩუბინაშვილის წარმოდგენილი მსჯელობა ნეკრესის უძველესი სამლოცველოს აგების თარიღისა და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების საწყისი ეტაპის თავისებურებათა შესახებ, შემდგომ მრავალმა ცნობილმა ქართველმა ხელოვნების ისტორიკოსმა პრაქტიკულად უკრიტიკოდ გაიზიარა (ბერიძე, ვახტანგ, 1974. გვ. 18, 22; ციციშვილი, ირაკლი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი, 1995. გვ. 52-55 და სხვ.).

პაზე ახლად მოქცეული ქვეყნის ოფიციოზს ამდენად მნიშვნელოვანი პირების ქალაქიდან ესოდენ მოშორებით დაკრძალვა? ჩვენთვის ხომ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადრეული ქრისტიანული ლიტურგიის დროს წმინდა მონაშების, წარსულში გამორჩეული სასულიერო მოღვაწეებისა და ქრისტიანობის მეცენატი არისტოკრატების მარტირიუმებს, მემორიუმებს თუ რელიქვარიუმებს. გარდა ამისა, ნეკრესის მონასტრის დაარსების ხანის შესახებ საყოველთაოდ მიღებული ვერსიის გათვალისწინებით გამოდიოდა, რომ წმ. აბიბოს ნეკრესელის თაოსნობით ამ სამლოცველოს შემოგარენ ტერიტორიაზე დავანებულმა პირველმა ასკეტმა მონაზვნებმა, მხოლოდ ორიოდე საუკუნის შემდეგ გამოიყენეს ხელახლა ეს აკლდამა და სამლოცველო ახალი დანიშნულებით.

აქვე უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და კულტურის მოღვაწემ (პროფესორმა ზურაბ კიკაძემ, თენგიზ მირზაშვილმა, ბაადურ მჭედლიშვილმა და სხვებმა), ჯერ კიდევ ამ 3-4 ათწლეულის წინ შენიშნა ის შეუსაბამობა, რაც ერთი მხრივ, ქართულ ისტორიულ წყაროთა მონაცემებსა და ქრისტიანულ სამყაროს დანარჩენი ქვეყნების სატაძრო ხუროთმოძღვრების ისტორიის თანამედროვე მეცნიერულ შეფასებებს, მეორე მხრივ კი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გენეზისის შესახებ თითქმის საუკუნის წინ შემუშავებულ ამ თეორიას შორის სუფევდა. XX საუკუნის 80-იან წლებში, ამ საკითხზე დისკუსიამ დიდი აუკითავი გამოიწვია ქართველ ჰუმანიტარ მეცნიერთა წრეებში და, აზრთა ეს სხვადასხვაობა, ნაწილობრივ, ამ ბოლო დრომდე გრძელდებოდა.<sup>46</sup> წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, ნოვატორ მეცნიერთა ამ ჯგუფმა, წამყვან ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა აღნიშნულ კონცეფციაში წარმოდგენილი არგუმენტაციის რეალურ ისტორიულ მოვლენათა ფონზე, ლოგიკურ-ფიქროლოგიურ და თეოლოგიურ ჭრილში ხელახლი ანალიზის საფუძველზე, სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრების ლამის სრულად ადგილობრივ ნიადაგზე გენეზისის, მსოფლიო პროცესებისგან მოწყვეტილად განვითარების თეორია. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ წარმოჩენილი არაერთი ახალი არქიტექტურულ-არქეოლოგიური არგუმენტი, სწორედ ამ მკვლევართა მიერ გამოთქმული ზოგადი დებულებების პრაქტიკულ მტკიცებულება-დაც კი შეიძლება განვიხილოთ (აღნიშნულ „ტრადიციულ“ და, გარკვეულწილად მის საპირისპირო თეორიათა საფუძვლიანობის შესახებ მსჯელობას, ამ ნაშრომის დასკვნით თავში დაცუბრუნდებით).

<sup>46</sup> კიკაძე, ზურაბ; მირზაშვილი, თენგიზ. რას მოგვითხრობს მირიანის წიგნი. კრიტიკა, №6. თბილისი, 1985. გვ. 59-101; კიკაძე, ზურაბ; მირზაშვილი, თენგიზ. კულტურის ისტორიის კვლევის მეთოდები-სთვის. კრიტიკა, №2. თბილისი, 1987. გვ. 70-105; ბერძენი, ვახტანგ. კვლავ ადრექტისტიანული ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. მნათობი, №7. თბილისი, 1986. გვ. 78-86; კიკაძე, ზურაბ, *Audiatur et altera pars. კადმოსი, ჰუმანიტარულ კვლევათა უურნალი*, №6, თბილისი, 2014. გვ. 441-479.

სწორედ ამ პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა მიზანმიმართულად, არქეოლოგიურად და ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით შეისწავლა როგორც ნეკრესის მონასტერში მდებარე, ხელოვნების ზოგიერთ ისტორიკოსთაგან IV საუკუნის ქართულ ეკლესიათა „ეტალონად“ შერაცხული მცირე ზომის სამლოცველო, ისე სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი, სამი მოზრდილი ადრექტისტიანული ტაძრის ნაშთი – ეს უკანასკნელი, ჩვენ მიერ მოპოვებული არქეოლოგიური საბუთებით, სწორედ რომ IV საუკუნესთან მიახლოებულ ხანებში ყოფილა აგებული ქალაქ ნეკრესის საზოგადოებრივ ცენტრებსა თუ ოფიციოზის მიერ საბინადროდ გამორჩეულ უბნებში. ნაშრომის მომდევნო ნაკვეთებში, შეძლებისდაგვარად დეტალურად ნარმოვადგენთ ამ უძველეს ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევისას ნარმოჩენილ სტრატიგრაფიას და ნივთიერ მასალას. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი, შევეცდებით ამ ძეგლების ხუროთმოძღვრულ-გეგმარებითი სახის თეორიულ რეკონსტრუირებას, მათი შექმნისა და ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტებას.



სურ. 7. ნეკრესის მონასტერი. ესკიზური ჩანახატი სამხრეთ-დასავლეთიდან  
Fig. 7. Nekresi Monastery: Sketch from the southwest

## თავი I. არქეოლოგიურ-ხუროთმოძღვრული კვლევა ნეკრესის მონასტრის გემორიალურ სამღლოცველოში

ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი, მიუხედავად მეცნიერთა და ფართო საზოგადოებრიობის მხრივ დიდი ინტერესისა მის მიმართ, ჩვენ მიერ 2008-2009 წლებში ჩატარებულ სამუშაოებამდე არქეოლოგიურად პრაქტიკულად სრულიად შეუსწავლელი იყო (სურ. 7).<sup>47</sup> მართალია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიცია XX ს-ის 80-იან და 90-იან წლებში, ნეკრესის ნაქალაქარის არეალში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლების კვლევის პარალელურად, პერიოდულად ამ კომპლექსშიც ატარებდა ხელოვნებათმცოდნეობით და მინისზედა დაზვერვით არქეოლოგიურ სამუშაოებს, მაგრამ სერიოზული სამეცნიერო შედეგების მისაღებად ეს მიმოხილვითი მცდელობანი საკმარისი არ აღმოჩნდა.<sup>48</sup> ამიტომაც, ამ ექსპედიციის წევრები წლების განმავლობაში ვეძებდით შესაფერ დროს და რესურსს, რათა ხელახლად ამოქმედებული მონასტრის განაწესის მინიმალური დარღვევით, არქეოლოგიურად სრულფასოვნად შეგვესწავლა ზოგადად ამ კომპლექსის შემადგენელი ძეგლები, უპირველესად კი აღნიშნული, ამდენი სამეცნიერო „ვნებათლელვის“ საბაბი – ე.ნ. „IV საუკუნის ბაზილიკა.“ სწორედ ასეთი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა 2009 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მონასტრის ნაგებობების, მათ შორის კი ამ ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანმხლები არქეოლოგიური სამუშაოებისას (ხელმძღვანელი ნ. ბახტაძე) და შედეგმაც არ დააყოვნა – არქეოლოგიურმა გათხრებმა მეტად საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა ამ სამლოცველოს ავთენტური სახის, შექმნის თარიღის და დანიშნულების ობიექტურად გასააზრებლად.<sup>49</sup>

47. რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ისე მოხდა, რომ ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის შემადგენელ ძეგლებზე XX ს-ის 50-იან, 70-იან და 80-იან წლებში ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებს წინ არ უძლოდა ნაგებობათა არქეოლოგიური შესწავლა. სამწუხარიდ, მონასტრის ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების ასეთი მეთოდებით წარმართების გამო, არამცუუ ავთენტური სახით ვერ აღდგა ამ კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარე ზოგიერთი არქიტექტურული ძეგლი, არამედ მინის ნიაღმი შემოჩენილი მემკვიდრეობის ნაწილი დღესდღეობით უკვე განადგურებულია. მაგალითად, XX ს-ის 80-იან წლებში, რესტავრატორებმა VI ს-ის სამეცნიეროან ბაზილიკის კედლების აღსადგენად, მის ჩრდილოეთით მდებარე მარნის დაზიანებული კედლებიდან მორღვეული ქვები საშენ მასალად გამოიყენეს, რითაც ამ XII-XIII სს-ის ნაგებობის გეგმარების კვალი სრულიად ნაშალე.

48. სწორედ ამ დაზვერვების საფუძველზე გამოთქვა ექსპედიციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ლ. ჭილაშვილმა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, ეს სამლოცველო ქრისტიანულ ხააში რეკონსტრუირებულ წარმართულ ტაძარს წარმოადგენდეს (ჭილაშვილი, ლევან. 2004. გვ. 10).

49. ბახტაძე, ნოდარ. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს დათარიღებისათვის. სამსახურეთ კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2010.

ეს უჩვეულო აღნაგობის მცირე სამლოცველო ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის (VI-VII სს-ით დათარილებული „სამეცნიერო ბაზილიკა“) დასავლეთით 15-ოდე მ-ის დაშორებით მდებარეობს. არც მანამდე და არც მასზე XX ს-ის 70-იან წლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს, ეს ნაგებობა არქეოლოგიურად არავის შეუსწავლია. ამიტომაც, გაუმართლებელი მეთოდოლოგიით ჩატარებული რესტავრაციისას, იატაკების დონის მაღლა შემონახული მიწის კულტურული ფენები იმუამად უკალიდ განადგურდა. საბედნიეროდ, როგორც შემდგომ დავინახავთ, ხუროთმოძღვრების ეს ძეგლი პრაქტიკულად სამსართულიანია და რესტავრატორებს „ზედმეტი“ მიწის მოჭრისას სულ ქვედა სტრუქტურებამდე არ ჩაუღწევიათ.

დაზიანებამდე სამლოცველო წარმოადგენდა ქვის სუბსტრუქციაზე ამოყვანილ, სხვადასხვა სიმაღლის სამი მოცულობით შედგენილ ნაგებობას (სურ. 8). ცენტრალურ ნაწილს დარბაზული ეკლესიის გეგმა აქვს და აღმოსავლეთით მინიატურული, ნალისებრი გეგმის საკურთხეველი გააჩნია. ის სულ რაღაც 4 კვ. მ ფართობისაა და, საკურთხევლის კონქიანად ძალზე მაღლა, კოშკისებურადაა აზიდული. მას ჩრდილოეთით და სამხრეთით ფართო ლიობები ჰქონია დატანებული, რომლითაც ამაზე ოდნავ უფრო განიერ და მნიშვნელოვნად დაბალ, ყოველ მხრივ ფანჩატურისებურად გახსნილ სივრცეებს უკავშირდებოდა. გვერდით სათავსებს გაცილებით დაბალი, კამარისებური გადახურვა ჰქონია – ჩრდილოეთისას ცენტრალური სამლოცველო „დარბაზის“ მსგავსად გრძივი, სამხრეთისას კი განივი. შესაბამისად, ჩრდილოეთის „სტოას“ ცალქანობიანი სახურავი ფარავდა, სამხრეთისას კი ორქანობიანი (2009 წელს ჩატარებულ რესტავრაციამდე სამხრეთის სათავსისგან მხოლოდ მცირე დეტალები იყო შემორჩენილი; მისი აღნაგობის თეორიული რეკონსტრუქცია არქეოლოგიურად გამოვლენილი გეგმის საშუალებით მოხერხდა). ჩრდილოეთის სათავსის




სურ. 8. კრიპტაზე აგებული მემორიალური სამლოცველო (რესტავრაციამდე)

Fig. 8. The memorial chapel built above the crypt (prior to restoration)

ქვეშ მდებარეობს სარდაფის ტიპის კრიპტა, რომლის ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კედლები, მასზე დაშენებული სამლოცველოს გარეთა ფარგლებიდან დაახლოებით 0.5 მ-ით გარეთ გადის.<sup>50</sup>

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ ამ სამლოცველოს ავთენტური (უფრო, დროში ოდნავ წინმსწრები), მის საფუძვლად გამოყენებული ქვით ნაგები პლატფორმის შიგთავსის არქეოლოგიურმა კვლევამ, ძეგლის პირველმკვლევარის მიერ შემოთავაზებული, ზემოთ აღნერილი ვერსიისგან სრულიად განსხვავებული სურათი ნარმოგვიდგინა. გამოირკვა, რომ ეს სუბსტრუქცია სრულიადაც არ ყოფილა მასიური – მის ჩრდილოეთის კიდეში დატანებული კრიპტა ერთადერთი არ ყოფილა. პედესტალის შიდა სივრცე პრაქტიკულად მთლიან სიღრუეს ნარმოადგენს და თავდაპირველადვე, რამდენიმე აკლდამის მოსაწყობად, ქვითკირის კედლებით ყოფილა დატიხრული (სურ. 11). ამ აკლდამათა აღნაგობა არაერთგვაროვანია: განსხვავებით ჩრდილოეთის დიდი, სამლოცველოს პერიმეტრის გარეთ (აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით) გასული, მძლავრი კედლებით მოზღუდული, კამარით გადახურული სარდაფი-კრიპტისგან (სურ. 12), სამლოცველოს სამხრეთისა და ცენტრალური ნანილების იატაკების ქვეშ მდებარეობს ქვითკირის კედლებით ერთიმეორის გვერდით გამოყვანილი, მართკუთხა პარალელობიპედის ფორმის, ქვის ბრტყელი ფილებით გადახურული ხუთი აკლდამა (სურ. 9, 10, 11). №1 და №2 აკლდამა სამლოცველოს სამხრეთის „ნავის“ კედლების მაღალ საძირკვლებს შორის მოქცეულ სივრცეში იყო „ჩანერილი“ და ისინი ერთმანეთისგან 25-30 სმ სისქის ტიხრით იყო გამოყოფილი; №3, აღნაგობით ამ ორის მსგავსი აკლდამა სამლოცველოს ცენტრალური სივრცისა და სამხრეთის „ეგვტერის“ გამყოფი სქელი კედლის ქვეშ არის მოქცეული და თითქმის ამ კედლის საძირკვლის სიგანისაა. რაც შეეხება №4 და №5 აკლდამებს, სტრუქტურით და მშენებლობის ტექნიკით ისინიც აღნიშნული სამარხების მსგავსია, მაგრამ ვინაიდან მათი მოწყობისას დასავლეთით მკვრივი კლდოვანი მასივი დახვედრიათ, ეს წყვილი აკლდამებისა, მნიშვნელოვნად აღმოსავლეთით არის განეული და თითქმის სანახევროდ, საკურთხევლიანი კედლის ქვეშ შედის. №3 აკლდამის გარეგანი შესწავლით და №4-5 აკლდამების გათხრის შედეგად თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ისინი სამლოცველოს აგების შემდეგ კი არ არის მოწყობილი, არამედ თვით სამლოცველოს საძირკვლები და საკურთხევ-

<sup>50.</sup> შესაბამისად, სამლოცველოს შესაბამისი კედლების ასაგებად კრიპტის კედლები კი არ არის გამოყენებული საძირკვლად (რაც უსაფრთხო კონსტრუქციის თვალსაზრისით ლოგიკური იქნებოდა), არამედ ამ მინისზედა ნაგებობის მზიდი კედლები ზედ კრიპტის გადამხურავ კამარაზე ამოუყვანიათ. ეს უწვევული გარემოება უთუოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ კრიპტა დროის გარევეული პერიოდის განმავლობაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა და სამლოცველო მასზე მოგვანებით (სავარაუდო, დახსლოებით იმავე ეპოქაში) დაშენებს, თუმცა, მნისევებს კონსტრუქციების ოპტიმალური სტატიკურულ-გეგმარებით ულაზათობა და მისი კონსტრუქციული გათვლების უმნეობა, ერთმანეთს სრულად შეესატყვისება.



სურ. 9. მემორიალური სამლოცველოს გეგმა  
(არქეოლოგიურად გახსნილი პლატფორმის ჩვენებით)  
Fig. 9. Plan of the memorial chapel (demonstrating the archaeological discoveries)

გამომდინარე, ისიც აბსოლუტურად ცხადია, რომ ეს სამლოცველო ჩრდილოეთის კრიპტა-ოსუარიუმის თანაბარნილად, ზედა რეგისტრის ამ აკლდამებში დაკრძალულ პირთა ხსოვნისა და სულთა მოხსენიებისადმიცაა მიძღვნილი.

ჩვენ არქეოლოგიურად შევისწავლეთ №1, 2, 4 და №5 აკლდამების შიგთავსები (№3 აკლდამის გათხრა ნაგებობის კონსტრუქციას შეუქმნიდა საფრთხეს; ესეც არ იყოს, აღნაგობით საუსებით დანარჩენების იდენტური ამ აკლდამის მომავლისათვის გაუთხრელად შენახვა, არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნების ეთიკის კოდექსითაც მიზანშენონილი იყო). №1 და №2 აკლდამები კოლექტური სამარხები აღმოჩნდა – მათში გაშოტილ, ქრისტიანულ პოზაში დაუკრძალავთ ინდივიდები, რომელთაგანაც მხოლოდ უკანასკნელი 3 მიცვალებულის ნეშტი აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდით ან ერთმანეთზე დასვენებული, ადრე დაკრძალული მიცვალებულების ძვლოვანი ნეშტები კი, საქართველოში მთელი


ლის კედლებია დაშენებული მათზე დაფარებულ ქვის ფილებზე. სრული ტიპოლოგიური მსგავსებიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ №2 და №3 აკლდამებს ავთენტური, საერთო ტიხარი ყოფს, დამტკიცებულად უნდა ჩავთვალოთ, რომ აღნიშნული ხუთივე აკლდამის მოწყობა ნინ უსწრებდა სამლოცველოს მშენებლობას. წარმოჩენილი არქეოლოგიური სურათიდან



სურ. 10. მემორიალური სამლოცველოს პლატფორმის არქეოლოგიური კვლევა. №2 აკლდამა  
Fig. 10. Archaeological study of the bearing platform of the memorial chapel. Tomb №2

შუა საუკუნეების განმავლობაში გავრცელებული წესისამებრ, აღმოსავლეთ კიდეში მიუხვეტავთ. ნეშტების პრეპარაცია სრულყოფილად მხოლოდ №2 აკლდამაში მოხერხდა (სურ. 10), №1-ში კი წესტისგან დაშლილი ძვლები მხოლოდ დაკრძალულთა ზოგად მდებარეობაზე მიგვანიშნებდა. აღსანიშნავია, რომ ორივე შესწავლილი აკლდამა ოჯახური განსასვენებელი აღმოჩნდა – მათში დადასტურდა როგორც მამაკაცების, ისე ქალებისა და მცირენლოვანი ბავშვების ნეშტები). უნდა ვივარუდოთ, რომ ეს ოჯახური სამარხები ნეკრესის მონასტრის მეცენატ ფეოდალურ საგვარეულოთა წარმომადგენლების ძვალთშესალაგია.<sup>51</sup>

სამარხები თითქმის უინვენტარონი აღმოჩნდა: მხოლოდ №1 სამარხის აღმოსავლეთით მიხვეტილ ძვლებში დადასტურდა შავი მინის მრგვალგანივევეთიანი სამაჯურის ფრაგმენტები (ქალის დაკრძალვაზე, ე.ი. საერო-ოჯახურ აკლდამაზე მიმანიშნებელი უტყუარი ფაქტი), რომელიც IX ს-ით თარიღდება;<sup>52</sup> სწორედ ამიტომ, ამ აკლდამათა მოწყობის ხანასა და ფუნქციონირების ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე დასაფლავებისას მიცვალებულებთან ერთად შემთხვევით (მიწის მიყრისას) მოხვედრილი კერამიკული ნაკეთობების მცირე ფრაგმენტების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. ამ თიხის ნაწარმს შორის უადრესია გარედან მოვარდისფროდ




სურ. 11. მემორიალური სამღლოველოს და მისი სუბსტრუქციის ჭრილი 1-1 (არქეოლოგიურად გამოვლენილი სტრუქტურების ჩვენებით)

Fig. 11. Cross-section of the memorial chapel and substructure 1-1 (demonstrating the archaeological discoveries)

51. მონასტრებში, ამ სავანებზე მზრუნველ ფეოდალურ საგვარეულოთა ოჯახების წევრთა სამარხების მოწყობა წმინდად მოღვაწე ბერების სამვალების ახლოს, შუა საუკუნეების საქართველოში მეტად გავრცელებული მოვლენა იყო. ამასთან დაკავშირებით, გვინდა გაიოხსენოთ ერთი ეპიზოდი გრიგოლ მერჩელის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ – სამეცნი აზნაური გაბრიელ დაფანჩული გრიგოლ ხანძთელს მონასტრის მშენებლობაში მატერიალური შენერობის სანაცვლოდ სთხოვს: „...თქვენ მონაწილე გვყვენით წმიდათა ლოცვათა თქვენთა ცხოვრებასა ამას და შემდგომად სიკვდილისა, და ძალინი ჩვენი ღირს ყვენით დასხმად წმინდათა თანა ძვალთა თქვენია“ (მერჩულე, გოორგი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1. თბილისი, 1946. გვ. 126).

52. პატიკაშვილი, ნაზი; ჯაფარიძე, ოსებ. რუსთავის ისტორიული მუზეუმის გზამჯელები. თბილისი, 2012. გვ. 36; დოლაბერიძე, რუსულად. ფეოდალური ხანის საქართველოს მინის სამაჯურები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXVIII – B. თბილისი, 1969. გვ. 102.



სურ. 12. მემორიალური სამლოცველოს და მისი სუბსტრუქციის ჭრილი 2-2 (არქეოლოგიურად გამოვლენილი სტრუქტურების ჩვენებით)

Fig. 12. Cross-section of the memorial chapel and substructure 2-2 (demonstrating the archaeological discoveries)

ნაპრიალები, პირმოყრილი, დაბალ-ქუსლიანი ჯამისა და ამგვარადვე ნაპრიალები, მსხლისებრი მოყვანილობის დოქების ნაწილები, რომელთა ტიპოლოგიური ანალოგიები ქართველ არქეოლოგთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, ძირითადად VI-VII საუკუნეებით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლებიდან კარგადაა ცნობილი (მათ შორის თვით ნაქალაქარი ნეკრესის განათხარი ძეგლებიდან, მაგალითად „ჭაბუკაურის“ ბაზილიკის ნაგრევებზე VI ს-ში მიშენებული ეკლესიდან, რომლის ფუნქციონირებამაც, მის იატაკზე მიკვლეული ბიზანტიური და ირანული მონეტებიდან გამომდინარე, მხოლოდ VIII ს-მდე გასტანა). მსგავსი ნაწარმის ზოგიერთი, ოდნავ სახეცვლილი, გარედან ნაკლებად ნაპრიალები ნიმუშები VIII ს-ის II ნახევარში და IX ს-შიც კი გვხვდება.<sup>53</sup> ასევე დანამდვილებით ცნობილია, რომ IX საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს №1 სამარხის შემავსებელი მიწის ზედა ფენაში აღმოჩენილი, თიხის ჯამის ფრაგმენტი, რომლის შიშველი ზედაპირი თეთრი ანგობითაა მოხატული, შემდეგ კი მწვანედაა მოჭიქული.<sup>54</sup>

№4 და №5 აკლდამები კონსტრუქციულად ერთმანეთის და №2 სამარხის იდენტურები აღმოჩნდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში წყლის უონვის გამო, მათში ჩასვენებული მიცვალებულების ნეშტების მიახლოებითი სიზუსტით პრეპარაციაც კი ვერ მოხერხდა. მხოლოდ იმის დაფიქსირება შევძელით, რომ თითოეულ მათგანში ერთზე მეტი ინდივიდი ყოფილა დაკრძალული, ამასთან, აღმოსავლეთ კიდეში დაფშვნილი ძვლის გაცილებით დიდი რაოდენობა, მათში ჩასვენებული მიცვალებულების ნეშტების არაერთგზის მიხვეტაზე უნდა მეტყველებდეს, რაც კოლექტიური სამარხების ნიშანია. ეს სამარხებიც უინვენტარო აღმოჩნდა – მათშიც არტეფაქტები მხოლოდ შემთხვევით, მიწასთან ერთად მოხვედრილი, ზემოთ აღწერილი ტიპის მოვარდისფროდ და მოწითალოდ ნაპრიალები ჭურჭლის მცირე

<sup>53.</sup> ჭილაშვილი, ლევან. ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი, 1964. გვ. 113; ტაბ. XI-XII; მამაიაშვილი, ნანა, 2004. გვ. 129-131;

<sup>54.</sup> მიწიშვილი, მარინე. მოჭიქული ჭურჭელი ძეგლ საქართველოში. თბილისი, 1969. გვ. 14-15; ბახტაძე, ნოდარ. კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუნეების საქართველოში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმის კოლექციებიდან. ანოტირებული სამეცნიერო აღმოჩენი-გამოკვლევა. თბილისი, 2013. სურ. 31.

ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. დანამდვილებით VIII-IX საუკუნეებით დათარი-  
ღებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მათში არ აღმოჩნდა, ამიტომ გამორიცხუ-  
ლი არ არის, რომ მათ VI-VII საუკუნეებზე გვიან აღარ იყენებდნენ.

რამდენად ეთანხმება მოპოვებული ნივთიერი მასალის ასეთნაირი დათარილება  
სამლოცველოს საფუძველ-პლატფორმის სივრცულ აღნაგობას? მხედველობაში  
გვაქვს ის გარემოება, რომ სამლოცველოს სუბსტრუქციის დასავლეთის კედელი,  
სამხრეთ კიდესთან მიახლოებისას მკვეთრად არის გამრუდებული და ამ ნაგებო-



სურ. 13. კარიბჭის ნაშთი მემორიალურ სამლოცველოსა და სასახლეს შორის  
(ხედი მთავარანგელოზთა ეკლესისენ, IX ს)

Fig. 13. The remnants of the gate between the memorial chapel and the palace  
(View of the Church of the Archangels. 9<sup>th</sup> century)



სურ. 14. მემორიალური სამლოცველოს კრიპტაში არქეოლოგიურად გამოვლენილი კოლექტიური საძვალე კამერები  
Fig. 14. The collective tombs of the memorial chapel crypt

ბის სამხრეთით, ორიოდე მეტრის დაშორებით მდებარე, დაახლოებით IX ს-ით დათარიღებული, ე. წ. „ეპისკოპოსის სასახლის“ (ზოგიერთი ნიშნით, შესაძლოა, ეს ორსართულიანი სატაპეზო) კუთხესთან არის გასწორებული, რათა ამ ორი შენობის მეზობელი კედლების დასავლეთის კუთხეებთან მიშენებული პილასტრებით თაღურად გადახურული ჭიშკარი შეექმნათ (სურ. 14). სამლოცველოს სუბსტრუქციის დასავლეთის კედლის ამ მიზნით გამრუდებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მის სამხრეთის კედლში, დასავლეთ კიდის მახლობლად, დატანებულია ურდულად გამოყენებული ხის ძელის გასაყრელი, მართულთა კვეთის ღრმა, სავარაუდოდ ავთენტური ფოსო (ზუსტად სასახლის მოპირდაპირე, ჩრდილოეთის კედლის მშენებლობისას დატანებული ამგვარივე საურდულე ფოსოს გასწრივ). ამრიგად, თუკი სამლოცველოს შემორჩენილი პლატფორმა-საფუძვლის მთელი კონსტრუქციის ავთენტურობას დავთანხმებით (როგორც ეს ამ ნაგებობის არქიტექტურის წინამორბედ მკვლევარებს მიაჩნიათ),<sup>55</sup> გამოდის, რომ სამლოცველოც და მისი კვარცხლბეკიც, დაახლოებით სასახლესთან ერთად უნდა იყოს აგებული. ასეთ ვარაუდის მართლზომიერებას ის ფაქტიც უჭერს მხარს, რომ ორთავე ამ ნაგებობაში ქვის წყობათა ხასიათი და დუღაბის სტრუქტურა სავსებით იდენტურია და დიდად არც მათი ღიობების თავსართი, ნალისებური თაღების მოხაზულობა განსხვავდება ერთმანეთისგან.

<sup>55.</sup> ყუბინაშვილი, გიორგი. 1959. გვ. 38-44.

აქ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აღნიშნული სასახლე (თუ სატრაპეზო), ჩვენი ექსპედიციის მიერ ჩატარებულ კვლევებამდე საკმაოდ პირობითად იყო დათარიღებული VIII-IX საუკუნით – მისი არქიტექტურული დეტალებიდან და სტილიდან გამომდინარე ის, ასეთივე წარმატებით, ოდნავ უფრო ადრე აგებულადაც შეიძლებოდა მიგვეჩნია. მეორე მხრივ, ნიშანდობლივია, რომ სასახლის პირველ სართულზე მდებარე მარნის იატაკის სამშენებლო ფენის არქეოლოგიური კვლევისას, ჩვენ მიერ გამოვლენილი უადრესი არტეფაქტების – უბრალო და მოჭიქული კერამიკა, ზუსტად რომ IX საუკუნისაა (თუმცა, ეს მასალა მარნის იატაკის რეკონსტრუქციისა და ახალი ქვევრების ჩაყრის ხანაზე მიმანიშნებელიც შეიძლება იყოს).

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ სამლოცველოს „სამხრეთის ნავის“<sup>56</sup> საყრდენი პლატფორმის დასავლეთ კედლის გამრუდებული მონაკვეთი რამდენადმე განსხვავდება სამლოცველოს სხვა ნაწილების საფუძველი კედლებისგან და, ამდენად, შესაძლოა მას მოგვიანებით, VIII-IX სს-ში ჩატარებული რეკონსტრუქციის დროს ჰქონდეს მიმართულება შეცვლილი სასახლის კუთხისკენ. ამ მოსაზრებას ის ფაქტიც განამტკიცებს, რომ სამლოცველოს „სამხრეთის ნავის“ დასავლეთ კედლის შემორჩენილი ნაშთი ცენტრალურ სივრცის დასავლეთის კედელს სწორად, გამრუდების გარეშე გაუყვება და, ალბათ, სამლოცველოს აგებისას ამგვარადვე მიმართულ, ერთიანად გარდატეხის გარეშე აგებულ საფუძველ კედელს ეყრდნობოდა.

ჩვენ არქეოლოგიურად შევისწავლეთ პლატფორმის აღნიშნული კედლის დასავლეთით მიმდებარე ფართობი და მართლაც დადასტურდა, რომ ეს კედელი თავდაპირველად სწორად გაუყვებოდა სამლოცველოს მთელი დასავლეთის ფასადის გაყოლებაზე – „სამხრეთის ნავის“ გასწვრივ გაუმრუდებლად დადასტურდა მისი საძირკვლის ქვები. ამრიგად, სამლოცველოს „სამხრეთის ნავის“ საფუძველის ამჟამინდელი მოხაზულობიდან, მათში განლაგებული აკლდამების აგებულებიდან და იქ დადასტურებული ნივთიერი მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: ამ ბაზილიკურთან ოდნავ მიახლოებული გეგმარების ნაგებობის სამხრეთის ნავის საყრდენი პლატფორმის ღრუ სივრცეში დაახლოებით VI-VIII საუკუნეებში უკვე მოწყობილი იყო ზემოთ აღნიშნული აკლდამები, სტრუქტურულად ზუსტად ისეთები, როგორიც გამოჩნდა

<sup>56</sup>. მოუხედავად იმისა, რომ ჩვენი აზრით, ამ სამლოცველოს ბაზილიკურ ნაგებობასთან ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო, ვინაიდან მას ათწლეულების განმავლობაში მრავალი ქართველი მეცნიერი ბაზილიკად ალიევამდა და მის კომპონენტებს ბეჭდურ გამოცემებში შესაბამისი ტერმინებით მოიხსენიებდა (მათ შორის, ჩვენი ერთობლივი პუბლიკაციის თანავტორებიც). ის.: ჭანიშვილი, გიორგი; ბახტაძე, ნოდარ; გელაშვილი მიხეილ. ნეკრესი – ე.ნ. „საფლავსა ზედა ეკლესიას“ რაბილიტაცია. ძველი ხელოვნება დღეს, 1. ობილისი, 2010. გვ. 31-39), მკითხველთათვის ორიენტირების გაადვილების მიზნით, სამლოცველოს ცენტრალურ, ჩრდილოეთის და სამხრეთის სათავსებზე მინიშნებისას, ამ ნაშრომში მათ, პირობითად, კვლავ „ნავებად“ მოვიხსენიებთ.

ცენტრალური ნავის ქვეშ. აკლდამების მოწყობა სამლოცველოს სუბსტრუქციის აგების დროსვე იყო ჩაფიქრებული და, ამდენად, ისინი თანადროულებია. როგორც ჩანს, ჩვენთვის უცნობი დესტრუქციული მოვლენის შედეგად, დროის ამ შუალედში „სამხრეთის ნავი“ საყრდენი კედლითურთ დაზიანდა და მისი დასავლეთის კედელი (ალბათ სამხრეთის კედლის ნანილთან ერთად) ამჯერად უკვე გამრუდებულად, სასახლის კედლის კუთხესთან გასწორებული სახით აღადგინეს; ამასთან, ამ ორ ნაგებობას შორის ჭიშარიც მოაწყეს, რისთვისაც სამლოცველოს სამხრეთის საფუძვლის კედელს პილასტრი მიაშენეს და მასში საურდულე ფოსო დაატანეს. ამ რეკონსტრუქციის დროს, როგორც ჩანს, მშენებლებმა პლატფორმის სივრცეში უკვე არსებულია, ქვის კედლებით ამოყვანილი აკლდამების ძირითად მოცულობათა შენარჩუნება მოახერხეს, მათში მოთავსებული მიცვალებულების ნეშტებისადმი კრძალვიდან გამომდინარე. თუმცა, სამხრეთის უკიდურესი, №1 აკლდამის მიმართ ეს ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელეს – მისი პარამეტრები რეკონსტრუქციის შემდეგ თითქმის უცვლელად შეუნარჩუნებიათ, მაგრამ მასში გაშოტილად დაკრძალული მიცვალებულების ნეშტები გათხრისას საკმაოდ აღრეულ მდგომარეობაში დაგვიხვდა, რაც, ალბათ, აღნიშნული გადაკეთებითი სამუშაოების შედეგია. №2 აკლდამის და „ცენტრალური ნავის“ ქვეშ არსებული სამივე აკლდამის შენარჩუნება კი სრულად მოხერხდა. შესაძლოა, აგრეთვე ამ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში, მთლიანად კვარცხლბეკის კონსტრუქციული მდგრადობის გაზრდის მიზნით მოხდა ყველა ამ აკლდამის მიწით ამოვსებაც – მანამდე, ისევე როგორც აღნიშნული ეპოქის ნებისმიერ ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ ქვა-ყუთში, მიცვალებულთა ნეშტები ცარიელ სახურავქვეშა სივრცეში იქნებოდა განლაგებული.

რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევის უმნიშვნელოვანეს მიზანს იმის დადგენა წარმოადგენდა, თუ როდის, რა მიზნით შეიძლებოდა დაედგათ სამლოცველო აკლდამების ერთობლიობით შედგენილ ქვის პლატფორმაზე და რა მიმართებაში იყო ეს ნაგებობა VI საუკუნეში ამ ტერიტორიაზე დაარსებულ (ან საფუძვლიანად რეორგანიზებულ) მონასტრის სტრუქტურასთან.

ამ კითხვაზე საკმაოდ ცალსახა პასუხი გაგვცა სამლოცველოს „ჩრდილოეთის ნავის“ ქვეშ მდებარე (თუმც, მის პერიმეტრს მნიშვნელოვნად გაცდენილად), კამარით გადახურული კრიპტის არქეოლოგიურმა კვლევამ. ამ სათავსის მიწით კარგად მოტკეპნილი იატაკის გათხრისას აღმოჩნდა, რომ მისი ფუნქციონირების საწყის ეტაპებზე (დაახლოებით IX ს-ის ჩათვლით), მიცვალებულების ნეშტები პირდაპირ ღია სივრცეში კი არ იკრძალებოდნენ ქვის სარეცლებზე, თაროებზე ან სულაც იატაკზე (როგორც, ვთქვათ, თიანეთის სიონის, წილკნის ან კასპის ნეკროპოლის



სურ. 15. წმინდა ნაწილებიანი ჭურჭელი მემორიალური სამლოცველოს კრიპტის კამერიდან  
Fig. 15. Vessels for Holy Relics from the tombs of the memorial chapel crypt

კარგად ცნობილ აკლდამებში),<sup>57</sup> არამედ იატაკის სიღრმეში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ ერთმანეთის გაგრძელებაზე ჩაჭრილ, ქვითკირის წყობით მართკუთხა პარალელებიპედის ფორმაზე გამოყვანილ ორ კამერაში (სურ. 13).<sup>58</sup> ეს სამარხი კამერები იატაკთან ერთად კირით მთლიანად ყოფილა მოლესილი, ხოლო ზემოდან ქვის ნათალი, ერთმანეთთან კარგად მორგებული ფილებით იყო გადახურული (დასავლეთისა 2 ფილით, აღმოსავლეთისა 3 ფილით); კამერები ერთმანეთისგან ქვით ნაგები, ვინრო ტიხერითაა გამოყოფილი. გამყოფ ტიხარში დატანებული მართკუთხა კვეთის გამჭოლი, კირით კარგად შელესილი ხვრელი<sup>59</sup> იმაზე მეტყველებს, რომ ეს ორი, კონსტრუქციულად სრულიად იდენტური კამერა ერთმანეთის თანადროულია. დასავლეთის, №1 კამერის სიგრძე 1.9 მ-ია, სიგანე 80-88 სმ; აღმოსავლეთის, №2 კამერის სიგრძე 194 სმ, სიგანე 83 სმ. ორივე მათგანის სიღრმე 90 სმ-ია. აღმოსავლეთის კამერა ნაწილობრივ კრიპტის კედლის ქვეშ შედის (სურ. 12), მაგრამ ეს კამერის ქრონოლოგიურად განსხვავებულ ფაზისადმი კუთვნილებაზე არ მიგვანიშნებს – სათავსის აღმოსავლეთის კედელი, რომელიც

<sup>57.</sup> რამიშვილი, რამინ. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I. სიონი. თბილისი, 1970. ტაბ. V-X; ბახტაძე, ნოდარ. კასპის კლდეში ნაკვეთი ნეკროპოლი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 45. თბილისი, 2003-2004. გვ. 65-79.

<sup>58.</sup> ბახტაძე, ნოდარ. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს დათარიღებისათვის. საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2012. გვ. 295-297.

<sup>59.</sup> ჩვენი აზრით შესაძლოა, რომ ამ ხვრელის საშუალებით, ერთ-ერთ კამერაში მოთავსებული ჭურჭლიდან გამომდინარე საკმევლითა და წმინდა ზეთის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი მეორე კამარაში დაკრძალულებზეც ვრცელდებოდა.

თავის მხრივ სხვა კედლების თანადროულია, კამერის თავზე თაღურად ამოყვანილ კონსტრუქციაზე დგას და კამერის გადამხურავი უკიდურესი აღმოსავლეთის ქვის ფილა ამ კედლის ორგანული ნაწილია. როგორც გათხრის შედეგად გამოირკვა, ჩვენთვის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი, ადრეული შუა საუკუნეების იმავე მასშტაბის სხვა აკლდამებისგან განსხვავებით, ამ კრიპტაში მოწყობილ კამერებში ცალკეული ან რამდენიმე მიცვალებულის ნეშტები გაშოტილ პოზაში კი არ იკადალებოდა, არამედ მათში მიცვალებულთა ძვლებს პირველადი დაკრძალვის ადგილებიდან გადმოასვენებდნენ ხოლმე (რამდენიმე წლის განმავლობაში პირდაპირ მიწაში დაკრძალულ მიცვალებულთა რბილი ქსოვილების ხრწნის პროცესის დასრულების შემდეგ). ამ ძვლოვანი მასით კამერები თითქმის პირთამდე იყო ამოვსებული. ამჟარა იყო, რომ ხელმეორედ დაკრძალვისას მიცვალებულთა გაშიშვლებულ ძვლოვან ნეშტებს კამერებში დანაწევრებულად ალაგებდნენ, „კლასიფიცირების“ მიხედვით – იქ განსხვავებულ ინდივიდთა თავის ქალები და ჩონჩხის სხვა ნაწილები, უმეტესნილად „გადაჯგუფებულად“ დაწყობილი დაგვხვდა (სურ. 13).<sup>60</sup> გარდა ამისა, აღნიშნულ ორივე კამერაში დადასტურდა ერთი და იგივე საყურადღებო დეტალი: მათი ჩრდილოეთის კედლებში ზედაპირიდან 20-ოდე სიღრმეზე, დატანებულია მართულთხა კვეთის, კირით კარგად მოლესილი ნიშები, რომლებიც დამრეცი ხვრელების საშუალებით იატაკის მიმდებარე ზედაპირებში ამოჭრილ ორმოებთანაა დაკავშირებული. მათი დიდი ზომიდან გამომდინარე (კვეთა საშუალოდ 15 სმ x 15 სმ), ეს მოწყობილობანი სამარხებში მხოლოდ წმინდა ზეთის ჩასასხმელად არ უნდა იყოს გამიზნული (ასეთი ტრადიცია ზოგიერთი ქრისტიანული რეგიონის ადრეულ სამონასტრო სამარხებში დადასტურებულია). ამ მოწყობილობებს, თითქმის უეჭველად, შემდეგი მთავარი ფუნქციური დატვირთვა გააჩნდა: კრიპტაში დასავლეთის კედლის გასწვრივ მოწყობილი საფეხურებით ჩასული ადამიანი (აქვე მოღვაწე ბერი თუ მომლოცველი), სამარხებთან დაჩოქვისა და თაყვანისცემის შემდეგ, მიწაზე გართხმულ მდგომარეობაში ხელს თავისუფლად ჩაყოფდა კამერის კედლებში დატანებულ აღნიშნულ ღიობებში, რათა ქვის ფილებით მჭიდროდ გადაცურული სამარხების შიგთავსას – მიცვალებულთა ძვლოვან ნაწილებს შეხებოდა. წმინდა ადგილების მოლოცვისას, იქ დაკრძალულ მარტვილთა თუ გამორჩეულ მოღვაწეთა თავყანისცემის, მათთან თანაზიარობისა და შევედრების ეს ფორმა მრავალგანაა დადასტურებული სრულიად ქრისტიანული სამყაროს მონასტრებსა თუ ეკლესიებში, გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე:

60. ასეთი კოლექტიური, მეორადად დაკრძალულ ნეშტთათვის განკუთვნილი საძვლები მთელი აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს აღრე თუ განვითარებული შუა საუკუნეების მონასტრებში, ზუსტად აქ დადასტურებული წესით ენცოდა – იატაკში ჩაჭრილ, თავდახურულ კამერებში (Hirschfeld, Yizhar. *The Judean Desert Monasteries in the Byzantine Period*. New Haven and London, Yale University Press, 1992. გვ. 130-143). გავისხმოთ, თუნდაც ბულგარებში მდებარე პეტრიონონს (ბაჩკოვოს) (ცნობილი ქართული მონასტრის სახელე, რომლის იატაკც მთლიანად ასეთი კამერების ერთობლიობას ნარმალდებს (Бакалова, Елка. *Бачковская kostnitsa*. София, 1977).

საყოველთაოდ ცნობილი წმინდანებისა თუ მოღვაწეობით ადგილობრივ სახელგან-თქმული სასულიერო პირების სამარხებში მოთავსებულ წმინდა ნაწილებს, მომ-ლოცველები ამგვარი ან სხვა ფორმის ღიობების საშუალებით ხელით ეხებოდნენ, ეთაყვანებოდნენ და ხშირად იქიდან ევლოგიად (წმინდა რელიქვიად) მცირე რაო-დენობით მინასაც გაიყოლებდნენ ხოლმე.<sup>61</sup>

ამრიგად, აღნიშნულ კრიპტაში მოწყობილი, მეორადად დაკრძალული მიცვა-ლებულის ნეშტებით პირთამდე საკსე საძმო საძვალეებისა და პილიგრიმთათვის ევლოგიის მისაღებად მოწყობილი ხვრელების დადასტურებით, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს კამერები მხოლოდ მონასტერში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწე მონაზვნების ძვალშესალაგებს შეიძლება წარმოადგენ-დეს. შესაბამისად, ვინაიდან ეს კამერები კრიპტის მშენებლობის თანადროულადაა მოწყობილი (აკლდამის კედლები უშუალოდ კამერას და მათი კირით მოლესილო-ბის ფენას ზოგიერთ ადგილზე ზედაც ადგას), ცალსახად უნდა ჩავთვალოთ, რომ კრიპტის კედლებსა და კამარაზე დაშენებული აღნიშნული სამლოცველოც სხვა არაფერია, თუ არა მონასტრის კრიპტაზე და აკლდამების სისტემაზე მდგარი „ლია ეკლესია“, იგივე მარტირიუმი, მემორიუმი, რომლის ანალოგიურ მომცრო სამლოც-ველობშიც მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიცვალებულთა სულის მოსახსენიებე-ლი ნირვები და პანაშვიდები ალევლინებოდა ხოლმე გვიანანტიკური ხანის და შუა საუკუნეების ყოველ სტადიაზე. განსაკუთრებით კარგადაა ცნობილი ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ სირიის V-VI საუკუნეების არაერთ მონასტერში დადასტუ-რებული, დაახლოებით ასეთივე მასშტაბის მიწისქვეშა საძვალები, რომლებზედაც ფანჩატურისებრი გეგმარების – ოთხივე მხარეს ღიობებით გახსნილი, სარდაფ-კრიპტაში დაკრძალული მონაზვნების სულთა მოსახსენიებელი სამლოცველოებია დაშენებული (მაგალითად, ალეპოს რეგიონში, გვიანანტიკური ხანის დასახლება ბარადის ფარგლებში მდებარე, VI ს-ის სამონასტრო კომპლექსში ჩართული წმ. მარონის აკლდამა).<sup>62</sup> საყურადღებოა, რომ ამ რიგის სირიული მემორიუმების გეგ-მარება, თითქმის ემთხვევა კახეთის კიდევ ერთი გვიანანტიკური ხანის ქალაქის, ჭერემის V საუკუნის საკათედრო ტაძრის კომპლექსში XX ს-ის პირველ ნახევარში მიკვლეული, სარდაფ-კრიპტაზე დაშენებული, მეტად მცირე ზომის ნაგებობისას, რომელსაც აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი თავის პუბლიკაციებში ნეკრესის ამ სამ-ლოცველოს მსგავსად, IV საუკუნის ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრების საე-ტაპო ნიმუშად მიიჩნევდა – თითქმის იმავე არგუმენტებზე დაყრდნობით, რითაც

<sup>61.</sup> Patrich, Joseph. *Sabas, Leader of Palestinian Monasticism. A Comparative Study in Eastern Monasticism*. Washington, 1995. გვ. 219, 220; Brown, Peter. *The Cult of the Saints: Its Rise and Function in Late Antiquity*. Chicago, 1981. გვ. 65-68.

<sup>62.</sup> Ball, Warwick. *Rome in the East. The Transformation of an Empire*. New York, 2016. გვ. 410-415; Bell, Gertrude L. *Syria, The Desert and the Sown*. London, 1907, 287; Batler Syria Archive, [www.file:///C:/Users/USER-PC/Desktop/Butler%20Syria%20Archive.htm](http://www.file:///C:/Users/USER-PC/Desktop/Butler%20Syria%20Archive.htm), სურ. 1057.

ნეკრესის მცირე სამლოცველო იქნა მიჩნეული IV საუკუნის ბაზილიკად.<sup>63</sup>

უნდა ითქვას, რომ ნეკრესის მონასტრისა და ნაქალაქარ ჭერემის აღნიშნული მომცრო ნაგებობების პირველმკვლევართა მიერ დამკვიდრებულ ამგვარ ფუნქციურ განსაზღვრას, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფუნდამენტურ კვლევამდეც არ ეთანხმებოდა რამდენიმე ცნობილი ქართველი თუ უცხოელი ხელოვნების ისტორიკოსი,<sup>64</sup> და აი რატომ: მეტ-ნაკლებად მსგავსი, მცირე ზომის, კედლებში ფართო ღიობებდატანებული სამლოცველოები, გარდა საზღვარგარეთის აღნიშნული ადრეკრისტიანული რეგიონებისა, საქართველოს ზოგიერთ სხვა მხარეშიცაა და-დასტურებული, თანაც, მათი უმრავლესობაც სხვადასხვა ტიპის აკლდამებზეა და-შენებული.<sup>65</sup> ამ ტიპის სამლოცველოების მკვლევარ მეცნიერთა უმრავლესობა, დასაშვებად მიიჩნევს იმის შესაძლებლობას, რომ მათი ფართო ღიობები ნაგებობის გარეთ მდგომი მრავალრიცხვოვანი მრევლის წირვებსა და პანაშვიდებში მონაწილეობას უზრუნველყოფდა. ჩვენი მხრივ, ნეკრესის ამ მემორიუმში დადასტურებული აკლდამებისა და ძვალთშესალაგი კამერების რაოდენობა-განლაგების გათვალისწინებით, დავურთავდით, რომ მათზე დაშენებული სულთა მოსახსენიებელი სამლოცველოს ფართო ღიობები, შესაძლოა სანიტარული მიზნით, წირვის ჩასატარებელი დარბაზის ვენტილაციის მიზნითაც იყოს მოწყობილი; აქ ხომ, საერო პირების აკლდამათა გადამხურავი ქვის ფილების ზედაპირებსა და სამლოცველოს იატაკს შორის მიწის საიზოლაციო ფენის სისქე 10-15 სმ-ზე მეტი არ იყო, ხოლო კრიპტის უშუალო ძვალთშესალაგ კამერაზე კი მხოლოდ ერთმანეთთან რაიმე სახის „შემკვრელი“ ხსნარით დაუკავშირებელი ქვის ფილები იყო დაწყობილი. გარდა ამისა, ფართო ღიობები, მღვდელ-მონაზვნებს საფლავების კურთხევისას და მასობრივი პანაშვიდებისას, დიდი მონასტრების რამდენიმე აკლდამათა-გან, თითოეულთან სხრაფად მისვლას გაუადვილებდა.

რაც შეეხება ამ სამლოცველოს აგების ხანას და კრიპტის აღწერილი კამერების მიცვალებულთა ჩასასვენებლად გამოყენების ხანგრძლივობას, ამის თაობაზე კამერების შიგთავსის არქეოლოგიურმა კვლევამ მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი პასუხი გაგვცა. კერძოდ, მათში სხვადასხვა ჰორიზონტზე აღმოჩნდა ტიპოლოგიურად ზუსტად ისეთი მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის მომცრო ფრაგმენტები, რომლებსაც ზემოთ აღწერილ, სამხრეთის სათავსის ქვეშ მდებარე №1 და №2 აკლდამებში მივაკვლიერეთ: ეს არის კარგად განლექილი, თხელკეციანი თიხის

63. ჩუბინაშვილი, გიორგი. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1. თბილისი, 1936. გვ. 27.

64. Plontke-Lüning, Annegret. *Frühchristliche Architektur in Kaukasien. Katalog der erhaltenen Kirchenbauten*. Wien, 2007. გვ. 226, 227.

65. ვაჩეიშვილი, ნიკოლოზ. ერთი უცნობი მოვლენის შესახებ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. საქართველოს სიძეველეზი, 1, თბილისი, 2002. გვ. 24-33; სილაგაძე, ნინო. ქართული „საფლავს ზედა“ ეკლესიები და მათი პარალელები ახლო აღმოსავლეთში. ხელოვნებათმცოდნეობა, 5. თბილისი, 2003. გვ. 136, 137.

მსხლისებრი ფორმის ცალყურა და ორყურა დოქების, ამავე ფორმის თხელკე-ციანი ჭინჭილების და პირმოყრილი ჯამების ნაწილები, რომლების ზედაპირე-ბიც კარგადაა გაპრიალებული მოვარდისფრო-მოწითალოდ ან ღია ყავისფრად. ამ ტიპის ნაკეთობათა ანალოგები კარგადაა ცნობილი ადრეული შუა საუკუნეების ქართული არქეოლოგიური ძეგლებიდან (ურბნისი, რუსთავი, ჭერემი, ლოჭინი და სხვ.). ისინი მკვლევართა აზრით ძირითადად V საუკუნის მიწურულიდან დაწყე-ბული, VII-VIII საუკუნეების ჩათვლით მზადდებოდა.<sup>66</sup> აღსანიშნავია, რომ მსგავსი ნაწარმი აღმოჩენილია თვით ნეკრესის ნაქალაქარის „ჭაბუკაურის ბაზილიკის“ დანგრევის შემდგომ (V ს) სტრატიგრაფიულ ჰორიზონტებზეც და VI-IX საუკუნე-თა შორის მოქცეული ქრონოლოგიური შუალედით თარიღდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კამერებში შემთხვევით მოხვედრილი თიხის ნაკეთობათა სტრატიგრაფიუ-ლი განვითარება შეესაბამება დროის მსვლელობას აღნიშნულ პერიოდში: VI-VII საუკუ-ნეებისთვის დამახასიათებელი მასალა ქვედა ფენებში აღმოჩნდა, VIII-IX საუკუნის კერამიკის ფრაგმენტები კი სულ ზედა შრეებში.

გარდა ამისა, კრიპტის ორივე კამერის ქვედა, ანუ საძვალის ფუნქციონირე-ბის საწყისი ეტაპების ფენებში აღმოჩნდა ტანისამოსის (ქამრის) ლითონის (რკი-ნის, ბრინჯაოს) აქსესუარები, როლებიც მიცვალებულთა პირველადი დაკრძალ-ვის ადგილებიდან აღპად ძვლოვან მასასთან ერთად შემთხვევით ან შეგნებულად გადმოიტანეს საძვლებებში (ტაბ. I). ამ რიგის ნაკეთობათა შორის უმეტესობა გა-ნეკუთვნება ე.წ. ნახევარწრიულ, ნილბისებრ საკიდ ბალთებს (ზოგჯერ მათ „ჰე-რალდიკური“ ტიპისასაც უწოდებენ. ტაბ. I: 8), რომელთა საკმაოდ ახლობელი პარალელები საქართველოში აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის, ურბნისის ნაქალაქარის განათხარი ძეგლების VII საუკუნის I ნახევრის ფენებში.<sup>67</sup> საზღვარ-გარეთის მეზობელი ქვეყნებიდან მსგავსი ნაკეთობები გვხვდება ხერსონესის ნა-ქალაქარის ამავე ხანით დათარიღებულ ფენაში.<sup>68</sup> ამავე ეპოქას განეკუთვნება ამ აკლდამებში აღმოჩენილი ოვალურჩარჩოიანი აბზინდები, რომლის ანალოგიები სამთავროს სამაროვნის VII ს-ის ფენებშია აღმოჩენილი (ტაბ. I: 9-11).<sup>69</sup>

<sup>66</sup>. ჭილაშვილი, ლევან. ქალაქი რუსთავი. თბილისი, 1958 გვ. 58, 59; ჭილაშვილი, ლევან. ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი, 1964. ტაბ. XL-II-XIII; მაბაშვილი ნ. 2004, გვ. 128-130; აპრაშიშვილი, როსტომ; ჭილ-აშვილი, ლევან. ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII. თბილისი, 1962. გვ. 199, 201.

<sup>67</sup>. აფხაზავა, ნოე. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი, 1979. გვ. 11-13, 54, ტაბ. XXIII.

<sup>68</sup>. Якобсон, Анатолий. Средневековый Херсонес (XII-XIV вв.). МИА СССР, №17. Москва, 1952. გვ. 277-278.

<sup>69</sup>. ამ აკლდამებში ჩატანებულ ტანისამოსის აქსესუართაგან ცალკე უნდა გამოვყოთ რიგ ქართველ მეცნიერთა მიერ რამდენადმე ადრეულ ეპოქაში დამზადებულად მიჩნეულ ნაკეთობებათა მსგავსი ნიმუშები. მაგალითად: ბრინჯაოს ორნილადი „აბზინდის მინაბაძი“ („პარტუპეის“ ტიპის), რომლის მსგავსი, სამთავროს სამაროვანზე და არმაზისხევში მოპოვებული ნაკეთობაზე დღესდღეობით ჩვ. ნ. II-III სს-ითაა დათარიღებული. ასევე ადრეულ ტაპისას (V ს-ით დათარიღებულს) გვაგონებს ბრინჯაოს სპირალისბრი „საბნევი“, ხოლო „რეზისებრ ანაშევერებაზანი“, ორნილად ნილბისებრი ბლოთა კი ატე-ნის ხეობაზა აღმოჩენილი, ჩვ. ნ. I ს-ით დათარიღებული ნიმუშის მსგავსია (აფხაზავა, ნოე. 1979, გვ.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: კრიპტის №2 კამერაში, კედელში შეჭრილი, თაღით გადახურულ ფართობის ძირზე ჩადგმული აღმოჩნდა VIII-X საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სტილის, შავად გამომწვარი, გადმოკეცილპირიანი, წვრილი პარალელურ-რელიეფური ზოლებით შემკული თიხის ჭურჭელი,<sup>70</sup> რომელშიც ადამიანის ნეშტის მცირე ნაწილები (ხელის ძვლოვანი ნაწილები, ფალანგები) ელაგა (სურ. 15). ჩვენ გლაზგოს უნივერსიტეტის ტექნოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში რადიოკარბონული ანალიზი ჩაუტარეთ ამ ოსტეოლოგიურ მასალას და მივიღეთ დასკვნა, რომ ყველაზე დიდი ალბათობით, ნეშტი X საუკუნის მიწურულს გარდაცვლილ ადამიანს ეკუთვნის.<sup>71</sup> როგორც ჩანს, ეს იმხანად მოღვაწე, რომელიმე განსაკუთრებულად პატივსაცემი ქრისტიანი მოღვაწის „წმინდა ნაწილები“ უნდა იყოს, თუმცა არა ამ მონასტერში მოღვაწისა – სავარაუდოა მათი „გამოთხოვნა“ სხვა ქრისტიანული სავანიდან ან მარტვილობის ადგილიდან და აქ დიდი პატივით დაკრძალვა (რატომ მაინდამაინც ამ წმინდანისა, და რა კავშირი ჰქონდა ამ მოღვაწეს ნეკრესთან, ამაზე პასუხის გაცემა ალბათ გაძნელდება).

XI-XIII სს-ისა და შემდგომი ხანების ნივთიერი მასალის ფრაგმენტები, უშუალოდ ამ კამერებში, სრულიად აღარ დადასტურებულა. შემდეგ ეპოქებში ნეკრესის მონასტერში მოღვაწე გარდაცვლილი ბერების დასაკრძალავად, როგორც ჩანს, ამ კრიპტას კვლავაც იყენებდნენ, მაგრამ იატაკში ჩაჭრილ, მონასტრის ფუნქციონირების პირველი საუკუნეების განმავლობაში მოღვაწე მამების ნეშტებით პირთამდე სავსე კამერებს მოკრძალებით ეპურობოდნენ და არ ათავისუფლებდნენ ძვლოვანი მასისგან – პირიქით, ეს განსასვენებლები კვლავაც თაყვანისცემისა და მომლოცველობის ობიექტები იქნებოდა. განვითარებულ შუა საუკუნეებში ახლად გარდაცვლილი ბერების ძვლების მეორადად დაკრძალვა, ალბათ პირდაპირ კრიპტის იატაკზე ხდებოდა (იმ დროს

11-13, 54. ტაბ. XXXIII). ამ ნივთების მოხვედრას აკლდამაში ორნაირი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ: ისინი ან უფრო ადრეული ნაკეთობების რემინისცენტრიებს ნარმოადგენს და VI ს-ის შემდგომ არის დამზადებული, ან კიდევ 2-3 საუკუნის განმავლობაში იყო მოხმარებაში. ამ ნივთების გაცილებით გვიან მოხმარებაზე ყველაზე უკეთ ის გარემოება მეტყველებს, რომ ისინი აკლდამაში სტრატიგრაფიულად დანართებით აღნიშნული, VII საუკუნით დამართებული ნაკეთობების გათხავების ფენაში დაფუძნებული (საძაღლები ხომ მათში გადმოტანილი ძვლოვანი ნეშტებით თანდათან იღვებოდა). განსახილებულია სხვა ვერსიაც: VII საუკუნეში, ქალაქ ნეკრესის კვარტალებიდან მნიშვნელოვნად შემალლებულ მთის კალთაზე ამ მონასტრის დაარსების დროს, შესაძლოა მაღალი რანგის სასულიერო პირების ან ადგილობრივი მნიშვნელობის შერაცხულ მოღვაწეთა ნეშტები აღნიშნული საძვლებში ქალაქის ცენტრში IV ს-ში აგებული, მაგრამ ამ დროისთვის მიწისძვრისგან უკვე დანგრეული ჭაბუკაურის საკათედრო ტაძრიდან გადმოისვენებინათ (იხ. ქვემოთ). ასეთი დაშვების შემთხვევაში, ნეშტებთან ერთად IV-V სს-ის ტანსაცმლის აქსესუარების მოხვედრა ახლად მოწყობილ კრიპტაში, სრულიად ლოგიკური იქნებოდა.

<sup>70.</sup> სინაურიძე, მანნა. აღმოსავლეთ საქართველოს ადრეცენტრული ხანის კერამიკა. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვეს, ტ. II. თბილისი, 1966. გვ. 52-53.

<sup>71.</sup> ანალიზი ჩატარდა გლაზგოში, შოტლანდიის უნივერსიტეტის გარემოს დაცვის კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში 2019 წლის იანვარში. ანალიზის კოდი: SUERC-83858 (GU49868).

სამლოცველოდან პირდაპირ ჩასასვლელი კიბის ზედა ლუკი სარქველით იქნებოდა დახშული): მონასტრის მახლობელი სოფლის, შილდის მოსახლეობის ასაკოვან ნაწილს დღესაც ახსოვს, რომ აკლდამის იატაკი ინტენსიურად ყოფილა მოფენილი ადამიანის ძვლებით და თავის ქალებით. ჩვენ მიერ ჩატარებული გათხრებისას, კრიპტის კირით მოფენილი იატაკის ზედა, წყლისაგან ჩატანილი მიწის თხელ ფენაში ადამიანის ძვლების მხოლოდ მეტად მცირე ფრაგმენტებს მივაკვლიერთ – როგორც ჩანს, ამ ნეშტებისგან აკლდამა „ძეგლის მოწესრიგების“ სამუშაოებისას გაანთავისუფლეს XX ს-ის 50-იან წლებში. გარდა ამისა, არქეოლოგიური კვლევით დავადგინეთ, რომ განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში მონასტრის საძმოს გარდაცვლილ წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს უკვე სხვაგვარად, ჩვეულებრივ ქვა-ყუთებში მარხავდნენ მონასტრის ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, უფრო კი ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიებზე.

ამრიგად, როგორც ჩვენმა არქეოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, დღემდე ქართული არქიტექტურის ისტორიაში თითქმის უპირობოდ IV ს-ში აგებულ, ბაზილიკის მინაბაძ ეკლესიად მიჩნეული ეს სამლოცველო ნეკრესის მონასტრის ორგანული შემადგენელი ნაწილი ყოფილა.<sup>72</sup> გამოდის, რომ ან ნეკრესის მონასტრი ყოფილა წმ. აბიბოს ნეკრესელის მოლვაწეობამდე 2 საუკუნით ადრე დაარსებული (რაც უძველეს ქართულ წერილობით ისტორიულ წყაროების აღნიშნული ცნობის იგნორირებაა), ან არადა, მონასტრის აღნიშნული, კრიპტა-აკლდამების სისტემაზე დაშენებული სულთა მოსახსენიებელი სამლოცველო VI საუკუნეზე ადრეული ძეგლი არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ IV საუკუნეში (თუნდაც V ს-ში), ქრისტიანულ სარწმუნოებაზე შედარებით ახლად მოქცეული ქვეყნის ამ მიდამოებში ერთ-ერთი პირველი სამონასტრო ორგანიზაციის ნიმნების დადასტურების შემთხვევაშიც კი, მომავალში საძმოს გაფართოებაზე გათვლილი, აღნიშნული მასტეტაბის საძვალის აგების ვერსია არადამაჯერებლად გამოიყურება, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ აღნერილი მემორიუმი (საძვალე-კრიპტა და მათზე ოდნავ მოგვიანებით დაშენებული სამლოცველო) VI ს-ზე ადრეული ძეგლი არ უნდა იყოს. ამ მოსახრებას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ჩვენ მიერ ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზევე მდებარე, IV ს-ის „ჭაბუკაურის“ ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩენილი ნივთიერი მასალის ზუსტი ანალოგები, ამ სამლოცველოსა და მისი მიდამოების სტრატიგრაფიულად სულ ქვედა ჰორიზონტების არქეოლოგიური კვლევისასაც კი სრულიად არ დადასტურებულა.

<sup>72</sup> ბაზტაძე, ნოდარ. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, I (46-B). თბილისი, 2010. გვ. 129, 130.

ახლა კი, ძეგლის არქეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით, და-ვუბრუნდებით საკითხს, თუ რამდენად შეიძლება შეცვალოს ამ ახლად გამოვლე-ნილმა მონაცემებმა ქართველ ისტორიკოს-მეცნიერთა შორის დამკიდრებული შეხედულება ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის შემადგენელი აღნიშნული სამ-ლოცველოს აგების თარიღისა და დანიშნულების შესახებ.

ამ სამლოცველოს უახლესი ხუროთმოძვრული და არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე, ჩვენ შემდეგი შთაბეჭდილება შეგვექმნა: ბ-ნი გ. ჩუბინაშვილი თავის აღნიშნულ გამოკვლევებში ძეგლის ზოგადად არქაულ ხასიათის არქიტექტურულ გეგმარებით ელემენტებს (ძირითადად ნალისებრ თაღებს) სავსებით მართებუ-ლად უკავშირებდა ადრექრისტიანულ ხანას, მაგრამ მის მიერ ამ სამლოცველოს კონკრეტულად IV საუკუნისადმი მიკუთვნება, მხოლოდ ქართულ ისტორიულ ქრონიკებში შემონახულ იმ ცნობებზე ჩანს დამყარებული, რომელთა მიხედვი-თაც იბერიის მეფე თრდატმა სწორედ ამ დროს ააგო ქალაქ ნეკრესში მნიშვნე-ლოვანი ეკლესია. ჩვენ, პატივცემული მეცნიერის მხრივ ასეთი იდენტიფიკაციის მცდელობას გაგებით ვეკიდებით – აღნიშნულ მიდამოებში ნეკრესის ნაქალაქარის სავარაუდო ლოკალიზაციის საკითხი ხომ იმხანად სრული ბურუსით იყო მოცუ-ლი<sup>73</sup>, ამ ნაქალაქარის ფარგლებში IV-V სს-თა მიჯნაზე აგებული, მართლაც რომ დიდებული ქრისტიანული ტაძრების აღმოჩენამდე კი (რომელთა შესახებ საუბარი ნაშრომის შემდეგ თავებში გვექნება), ლამის კიდევ საუკუნეს უნდა გაევლო.

ვფიქრობთ, რომ ძეგლის პირველმკვლევარის მიერ ამ ნაგებობის რაობის შე-ფასებისას დაშვებული პირობითობის ერთ-ერთი მიზეზი შემდეგი ობიექტური გა-რემორებაცაა: 1936 წელს, მონოგრაფიის „ქართული ხელოვნების ისტორიის“ გა-მოცემისას, გ. ჩუბინაშვილს ჯერ კიდევ არ გააჩნდა ზუსტი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორი აღნაგობის და მოცულობის კრიპტა მდებარეობდა სამ-ლოცველოს ქვეშ – მის მიერ 1920 და 1922 წლებში მონახულებისას ძეგლის ია-ტაკი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული უკანასკნელი საუკუნეების მიწის ნაყარი ფენისგან, ამიტომაც აღნიშნულ წიგნში დაბეჭდილი, ნ. სევეროვის მიერ შესრულებული ანაზომი ფაქტიურად ძეგლის სავარაუდო სქემას ნარმოადგენს და იქ არავითარი კრიპტა არ ჩანს (სურ. 6); თუმცა, ამ უკანასკნელის არსებობა გ. ჩუბინაშვილმა მაინც ივარაუდა.<sup>74</sup> შემდგომ, 1959 წელს გამოცემული წიგნში, ამავე საკითხზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ 1949 წელს, ამ ძეგლის უკანასკნელად მონახულებისას, მეზობელი სოფლის, შილდის მკვიდრებმა მას მიაწოდეს ცნობა ეკლესიის იატაკის პზარიდან აკლდამის გამოჩენის თაობაზე. გამოდის, რომ პატივცემულ მკვლევარს თავად იმხანადაც არ დაუთვალიერებია

<sup>73</sup>. ყუბინაშვილი, გიორგი. 1959. გვ. 44.

<sup>74</sup>. ჩუბინაშვილი, გიორგი. 1936. გვ. 25.

ეს აკლდამა – მისი მეტ-ნაკლებად ზუსტი ანაზომი, რომელიც ვ. ცინცაძემ აღმართ 1949 წელს ვე, ოღონდ ბატონი გიორგის ერთდღიანი ვიზიტის შემდგომ შეასრულა, 1959 წელს გამოცემული წიგნის ავტორის ხელთ აღმართ საკამაოდ მოგვიანებით, შეიძლება სულაც პუბლიკაციის პროცესამდე ცოტა ხნით ადრე აღმოჩნდა (წინააღმდეგ შემთხვევაში ბ-ნი გიორგი წიგნში არ დაწერდა, აკლდამა ნაპრალიდან გამოჩნდაო – ნახაზზე აშკარად ჩანს კამერის სრული აღნაგობა და მასში ჩასასვლელი კიბეც, დღევანდელი მდგომარეობით).<sup>75</sup> ამრიგად, ბ-ნმა გ. ჩუბინაშვილმა ამ ძეგლის კვლევა ისე დაასრულა, რომ ვერ მოასწრო შემდეგი გარემოების ბოლომდე გააზრება – სინამდვილეში ამ მომცრო სამლოცველოს ქვეშ კი არ არის მოწყობილი აკლდამა, არამედ თვით სამლოცველო წარმოადგენს იატაკევეშ მოქცეულ აკლდამაზე, მისი პერიმეტრიდან სიგრძე-სიგანეში მნიშვნელოვნად გადაცდენილად, რამდენადმე მოგვიანებით მოწყობილ ზედნაშენს, ამ სიტყვის პირდაპირ თუ გადატანითი გაგებით.<sup>76</sup>

დასასრულს, დავძენთ, რომ ამ ნაგებობის არქეოლოგიური კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ, აღნიშნული პრობლემით დაინტერესებული ნებისმიერი სპეციალისტისათვის (აღიარებდნენ ამას საჯაროდ, თუ არა), საბოლოოდ გახდა ნათელი, რომ ქართული ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული, IV საუკუნეში მეფე თრდატის ძალისმევით აგებული, ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ქართული ტაძრის ნაშთები სადმე სხვაგან, უფრო კი უშუალოდ ნაქალაქარ ნეკრესის რომელიმე ცენტრალურ უბანში იყო საძიებელი.

ასეთი დასკვნა, მეტადრე ლოგიკური და მისაღები აღმოჩნდა ნაქალაქარ ნეკრესის ქრისტიანულ სიძველეებზე მომუშავე ჩვენი მულტიდისციპლინარული, არქეოლოგთა და ხელოვნების ისტორიკოსთა ჯგუფისთვის, რადგანაც ოდნავ უფრო ადრე, ამავე მონასტრის შემოგარენში, უკვე აღმოჩნილი და დიდწილად შესწავლილი გვქონდა სწორედაც რომ გვიანანტიკური ეპოქის მძლავრი ქალაქის მთავარი ქრისტიანული ტაძრის შესაფერისი ნაგებობა – ჭაბუკაურის ბაზილიკა.

<sup>75.</sup> ჭუბინაშვილი, გიორგი. 1959. გვ. 38.


<sup>76.</sup> ამის საპირისპიროდ, XX ს-ის დასასრულს, აკადემიკოსმა ლ. ჭილაშვილმა ამ სამლოცველოს სრულიად თავისებური სივრცულ-გეგმარებითი აღნაგობა, თეორიული მსჯელობის საფუძველზე შემდეგნაირად ახსნა: თითქოსდა, აღნიშნული ნაგებობს თავდაპირველი პლასტები, ნინაქრისტიანული ხანის წარმართული ტაძრის (მითრიუმის) ნაშთებია, და რომ ამ უწევეულო ხუროთმოძღვრული ელემენტების შერწყმა ახალ ფუნქციასთან, ტაძრის ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთების დროს მოხდა (ჭილაშვილი, ლევან. 2000. გვ. 44-52). ჩვენმა არქეოლოგიურმა კვლევამ, ამ ადგილზე წარმორთული სამლოცველოს ვერავთარი ნიშანი ვერ გამოავლინა და, ამდენად, მათ თეორიული ვარაუდის მცირედი შესაძლებლობაც კი, ამჟამად აღარ განხილება.

## თავი II. შაბუკაურის სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა

1998-2006 და 2015-2019 წლებში, ნეკენის ნაქალაქარის სავარაუდო ლოკაციის ფარგლებში, ამჟამად ჭაბუკაურის სახელწოდებით ცნობილ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (2005 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის) ნეკენის ნაქალაქარის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ<sup>77</sup> ადრექტისტიანული ხანის, ფრიად მასშტაბური სატაძრო კომპლექსი გამოავლინა (სურ. 17).

ანსამბლი მშენებლობისას, როგორც ჩანს, ქალაქ ნეკენის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა. მისი ნანგრევები, ვიდრე ჩვენი კვლევის ობიექტი გახდებოდა, ხშირი ტყით დაფარულ ბორცვად იყო გადაქცეული. თავდაპირველად, ამ მიდამოს არქეოლოგიური დაზვერვისას, ნიადაგიდან ოდნავ შემაღლებული ბორცვის ზედაპირზე, აქა-იქ დუღაბზე ნაშენი ქვის კედლის 1-2 წყობა შევნიშნეთ. ამ ფართობზე ხეების ფესვებით დაქსელილი კულტურული ფენების თანმიმდევრობით გამოვლენა-დაფიქსირება მეტად შრომატევადი პროცესი აღმოჩნდა: ნაგებობის კონსტრუქციების ერთდროულად ჩამონგრევის გამო ერთმანეთში იყო არეული კედლების და თაღების მასიური ქვები, კრამიტისა და ბათქაშის ნამსხვრევები (სურ. 16). პირველი ეტაპის 6 სეზონის განმავლობაში (1998-2003 წწ), ამ ფართობის სამხრეთ ნაწილში უკვე კარგად გამოჩნდა მონუმენტური ქრისტიანული

<sup>77</sup>. არქეოლოგიურ სამუშაოებს ჭაბუკაურის კომპლექსზე 1998-2003 წლებში ხელმძღვანელობდა აკადემიკოს ლევან ჭილაშვილი. ბატონი ლევანის გარდაცვალების შემდეგ, 2004 წლიდან დღიმებები კესახვის სამუშაოების ისტორიისა და არქეოლოგიი პროფესორი ნიდარ ბახტაძე „უძღვება. პირველი სამეცნიერო ინფორმაცია ამ სამუშაოების ნინაშანარი შედეგების შესახებ ნამრობენილია ბ-ნი ლ. ჭილაშვილის ნეკენის უძველესი ქართული წარწერებისა და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, რომელიც, სამწუხაროდ, ლანგლიური მეცნიერის უკანასკნელი ნაშრომი აღმოჩნდა (წიგნი ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიკა 6. ბახტაძის სამეცნიერო რედაქციით). ინფორმაცია რამდენიმე აბზაციანიდა და გარდა ძეგლის ზოგადი აღნაგობის მოკლე აღწერისა, შეიცავს ნინაშანარ მოსაზრებასაც ტაძრის აგების სავარაუდო თარიღის შესახებ; იქვე გამოთქმულია ვარაუდი ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკის „მოქცევაა ქართლისაში“ და ლეონტი მრიველის თხზულებაში მოსხენებულ, იძრის მეფე თორდატის მიერ ნეკენის IV ს-ში აგბულ ეკლესიას შესალო დამუშავებული სამუშაოების თაობაზე (ჭილაშვილი, ლევან, 2004, გვ. 47). ბ-ნ ლ. ჭილაშვილს სპეციალურად ჭაბუკაურის ბაზილიკის არქეოლოგიური გათხრებისადმი მიძღვნილი ნაშრომის შემნა და 1998-2003 წლებში 6. ბახტაძის მიერ ამ ძეგლზე ჩატარებული ხუროთმოძღვრული ფიქსაცია-ანალიზის შედეგებთან ერთად გამოქვეყნება, არ დასცალდა. მით უმეტეს, ლანგლიური მკვლევარს არ დარჩენა მის პროინტეგულ სამუშაოები ინტერესთაგან რამდენადმე დაშორებულ სფეროდან – ხუროთმოძღვრების ისტორიიდან და თეორიიდან მოშველიებულ არგუმენტებით შემგრებულ ნაშრომი ამ ხუროთმოძღვრული ანსამბლის რაობის შესახებ. ჭაბუკაურის ბაზილიკის თეორიულ რეკონსტრუირება, და მნიშვნელობის შეფასება ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრების ისტორიაში, მხოლოდ ამ ძეგლის არქეოლოგიური კვლევის შემდგომი ეტაპის დასრულების შემდეგ მოხერხდა (ბახტაძე, ნოდარ. ნეკენის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. „ძიებან“, №19. თბილისი, 2009; Bakhtadze, Nodar. 2014. გვ. 65-73; Bakhtadze, Nodar; Mamiashvili, Vazha; Gabekhadze, Bachana; Chkhiviani, Jimsher. *An Archaeological Study of the Ancient Churches in the Former City of Nekresi*. Wojnowice, 2018. გვ. 28-59; და სხვ.).




სურ. 16. ჭაბუკაურის ბაზილიკა. ცენტრალური ნავი. სვეტების მიწისძვრით ნგრევის სურათი  
Fig. 16. Chabukauri Basilica. Central nave. The columns damaged as the result of an earthquake

ბაზილიკის გეგმარება და მის სივრცულ გადაწყვეტაზე მიმანიშნებელი ცალკეული კონსტრუქციული დეტალები. ამ ეტაპის შემდგომი სეზონები (2004-2006 წწ) ტაძრისა და მისი მინაშენების იატაკთა დონეების ზემოთ ჯერ ისევ შემორჩენილი კულტურული ფენების პრეპარაციას და ამ ნაგებობათა მანამდე უცნობი ხუროთმოძღვრული კონსტრუქციების გამოვლენას, აგრეთვე ანსამბლის შემადგენელი ძეგლების თეორიული რეკონსტრუქციას და დათარიღებას მიეძლვნა. იმავდროულად, განხორციელდა ბაზილიკის იატაკების შემონახული ნინარე საკულტო ძეგლის – ნარმართული ტაძრის ხუროთმოძღვრული სახის ნარმოჩენა.

ჭაბუკაურის სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის უკანასკნელი, მეორე ეტაპის განმავლობაში (2015-2019 წწ) პერიოდულად, შედარებით მცირე მასშტაბის სამუშაოები ტარდებოდა დიდ ბაზილიკაში საკურთხევლის ქვეშ მოწყობილი კრიპტისა და დარბაზის ცენტრში არსებული ბემის ნაშთების დასაფიქსირებლად, აგრეთვე ტაძრიდან რამდენიმე მეტრით დაშორებით აღმოჩენილი, მისი თანადროული დარბაზული ტიპის მცირე სამლოცველოს (სავარაუდოდ, ბაპტისტერიუმის) ხუროთმოძღვრული აღნაგობის დასაზუსტებლად.

## ჭაბუკაურის გაზილიკის არქეოლოგიურად დაფიქსირაჟული ხუროთმოძღვრული აღნაგორა და სტილისტური ანალიზი

პირველივე კვლევითი სეზონის განმავლობაში, ექსპედიციის მონაწილე ხუროთმოძღვრების თეორეტიკოსის შეფასებით ნათელი გახდა, რომ ნანგრევები 34 მ სიგრძისა და 15 მ სიგანის სამნავიანი ბაზილიკის ნაშთებს ფარავდა.<sup>78</sup> გათხრების მიმდინარეობის კვალდაკვალ წარმოჩენილმა, ნაგებობის ერთბაშად ნგრევის




სურ. 17. ნაქალაქარი ნეკრესი. ჭაბუკაურის სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიურად გამოვლენილი ნაშთები. აეროფოტო

Fig. 17. Former City of Nekresi. Excavated ruins of Chabukauri basilica complex. Aerial photo

სურათმა და ამ კატაკლიზმის შედეგების დეტალურმა ფიქსაციამ, მეტად საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა ტაძრის თავდაპირველი გეგმარების მართებული თეორიული რეკონსტრუქციისთვის.

<sup>78</sup>. ბაზილიკის გრძივი კედლების მიმართულება, თითქმის 35 გრადუსითაა დახრილი აღმოსავლეთ-დასავლეთ დერძიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიუხედავად ამისა, ტაძრის აღნაგობის უკეთ წარმოსადგენად, შემდგომ ტექსტში, პრობითად, ტაძრის გრძივ ელემენტებს (კედლებს ღიობები-თურთ, სეკტარის მწკრივებს, ნავებს) ჩრდილოეთისად და სამხრეთისად მოვისხენებთ, განივ გეგმურ ელემენტებს კი აღმოსავლეთისად და დასავლეთისად.



სურ. 18. 1. ჭაბუკაურის ბაზილიკა (მიწისძვრისგან გადაწოლილი სვეტების ჩვენებით),  
მინაშენი ეკლესია (№2) და მიმდებარე სამლოცველო (№3). გეგმა; 2. ჭაბუკაურის ბაზილიკის  
გრძელი ჭრილი

Fig. 18. 1. Plans of Chabukauri Basilica (showing the excavated remains of the columns ruined during an earthquake), adjoining church (№2) and chapel (№3); 2. Chabukauri Basilica longitudinal section

ინტერიერში ჰუმუსისა და ქვა-ლორლის მასის დადაბლებისას, იატაკთან თან-  
დათანობით მიახლოების კვალობაზე ცხადი გახდა, რომ სვეტების ქვედა ნაწილე-  
ბი ადგილებზე უძრავ, ვერტიკალურ მდგომარეობაში იყო შემორჩენილი სხვადას-  
ხვა ჰორიზონტამდე – დაახლოებით 0.5 მ-დან 2.3 მ სიმაღლემდე (სურ. 18, 19, 20).  
სამხრეთის მწკრივის სვეტების ზედა ნაწილები სხვადასხვა ზომის, მართკუთხა  
პარალელობის პედისებრ ბლოკებად დაშლილი სახით, ჩრდილოეთის მიმართულე-  
ბით იყო გადაქცეული. სამხრეთის მწკრივის სვეტების ნაშალი ბლოკების უმრავ-  
ლესობაც ჩრდილოეთით იყო გადაწოლილი და მჭიდროდ მიბჯენილი დარბაზის  
ჩრდილოეთის კედელს. გარდა ამისა, ტაძრის კედლების თითქმის ყველა დანარ-  
ჩენი მონაკვეთიც, დაწყებული იატაკის ჰორიზონტიდან დაახლოებით 1-2.5 მ სი-



სურ. 19. ჭაბუკაურის ბაზილიკა გათხრების და ნაწილობრივი რესტავრაციის შემდეგ (ხედი აღმოსავლეთისკენ)

Fig. 19. Chabukauri Basilica after excavation and partial restoration (view to the east)

მაღლიდან, ერთიანად ჩრდილოეთით გადაწვენილ, მეტ-ნაკლებად დაშლილ მდგო-  
მარეობაში დავაფიქსირეთ; მაგალითად, სამხრეთის პასტოფორიუმის სამხრეთის  
კედელი თითქმის ერთიანად გადაცურებული დაგვხვდა ამ მიმართულებით.

გათხრის შედეგად გამოვლენილი ნაგებობის ნგრევის ასეთი სურათი იმაზე  
მიგვანიშნებს, რომ ტაძარი მეტად ძლიერი მიწისძვრის შედეგად გამოსულა წყო-  
ბიდან. ასეთ დასკვნას ის გარემოებაც ამყარებს რომ, როგორც შემდგომ ვნახავთ,  
ტაძრის უთუოდ ძვირფასად ღირებული ინვენტარი, ნანგრევების ქვეშ იყო მოქ-  
ცეული, მძარცველთაგან ხელუხლებლად. ამასთან, განათხარმა სურათმა დაადას-  
ტურა, რომ აგებიდან კატასტროფამდე, ტაძარს არსებითი რეკონსტრუქცია არ  
განუცდია, დანგრევის შემდეგ კი მისი ფართობის ძირითადი ნაწილის ნანგრევი  
მასებისგან განთავისუფლება და თავდაპირველი გეგმარების აღდგენა (თუნდაც  
ნაწილობრივ), ბოლომდე გაურკვეველი მიზეზების გამო აღარავის უცდია. ამდე-  
ნად, ჩვენ მიერ წარმოჩენილი ნაგებობის გეგმარებითი ელემენტები სავსებით ავ-  
თენტურია და მშენებელთა ხუროთმოძღვრულ ჩანაფიქრს ასახავს.<sup>79</sup>

<sup>79.</sup> უნდა ითქვას, რომ ამდენად დიდებული, ალბათ თავის დროზე სახელგანთქმული ადრექტიან-  
ული ტაძრის ძირითადი ფართობის V საუკუნეში მომხდარი კატასტროფის შემდგომ ჩვენ დოკუმეტ-  
რესტავრაცია-რეკონსტრუქციის გარეშე, მიწისძვრით „სრულად დაკონსერვებულ“ სახით მოღწევის  
შემთხვევები საქართველოში მეტად იშვიათია და სამეცნიერო-კვლევითი ოფლასაზრისით „დღბლიან“  
გამონაკლისს განეკუთვნება. თუკი ევრაზიის მატერიკის ადრექტიანული ეკლესია-მონასტრების


ბაზილიკა საშუალო ზომის, კარგად შერჩეული კირქვის ფლეთილი ქვებითაა ნაგები (ამ საშენი მასალის სამტებლო, სულ რამდენიმე ათწლეულის წინაც კი ფუნქციონირებდა ტაძრიდან დასავლეთით, დაახლოებით 1.5 კმ-ით დაშორებული კლდის მასივის წილში), კირ-დუღაბზე. გაცილებით მცირე რაოდენობითაა გამოყენებული რიყის ქვები, რომელიც მახლობელ მდინარეთა ხეობებიდან იქნებოდა მოტანილი. შენობის ღიობების კუთხებში, სვეტისთავებად, თაღებად და სხვა განსაკუთრებულად ზუსტად დასამუშავებელ ადგილებში, უხვად ყოფილა გამოყენებული ნათალი შირიმის ქვებიც. კედლები 1.1-დან 1.2 მ-მდე სიგანისაა.

ტაძრის დარბაზის სივრცეს ორ მწკრივად განლაგებული, ხუთი წყვილი სვეტი სამ ნავად ჰყოფდა. სვეტები კვადრატული გეგმისაა, კვეთაში 1.15-1.2 მ x 1.15-1.2 მ ზომის. ისინი კვადრატულივე გეგმის, 1.80-2 მ x 1.80-2 მ სიგანის და 0.40 მ-მდე სიმაღლის ბაზისებზე ყოფილა ამოვანილი (სურ. 18, 20). სვეტებს შორი მანძილი, თუ არ გავითვალისწინებთ თითო-ოროლა სმ-ით გადაცდომებს, 3-3 მ-ია. ცენტრალური ნავის სიგანე 5.8-6 მ-ია, ჩრდილოეთისა 2.5 მ, სამხრეთისა 2.25 მ.

ცენტრალური ნავის აღმოსავლეთით მართეულთა გეგმის საკურთხეველია მოწყობილი. მის ქვეშ სარდაფისებრი, ასევე მართკულთა მოხაზულობის კრიპტა ყოფილა დატანებული, რომლის ხის კოჭებით გადახურული ჭერი, ალბათ, იმავდროულად საკურთხევლის ფიცარნაგაინი იატაკის საყრდენ კონსტრუქციას წარმოადგენდა. საკურთხეველს, სავარაუდო ქვის სინთრონონიც შემოუყვებოდა; ის, როგორც ჩანს, მიწისძვრის დროს მოზვავებული ქვის მასების დაწოლით კრიპტაში „ჩაიშალა“, იატაკის ხის კონსტრუქციებთან ერთად. გათხრის დროს კრიპტა საკურთხევლის კედლებისა და კონქის ნანგრევი, დუღაბნარევი ლოდებით დაგვხვდა სავსე; ამ მასაში ღარისანი და ბრტყელი კრამიტების ფრაგმენტებიც მრავლად ერია. ეს ფართობი, განსხვავებით ბაზილიკის დარბაზისგან (რომელის იატაკზე დასვლაც კატასტროფის შემდეგ აღარავის უცდია), მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისას, როგორც ჩანს, გაუთხრიათ – დიდი ალბათობით, ფუნქცია-დაკარგული ტაძრის კრიპტიდან წმინდა ნაწილები ამოუსვენებიათ. იმუამად ჩატარებულ გათხრა-ძიებას, ნანგრევით ჩახერგილი კრიპტის კონსტრუქციები კიდევ უფრო დაუზიანებია, ამიტომაც, მისი და რელიქვარიუმის ზუსტი აღნაგობა-მოწყობილობის დაგენა ძალზე გაგვიშირდა. ერთადერთი, იმის თქმა შეგვიძლია, რომ საკურთხევლის ცენტრში ოთხ ფეხიანი ტრაპეზის მაგიდა მდგარა: გათხრებისას, კრიპტის იატაკის დონეზე ჩამარხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მაგიდის საყრდენი, ალებასტრისგან დამზადებული, მოჩუქურთმებული, ტოლმკლავა ჯვრის

---

არქეოლოგიური კვლევების აღწერას თვალს გადავავლებთ, მსგავს თანაფარდობას შეენიშნავთ მახლობელი აღმოსავლეთისა თუ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებშიც (გამონაკლისს წარმოადგენს რეგიონები, რომელიც არბათა სალიფატის მიერ იქნა დაპყრობილი VII-VIII სს-ში და სადაც შემდგომ ქრისტიან მოსახლეობას აღარ უცხოვრია).



სურ. 20. A. ჭაბუკაურის ბაზილიკა (წარმართული ტაძრის განათხარი ნაშთების ჩვენებით),  
მინაშენი ეკლესია (№2) და მიმდებარე სამლოცველო (№3). გეგმა; B. ჭრილი 1-1; C. ჭრილი  
2-2; D. ჭრილი 3-3

Fig. 20. A. Plan of Chabukauri Basilica (showing excavated remains of a Pagan temple), adjoining church (№2) and chapel (№3); B. section 1-1; C. section 2-2; D. section 3-3


რელიეფურ გამოსახულებიანი კაპიტელების ფრაგმენტები (სურ. 21). მსგავსი, კაპიტელებით დაგვირგვინებული, ფეხებიანი ტრაპეზის მაგიდები კარგადაა ცნობილი ბიზანტიური სამყაროს IV-V სა-ის ეკლესიებიდან.<sup>80</sup>

საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდითა ნავების გაგრძელებაზე, ასევე მართკუთხა მოხაზულობის პასტოფორიუმებია განლაგებული, რომელთაც თითო შესასვლელი აქვთ ამ ნავების აღმოსავლეთ კიდეებიდან.

ნაოსში შესვლა შესაძლებელია სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კარების გავლით. მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან ყოფილა. ამ კარის ღიობი 1.65 მ-ია. სამხრეთის კარით დარბაზის ცენტრიდან ოდნავ დასავლეთით დაშორებულ სივრცეში იყო შესასვლელი, ჩრდილოეთის კარით კი საკურთხევლის წინარე სივრცეში ხვდებოდნენ. კარების ღიობების პირები გამოყვანილია კარგად შერჩეული, თითქმის ბრტყელზედაპირიანი ფლეთილი ქვებით, თუმცა, რამდენიმე ადგილას ნათალი შირიმის ქვაც არის დადასტურებული. გათხრების დროს დასავლეთის შესასვლელის მიდამოში აღმოჩენილი რკალურად ნათალი შირიმის ქვები იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ამ კარის ღიობის ზემოთ, ნახევარნრიულთან მიახლოებული ფორმის ტიმპანი ან ლუნეტი იყო გამოყვანილი. ბაზილიკის დასავლეთის ფასადზე ოდნავ მოგვიანებით, რიყის ქვის არცთუ ხარისხიანი წყობით, მოზრდილი კარიბჭე თუ მომცრო ნართექსი მიუშენებიათ.

შენობის ინტერიერი ერთიანად ყოფილა შელესილი კირის ბათქაშის 5 სმ-მდე სისქის ფერით და ასევე მთლიანად იყო შელებილი მუქ წითლად. მიუხედავად შემორჩენილი ფრაგმენტების სიმცირისა, დიდი ალბათობით, ტაძარი გარედანაც იქნებოდა შელესილი კირით. იატაკი ადგილობრივი, ბრტყლად დაპობილი ფიქალის ქვით ყოფილა მოგებული, კირის ხსნარზე.

ბაზილიკის ნავთა გამყოფი კოლონადის ჩრდილოეთის რიგის აღმოსავლეთიდან პირველ სვეტზე, აღმოსავლეთის მხრიდან, იატაკის დონიდან 0.55 მ-ზე, თეთრი სალებავით ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე მდგარი ჯვარია გამოსახული, რომლის კონტურებიც ჯერ ქვაზე ამოუკანრავთ. ჯვრის ზედა და გვერდითა მკლავები



სურ. 21. ჭაბუკაურის ბაზილიკა.

საკურთხეველში მდგარი ტრაპეზის მაგიდის

კაპიტელი

Fig. 21. Chabukauri Basilica. Sanctuaries, the capital of the altar table leg

<sup>80</sup> Hirschfeld, Yizhar. 1992. გვ. 127.



სურ. 22. ჭაბუკაურის ბაზილიკა. ჯვრის გამოსახულება საკურთხევლის კედელზე  
Fig. 22. Chabukauri Basilica. The cross depiction on the sanctuary wall

ქვედა მკლავის ბოლოები დაახლოებით ზედა მკლავის შუა დონიდან იწყება (ე.ი., აქ ფაქტიურად საქმე გვაქვს გოლგოთას სამი ჯვრის სიმბოლიკასთან). აქვე, სვეტის ქვაზე ამოკანრულია სწორკუთხა არეში ჩასმული ხუთჯვრიანი გამოსახულება.<sup>81</sup>

საინტერესოა, რომ ამ ჯვრების გამოსახულებანი შესრულებულია ტაძრის ქვით ნაგებ შიშველ კედლებზე, ნაგებობის საბოლოოდ დასრულებამდე, მანამდე სანამ ტაძრის ინტერიერი მთლიანად შეიღესა კირით და წითლად შეიღება. ამდენად, სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ეს ჯვრები დაუსრულებელი ტაძრის კურთხევის დროს დაესვათ.

არქეოლოგიურმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ ბაზილიკა ხის კონსტრუქციებზე (ნივნივებზე) დაყრდნობილი ბრტყელი და ლარიანი კრამიტის (სოლენების და კალიპტერების) კომბინაციით შედგენილი საბურველით ყოფილა გადახურული. იატაკის ზედაპირი მოფენილი იყო მიწისძვრის დროს ჩამოშლილი გადახურვის

დაახლოებით ტოლია, ქვედა კი უფრო გრძელია. ჯვრის ზედა სამი მკლავი ცენტრისკენ ზურგით მიმართული, ნა-სევარტრესთან მიახლოებული რკალე-ბით ბოლოვდება.

თეთრი საღებავით გამოყვანილი ჯვრები შემორჩენილია საკურთხევ-ლის ტრიუმფალური თაღის სამხრე-თის კედელზეც და მასზე მიბჯენი-ლი პილასტრის პერპენდიკულარულ სიბრტყეზეც. ეს ჯვრები არათანაბარ მკლავებიანია – ქვედა მკლავები უფრო გრძელია და სწორკუთხა კვარცხლბე-კი აქვს (სურ. 22). სხვა სამი მკლავი გაფართოებული ბოლოებით სრულ-დება. პილიასტრზე თეთრი საღება-ვით გამოყვანილი ჯვრის მკლავები სწორი ფორმისაა. ამ ჯვრის მარცხენა და მარჯვენა მკლავების ზევით, გამო-სახული ყოფილა ამჟამად ძნელად შე-სამჩნევი კიდევ ორი ჯვარი, რომელთა

<sup>81</sup>. ტაძრის საკურთხეველთან IV საუკუნეში გამოყვანილი ეს ემბლემა, დამოუკიდებლად იმისგან, თუ კონკრეტულად რა სიმბოლური დატვირთვისაა ის, კიდევ ერთი საცურადლებო არგუმენტია საქართვე-ლოს დღევანდელი სახელმწიფო დროშის სიმბოლიკის ავთენტურობის საკითხის განხილვისას.

შემადგენელი კომპონენტებით: დაშლილი ხის ძელების ნაშთებში არეული ორივე ტიპის კრამიტისა და კერამიკული ან-ტეფიქსების ნამსხვრევებით, ალაგ-ალაგ კი მიმობნეული იყო რკინის დიდი ზომის, ნაჭედი ლურსმნები (ადგილობრივი, ყვარლელი მოსახლეობის ტერმინოლოგით – „ყადაღები“). სულ 3 ასეულამდე ლურსმანი აღმოჩნდა. მათი სიგრძე 7.8-დან 16-18 სმ-მდეა, ღეროები კვეთაში ოთხუთხაა, თავები კი ოდნავ მომრგვალებული ან ბრტყელი აქვთ. ლურსმნების ნაწილი ბოლოები დაახლოებით მართი კუთხისებურადაა გაღუნული – როგორც დავასკვენით, ხის კონსტრუქციაში ჩაჭედებისას, მათი ზედმეტად გარეთ გამოსული ბოლოები ჩაქუჩით „გადაუკეცავთ“ და ამით უფრო მყარად დაუფიქსირებიათ. ცხადია ისიც, რომ ქვის კამაროვანი გადახურვის მოწყობისას ამ რაოდენობის და სახის ლურსმნებს არ მოიხმარდნენ.

ბაზილიკის ფასადები სახურავის გაყოლებაზე, კრამიტის საბურველის განაპირა ზოლების დამჭერი ბრტყელი, მართკუთხა ფორმის, ცალ მხარეს დაკბილული, თეთრი საღებავით მოხატული, გამომწვარი თიხის ანტეფიქსებით ყოფილა შემკული (სურ. 23). თითქმის ასეთი ანტეფიქსები (ოლონდ მოუხატავი, 2-და 3 კბილიანი), წვეტიანი ან ოდნავ მომრგვალებული კბილებით მაღლა აღმართული, მიკვლეულია რუსთავის ეკლესიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს<sup>82</sup> და დმანისთან, ნაგზაურის სატაძრო კომპლექსის ეკლესიების გათხრისას (ეს ტაძრები V საუკუნითაა დათარიღებული).<sup>83</sup> ნიშანდობლივია, რომ ასეთი ანტეფიქსები, მხოლოდ გადახურვის ხის კონსტრუქციების განაპირა ელემენტებზე შეიძლება დამაგრდეს (სურ. 24).




სურ. 23. ტიპური კერამიკული ანტეფიქსი ჭაბუკაურის ბაზილიკიდან

Fig. 23. Typical ceramic antefix from Chabukauri Basilica

<sup>82</sup>. გათხრებისას აღმოჩენილი ეს ელემენტები, ძეგლის მკვლევარმა არქეოლოგებმა თავს დროზე კედლების ფასადების გასაფორმებელ დეკორატიულ ფილებად მიიჩნიეს და ამ დანიშნულების წილის დარმოადგინეს რუსთავის მუზეუმის გამოფენაზე. მხოლოდ ჭაბუკაურის ბაზილიკის გათხრის დროს გამოირკვა გვიანანტიკური ხინის ქართულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში არცოთ იშვიათად გამოყენებული ამ კატეგორიის თხის ფილების რეალური დანიშნულება.

<sup>83</sup>. კახიანი, კახა; ჭანიშვილი, გიორგი; კოპალიანი, ჯუმბერ; მაჩაბელი კიტი; ალექსიძე, ზაზა; ლლილ-ვაშვილი, ელეუფა; პატარძე, ნინო. ადრეუქრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან. თბილისი, 2012. ტაბ. 6, სურ. 12-18.



სურ. 24. ჭაბუკაურის ბაზილიკა. ქრამიტის წყობა გადახურვის ხის კონსტრუქციებზე  
Fig. 24. Chabukauri Basilica. Tile masonry of the wooden roofing construction

ბაზილიკის გადასახურად დანამდვილებით ხის კონსტრუქციის გამოყენებაზე, იატაკის პრეპარაციის შედეგად აღმოჩენილი შირიმის ქვისგან ნათალი თაღის ფრაგ-მენტების ფორმაც მეტყველებს: მათ პარალელური გვერდები და ქვედა რკალები გათლილი აქვთ, ზურგები კი დაუმუშავებელია. ასეთი კონფიგურაცია სავსებით დასაშვებია ნავების გამყოფი გრძივი კოლონადის თაღებისთვის, მაშინ როდესაც, კამარების საბჯენი თაღებს ზურგებიც გათლილი უნდა ჰქონოდა. შესაბამის გეო-მეტრიულ ფორმულაში<sup>84</sup> ჩვენ მიერ გაზომილი თაღის ფრაგმენტების მონაცემების ჩასმით გამოირკვა, რომ ეს დეტალები ისეთი ნახევარწრიული თაღების ნაწილებია, რომელთა დიამეტრებიც დაახლოებით 10 სმ-მდე ცდომილებით, 3 მ-ს უდრის. ამ-დენად, ბაზილიკის გათხრისას აღმოჩენილი შირიმის რკალურად ნათალი ფრაგმენტების მოხაზულობა ოდნავაც კი არ უახლოვდება ტაძრის ცენტრალური ნავის ზე-მოდან პირობითად შემომსაზღვრავ საბჯენ თაღთა ფუძის ზომას – 6 მ-ს. მეორეს მხრივ, მათი მოხაზულობა არც 2.4 და 2.25 მ სიგანის გვერდით ნავებს შეესაბამება. სამაგიეროდ, თითქმის ასეთია ბაზილიკის ნავებად დამყოფ სვეტების მწკრივებში გრძივი ბიჯები – სვეტებს შორის მანძილი (3 მ, 0.1 სმ-მდე).

ჩვენი, აზრით, არქეოლოგიურად დაფიქსირებული ეს ფაქტები, იმ გარემოე-ბასთან ერთად, რომ ბაზილიკის ინტერიერის გრძივ კედლებს საბჯენი თაღების საყრდენი პილიასტრები არ გააჩნიათ და გათხრისას არც შვერილი იმპოსტების (კრონშტეინების) დანიშნულებაზე მიმანიშნებელი ნათალი შირიმის ქვები გამოვ-

<sup>84.</sup> ჩვენი მიზანი იყო გაგვეგო, თუ რა სიგრძის მალს გადახურავდა თაღის რკალი, ანუ იმ პირობითი ნახევარწრის დიამეტრი, რომლის ნაწილსაც წარმოადგენდა ამა თუ იმ ნაპოვნი ნათალი ქვის მორკალური სეგმენტი. დაამეტრების დასადგენად თაღის ფრაგმენტებიდან აღებულ საჭირო ზომებს ქსვამდით გეგმეტრიულ ფორმულაში:  $D = (a^2 + 4b^2)^{1/2}$ , სადაც ა თაღის ფრაგმენტს ქორდის სიგრძეა, ხ კი ქორდის შუა წერტილიდან სეგმენტის რკალის უმაღლეს წერტილად აღმართული მართობის სიგრძე.

ლენილა, მხოლოდ იმაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ ჭაბუკაურის ბაზილიკის ნავები ხის კონსტრუქციებზე დალაგებული კრამიტით იყო გადახურული, ხოლო ნავების გამყოფი სვეტების მწკრივები კი კარგად ნათალი ქვებით გამოყვანილ გრძივ თაღედებს ქმნიდა. ვინაიდან V-VI საუკუნეთა მიჯნის შემდეგ აგებული, ჩვენთვის ცნობილი, პრაქტიკულად ნებისმიერი აღმოსავლურ-ქართული ბაზილიკური (და სხვა აღნაგობისაც) ტაძარი, თავდაპირველადვე ქვის კამარებით იყო გადახურული, უნდა ვიფიქროთ, რომ გადახურვის ეს მეთოდი ნასაზრდოები ჩანს უშუალოდ IV-V საუკუნების რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ბაზილიკური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენციებით: რომის იმპერიის დასავლეთ თუ აღმოსავლეთ პროვინციებში, ხმელთაშუა ზღვის აუზის უძ-



სურ. 25. აკლდამა (რელიქვიარიუმი?) ჭაბუკაურის ბაზილიკის ნაოსის ცენტრში  
Fig. 25. Burial (reliquary?) in the centre of Chabukauri Basilica naos

ველეს ცივილიზაციათა საცხოვრებლებისა თუ ელინური კულტურის სატაძრო ხუროთმოძღვრების ხანგრძლივი ტრადიციებიდან გამომდინარე, ქრისტიანული ბაზილიკების სახურავებიც, როგორც წესი, ხის მზიდ კონსტრუქციებს ეყრდნობოდა. ეს მზიდი ელემენტები ან გამჭვირვალედ ჩანდა ხოლმე დარბაზთა ინტერიერიდან, ან ხისვე ჭერებით იყო „აფიცრული“.<sup>85</sup>

<sup>85.</sup> Milburn, Robert. *Early Christian Art and Architecture*. University of California Press. Berkley, Los Angeles, 1988. გვ. 105-110, 124-129; სურ. 63, 64, 67, 77-79.



სურ. 26. წმინდა ზიარებისთვის საჭირო  
ღვინის თიხის ჭურჭელი ჭბუკაურის  
ბაზილიკიდან (ბერმის მიდამოები)  
Fig. 26. Ceramic wine vessel necessary for Holy  
Communion from Chabukauri Basilica (Near the  
Bema)

ტურქულ მართკუთხა გეგმის საკურთხეველსაც. თუმცა, საკურთხევლების და მისი მიმდებარე სივრცეების მსგავსად მოწყობის ტრადიცია IV-V საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული იყო ჩრდილო-დასავლეთ სირიის და „წმინდა მინის“ (დღევანდელი ისრაელ-პალესტინა, სამხრეთ სირია, სინას ნახევარკუნძული და ოორდანია) ბაზილიკებში, უფრო იშვიათად კი მესოპოტამიასა და ეგვიპტეში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთან როგორც გეოგრაფიულად, ისე იმსანად საეკლესიო-იერარქიულადაც მჭიდროდ დაკავშირებულ რეგიონში, ჩრდილოეთ სირიაში, ამგვარი აღნაგობის საკურთხევლები განსაკუთრებულად სახელგანთქმულ და პომპეზურად აღაზიმულ ბაზილიკებშიც, სრულიად ჩვეულებრივ ხუროთმოძღვრული ელემენტის წარმოადგენდა.<sup>87</sup>

ამდენად, ცხადია, რომ ჭაბუკაურის ბაზილიკის საკურთხევლის მართვულობა საქართველოს მეზობელი აღმოსავლურ-ქრისტიანული ქვეყნების უძველესი ბაზილიკებიდან გადმოდებული მხატვრული არქიტექტურული ელემენტი უნდა

ამრიგად, ჭაბუკაურის ამდენად მო-  
ნუმენტურ ბაზილიკაზე გადახურვის  
ამ მეთოდის დადასტურებით, საფუძ-  
ველი გამოეცალა ცნობილ ქართველ  
ხელოვნების ისტორიკოსთა შეხედუ-  
ლებას იმის თაობაზე, რომ, თითქოსდა,  
საქართველოში აგებული უძველესი  
ქრისტიანული ბაზილიკების გადასა-  
ხურად ხის კონსტრუქციები სრულიად  
არ გამოიყენებოდა და ისინი, უგამო-  
ნაკლისოდ, ქვითკირის კამარებით და  
მათზე განლაგებული ქრისტის სა-  
ბურველით იყო გადახურული.<sup>86</sup>

მანამდე მიკვლეულ გვიანანტიკურ  
და ადრეული შუა საუკუნეების ქარ-  
თულ საეკლესიო ხუროთმოძღვრების  
ძეგლთაგან, ანალოგი არ მოეპოვებო-  
და ჭაბუკაურის ბაზილიკაში დადას-

<sup>86</sup>. Чубинашвили, Гиорги. К вопросу о начальных формах Христианского храма. Вопросы истории искусства, т.1. Тбилиси, 1970. №3. 40; ბერიძე, ვახტანგ. 1974. №3. 22-23; ყიფინი, გურამ. კოლეგიოსა და იბერიის ნარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნარმოშობის საკითხები. თბილისი, 2000. №3. 107.

<sup>87</sup>. Beyer, Herman. *Der Syrische Kirchenbau*. Berlin, 1925. §§. 36-44, 80-91, 4f, 5f; Tchalenko, Georges. *Villages antiques de la Sirie du nord*. 3 vols. Paris, 1953. §§. X-1, XI-3, 6, XIII-1,3,4; Netzer, Ehund; Birger-Calderon, Rivka; Feller, Ayala. The Churches of Herodium. *Ancient Churches Revealed*. Jerusalem, 1993. §. 220-224.

იყოს და არა სუსტი სამშენებლო ხელოვნების შედეგი. როგორც ჩანს, მოგვიანებით, უფრო VI ს-ის შემდგომ, საკურთხევლების ამგვარად გამართვის თემა, უცხო გახდა როგორც წინა აზიის სხვა რეგიონების, ისე ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის.<sup>88</sup>

ჭაბუკაურის ბაზილიკის აგების თარიღის V-VI საუკუნეთა მიჯნისკენ გადაწევის მხარდამჭერ არგუმენტად, მიუხედავად ზოგიერთი ჩვენი ოპონენტის მტკიცებისა, არც საკურთხევლის გვერდით პასტოფორიუმების არსებობა გამოდგება. საწინააღმდეგოდ არაერთი ქართველი ხელოვნებათმცოდნის შეხედულებისა,<sup>89</sup> საკურთხევლის მიმდებარე პასტოფორიუმების არსებობა ჭაბუკაურის ბაზილიკაში, სრულიადაც არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტაძარი VI საუკუნეზე უადრესი არ შეიძლება იყოს – ცნობილ საზღვარგარეთელ მეცნიერთათვის დიდი ხანია ცნობილია, რომ მსგავსი პასტოფორიუმები გააჩნდა IV საუკუნით და-თარიღებულ არაერთ ქრისტიანულ ბაზილიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა-ში, წინა აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ ევროპაში.<sup>90</sup> საკურთხეველთა მომიჯნავე ასეთი სათავსები მოწყობილია ჩრდილოეთ და დასავლეთ სირიის IV ს-ითა და V ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ მრავალ საყოველთაოდ ცნობილ, აფსიდიან თუ გეგმურად სწორკუთხა საკურთხევლიან ბაზილიკაში.<sup>91</sup> პირველად სწორედ ამ ტერიტორიებზე დადასტურების გამო ეწოდა ეკლესიათა საკურთხევლის სივრცის ამგვარად მოწყობას – ტაძრის აღმოსავლეთი კიდის მართკუთხა პერიმეტრში, ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩანაშენ პასტოფორიუმებს შორის „ჩაწერილ“ აფსიდს – სირიული ტიპის საკურთხევლები.<sup>92</sup> ან კი-დევ: მცირე აზიაში ევროპელ და თურქ მეცნიერთაგან მიკვლეულ, ისტორიული კილიკიის, ისაურას და კარიის რეგიონების IV-V სს-ით დათარიღებულ მრავალ ბაზილიკურ ტაძარს (როგორც სამრევლო და საკათედრო, ისე სამონასტრო და-ნიშნულებისას), ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავებული კონფიგურაციის, მაგრამ შინაარსით და კონსტრუქციული საჭიროებისათვის ანალოგიური მიზნით

<sup>88.</sup> ამ მხრივ, ერთგვარი გამონაკლისია საქართველოს ზოგიერთ რეგიონში დადასტურებული, VI-X საუკუნეების ორიოდე დაბაზული ეკლესია, რომელიც სწორედ ამ ხუროთმოძღვრული თემის მეტ-ნაკლებად გვიან რეგიონისცნობად შეიძლება ჩაითვალოს (Чубинашвили, Нико. Кликис ჯварი, Гвиара. ქართული ხელოვნება, №7. თბილისი, 1971. გვ. 27-65).

<sup>89.</sup> ბერიძე, ვახტანგ. 1974. გვ. 24.

<sup>90.</sup> Krautheimer, Richard. *Early Christian and Byzantine Architecture*. Harmondsworth, 1965. გვ. 41; Caleri, Alessia. La prima chiesa di Betania: nuove proposte interpretative. *Temporis Signa, IX. Fondazione Centro Italiano Di Studi Sull'alto Medievo*. Spoleto, 2014. გვ. 181-194; Blid, Jesper. *The Byzantine Church at Labraunda*. Master Thesis (Uppsala University. Dissertation Supervisor: Pontus Hellström). Uppsala, 2006. გვ. 34,35, 78, 79.

<sup>91.</sup> Lasus, Jean. *Sanctuaires chrétiens de Syrie*, Essai sur la genèse, la forme et l'usage liturgique des édifices du culte chrétien, en Syrie, du III et siècle à la conquête musulmane, Paris, 1947. გვ. 60.

<sup>92.</sup> Tchalenko, Georges. Églises syriennes à bâma. *Bibliothèque archéologique et historique* 105, Paul Geuthner. Paris, 1990. გვ. 78; Tchalenko, Georges; Baccache, Edgar. *Eglises de village de la Syrie du Nord*. 2 vols. Paris, 1979-1980. გვ. 57-67; Serin, Ufuk. *Early Christian and Byzantine Churches at Iasos in Caria. An Architectural Survey. Monumenti di antichità cristiana II*. Vatican City, 2004. გვ. 173-176;

მოწყობილი, პასტოფორიუმებს შორის ჩაწერილი, გარედან მხოლოდ ოდნავ, სამ-ნახნაგოვნად შვერილი, აფსიდიანი საკურთხევლები გააჩნია.<sup>93</sup>

მართალია, ქრისტიანული სამყაროს უადრეს ქრისტიანულ ტაძრებში საკურ-თხევლის გვერდითა ოთახებს სამკვეთლოსა და სადიაკვნის კანონიური ფუნქცია VIII საუკუნემდე დამკვიდრებული არ ჰქონდათ, მაგრამ კრისტიანული საჭი-როებიდან გამომდინარე მოწყობილ ასეთ ოთახებს, სხვადასხვა ტაძარში განსხვა-ვებული დანიშნულებით იყენებოდნენ: კრიპტებად, საგანძურის შესანახად, ბაპ-ტისტერიუმებად და ა. შ.<sup>94</sup>

რადგანაც საუბარი ამ ტაძრისა და სირიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონების ბაზილიკების გეგმარების მსგავსებას შეეხო, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ჭა-ბუკაურის ბაზილიკაში დადასტურებულ კიდევ ერთ, ქართული ეკლესიებისთვის დღემდე საქმაოდ უჩივეულო სტრუქტურაზე. ცენტრალურ ნავში, ტაძრის გრძივი, ცენტრალური ღერძის გასწვრივ, აღმოსავლეთიდან მე-3 და მე-4 წყვილ სვეტებს შორის, ანუ, პრაქტიკულად ზუსტად ნაოსის ცენტრში, იატაკიდან დაახლოებით. 0.5 მ-ით დაბლა, აღმოჩნდა ქვა-ყუთის ტიპის მოზრდილი, მაგრამ მაინც სამარხის ტიპის აკლდამა (სიგრძე – 2.15 მ, სიგანე – 0.77 მ, სიმაღლე – 0.45 მ). ის კარგად ნათალი, მართვულთხა ფორმის ოთხი ქვის ფილითაა შეკრული, ხოლო ზემოდან 3 მართვულებრივი მიახლოებული ფორმის ფილა ეფარა (სურ. 25). თუმცა, ამ აკ-ლდამის შიგთავსი, შეუ საუკუნეების ჩვეულებრივი კოლექტიური სამარხებისგან სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა – მასში მიცვალებულები (დაახლოებით 4-5 ინდივიდი) გაშოტილი თუ მიხვეტილ-მიწეული კი არ ელაგა, არამედ რამდენი-მე ნეშტი დანაწევრებულ მდგომარეობაში, მაგრამ მოწესრიგებულად იყო ჩაწ-ყობილი. ამდენად, სავარაუდოდ, IV სუკუნის საკათედრო ქრისტიანული ტაძრის ზუსტად ცენტრში, განსაკუთრებულად მოწყობილ ქვის ლუსკუმაში, აშკარად მეორადი დაკრძალვით იყო მოთავსებული ადამიანთა ნეშტები, ეს კი, პირდაპირ იწვევდა გამორჩეულ სასულიერო პირთა ძვალთშესალაგის, ან სულაც, წმინდან-თა სანაწილის, „ოსუარიუმის“ (ლათინ.) ასოციაციას. აღსანიშნავია, რომ ზედ აკ-ლდამის სახურავ ფილაზე დადგმული აღმოჩნდა მოზრდილი (h – 38 სმ, პირის d – 20 სმ), ყურიანი საღვინე ჭურჭელი (სურ. 26), რომელიც, სტრატიგრაფიულად აშკარად ამ დასაკრძალავი კომპლექსის ნაწილია – მისი სარქველდაფარებული პირი, ბაზილიკის ფუნქციონირებისას იატაკის მოპირკეთებიდან ოდნავ იქნებოდა შემაღლებული; ლიტურგიის დროს, ამ ჭურჭელში მოთავსებული ღვინო (მაცხოვ-

<sup>93.</sup> Dalgiç, Örgü. Early Christian and Byzantine Churches. *The Aphrodisias Regional Survey*. Edited by C. Ratté and P. De Staebler. Mainz, 2012. გვ. 374, სურ. 3; Hill, Stephen. *The Early Byzantine Churches of Cilicia and Isauria. Birmingham Byzantine and Ottoman Monographs. Vol. 1*. Vermont 1998. სურ. 1, 2, 8, 9, 14, 17, 18.

<sup>94.</sup> Mišković, Ana. Prostor i funkcije sakristije u ranokršćanskem razdoblju na primjeru zadarskoga episkopatnog sklopa. *Ars Adriatica*. 3/2. 2013. გვ. 7-20.

რის სისხლის სიმბოლო), შესაძლოა, ამ სანაწილის მნიშვნელობის ხაზგამსმელ სიმბოლოს განასახიერებდა და ევქარისტიის დროსაც გამოიყენებოდა.

აქ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ის გარემოება, რომ პიზანტიური სამყაროს უძველეს ქრისტიანულ ტაძრებში, უფრო კი სირიაში, ადრეული ლიტურგიის ერთ-ერთი (თუ აუცილებელი არა) კომპონენტი იყო ნაოსის ცენტრში დადგმული ბემა, ანუ, შემაღლებული, ქვის ან ხის პლატფორმა, რომლიდანაც ლვთისმსახურები გარკვეულ ლოცვებს კითხულობდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი ლიტანიის პროცესში. ასეთი ბემები, განსაკუთრებით კარგადაა შემორჩენილი დასავლეთ და ჩრდილოეთ სირიის IV-VII სს-ის ეკლესიებში; მაგალითად, გვხვდება როგორც წრიული, ისე ნახევარწრიული გეგმის ბემები, რომელთაგანაც ზოგიერთზე ბალ-დახინისა და საკურთხევლისკენ მიმართული სამეუფეო ტახტების ნაშთებიცაა შემონახული.<sup>95</sup> მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ თუკი ზოგადად ქრისტიანული ტაძარი სიმბოლურად სამყაროს მოდელს განასახიერებს, მის ცენტრში მდგარი ბემა გაიგივებული იყო როგორც იერუსალიმთან, ისე გოლგოთასთანაც და, შესაძლოა, ქრისტეს საფლავთანაც.<sup>96</sup> როგორც ჩანს, ბემის სწორედ ამგვარი სიმბოლიკა განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ არქეოლოგიურად შესწავლილ ამ ტიპის სირიულ ძეგლებში, მრავალგან გამოვლინდა მათ ქვეშ მოწყობილი წმინდანთა სანაწილები თუ სამარხები. ადრეული სირიული ეკლესიების ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი იმასაც კი ამტკიცებს, რომ მცირე ზომის ბემიანი ტაძრების დიდი ნაწილი, სულაც მარტირიუმებიათ.<sup>97</sup> რასაკვირველია, დიდი ზომის „ბემიან“ სამრევლო ტაძრებს მხოლოდ წმინდანთა მავზოლეუმების ფუნქცია არ გააჩნდათ, მაგრამ ამ დანიშნულების პლატფორმების ქვეშ მოწყობილ აკლდამებში, საკურთხევლის სარდაფი-კრიპტის ანალოგიურად წმინდანთა ნაწილების დაბრძანება ან სამარხების მოწყობა, როგორც ჩანს, ფრიად გავრცელებული მოვლენა ყოფილა, და არა მხოლოდ სირიაში.

სწორედ ამ მოვლენის გათვალისწინებით არ გამოვრიცხავთ, რომ მრავალი გეგმური ელემენტით, სწორედ ჩრდილო-დასავლეთ სირიის ადრეულ ბაზილიკა-თა მსგავსი ჭაბუკაურის ტაძრის ნაოსის ცენტრში აღმოჩენილი ქვის ოსუარიუმი, შესაძლოა, აქ ოდესალაც აღმართული, თუნდაც იგივე სირიული ანალოგიებისა-მებრ, ხით ნაშენი ბემის ქვეშ ყოფილიყო მოწყობილი. ასეთ შემთხვევაში, ქრისტეს საფლავის სიმბოლოდ მიჩნეული სანაწილის თავზე შემორჩენილ ჭურჭელში, შე-

<sup>95.</sup> Taft, Robert F. Some Notes on the Bema in the East and West Syrian Traditions. *Liturgy in Byzantium and Beyond*. Ashgate, 1995. გვ. 338-339, 358-360.

<sup>96.</sup> Loosley, Emma. *The Architecture and Liturgy of the Bema in Fourth to Sixth-Century Syrian Churches*. Leiden-Boston, 2012. გვ. 92, 110-115.

<sup>97.</sup> Tchalenko, Georges. Églises syriennes à bema. *Bibliothèque archéologique et historique* 105, Paul Geuthner. Paris, 1990. გვ. 209-210.

საძლოა, ევქარისტიის საიდუმლოსთან რაიმე სახით დაკავშირებული ღვინო, ანუ, სიმბოლურად „ქრისტეს სისხლი“ ისხმებოდა ხოლმე პერიოდულად.

ჩვენი ამ მოსაზრების მართებულობის დამადასტურებელ კიდევ ერთ არგუ-მენტად ის ფაქტიც გამოდგება, რომ კრისტის მსგავსი სტრუქტურისა და მასზე ხის ბემის დაფუძნების კვალი, ქალაქ ნეკენის მეორე უძველესი და კიდევ უფრო უდიდესი ტაძრის, დოლოჭობის ბაზილიკის ნაოსის ცენტრშიც დაფიქსირდა. ამის შესახებ ვრცელი საუბარი, წიგნის შესაბამის ნაკვეთში გვექნება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭაბუკაურის ბაზილიკის ხუროთმოძღვრული აღნაგობის ჩვენეულ სტილისტურ-ქრონოლოგიურ შეფასებას, პრობლემაში ჩახედული, ცნობილი საზღვარგარეთელი სპეციალისტების დიდი უმრავლესობა, ბოლო დროს საკმაოდ პოზიტიურად აფასებს. თუმცა, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების სათავეებთან დაკავშირებული ამ საკითხების ხედვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებრიობისგან, ბუნებრივია, სავსებით ერთგვაროვანი ვერ იქნება. მაგალითად, უკანასკნელ წლებში, ზოგიერთმა ცნობილმა უცხოელმა ისტორიკოსმა, ჭაბუკაურის ბაზილიკისა და ზოგიერთი აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესიის შედარებითი ხუროთმოძღვრული ანალიზის საფუძველზე დაუშვა შემდეგი შესაძლებლობა: თითქოსდა ეს ტაძარი, აღმოსავლური რომაული პროვინციების IV-V სს ბაზილიკათათვის დამახასიათებელ სტილისტურ ნიშნებზე მეტად, უძველესი ირანული ქრისტიანობის წიაღში შემუშავებულ ეკლესიათა ტიპებთან ამჟღავნებს სიახლოეს. საუბარია ერაყისა და არაბეთის ყურის რეგიონების რამდენიმე, ძირითადად V ს-ის ეკლესიაზე;<sup>98</sup> ჩვენი აზრით, ამგვარი იდენტობის ნიშნების ძიება იმ ბოლოდროინდელი სამეცნიერო სწავლების ანარეკლია, რომლის მიხედვითაც ქართლის სამეფოს ქრისტიანიზაცია სრულიადაც არ მომხდარა რომის იმპერიის მესვეურთა ხელდებითა და იმპერატორ კონსტანტინე დიდთან იბერიის ოფიციოზის მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობით; ამ თეორიით, ქართლმა და კავკასიის სხვა ქვეყნებმა სასანური ირანის წიაღიდან შეითვისეს აღმოსავლური ქრისტიანობის დოქტრინა და ეს რელიგია, მთელი IV-V საუკუნეების განმავლობაში ზოროასტრიზმთან ერთად, ირანის პროტექტორატით სარგებლობდა. თუმცა კი, მათი აზრით, ამ „საერთო კავკასიური“, ანტი-ქალკედონური ქრისტიანობის დომინანტი ძალა, უფრო სომხეთის ეკლესია იყო.<sup>99</sup> ჭაბუკაურისა და ირანული ქრისტიანობის ძეგლების იდენტობის ვერსიას ჩვენ არ ვიზიარებთ თუნდაც იმიტომ,

<sup>98.</sup> Okada, Yasuyoshi. Early Christian Architecture in the Iraqi Sous-Western Desert. *Al-RÄFIDÄN: Journal of Western Asiatic Studies*, Vol. XII. Tokyo, 1991. სურ. 1, 2; და სხვ.

<sup>99.</sup> Rapp, Stephen. Georgian Christianity. In *The Blackwell Companion to Eastern Christianity*, edited by Ken Parry, Malden, Mass. Wiley-Blackwell, 2010. გვ. 139-144; Rapp, Stephen. The Christianization of Eastern Georgia. Cross-Cultural and Pan-Regional Perspectives. *Iberien zwischen Rom und Iran. Oriens et Occidens*, 29. Stuttgart, 2019. გვ. 181-185.

რომ ამ მოსაზრების სასარგებლოდ, ჭაბუკაურის პროტოტიპად მოყვანილი ყველა აღნიშნული აღმოსავლური ტიპის ეკლესია დანამდვილებით ნესტორიანული სწავლების მიმდევარ ქრისტიანთა მიერ არის აგებული; ჭაბუკაურის ბაზილიკის აგების ხანად კი, ჩვენ მიერ დაფიქსირებული არქეოლოგიური სტრატიგრაფიდან გამომდინარე, შეუძლებელია ბიზანტიის იმპერიაში ნესტორიანული მოძღვრების წარმოშობისა და მისი საზღვრებს გარეთ, მათ შორის ირანში გავრცელების ეპოქა – V ს-ის მეორე ნახევარი ვიგულისხმოთ.

## **პაზილიკის მშენებლობის ნინარე პროცესობიური ფაზა. ცარმართული ფასარი**

აღნიშნული ხუროთმოძღვრული ელემენტების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულ ვარაუდს ჭაბუკაურის ბაზილიკის ესოდენ ადრეულ ეპოქაში აგების თაობაზე, მხარი დაუჭირა ტაძრის იატაკის ჰიპირიზონტის დაბლა დაფიქსირებულმა არქეოლოგიურმა სურათმაც.

როგორც არქეოლოგიური კვლევით თავიდანვე გამოჩენდა, ბაზილიკის ნაოსის იატაკის მთელი ფართობი, შენობის მიწისძვრისგან დანგრევამდე, კირ-ნებალის ნარევით კარგად ყოფილა მოლესილი და მასზე მჭიდროდ, ზოგან საჭიროებისამებრ რამდენიმე ფენადაც, დაგებული ყოფილა რუხი-მოშავო ფერის ფიქალის ქვის თხელი, პრაქტიკულად ბრტყელი, არასწორი გარშემოწერილობის, დაახლოებით 15-30 სმ სიგრძე-სიგანის ფილები.

ამ ტაძარში გამოვლენილი კონსტრუქციების ანალიზი სრულიად არ მიგვანიშნებდა ნაგებობის „ზეზეურად დგომის“ პერიოდში მის საფუძვლიან რესტავრაციაზე და, გარკვეული ინტერვალის შემდეგ, სახეცვლილად ამოქმედებაზე (თუ არ ჩავთვლით საკურთხევლიდან დასავლეთით IV წყვილ სვეტებამდე, ცენტრალური ნავის სივრცის ნაოსის დანარჩენი ფართობისგან დაბალი, 30-40 სმ სიმაღლის, ქვის ვიწრო ბარიერებით გამიჯვნას). აქედან გამომდინარე, არავითარი რეალური საფუძველი არ გაგვაჩნდა აღმოჩენილი ქვაფენილის დაბლა, უფრო ადრეული ეკლესიის ან იგივე ბაზილიკის ექსპლუატაციის პირველი ქრონოლოგიური ფაზის იატაკი გვეძია. თუმცა, გავითვალისწინეთ შემდეგი გარემოება: როგორც ქართული, ისე საზღვარგარეთული ნარატიული წყაროები ხშირად მოგვითხრობს წინარექრისტიანული, წარმართული სამლოცველოების ადგილზე, მათი პოპულარობის ახალი რელიგიის სასარგებლოდ გამოყენების მიზნით, პირველი ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის ფაქტებზე. ასეთი ქმედება რომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ეს აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ქრისტიანული სამყაროთა

მრავალი ადრეული ტაძრის არქეოლოგიურმა კვლევამაც დაადასტურა.<sup>100</sup> სწორედ ამიტომ, გადაეწყვიტეთ ჭაბუკაურის ესოდენ ადრეულ ბაზილიკაშიც გაგვევლო სადაზვერვო ჭრილები რათა გაგვერკვია, რამდენად შეესაბამებოდა ასეთი დაშვება რეალობას (მით უმეტეს, რომ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, უკვე დანამდვილებით დადასტურებული გვქონდა 2 წარმართული ტაძრის არსებობა).<sup>101</sup>

2004 წელს, ბაზილიკის სხვადასხვა ნაწილში გავლებულმა რამდენიმე თხრილმა ასეთი სურათი წარმოაჩინა: გამოირკვა, რომ არტეფაქტების ფრაგმენტებით საკმაოდ გაჯერებული კულტურული ფენა ტაძრის ფიქალით მოგებული იატაკის ქვეშაც საკმაოდ ღრმად, დაახლოებით 30-40 სმ-ზე ჩადიოდა. ამ ფენის სტრუქტურა იმით იყო საინტერესო, რომ მასში პრაქტიკულად არ გვხვდებოდა სამშენებლო ზომის ქვები, თუმცა უსვად მოიცავდა ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ფრაგმენტებს, აგრეთვე თიხის ჭურჭლის ნატეხებს. საქმე ის არის, რომ თუკი ამ ტაძრის აგების შემდეგ, საბოლოო კატასტროფამდე მისი ფუნქციონირებისას, რაღაც პერიოდში კიდევ ერთი, არცთუ მასშტაბური ნგრევა და რესტავრაცია მოხდა, ნანგრევი ფენიდან ხელახლი შენებისთვის საჭირო ქვების ამოღების შემდეგ, ფხვიერი მინის ფენის დატოვება რაღად ჩათვალეს საჭიროდ – მშენებლობის წინ მისგან ფართობის განთავისუფლება ხომ მეტად ადვილი იქნებოდა?

შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული მინის მასა, მასში შერეული თიხის ნაკეთობების ნატეხებიანად, სპეციალურად იყო დაყრილი ბაზილიკის იატაკის ქვეშ, მისი ჰორიზონტის განსაკუთრებული მიზნით ასამაღლებლად. ეს ვერსია კიდევ უფრო დამაჯერებელი გვეჩვენა, როდესაც გამოირკვა, რომ ეკლესიის ნავების გამყოფი თითოეული მართულთხა კვეთის სვეტი პირდაპირ ყამირის საფუძვლზე კი არა, სვეტებზე მნიშვნელოვნად განიერ, კვადრატთან მეტ-ნაკლებად მიახლოებული გეგმის (დაახ. 1.80-2 მ-მდე სიგრძე-სიგანის) ქვითკირის ბაზისებზე მდგარა. ამ ბაზისების სიმაღლეც, 30-40 სმ რიგისა იყო და ტკეპნილ თიხაზე დაგებული ფიქალის ქვაფენილი იატაკი პირდაპირ მათ ზედაპირზე იყო მეტად თხელ ფენად (ზოგან მხოლოდ 2-3 სმ სისქის) გადატარებული.

საქართველოსა თუ საზღვარგარეთის ქვეყნების უძველეს ბაზილიკურ ნაგებობებში, ნავების გამყოფი სვეტები პრაქტიკულად ყოველთვის იატაკის ზედაპირიდან მეტ-ნაკლებად ამოზიდულ, სხვადასხვა მოყვანილობის ბაზისებზე („ბალი-შებზე“) არის ხოლმე აღმართული: ისინი კონსტრუქციების სიმყარეს – სახურავის ზენოლის ძალების ნიადაგზე გადანაწილებას უზრუნველყობს, თანაც, დროთა

<sup>100.</sup> From Temple to Church. Destruction and Renewal of Local Cultic Topography in Late Antiquity. Edited by: Hapn J., Emmel S., Gotten U. Brill. Leiden, Boston, 2008; Niederer, Frances. Temples Converted into Churches: The Situation in Rome. Church History, Vol. 22, No.3. გვ. 175-180.

<sup>101.</sup> ჭილაშვილი, ლევან. ნეკების წარმართული სამლოცველოები. თბილისი, 2000.

განმავლობაში, ამ ელემენტებმა ინტერიერის გაფორმებითი, ესთეტიკური ფუნქციაც შეიძინეს. სწორედ ამიტომ, აღმოჩენისთანავე დავუშვით, რომ ამ ბაზილიკაშიც, სვეტები მათი ბაზისებიანად, ზედ თავდაპირველი იატაკის სიბრტყეზე იქნებოდა დაფუძნებული. თუმცა, სულ მალე, ეკლესიის მთელ ფართობზე აღნიშნული იატაკის ქვეშა კულტურული ფენის აღებამ, ბაზილიკის ფუნქციონირების ორი, დესტრუქციამდელი და რესტავრაციის შემდგომი ქრონოლოგიური ფაზის არსებობის დაშვება გამორიცხა. სვეტების ბაზისების ძირების ჰორიზონტზე, ბაზილიკის თავდაპირველი იატაკი არ დაფიქსირდა. სამაგიეროდ გამოირკვა, რომ ქვაფენილიანი იატაკი მხოლოდ ცოკოლების ზედაპირებს კი არ ფარავდა თხელი ფენით, არამედ მათზე ოდნავ, დაახლოებით 10-20 სმ-ით დაბლა მოქცეულ, ბაზილიკაზე ადრინდელ, აბსოლუტურად განსხვავებული გეგმარების ნაგებობის ნაშთებსაც, და რომ არა აღნიშნული ნაყარი ფენა, ბაზილიკის პირობითი „ძველი“ იატაკიდან სვეტის ბაზისებთან ერთად, ამ შენობის კედლების მნიშვნელოვანი ნაწილებიც აღმოჩნდებოდა ამოშვერილი, რისი დაშვებაც ალოგიკური იქნებოდა. ამრიგად, გამოირკვა, რომ ნივთიერი მასალის შემცველი ეს ფენა იმიტომ იყო საგულდაგულოდ მოსწორებული სვეტების ბაზების ზედაპირის დონეზე, რომ წინარე ნაგებობის ნაშთები დაეფარა: ანუ, ეს ბაზისები კონსტრუქციულ მდგრადობას უზრუნველყოფდა, ინტერიერის დამშვენებას კი არ ეშასხურებოდა.

ამასთან, როგორც ჩანს, ეს შემავსებელი მასა სრულიადაც არ იყო ნაყარი, და, მით უმეტეს, სხვა ადგილიდან მოტანილი: უბრალოდ, ამ წინარე, აგრეთვე საკმაოდ მასშტაბური ნაგებობის ბუნებრივად ან, რაც უფრო მოსალოდნელია, შეგნებულად დანგრევის შემდეგ, მისი დარღვეული კედლების ქვები ბაზილიკის აგებისას საშენ მასა-



სურ. 27. ჭაბუკაურის ბაზილიკის ჩრდილოეთის ნავი. წარმართული ტაძრის კედლების ნაშთები  
Fig. 27. The northern nave of Chabukauri Basilica. The remains of the pagan temple walls



სურ. 28. ჭაბუკაურის ბაზილიკის ცენტრალური ნავი (იატაკქვეშ აღმოჩენილი ნარმართული ტაძრის კედლების ჩვენებით)

Fig. 28. Central nave of Chabukauri Basilica (with the remains of the pagan temple walls)

ლად გამოუყენებიათ. მართლაც, წინარე და ეკლესიის შენობა, ზომით და დამუშავების მეთოდით აბსოლუტურად იდენტური, ერთი და იმავე სახეობის ქვითაა ნაგები (განსხვავება მხოლოდ მათი შემკვრელი ხსნარის შემადგენლობაშია: ბაზილიკა დუღაბზეა ნაგები, ძველი ნაგებობა კი უფრო არქაული წესით – თიხის ხსნარზე).

საბოლოოდ, დიდი ყურადღებით დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ ძველი ნაგებობის ნაშთები სპეციალურად არ დაანგრიეს ძირის-ძირამდე და გარკვეული მიზნით შემოინახეს ახალი ტაძრის იატაკის ქვეშ (სურ. 27). ეს ეხება არა მარტო ეკლესიის ნაოსისთვის სრულიად გამოუსადეგარ, „გარდიგარდმო“ დამყოფ ტიხრებს, არამედ გარე პერიმეტრის კონსტრუქციებსაც, რომელთა ნაშთებზეცაა ამოყვნილი (როგორც საძირკველზე) ბაზილიკის დარბაზის მთელი დასავლეთ ნაწილის კედლები. ამრიგად, სრულიად გასაგები გახდა ბაზილიკის გრძივი ლერძის აღმოსავლეთ-დასავლეთით დამხრობიდან ჩრდილოეთით თითქმის  $35^{\circ}$ -ით გადახრის მიზეზი: ტაძრის მშენებლებმა მის კედლებში ძველი ნაგებობის გარკვეული ნაწილების ჩართვა არჩიეს, საკურთხევლის მიმართულების უკვე საყოველთაოდ დადგენილი ქრისტიანული კანონიკის ზედმინევნით დაცვას.

ამ გარემოებამ გვაიძულა, დიდი დაკვირვებით შეგვედარებინა ერთმანეთის-თვის აღნიშნულ ფენაში და ბაზილიკის იატაკზე დაფიქსირებული ნაკეთობანი (ეს

მასალა, თითქმის მხოლოდ კერამიკის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი). თუმცა, მათი ერთმანეთისგან ქრონოლოგიურად გამიჯვნის მცდელობამ შედეგი ვერ გა-მოიღო: ძველი ნაგებობის ფუნქციონირების ბოლო ეტაპის კულტურული ფენე-ბიდან მომდინარე და ბაზილიკის მოქმედების ეპოქის ნივთიერი მასალის დიდი უმეტესობა, ძირითადი მახასიათებლებით ერთმანეთის მსგავსი აღმოჩნდა. ეს გა-რემონტი, ამ ორი ნაგებობის ფუნქციონირების ფაზებს შორის მეტად ხანმოკლე ქრონოლოგიურ წყვეტაზე მიგვანიშნებს, რაც ძველი ნაგებობის სპეციალურად, ახლის აგების მიზნით საძირკვლამდე დარღვევის ირიბი, მაგრამ მეტად ანგარიშ-გასაწევი მტკიცებულებაა.

ყველაფერს ნათელი მოპფინა ქრისტიანული ტაძრის იატაკის მთელი ფარ-თობის ჩაჭრის შედეგად დაფიქსირებულმა არქეოლოგიურმა სურათმა – ცხადად გამოიკვეთა, რომ ბაზილიკა აგებული ყოფილა საკმაოდ მასშტაბური წინარე ნა-გებობის ადგილზე. მისი ხაზგასმულად მონუმენტური, სიმეტრიული, სათავსი-დან სათავსში პარადულ მსვლელობაზე გათვლილი გეგმარება, პრაქტიკულად ადასატურებს, რომ ეს წარმართული ტაძრის ნაშთები უნდა იყოს. როგორც ჩანს, ეს ტაძარი აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შემდეგ მალევე დაუნგრევიათ, მისი ზოგიერთი კედლის ქვის ქვედა წყობები ქრისტიანული ტაძრის საძირკვლად დაუტოვებიათ (შესაძლოა სპეცია-ლურადაც – მშენებელთა მიერ წინაპართა სარწმუნოებისადმი პატივის მიგების მიზნით), დაშლილი ნაგებობის დანარჩენი მასალა კი ტაძრის კონსტრუქციების-თვის გამოყენებიათ. როგორც ირკვევა, ეს ყოფილა ე. წ. „სექციური ტიპის“ ტაძარი, რომელიც ერთმანეთთან ცენტრალურ ღერძზე განლაგებული გასასვლე-ლებით დაკავშირებული, პრაქტიკულად ერთნაირი მოხაზულობისა და ზომის სულ ცოტა 5 ოთახისგან შედგებოდა (სურ. 28). ამ სატაძრო ნაგებობებას მეტ-ნაკლე-ბად მახლობელი პარალელები მოეძებნა ანტიკური ხანის როგორც წინა აზის, ისე თვით ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში.<sup>102</sup>

რაც შეეხება ამ ტაძრის აგების ეპოქას, 2017 წელს ჩატარებულმა დამატებით-მა არქეოლოგიურმა კვლევამ, თითქოს ამაზეც გაგვცა პასუხი: ნაოსის ცენტრში ჩაჭრილი სამარხი ქვა-ყუთის (ე. წ. ბემის ქვეშა სანაწილს) გვერდითა ფილე-ბის ჩასადგმელი ღრმა თხრილის შესავსებად ჩაყრილ მინაში, შერეული აღმოჩნდა უთუოდ ამავე თხრილიდან, მიწასთან ერთად ამოყოლილი შავად და წითლად გა-მომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ II), რომლებიც ძვ. წ. III-II საუკუ-ნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ამდენად, თიხის ხსნარზე ნაგები ეს წარმართული ტაძარი, დიდი ალბათობით, ელინისტურ ხანაშივე ჩანს აგებული.

<sup>102.</sup> ყიფიანი, გურამ. 2000. ტაბ. XLVI, XLVIII.

ყველა ნიშნით, წარმართული ტაძრის დანგრევა და ახალი რელიგიის ტრიუმფის ხაზგასმით გამომხატველი, ჭაბუკაურის დიდი ქრისტიანული ბაზილიკის აგება დაახლოებით თანადროულად უნდა მომხდარიყო. ეკლესიის მაინცდამაინც ამ ადგილზე აგება, ალბათ მთელ ადრეული ქრისტიანული სამყაროს ქვეყნების საერო თუ სასულიერო მესვეურთათვის ლამის ჩვეულ ჩანაფიქრს ემსახურებოდა: ერთი მხრივ, წარმართული სამლოცველოს დანგრევა და მის ადგილზე კიდევ უფრო გრანდიოზული ტაძრის მშენებლობა ახალი რელიგიის ქველზე გამარჯვების სიმბოლოდ მიიჩნეოდა; იმავდროულად, მოსახლეობას ჩვეული თაყვანისცემის ადგილისადმი შემორჩენილი მოწინება, ქვეცნობიერად ახალ სალოცავზე „გადაჰქონდა“.

ვგონებთ ცხადია, რომ იქერიაში ქრისტანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების შემდეგ, ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი სამეფო ქალაქის ცენტრში წარმართულ ტაძარს საუკუნენახევრის განმავლობაში ხელუხლებლად არ შემოინახავდნენ და მხოლოდ საქართველოში სრულყოფილი ბაზილიკების მშენებლობის დაწყების აღნიშნულ, ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში აქამდე დამკვიდრებული ვერსიით განსაზღვრულ ხანაში (V ს-ის დასასრული) არ დაანგრევდნენ – მის ადგილზე, მისივე სამშენებლო მასალით ქრისტიანული ტაძრის ასაგებად.

## პაზილიკის არქეოლოგიური კვლევის დროს დაფიქსირებული ნივთიერი მასალის ანალიზი

ვარაუდს, რომ ჭაბუკაურის ბაზილიკა ქართლის სამეფოს მმართველი ელიტის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ საკმაოდ მოკლე ხანში აიგო, სავსებით უჭერს მხარს ამ ძეგლის არქეოლოგიური გათხრისას მოპოვებული ნივთები. ზედ ბაზილიკის იატაკების დონეებზე და ნანგრევი ფენის სულ ქვედა პლასტიკში აღმოჩენილი წითლად შეღებილი, ღარიანი და ბრტყელი კრამიტები (სოლენები და კალიპტერები), აგრეთვე თიხის ცალმხრივ დაკბილული, თეთრად მოხატული ანტეფიქსების ფრაგმენტები, სტილისტური ნიშნებით ზოგადად IV-V სს-ით თარიღდება (სურ. 23, 24). ამავე ფენაში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც, რომელთა წარმოება-მოხმარების თარიღზე უფრო კონკრეტულად შეიძლება საუბარი. მაგალითად, მრავლად გვხვდება ვარდისფრად გამომწვარი, კარგად ნაპრიალები, მსხლისებრი ფორმის, სამტუჩა ან პირგადმოკეცილი ცალყურა დოქების ნაწილები. ზოგიერთი მათგანის ყელზე, მხარზე ან მუცელზე რამდენიმეკბილიანი ხელსანყოთი ამოღარული ყოფილა ტალღური, პარალელურსაზებიანი ორნამენტი (ტაბ. III: 3, 5-7). ამ ნიმუშებს მეტად ახლობელი პარალელები ეძებნებათ ურბნისის ნაქალაქარისა და ლოჭინის ნამოსახლარის ადრეული შუა საუკუნეების კერამიკიდან, რომელთაც

მკვლევარები IV-V ს-ით ათარიღებენ.<sup>103</sup> ანალოგიური ნაწარმი აღმოჩენილია ნაქალაქარ ჭერემის ციტადელზეც, რომელიც ასევეა დათარიღებული (აქ სპარსელთა ლაშქრობის შედეგად ცხოვრება 502 წელს არის შეწყვეტილი).<sup>104</sup> უნდა ითქვას, რომ ზუსტად ლოჭინისა და ურბნისულ-ჭერემული ფორმისა და შემკულობის დოქი (სრულად შემონახული; იმდენად მინიატურული, რომ, ალბათ, უტილიტარული კი არა, უფრო რიტუალური დანიშნულების უნდა იყოს) (ტაბ. III: 2), ჭაბუკაურის ბაზილიკის სამხრეთის პასტოფორიუმის იატაკზეც აღმოჩნდა. ამავე თარიღს უჭერს მხარს ამ ბაზილიკის ნაოსის იმავე პორიზონტზე მიკვლეული მოთეთრო-მონაცრისფრო მარმარილოს ჯამი, სპილენძის საწვნე (ტაბ. III: 1, 4) და თხელკედლიანი მინის ჭურჭლები (ტაბ. IV).

განსაკუთრებით საყურადღებოა ბაზილიკის ნაოსის და საკურთხევლის გათხრისას, იატაკის პორიზონტან ახლოს აღმოჩენილი ინტერიერის გასანათებელი ხელსაწყოების მრავალფეროვანი, მეტად საინტერესო კოლექცია. აქ მივაკვლიეთ საკმაოდ კარგად შემონახულ ბრინჯაოსა ლამპადებს და მინისგან დამზადებულ კანდელებს (დაზიანებულებს), რომლებიც მომხდარი დამანგრეველი კატასტროფისას ტაძრის ჭერში ან კედლებში ჩაჭედებულ სამაგრებზე ბრინჯაოს მხატვრული ძენკვებით ყოფილა ჩამოკიდებული.<sup>105</sup>

<sup>103.</sup> ჭილაშვილი, ლევან. 1964. გვ. 100, სურ. 44; აბრამიშვილი, როსტომ; ჭილაშვილი, ლევან. 1962. სურ. 3, 4; სინაურიძე, მანანა. 1966. გვ. 62.

<sup>104.</sup> მამაიაშვილი, ნანა. 2004. გვ. 134-135.

<sup>105.</sup> თავის მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკმაოდ ძვირფასი ინვენტარის ეკლესიის დანგრეული კონატრუქციების ქვეშ, იატაკზე მიმიჯურინლ ვითარებაში დაფიქსირება, საბოლოოდ უარყოფს ვერსიას ამ ტაძრის დროთა განმავლობაში ან მტრის შემოსევის შედეგად დანგრევის შესაძლებლობის თობაზე: ვერც მცირდები დაზიანებების გამო მიტოვებულ და ვერც მტრისგან გაჩინაგებულ-დანგრეულ



სურ. 29. ჭაბუკაურის ბაზილიკა.

სადგარიანი, დასაკიდი ზეთის ლამპარი.

ბრინჯაო

Fig. 29. Bronze oil lamp with support from Chabukauri Basilica



სურ. 30. ჭაბუკაურის ბაზილიკა.

ოთხპატრუქიანი და ექვსპატრუქიანი ზეთის ლამპრები. ბრინჯაო

Fig. 30. Six-wicked and four-wicked bronze oil lamps from Chabukauri Basilica

ჩია გამოშვერილი. ამ ბაქანზე მდგარა ბრინჯაოსვე ჭრაქი ზეთის ჩასასხმელი ცხაურიანი ხვრელით და საპატრუქე მილით. ჭრაქს აკანთისებრი ფორმის რელიეფური ზურგი აქვს. ჭრაქს თან ახლდა ორიგინალური, წნულების და რგოლების მონაცვლეობით შედგენილი ჯაჭვები, რომლებიც მაგრდება ღუზისებრი მოყვანილობის საკიდზე. ეს ნაკეთობა, ერთი მხრივ მეტად მჭიდრო სტილისტურ კავშირს ამჟღავნებს ჩვ. ნ. II-III სს-ის რომაული გამოყენებითი ხელოვნების ამავე დანიშნულების ნიმუშებთან, თუმცა, მას ასევე მეტად ახლობელი პარალელები ეძღვნება ჩვ. ნ. IV-V საუკუნეების რომაული და ბიზანტიური სამყაროს სხვადასხვა რეგიონის (მათ შორის სირიის) ლითონის მხატვრულ ნაკეთობებში.<sup>106</sup> ჩვენი შეფასებით, მართალია ამ აღნაგობის ლამპრების ზოგადი სტრუქტურა ძვ. ნ. II-I საუკუნეებიდან მოყოლებული ჩვ. ნ. VI-VII სს-მდე დიდად არ იცვლება, მაგრამ

ტაძარში, თავის დროზე ჭერსა და კედლებზე დაკავშირდებული, ესოდენ ფასეული ნივთები იატაკის ზედა-პირის დონეზე ვერ შემორჩებოდა.

<sup>106</sup>. Djuric, Srdjan. *The Anawati collection, Catalog 1: Ancient Lamps from the Mediterranean*. Toronto 1995. გვ. 56, 78, 84; Lofreda, Stanislau. *Light and Life: Ancient Christian Oil Lamps of Holy Land*. Jerusalem 2001. გვ. 101-134.

უნიკალურ აღმოჩენათა რიგს განეკუთვნება ნავების გამყოფი ჩრდილოეთის რიგის მე-4 და მე-5 სვეტებს შორის დადასტურებული ბრინჯაოს ჭრაქი (ლამპარი), რომლის მსგავსი, გამოყენებითი ხელოვნების იშვიათად დახვეწილი ნიმუში, გვიანანტიკურ და შუა საუკუნეების ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯერჯერობით არ დადასტურებულა (სურ. 29). ჭრაქი დგას ბრინჯაოსვე ბრტყელ, მართკუთხა ფუძეზე, რომლის ცალი, ვიწრო გვერდი აფსიდისებური შვერილითაა დასრულებული. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ფორმის დგარი სიმბოლურად ქრისტიანული ეკლესიის გეგმურ მოდელს გამოსახავს. ამ ფირფიტას მთელ პერიოდზე დაბალი, წრეების რიგით შედგენილი მოაჯირი აქვს შემოვლებული, ხოლო კუთხეებიდან ჯაჭვზე ჩამოსაკიდი ოთხი, ხვრელიანი მორ-

შესრულების მხატვრული სტილის და ოსტატობის მიხედვით, მათი დაჯგუფება სულ მცირე 3 ჯგუფად შეიძლება. კერძოდ: რომაულ ხანაში დამზადებული ასეთი ნივთების ფორმები ძლიერ დახვეწილია, პროპორციის კანონების გათვალისწინებითაა დამზადებული („ნელში გამოყვანილი“ ლულა, დეროდან ლილვზე რბილად შეუღლებული ფეხი და სხვ.). მათი შემამკობელი მცენარეული, ზოომორფული თუ ანთროპომორფული გამოსახულებანი პირდაპირ შეესატყვისება ანტიკური ხელოვნების რეალისტურ ხასიათს.<sup>107</sup>

IV-V საუკუნეებში დამზადებული ასეთივე სტრუქტურის ლამპრები თითქმის უნინდელივით დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა, მაგრამ მათი დეკორიდან გამქრალ ზოომორფულ და ანთროპომორფულ გამოსახულებებს, უფრო ხშირად ენაცვლება ქრისტიანული სიმბოლიკა (ზოგჯერ ჯვრის გამოსახულებაა ხოლმე ზურგის გაფორმებაში ჩაქსოვილი, ჩვენ შემთხვევაში კი სადგარის ფორმა ასახავს სიმბოლურად ეკლესიას).<sup>108</sup> მხოლოდ V-VI საუკუნის მიჯნიდან მოყოლებული ხდება ასეთივე აღნაგობის ლამპრების მხატვრული სტილი უფრო ხისტი, ზურგის შემამკობელი ორნამენტი კი სექტატური.<sup>109</sup> ბრინჯაოს ლამპრების შესრულების სტილის სწორედ ასეთ ქრონოლოგიურ გრადაციას ითვალისწინებენ ის საზღვარგარეთული მეცნიერები, რომლებიც ჭაბუკაურის ბაზილიკაში აღმოჩენილი ნიმუშის ზედმინევნით მსგავს ნაკეთობებს, ზუსტად IV საუკუნით ათარიღებენ.<sup>110</sup>

ასევე მხატვრულად უაღრესად დახვეწილი, ექვსლულიანი და ოთხლულიანი ბრინჯაოს ლამპრები (ჭაბუკი) აღმოჩნდა ბაზილიკის დარბაზის სვეტების სამხრეთის რიგთან და საკურთხევლის აღმოსავლეთ კედლის ძირში (სურ. 30). ლამპრები ზეთის ჩასასხმელის ირგვლივ განლაგებული რამდენიმე ლულით, გავრცელებული იყო რომაულ სამყაროში ჩვ. წ. I-III საუკუნეებში, IV საუკუნეში კი იშვიათადა გვხვდება. ამდენად, მათი დათარიღება ჩვ. წ. IV საუკუნეზე ან IV-V სს-თა მიჯნაზე უფრო გვიანი ხანით, ალბათ შეუძლებელია.<sup>111</sup>

ეკლესიის ინტერიერში მრავლად აღმოჩნდა მინისგან დამზადებული გასანათებელი საშუალებების ფრაგმენტებიც. სამწუხაროდ, ეს ნაკეთობები ყოველთვის მეტად ნაზია, ძლიერ თხელი კედლები აქვთ და მათი რესტავრაცია უაღრესად ძნელია. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა ზოგიერთი ეგზემპლარის ნაწილობ-

107. Mutz, Alfred. *Die Kunst des Metalldrehens bei den Römern*. Stuttgart, 1972. სურ. 393, 394, 408, 409.

108. Oren, Eliezer. A Christian Settlement at Ostrakine in North Sinai. *Ancient Churches Revealed*. Jerusalem, Israel Exploration Society, 1993. გვ. 311.

109. Land Des Baal. *Syrien-Forum der Völker und Kulturen*. Mainz am Rhein, von Zabern, 1984. გვ. 249.

110. Bank, Alisa. *Byzantine Art in the Collections of Soviet Museums*. Leningrad, 1985. სურ. 17; Банк, Алиса. Византийское искусство в собраниях Советского Союза. Москва-Ленинград, 1966. ტაბ. 3; Mutz, Alfred. 1972. გვ. 145, სურ. 412-413.

111. Mutz, Alfred. 1972. გვ. 141.

რიცი აღდგენა და მათი ფორმის შესახებ ზოგადი შთაბეჭდილების შექმნა. ასეთი ნაწარმისთვის დამახასიათებელი ყოფილა ტალლურ-რელიეფიანი ტანი და გადმოკეცილი პირი. ისინი გარეგნულად გვანან სასმისებს, და რომ არა პირზე შემორჩენილი, ჩამოსაკიდად გამიზნული მომცრო ყურები, მათი ფუნქცია სათუო გახდებოდა (ტაბ. IV: 2-4).

ბაზილიკის იატაკზე მიკვლეულ, მიწისძვრისგან ჩამარხულ გასანათებელი ხელსაწყოების აღწერას მხოლოდ იმას დაგამატებთ, რომ დაფიქსირებული არქეოლოგიური სურათის მიხედვით, როგორც ჩანს, ხელოვნური განათების წყაროები უფრო ტაძრის შუა ნავში იყო კონცენტრირებული, განსაკუთრებით ძლიერი შუქით კი საკურთხეველი იქნებოდა მოფენილი, რომლის ცენტრშიც ოთხპატრუქიანი ლამპარი (ჭალი) ენთო.

## ბაზილიკის ნაშთებზე მინაშენი ტაძარი

ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკის დანგრევიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მის შედარებით უკეთესად გადარჩენილ ჩრდილოეთის კედელზე ახალი, უფრო მცირე ზომის ეკლესია მიუშენებიათ (სიგრძე 21.60 მ, სიგანე 10.20 მ) (სურ. 17, 20, 31). მის ძირითად სათავსში მოხვედრა ძველი ბაზილიკის ჩრდილოეთ კედელში დატანებული კარითა შესაძლებელი (სურ. 32). როგორც ჩანს, ამ ახალი ეკლესიის მშენებლობის მესვეურებს აღარ გააჩნდათ იმდენად მძლავრი მატერიალური რესურსი (ან, იქნებ, მოტივაციაც?), რომ აღნიშნული, გრანდიოზული ბაზილიკა ნანგრევებისგან სრულად გაენთავისუფლებინათ, მისი დეფორმირებული საყრდენი კონსტრუქციების დიდი ნაწილიც დაერღვიათ და ტაძარი პრაქტიკულად თავიდან აეშენებინათ. ამას ამჯობინეს, დანგრეული ბაზილიკის გარკვეულ სიმაღლემდე გადარჩენილი ჩრდილოეთის კედელი და მისი მიმდებარე გვერდითი ნავის ნაწილი პასტოფორიუმითურთ, რესტავრაციის შემდეგ ხელმეორედაც გამოეყენებინათ, დანარჩენი კონსტრუქციები კი ბაზილიკის ნაშალი სამშენებლო ქვით თავიდან ამოეყვანათ. ამ ვარაუდის მტკიცებულებანი სახეზეა: ძველი ნაგებობის ნაშთზე, ახალი კედლები სამშენებლო „ბმების“ გარეშეა მიღგმული; ახალი კონსტრუქციების საძირკვლები დიდი ბაზილიკის იატაკზე მნიშვნელოვნად მაღლაა მოწყობილი და ხშირად ძველი ტაძრის ნანგრევებზეცაა გადატარებული; ესეც არ იყოს, ახალი ეკლესიის თითოეულ კედელში, იატაკიდან დაწყებული სხვადასხვა ჰირიზონტზე, სრულიად შეუსაბამო ადგილებში უხვადაა ჩატანებული შირიმისგან ნათალი თაღებისა თუ სხვა მარკირებული დეტალების ფრაგმენტები, რომლებიც აშკარად მეორადადა გამოყენებული – ისინი, ცხადია, ბაზილიკის ნანგრევებიდანაა ნამოკრეფილი.



სურ. 31. ჭაბუკაურის ბაზილიკაზე ჩრდილოეთიდან მინაშენი ეკლესია. ხედი მოსავლეთისკენ  
Fig. 31. Adjoining church to the northern wall of Chabukauri Basilica. View to the east

ახალი, შედარებით მოკრძალებული ზომის ეკლესია, ძველი ბაზილიკისგან საკ-  
მაოდ მდარე სამშენებლო ხერხებითაც გამოირჩევა: ნაგებია მნიშვნელოვნად სუსტ  
კირხსნარზე; ქვის წყობები გაცილებით არათანაბარია, ამასთან, ზოგიერთ ად-  
გილებში გვხვდება რიყის თხელი ქვების „თევზიფხური“ წყობა (სწორედ ისეთი,  
როგორიც ბაზილიკის დასავლეთ კედელზე მოგვიანებით, უსწოროდ მინაშენ კა-  
რიბჭეში დავაფიქსირეთ). ამ ტაძრის გეგმურ-სივრცული გადაწყვეტა ფუნქციონი-  
რების საბოლოო ეტაპზე ასე გამოიყურებოდა:

სამხრეთის კარით, ძველი ბაზილიკის ნანგრევებში გაყვანილი დერეფნის გავ-  
ლით შედიოდნენ ამ ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ნანგრევი ფენისგან  
განმენდის და რესტავრაცია-ადაპტაციის შედეგად შექმნილ, ახალი ეკლესიის სტრა-  
ში, რომელსაც ძირითადი სივრციდან კარიანი კედლით გამოყოფილი დამატებითი,  
მართვული გეგმის სათავსი გააჩნდა (ძველი ბაზილიკის განახლებული ჩრდილოეთ  
პასტოფორმუმი). აქედან, ჩრდილოეთის კარით (ძველი ბაზილიკის ჩრდილოეთი-  
დან შესასვლელით) ხვდებოდნენ დაახლოებით 12 მ სიგრძისა 6 მ-მდე სიგანის ძი-  
რითად დარბაზში, რომელსაც სამზრეთ-აღმოსავლეთით მცველი ნალისებრი გეგ-  
მის საკურთხევლის აფსიდი და 0.45 მ-ზე შემაღლებული ამბიონი გააჩნდა, სადაც  
ცენტრალური ღერძის გაყოლებაზე შექრილი 3 საფეხურიანი კიბით ადიოდნენ.  
აფსიდს გარშემო შემოუყვებოდა ერთსაფეხურიანი სინთრონონი, რომლის ცენ-  
ტრში მღვდელმთავრისთვის სავარძელი იყო მოწყობილი დამატებითი საფეხურე-

ბითა და ქვის ვერტიკალური  
მკლავების დასაყრდენებით,  
(სურ. 31). საკურთხეველში  
მოწყობილი, ასე კარგად შე-  
მონახული მაღალდასაჯდო-  
მელი ტაზტი, საქართველოს  
ტერიტორიაზე არქეოლოგიუ-  
რი კვლევის შედეგად გამოვ-  
ლენილ ეკლესიებში, მანამდე  
არ დადასტურებულა. სამა-  
გიეროდ, მსგავსი მოწყობი-  
ლობები მრავლად გვხვდება  
გვიანი ანტიკური ხანის რო-  
მაული ქრისტიანული სამყა-  
როს როგორც დასავლეთ, ისე  
აღმოსავლეთ პროვინციების  
და, ზოგადად, ბიზანტიის იმ-  
პერიის არაერთი რეგიონის  
ხუროთმოძღვრულად თუ არ-  
ქეოლოგიურად შესწავლილ  
ტაძრებში, ძირითადად ბაზი-  
ლიკებში. მაგალითად, ასეთი  
სინთრონონების მოწყობის წესი გავრცელებული ყოფილა სირია-პალესტინის რე-  
გიონის IV-VIII სს-ის ეკლესიებშიც. სპეციალისტების აზრით, ასეთი მაღალდასაჯ-  
დომლები უმთავრესად მაღალი რანგის სასულიერო მოღვაწეთა (ეპისკოპოსების,  
არქიმანდრიტების და ა.შ.) დასაბრძანებლად გამოიყენებოდა.<sup>112</sup>



სურ. 32. ირანის შაჰის, ჰორმიზდ IV-ის და ბიზანტიის იმპერატორ ფლავიუს ფოკას მონეტები ჩრდილოეთის მინაშენი ეკლესიებში

Fig. 32. Coins of Hormizd IV and Emperor Flavius Phocas from the northern church

ცენტრალური დარბაზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის კარით ვხვდებით ვიწ-  
რო, წაგრძელებულ სტოაში, რომლის აღმოსავლეთის, აფსიდიანი ნაწილი კარიანი  
კედლითაა გამოყოფილი დანარჩენი სივრციდან. ამ კარიბჭეში გარედან მოხვედრა  
ცენტრალური დარბაზის შესასვლელის მოპირდაპირე კარიდანაც შეიძლებოდა.  
ამ სტოაში ცენტრალური დარბაზიდან გამოსასვლელი კარის მახლობლად, მარ-  
ჯვნივ, მართულთხა ფორმის შირიმის ქვის მოზრდილი ბლოკი დგას, რომელშიც  
სწორკუთხა ავზია ამოკვეთილი. ეს მოწყობილობა, უთუოდ სანათლავ ემბაზს წარ-  
მოადგენდა. სტოას ჩრდილოეთ ნაწილს ჩამოსაჯდომი ხარისხი შემოუყვებოდა.

<sup>112.</sup> Lassus, Jean. *Sanctuaires chrétiens de Syrie, Essai sur la genèse, la forme et l'usage liturgique des édifices du culte chrétien, en Syrie, du III e siècle à la conquête musulmane*. Paris, 1947. გვ. 115-121.

ეკლესიის დასავლეთით ნართექსია მოწყობილი, რომლის გავლითაც ძირითად დარბაზს კიდევ ერთი, დამოუკიდებელი შესასვლელი ჰქონდა. ეს კარიბჭე ცალი მხრივ ბაზილიკის ძველ კედელს ებჯინება, ხოლო მოპირდაპირე გვერდით კი ჩრდილოეთის სტოას, რომელსაც გასასვლელი კარით უკავშირდებოდა.

როგორც ვხედავთ, მთლიანობაში, ჭაბუკაურის ბაზილიკის ნანგრევზე მოწყობილი №2 ეკლესია პრაქტიკულად იმეორებს (დასავლეთის კუთხეში „შეჭრილ“, ძველი ბაზილიკის ძნელად ასათვისებელ ფართს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი კახეთ-ჰერეთის რეგიონებში ფრიად გავრცელებულ, გამარტივებულ, სვეტების მწკრივების ნაცვლად, ნავებად კედლებით დანაწევრებულ, ე.ნ. სამეკლესიიან ბაზილიკათა ზოგად გეგმარებით სქემას.<sup>113</sup> მართლაც, ამ შემთხვევაში, სამეკლესიიანი ბაზილიკის ცენტრალური დარბაზის როლს ახალი ეკლესიის დიდ ბაზილიკაზე ჩრდილოეთიდან მიშენებული მთავარი ნავი ასრულებდა, ჩრდილოეთისას – აღნიშნული სტოა, ხოლო სამხრეთისას – მიწისძვრისგან შედარებით უკეთესად გადარჩენილი, ნანგრევებისგან გასუფთავებული და სვეტთაშორის სივრცეების ამოშენებით მიღებული, დიდი ბაზილიკის ჩრდილოეთის ნავის აღმოსავლეთის ნაწილი, პასტოფორიუმითურთ. გარდა ამისა, ახალ ეკლესიას VI ს-ის კახურ სამეკლესიიან ბაზილიკებთან ანათესავებს ცენტრალური და ჩრდილოეთის ნავების გაყოლებაზე მიშენებული ნართექსიც.

ამ მეორე ფაზის ეკლესიის ფუნქციონირების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი, ნივთიერი მონაპოვრით კარგად შემოიფარგლა: ნაგებობის წყობიდან გამოსვლის დროინდელ ფენაში, გარდა VI საუკუნისათვის დამახასიათებელ კერამიკულ ნაკეთობათა რამდენიმე ფრაგმენტისა, იატაკის ჰორიზონტზე აღმოჩნდა ვერცხლის ორი მონეტა – ერთი სპარსული, შაჳ ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ) (სურ. 32: 2) და მეორე ბიზანტიური, იმპერატორ ფლავიუს ფოკას (602-610 წწ) სახელით მოჭრილი (სურ. 32: 1).<sup>114</sup> მონეტები შესაძლოა, ეკლესიის დარბევის დროსაა შემთხვევით დავარდნილი იატაკზე – ამ მინაშენის დესტრუქცია, გათხრისას დაფიქსირებული სტრატიგრაფიიდან გამომდინარე, მიწისძვრას აღარ უნდა უკავშირდებოდეს. ამ ფაქტების გათვალისწინებით, ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკის ნანგრევებზე, მისივე სამშენებლო მასალის მეორადად გამოყენებით აღმართულმა ამ მცირე ტაძარმაც კი, როგორც ჩანს, საბოლოოდ VII საუკუნის მეორე ნახევარში შეწყვიტა ფუნქციონირება.

<sup>113.</sup> ტბილიშვილი, გიორგი. 1959. გვ. 141-200; Loosley, Emma. *Architecture and Asceticism: Cultural Interaction between Syria and Georgia in Late Antiquity*. BRILL, Leiden, Boston, 2018. გვ. 115-121.

<sup>114.</sup> Curtis, Vesta S.; Askari, Elahe; Pendleton, Elizabeth. *Sasanian Coins: A Sylloge of the Sasanian Coins in the National Museum of Iran (Muzeh Mellî Iran), Tehran. Volume 1*. London, 2010. გვ. 94; Wroth, Warwick. *Catalogue of the Imperial Byzantine Coins in the British Museum. Vol. 1*. London, 1908. გვ. 168; აბრამიშვილი, თამარ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბილისი, 1989. გვ. 82.

ვფიქრობთ, №2 ეკლესია პირველი ბაზილიკის მიწისძვრის შედეგად წყობიდან გამოსვლის შემდეგ დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ უნდა აეგოთ, სავარაუდოდ V საუკუნის ბოლოს, უფრო V-VI სს-თა მიჯნაზე.<sup>115</sup> ის დიდი, საკათედრო ტაძრის სანაცვლო, ოღონდ გაცილებით მოკრძალებული დანიშნულების ეკლესის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაძლოა, ეს ეკლესია უკვე ქალაქის ამ კონკრეტული უბნის მრევლს ემსახურებოდა. ასეთ ვარაუდს ის გარემობაც ამყარებს, რომ, როგორც შემდგომ თავში ვნახავთ, იმხანად, გარკვეული მოსაზრებით, მთავარი, საკათედრო ტაძარისთვის უფრო შესაფერ ადგილად ქალაქის სხვა – დურუჯისპირა უბანი მიუჩინევიათ და იქაც IV საუკუნის, ასევე დანგრეული (იმავე მიწისძვრის შედეგად ხომ არა?), ჭაბუკაურის ბაზილიკაზე ოდნავ მომცრო ზომის, სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ტაძრის ნაცვლად, ზედ მის ნაშთებზე ქალაქის ყველა ადრინდელ ეკლესიაზე ბევრად დიდებული სამნავიანი ბაზილიკა აუგიათ.

## სავარაუდო, გაზილიკის მშენებლობის ხანის ნარჩერა

ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკის მშენებლობის სავარაუდო ხანაზე საუბრისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მისი გათხრისას აღმოჩენილ კიდევ ერთ, დიდად დამაფიქრებელ დოკუმენტს – ფიქალის ქვის ბრტყელ ფილაზე გაკრული ხელით შესრულებულ ნაკანრ წარწერას. ის აღმოჩნდა ბაზილიკის დარბაზის ნავებად დამყოფი სვეტების სამხრეთის რიგის, დასავლეთიდან პირველ, მიწისძვრისგან გადანატეს ქვითკირის სვეტში, დაახლოებით 1.5 სიმაღლეზე, მორყეულ მდგომარეობაში. ზედ კირხსნარის ნაშთები ჰქონდა შემორჩენილი და, ლოგიკურად, თითქოს სვეტის აგების დროს უნდა იყოს ჩატანებული – საფიქრებელია, რომ საკრალური მიზნით. ფიქალის ზომებია: სიგრძე – 24 სმ; სიგანე – 12 სმ (სურ. 33).

ეს ქართული, ასომთავრული წარწერა შესრულებულია არცთუ ღრმა ამოკანვრით, ბასრწვერიანი იარაღით. სულ რვა სტრიქონია შევსებული. ასოები ოდნავ მარჯვნივაა გადაწვენილი. წარწერა ცუდად არის შემონახული – ასოები გადაშლილია, ანდა მკრთალია, რაც აძნელებს წაკითხვას. წარწერის შინაარსი აკადემიკოსებმა, ლევან ჭილაშვილმა და ზაზა ალექსიძემ ასე გაშიფრეს (სტრიქონების მიხედვით):

<sup>115</sup>. როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ჩვენ მიერ აღმოსავლეთ საქართველოში ე. წ. „სამეკლესიიანი“ ბაზილიკის ტიპის ეკლესიების მშენებლობის უტყუარი ნიშნები, ასეთი გეგმარების პრინციპების შემუშავებისთვის ტრადიციულად მიჩნეულ ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრამდე - VI ს-ზე (Чубинашвили, Гиорги. 1959. გვ. 198-200) გაცლებით ადრეულ ხანებში, V ს-სა და IV ს-შიც კი დადასტურდა (Bakhtadze, Nodar; Mamiashvili, Vazha... 2018. გვ. 89-92).


1. როი სატანანი ქრისტეფორე  
და სალალრიბ
2. დო სალოსტმარიანებო... ას-  
მე... რ
3. კოზმა კვირიაკოზ ეზეკიელ...
4. მოხატა ფა იმის...

წარწერის დანარჩენი ნაწილი ვერ იშიფრება. წარწერის ნაშთია შემორჩენილი ფიქლის ზურგის სიბრტყეზეც, შესრულებული ოთხ სტრიქონად, განსხვავებული ხელით. შინაარსი, სამნუხაროდ, სრულიად ვერ იშიფრება.

წარწერაში ქარაგმები არ ჩანს, მხოლოდ ვერტიკალური ხაზებია ჩამოსმული გარკვეული ინტერვალის შემდეგ. ასო-ნიშნების გრაფიკულ სახეში თითქმის არ ჩანს სიახლე, თუ არ ჩავთვლით „ონ“-ს მეტად თავისებურ გამოსახულებას, რომელიც არავითარ მსგავსებას არ ამჟღავნებს არც ადრეულ და არც შემდგომი პერიოდის ანალოგიურ ნიშნებთან.

წარწერა საკმაოდ განაფული ხელით არის შესრულებული. აშკარაა, რომ მისი ავტორისთვის ქართული ანბანი ახალი ფენომენი არ არის: ქართული დამწერლობის შექმნიდან ასო-ნიშნების შესრულების მანერის ამგვარად დახვეწამდე, საკმაო გზა ჩანს განვლილი. წარწერა რომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული მოქალაქეების მიერაა შესრულებული, ამაზე თვით წარწერაში მოხსენიებული ქრისტიანული სახელებიც (სავარაუდო წმინდანების) მოწმობს და ის გარემოებაც, რომ ფილა აღნიშნული ბაზილიკის განათხარ ფართობზეა მოპოვებული.

აკადემიკოს ლ. ჭილაშვილს ამ წარწერის შექმნისა და ტაძრის კონსტრუქციებში მისი მოხვედრის სავარაუდო ვითარების შესახებ, თავისებური აზრი გააჩნდა. იგი ფიქრობდა, რომ ეს წარწერიანი ქვა ტაძრის მშენებლობისას იქნა ჩატანებული სვეტში საიდუმლოდ, ადგილობრივი, ჯერ კიდევ წარმართი მშენებლების მიერ და მისი წარწერის შინაარსი იქ მოხსენებული ქრისტიანების წყევლას მოიცავდა (მისი წაკითხვით, წმინდანები „სატანებად“ არიან მოხსენიებული). შესაბამისად, ამ ვერ-



სურ. 33. ფიქალის ფილა ქართული ასომთავრული წარწერით, ჭაბუკაურის ბაზილიკიდან

Fig. 33. Stone slab with Georgian inscriptions from Chabukauri Basilica

სიით, აღმოჩენის საგარაუდო ვითარების გათვალისწინებით, წარწერა გამოჩენის და წაკითხვის მიზნით არ ყოფილა ჩადებული სვეტში – ბაზილიკაც და ახლად შემოლებულ ქრისტიანობაც აღნიშნული „ჯადოქრული“ წარწერით შეაჩვენეს.<sup>116</sup> ამდენად, ლ. ჭილაშვილი თვლიდა, რომ ეს წარწერა შესრულებული იყო ეკლესის მშენებლობის პერიოდში, რომელიც განისაზღვრებოდა იბერიის მეფე თრდატის ზეობის წლებით – IV ს-ის მეორე ნახევრით. ჩვენ, ამ წარწერის საგარაუდო შინაარსის და დანიშნულების შესახებ გამოთქმული დასკვნის ცალსახად, უკრიტიკოდ გაზიარებას არ ვჩეკარობთ.<sup>117</sup> მეორე მხრივ, ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენი ეჭვი ამ წარწერის IV საუკუნის მერე ნახევარში შესრულების შეუძლებლობით, ანუ იმ მიზეზით სრულიადაც არ არის გამოწვეული, რომ ქართული ასომთავრული ანბანის მაინცდამანც V საუკუნის მერე წარმოშობის ვერსიას ვემხრობით. პირიქით, ჩვენი აზრით, ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნის ხანაზე მსჯელობისას, უთურდ ანგარიშგასაწევია შემდეგი გარემოება: როგორც წაშრომის შესავალშივე აღვნიშნეთ, წაქალაქარ ნეკენის აქედან რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებულ წაგებების უბანზე, 1999-2003 წლებში ჩატარებული გათხრების დროს, ჩვენ მიერ აღმოჩენილია IV-V საუკუნის ნაგებობაში (მარანში) უნესრიგოდ ჩაშენებული, აშკარად მეორადად გამოყენებული, სწორედ რომ ასომთავრული წარწერიანი ექვსი საფლავის ქვა; მათზე ამოკანვრით გამოყვანილი ეპიტაფიების შინაარსის გათვალისწინებით და, დიდი აღბათობით, ამ საფლავის ქვების უშუალოდ მარნის ქვეშ მიკვლეული წარმართული ხანის სამაროვნიდან მომდინარეობის გამო, ისინი წინაქრისტიანულ ხანას უნდა განეკუთვნებოდნენ.<sup>118</sup>

<sup>116.</sup> ჭილაშვილი, ლევან. 2004. გვ. 47-50.

<sup>117.</sup> საქმე ისაა, რომ უდავოდ ჩვენი გათხრების დროს გამოვლენილ ფილას, არქეოლოგიური გათხრების დროს დაქირავებულმა პრეპარატორისა (ადგილობრივმა მცხოვრებმა) მიაკვლია: მისი სიტყვებით, ის გადაწყლილი სვეტს „ბლოკის“ გადანატეხს სისტრუმენტან ამოილო, მორყეულ მდგომარეობაში (ანუ, *in situ* მდებარეობას, პირადად ჩვენ ვერ ვადასტურებთ). თუ აღმოჩენის ვერსიას უკრიტიკოდ მივიღებთ, ცხადია, ის მშენებლობისას დუღაბის ფენაში უნდა ყოფილიყო ჩაყოლებული.

<sup>118.</sup> არც ერთ, პალეოგრაფიულად ურთიერთმსგავსად შესრულებულ ამ ეპიტაფიაში, არ დასტურდება რა იმე სახის ქრისტიანულ სიმბოლიკა ან უფლისადმი ცხონება-შემწეობის ვედრება, რაც, ჩვენი გამოცდლებით, პრატკიკულად თავისთავად გამორიცხავს ამ მიცვალებულთა ქრისტიანული საფლავადყებისადმი კუთხისალებას. შესაბამისად, შემორიცხულ ქვები ან ქალაქ ნეკენებში IV-V საუკუნეებში კომპატიურად მცხოვრები წარმართო, თუმცა ეთიურულ დართველი მოსახლეობის საფლავებზე იყო აღმართული ქართლის სამეფოსა და, დაახლოებით იმავდროულადვე, ქალაქ ნეკენის მოსახლეობის ქრისტიანზარდამდე. როგორც ჩვენი, ამ ნაძრიშში წარმოდგენილი კვლევებითაც დასტურდება, ქალაქ ნეკენის მოსახლეობა IV საუკუნებს შეუძლებელია მოყოლებული მიანც, და მით უმეტეს IV-V საუკუნეთა მიჯნისთვის, მეტად მყრად ჩანს მოცეცული ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ისინა კარგად ორგანიზებული ეპარქიის სამწყსოს შეადგენენ. ამდენად, ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ ქალაქის ცენტრალურ უბანშივე, ქრისტიანული საკათედრო ტაძრების მახლობლად, ასე „გამომწვევად“ მოეწყოთ წარმართული ქართული თემის სამრიცვანი (ცენტრში – წარმართული ტაძრით!). ამრიგად, გაცილებით დიდია აღბათობა იმისა, რომ ეს ეპიტაფიებანი საფლავის ქვები უშუალოდ ამ მარნის ქვეშ, მის აგებამდე – IV-V საუკუნეებამდე განლაგებული, წარმართისტიანულ მოსახლეობის საფლავებიდან იყოს წამოკრეფილი და გამოყენებული საშენ მასალად (ჭილაშვილი, ლევან. 2004. გვ. 13-28).

## ქაზილიკის ცყობილან გამოსვლის სავარაუდო თარიღი

ჭაბუკაურის ბაზილიკის იატაკზე, ნანგრევების ქვეშ მიმოფანტული, აღნიშნული ნივთერი მასალის დამზადებისა და მოხმარების საგარაუდო ხანა გვაფიქრებინებს, რომ დაახლოებით IV საუკუნის მეორე ნახევარში აგებული ეს ტაძარი, ყველაზე გვიან, V საუკუნის შუა ხანებამდე მაინც უნდა დანგრულიყო მიწისძვრის შედეგად.

თუმცა, ამ კომპლექსის ხუროთმოძღვრული ანალიზის და დაფიქსირებული არქეოლოგიური სურათის საფუძველზე, თუნდაც მხოლოდ თეორიულად, ვერ გა-მოვრიცხავდით მოვლენათა ასეთ „ელვისებურ“ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობა-საც: ხომ შეიძლებოდა, იბერიის ამ სამეფო ქალაქში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებისთანავე (IV საუკუნის დაახლოებით 20-იანი წლები) გაუქმე-ბული წარმართული ტაძარი მხოლოდ V საუკუნის პირველ ან მეორე ნახევარში დაენგრიათ და ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკაც ნანგრევებზე იმ დროს დაედგათ; თანაც, მასში მხოლოდ დანამდვილებით III-V საუკუნეებისთვის ტიპიური, იმპორ-ტული, ადრე უკვე გამოყენებული (თუმცა, სრულიად დაუზიანებელი) სანათუ-რებიც შეეტანათ და დაეკიდათ; შემდეგ, ეს ბაზილიკა სულ ცოტა ხნის შემდეგ მიწისძვრისგან დანგრეულიყო და შემორჩენილ ერთადერთ კედელზე მისი შემ-ცვლელი, მცირე ეკლესია ძალზე სწრაფად მიეშენებინათ... ამ პრაქტიკულად ნაკ-ლებად შესაძლებელ, მაგრამ თეორიულად დასაშვებ ვერსიას, პრინციპულად ვერ შეენინააღმდეგებოდა ვერც იქ დაფიქსირებული ნივთიერი მასალის ადრეული წარმოშობა (საყოფაცხოვრებო ნივთებსაც ხომ აქვთ განსაზღვრული მოხმარე-ბისთვის რადენიმე ათწლეული, და, ხანდახან საუკუნეც კი...) და ვერც ეკლესიის ზოგადად IV-V საუკუნეების რომაულ-სირიული ქრისტიანული სამყაროსთვის და-მახსასიათებელი ხუროთმოძღვრული აღნაგობა. სწორედ ამიტომ, ანგარიში უნდა გავუნიოთ შემდეგ „ირიბ“ არგუმენტებსაც:

ა) როგორც ცნობილია, V ს-ის ბოლოს სპარსელი დამპყრობლები ჰერეთის გზით შემოიჭრნენ კახეთში, აიღეს ქალაქები: ხორნაბუჯი, ველისციხე, ჭერემი და მიადგნენ უჯარმას.<sup>119</sup> ჭერემის გზაზე ისინი უმნიშვნელოვანეს ქალაქ ნეკ-რესს ზურგს უკან არ მოიტოვებდნენ და მართლაც, ნაქალაქარზე ჩვენ მიერ გათხრილ ამ ეპოქის მრავალ ნაგებობაზე კარგად შეიმჩნევა ამ დარბევის კვალი, მძლავრი ნახანძრალი.<sup>120</sup> ჭაბუკაურში, არც დიდ ბაზილიკაში და არც მასზე მი-

<sup>119</sup>. მუსხელიშვილი, დავით. 2003. გვ. 185.

<sup>120</sup>. მაგალითად, ამავე ქალაქში, ჭაბუკაურის უშუალო მეზობლად, დაახლოებით 1 კმ-ით დაშორებით მდებარე „საეირეების“ ნასასახლარზე დადასტურებული ეს ფენა, ივ. ჯავახეშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაბჭირბეგის იზოტოპების ლაბორატორიის მიერ V ს-ის ბოლო პერიოდ-ითა დათარიღებული (ჭილაშვილი, ლევან, 2004. გვ. 14, 15).

შენებულ ეკლესიაში, ასეთი დარბევის კვალი სრულიად არ შეინიშნება: იატაკზე, კედლების ნაშთებსა და ნანგრევებში მოყოლილ არტეფაქტებზე ცეცხლის კვალის არ არსებობამ, კონსტრუქციების ცალ მხარეს გადაწოლის სურათმა და მათ ქვეშ ხელუხლებლად შემორჩენილმა ძვირფასმა ნივთებმა დაგვარწმუნა, რომ მათ დანგრევაში მტრის ხელი არ ურევია. როგორც ჩანს, ბაზილიკა ამ დროს მიწისძვრისგან უკვე ნანგრევებად იყო ქცეული, ახალი ეკლესია კი ჯერ არ იყო მის ნაშთებზე მიშენებული.

ბ) ჭაბუკაურის ბაზილიკის გათხრისას აღმოჩენილ კრამიტისა და ანტეფიქსების უამრავ ნიმუშს, გარდა იმისა, რომ სრულიად არ ემჩნევათ ხანძრის კვალი, ერთი საერთო ნიშანიც ახასიათებს: ყოველი მათგანი მეტად საღად, ახლად დამზადებულივით გამოიყურება. სხვა ტაძრებში, თუნდაც შემდგომ ამავე ნაქალაქარზე არქეოლოგიურად აღმოჩენილ „დოლოჭოპის“ ბაზილიკის გადახურვის კერამიკას (იხ. ქვემოთ), საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, მეტეოროლოგიური ზემოქმედების მკაფიო ნიშნები ატყვას ხოლმე – ისინი თითქოს გაცვეთილიცაა, შედებვა-მოხატვის ფენა კი სანახევროდ გადაცლილია. მიწაში საუკუნეების განმავლობაში შენახვა რომ კერამიკულ ნაკეთობების ფიზიკურ დაზიანებას თითქმის არ იწვევს, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ ჭაბუკაურის ანტეფიქსებზე, მიწისქვეშ ყოფნას არც მოხატულობა დაუზიანებია. ამდენად, ვფიქრობთ, კრამიტებისა და ანტეფიქსების ასეთი კარგი მდგომარეობა იმ ვარაუდის დამადასტურებელი კიდევ ერთი არგუმენტია, რომ ჭაბუკაურის ბაზილიკა დიდხანს არ ასრულებდა თავის დანიშნულებას – ის, შესაძლოა, აგებიდან მაღვე, სულ რაღაც 2-3 ათეული წლის, ან ნაკლები დროის გავლის შემდეგაც კი, დაინგრა. ამდენად, ტაძარს, რომელიც IV ს-ში დამზადებული გამანათებელი ხელსაწყოებით იყო აღჭურვილი, შესაძლოა ნახევარი საუკუნეც კი არ ემოქმედა.

გ) ტაძრის ფუნქციონირების ჩვენეული ქრონოლოგიური ჩარჩოების მართებულობაში დასარწმუნებლად, ბუნებრივია, უნდა ვეძიოთ იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ დაახლოებით V საუკუნის პირველ ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოში, კონკრეტულად ამ რეგიონში თუ არა, მის მახლობლად მაინც, მართლაც მოხდა მძლავრი მიწისძვრა, რომლის ბიძგებმა საგულდაგულოდ ნაგები, გრანდიოზული ქვითვირის კონსტრუქციები ერთპარამად „გადაანვინა“ ერთსა და იმავე მხარეს. ისეთ განსაკუთრებულ სტილიურ კატასტროფებს, როგორიც დამანგრევებლი ძალის მიწისძვრებია, მთელი მსოფლიოს ისტორიული ცივილიზაციათა წიაღში აღწერდნენ ხოლმე იმუამინდელი მემატიანები თუ სხვა ხასიათის ამბავთა მთხობელები. სწორედ ასეთი წერილობითი წყაროებისა და მიწისძვრით დაზიანებულ ნაგებობათა მატერიალურ ნაშთების კვლევის შედეგების (მყარად დათარიღებული ისტორიული ძეგლების არქეოლოგიური, არქიტექტურული და

ნაგებობათა დეფორმაცია-დესტრუქციების სეისმიური თვალსაზრისით შესწავლა ურთიერთშედარების საფუძველზე, შესაბამისი პროფილის მეცნიერთა მიერ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია შედგენილი ისტორიულ მინისტრათა ქრონოლოგიური კადასტრები და ატლასები. ერთ-ერთი ასეთი აკადემიური საკადასტრო კორპუსი ჩვენთვის ამჟამად საყურადღებო ცნობებსაც მოიცავს. მასში, აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონში, V საუკუნის მხოლოდ ორი დამანგრეველი სიმძლავრის მინისტრა დაფიქსირებული – 427 და 453 წლებისა. 453 წლის 7 ბალიან მინისტრას, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ეპიცენტრით, სპეციალისტების აზრით, დიდად ვერ უნდა ევნო ნეკრესის ბაზილიკისთვის. ეს ნგრევა, გაცილებით დიდი ალბათობით, შეეძლო გამოეწვია საზღვარგარეთელი სეისმოლოგების მიერ 427 წლით განსაზღვრულ ძლიერ მინისტრას, რომლის ეპიცენტრიც თანამედროვე აზერბაიჯანში, ქალაქ განჯასთან მდებარეობდა (ანუ, თანამედროვე ყვარლის მუნიციპალიტეტიდან საკმაოდ ახლოს), და, რომლის სიმძლავრეც ეპიცენტრში, თითქოს 9 მაგნიტუდასაც კი აღწევდა.<sup>121</sup>

აღმოსავლეთ საქართველოში V საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარი დამანგრეველი მინისტრის შესახებ ცნობები ზოგიერთმა ქართულმა და საზღვარგარეთულმა ლიტერატურულმა წყარომაც შემოგვინახა. ადრექრისტიანული ხანის ცნობილი თეოლოგისა და ფილოსოფოსის, მაიუმის ეპისკოპოსის, იბერიის სამეფო ოჯახის წევრის, პეტრე იბერის ცხოვრების სირიულ ვერსიაში გვხვდება ცნობა მის ყმანვილკაცობაში აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი მინისტრის შესახებ, რომელსაც სერიოზული ნგრევა გამოუწვევია.<sup>122</sup> პეტრე იბერის მეტ-ნაკლებად დაზუსტებული ბიოგრაფიის ეპიზოდებზე დაყრდნობით მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 411/17-423/29 წლებში. აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით იმავე დროს მომხდარ ძლიერ მინისტრაზე მინიშნებას შეიცავს სხვა ნერილობითი წყაროც: „მოქცევა ქართლისად“ ცნობით, V საუკუნის 20-იან წლებში, არჩილ მეფის (422-432) და იოანე მთავარეპისკოპოსის დროს ქალაქ მცხეთაში დაინგრა, ანუ „დაეცა ქუემო ეკლესია“, რაც, სავარაუდოდ, მინისტრამ გამოიწვია. სწორედ ამ ადგილზე ააგო მოგვიანებით ვახტანგ გორგასალმა ახალი ეკლესია.<sup>123</sup>

121. Атлас сильных землетрясений СССР до 1975 года. Москва, 1977. გვ. 69-94.

122. პეტრე იბერის ცხოვრების ასურული რედაქცია. გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომეტარები და საძიებლები დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბილისი, 1988. გვ. 86. ცნობის მოძიებაში დაგვეხმარა დარეჯან კლდიაშვილის ხელნაბეჭდი ნაშრომი „მინისტრები ძველ საქართველოში“ შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში 2019 წელს.

123. მოქცევა ქართლისა. ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი, 2007. ცნობის მოძიებაში დაგვეხმარა დარეჯან კლდიაშვილის ხელნაბეჭდი ნაშრომი „მინისტრები ძველ საქართველოში“ (შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში 2019 წელს).

ვფიქრობთ აღნიშნულ, პრაქტიკულად ობიექტურ ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით, სრული უფლება გვაქვს ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკის დესტრუქცია, სწორედ V საუკუნის 20-იან წლებში მომხდარ ამ კატასტროფას დავუკავშიროთ.

ამრიგად, ხუროთმოძღვრულ-სტილისტური ანალიზისა და გათხრისას დაფიქსირებული არქეოლოგიურ-სტრატიგრაფიული მონაცემების შეჯერება ქართულ ისტორიულ წყაროთა ცნობებთან, საკმაოდ არგუმენტირებულ საფუძველს გვაძლევს ჭაბუკაურის სამნავიანი ბაზილიკის ნაშთების ამ წყაროებშივე მოხსენიებულ, ქალაქ ნეკენში IV საუკუნის მეორე ნახევარში იპერის მეცე თრდატის მიერ აგებულ, გამორჩევით მნიშვნელოვან ტაძართან იდენტიფიცირებისთვის.

## სატაძრო პომპლესის ჩრდილოეთის სამლოცველო

2005 წელს, არქეოლოგიური კვლევის შედეგად, ჭაბუკაურის ბაზილიკის კომპლექსში კიდევ ერთი, უაღრესად საინტერესო გეგმარების საეკლესიო ნაგებობაც აღმოჩნდა, რომლის დანიშნულებისა და აგების ხანის სწორად განსაზღვრას, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როგორც მთლიანად ამ სატაძრო ანსამბლის, ისე დიდი ბაზილიკის შექმნის გარემოებათა დაზუსტებაში.

ამ სამლოცველოს (№3 ეკლესია) კონტურები სამნავიანი ბაზილიკის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 5 მ-ით დაშორებული ფართობის გათხრისას დაფიქსირდა (სურ. 34). მისი კედლების ნაშთები საძირკვლის დონიდან მხოლოდ 30-50 სმ სიმაღლემდეა შემორჩენილი. კედლების სიგანეები 95-100 სმ-ია. ნაგებია ფლეთილი, სხვადასხვა ზომის (ძირითადად საშუალო), ერთმანეთთან მორგებული კირქვის ზოდებით, არცთუ მაღალი სიმკვრივის დუღაბზე. ეკლესია მარტივი დარბაზული ტიპისაა (დარბაზის სიგრძე 8.85 მ, სიგანე 5.2 მ), რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიულთან მიახლოებული მოხაზულობის, შვერილ აფსიდიანი საკურთხეველი გააჩნია. დარბაზში შესასვლელი სამი მხრიდან ყოფილა: დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, ამასთან, სამივე ღიობი საკმაოდ განიერი ყოფილა (1.7-დან 1.8 მ-დე). კარის ზომები დასავლეთიდან და სამხრეთიდან განათხარ კედლებზე შემორჩენილია, ჩრდილოეთით კი ღიობის ასეთ სიგანეზე განათხარ ფართზე, სავარაუდო კარის მახლობლად შემორჩენილი ნათალი ქვის გრძელი არქიტრავი მიგვანიშნებს). ეკლესიის დარბაზის იატაკი მთლიანად მოფენილი ყოფილა კარგად გამომწვარი, სხვადასხვა ზომის (სიგრძე სიგანეებია: 30 x 40 სმ, 26 x 28 სმ, 28 x 20 სმ და ა.შ), სპეციალურად იატაკისთვის



სურ. 34. ჭაბუკაურის ბაზილიკის ჩრდილოეთით მიმდებარე სამლოცველო №3

(სავარაუდო ბაპტისტერიუმი)

Fig. 34. Northern chapel №3 of Chabukauri Basilica (presumably the baptistery)

დამზადებული თიხის თხელი ფილებით (სისქე დაახ. 3-3.5 სმ).<sup>124</sup> შესაძლოა, ამგვარივე ხერხით ყოფილიყო მოპირკეთებული აფსიდის შემაღლებული ბაქანიც, თუმცა ამ ფენილს ძლიერი დაზიანების გამო (ძირითადად, ქვემოთ წარმოდგენილი სამარხის მოწყობისას), ჩვენამდე არ მოუღწევია.

რა შეიძლება ითქვას შემორჩენილი გეგმარებითი ელემენტების მიხედვით ამ სამლოცველოს ხნოვანებაზე? ამ ნაგებობის ფრიად ადრეულობაზე, ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, უპირველესად მისი წრიული გეგმის შვერილი აფსიდი მეტყველებს: მსგავსი აფსიდები არამცთუ მხოლოდ კახეთის, არამედ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, დიდ უმრავლეს შემთხვევებში გვიანანტიკური ხანის ბაზილიკურ თუ დარბაზულ ძეგლებზე გვხვდება.<sup>125</sup> ნიშანდობლივია, რომ ამ სამლოცველოს შვერილი აფსიდის „ქუსლები“ უშუალოდ ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლების შეწყვეტილ დაბოლოებებზეა მიდგმული სანახევროდ, და არა ამ კედლების ბოლოების ერთმანეთისკენ მართობულად შემობრუნებულ მონაკვეთებზე, როგორც ეს ჩვეულებრივად არის ხოლმე მოწყობილი შვერილაფსიდიან დარბაზულ ეკლესიებში. კედლების ასეთი, ნაკლებად სრულფასოვანი გადაბმა, ბუნებრივია, საკმაოდ ამცირებს როგორც თვით საკურთხევლის, ისე მთლიანად ნაგებობის სტატიკურ მედეგობას. ეს გარემოე-

<sup>124.</sup> საყურადღებოა, რომ დაახლოებით ასეთივე, არათანაბარი ზომის, თიხის გამომწვარი ფილებით აღმოჩნდა მოგვბული მცხეთის სვეტიცხოვლის სავარაუდოდ | ქრონოლოგიური პლასტის ხის კოჭებით აგებული, მეტვე მირიანსეული IV ს-ის ტაძარი. ეს სტრუქტურები აღმოჩნდა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის იატაკის არქეოლოგიური კვლევის დროს 2006 წელს, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს თაოსნობით მოწყობილი ექსპედიციის მიერ.

<sup>125.</sup> ბერიძე, ვახტანგ. 1974. გვ. 89, 94, 97.



სურ. 35. მინის ბეჭდები ჭაბუკაურის №3 სამლოცველოს საკურთხეველში ჩაჭრილი სამარხიდან

Fig. 35. Glass rings from the tomb of the North Chapel №3 of Chabukauri

ბა, სამლოცველოს მშენებელთა ქრისტიანულ სატაძრო ნაგებობათა კონკრეტულ კონსტრუქციულ დეტალებში ჯერ კიდევ ნაკლებად განაფულობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რაც დამატებითი არგუმენტია ამ ნაგებობის ქართული ეკლესიათშენებლობის მეტად ადრეული ეტაპებისადმი მიკუთვნების სასარგებლოდ.

ამ ქრისტიანული სამლოცველოს ადრეულობაზე, მისი არქეოლოგიური გათხრისას დაფიქსირებული სტრატიგრაფიული ვითარებაც მეტყველებს: ეკლესიის იატაკის ჰორიზონტი, მის აღმოსავლეთით მდებარე, დიდ ბაზილიკაზე ჩრდილოეთიდან მინაშენი, №2 ეკლესიის იატაკის დონეზე დაახლოებით 1 მეტრით დაბალია, და ეს გარემოება ლანდშაფტის რელიეფის ჰორიზონტულ ნიშნულებს შორის ამგვარი სხვაობით არ არის გამოწვეული.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ №3, შეერილაფისიდანი ეკლესია ჭაბუკაურის კომპლექსის №2, ჩვენ მიერ დაახლოებით V-VI სს-თა მიჯნით დათარილებულ ქრონოლოგიურ ფაზას წინ უნდა უსწრებდეს და მისი აგება სამნავიანი ბაზილიკის ფუნქციონირების ხანაშივე უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება ამ სამლოცველოს წყობიდან გამოსვლის ხანას, ამის თაობაზეც არქეოლოგიურმა გათხრებმა საკმაოდ ანგარიშგასაწევი არგუმენტები გამოავლინა.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ სამლოცველოს გათხრისას, მასში კედლებისა და სახურავის ჩაქცევის შედეგად წარმოქმნილი ქვების მოზრდილი გროვა არ დადასტურებულა, რაც ნანგრევის ხელუხლებლად შემონახვის შემთხვევაში გარდაუვალი იქნებოდა. ძალაუნებურად უნდა ვიფიქროთ, რომ კონსტრუქციული დეფექტების თუ რამე სახის კატაკლიზმის

შედეგად დანგრეული ეს ეკლესია, გარკვეული მოსაზრების გამო აღარ აღუდგენიათ და მისი ნაშალი საამშენებლო მასალა სხვა ნაგებობაში მოუხმარიათ. ვინაიდან იატაკთა ჰორიზონტებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობიდან და ზემოთ უკვე წარმოდგენილი ფაქტორებიდან გამომდინარე, №2 ეკლესია აშკარად საეკლესიო კომპლექსის უკანასკნელ ქრონოლოგიურ ეტაპს განეკუთვნება, სავარაუდოა, რომ მისი მშენებლობისას, სამნავიანი ბაზილიკის გარდა, ქვის ნანგრევი სამშენებლო მასალა მცირე სამლოცველოს (№3 ეკლესიის) ნაშალი გროვიდანაც გამოუყენებიათ და ამიტომაც წარმოგვიდგება მისი ნაშთი ამჟამად თითქმის საძირკვლამდე მოსწორებული სახით.

№3 ეკლესიის წყობიდან გამოსვლის ხანაზე, კიდევ ერთმა აღმოჩენამ მოგვაწოდა ინფორმაცია: დაახლოებით მის საკურთხევლით შემორკალულ ფართობში, ჩაჭრილი აღმოჩნდა ქვითკირის საკმაოდ კარგად დამუშავებული ფილებით მოწყობილი ქვა-ყუთის ტიპის სამარხი (სურ. 18). იქ სამი მიცვალებულის ნეშტი აღმოჩნდა, ამათგან 2 ერთმანეთის გვერდით, ქრისტიანულ პოზაშია დაკრძალული: გაშოტილად, თავებით დასავლეთით, გულზე ხელებდაკრეფილად. სამხრეთის ნეშტი მამაკაცისაა, ჩრდილოეთით კი მოგვიანებით, ნანილობრივ პირველ მიცვალებულზე დაფარებით, ქალის ცხედარი ჩაუსვენებიათ. გარდა ამისა, ამ ორი მიცვალებულების ფეხების მიღამოებში მიხვეტილი აღმოჩნდა კიდევ ერთი ქალის ნეშტი, რომლის დასაფლავებაც, ცხადია, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შემდგომ ორ დაკრძალვას. ყველა ნიშნით, აქ საქმე უნდა გვქონდეს საერო პირების ოჯახურ აკლდამასთან. თავდაპირველად, აკლდამის სახურავის განმენდამდე და თვით ქვა-ყუთის გახსნამდე შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ სამარხი მოქმედი ეკლესიის საკურთხეველში სპეციალურად იყო მოწყობილი გარდაცვლილთა განსაკუთრებული სოციალური სტატუსიდან გამომდინარე. შესაბამისად, თვით ეკლესიის ამ სამარხისადმი პატივის მისაგებად აგებასაც არ გამოვრიცხავდით. თუმცა, შემდგომ, როგორც ამ ქვა-ყუთის სკრუპულობური შესწავლით გამოირკვა, სამარხის მოწყობა სულ სხვა ვითარებაში მომხდარა. კერძოდ, სამარე იმ დროს ჩაუჭრიათ, როდესაც ეკლესია უკვე გაუქმებული და დანგრეული ყოფილა – ქვა-ყუთის აღმოსავლეთ კიდე საკმაოდაა შეჭრილი აფსიდის აღმოსავლეთ წრიული კედელის სისქეში (დაახ. 30 სმ-ზე) და მისი ორმოს ჩაჭრისას, ეს კედელი სერიოზულად დაუზიანებიათ: 1 მ-მდე სიგრძის რკალზე, კედლისგან ქვის გარე წყობებილა დარჩენილი. საკმაო აღბათობაა იმისა, რომ სამარხი გაუზრებლად ჩაჭრეს დარღვეული ეკლესიის საკურთხეველში, რომლის მოხაზულობაც, უკვე იმ დროს მიწით იყო დაფარული. მეორე მხრივ, არ უნდა გამოირიცხოს ისიც, რომ ეს საფლავი წმინდა ადგილად მიჩნეულ, მაგრამ უკვე გაუქმებულ ეკლესიის ნანგრევში სავსებით შეგნებულად მოეწყოთ და ამით პატივი მიეგოთ აღნიშნულ ქრისტიან მიცვალებულთათვის.

მიცვალებულების დაკრძალვის ეპოქის განსაზღვრა ქვა-ყუთში ჩატანებული სამარხეული ინვენტარით მოხერხდა. ყოველ დაკრძალულ ინდივიდს თითო ბეჭედი ჰკეთებია: მამაკაცს ვერცხლის მინისოფლიანი ბეჭედი, ხოლო ქალებს ერთიანად ფერადი (ლურჯი, წაბლისფერი) მინისგან დამზადებულები (სურ. 35). ასეთ ბეჭედებს (განსაკუთრებით მინის წვრილ, მრგვალ განიკვეთიან რგოლებიან, დაბალ და ბრტყელფარაკიან ნიმუშებს), საკმაოდ ბევრი ანალოგები მოეპოვებათ ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს სამარხეული არქეოლოგიური ძეგლებიდან. ამგვარი ბეჭედების აღმოსავლეთ საქართველოში (და საერთოდ, მთელ კავკასიაში) გავრცელების ხანად ცნობილი ქართველი არქეოლოგი, საკმაოდ არგუმენტირებულად, VII–VIII საუკუნეებს მიიჩნევს, სოფ. ქვემო ალევში დადასტურებული მასალებზე დაყრდნობით კი, უფრო კონკრეტულად, VII ს-ის<sup>126</sup>. სამარხეული ინვენტარის ასეთი დათარილება, კარგად ესადაგება ზემოთ აღნიშნულ არგუმენტებზე დაყრდნობით გამოთქმულ ვერსიას იმის თაობაზე, რომ, სავარაუდოდ, ეს მომცრო ეკლესია ერთხანს დიდი ბაზილიკის თანადროულად ფუნქციონირებდა და რომ, შესაძლოა, მასთან ერთად დაინგრა. მართლაც, კომპლექსის გათხრისას გამოვლენილი სურათი – მინისძვრის დროს დიდი ბაზილიკის ჩრდილოეთის კედლის გადაწვენის მიმართულებაც თითქოს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ეს მცირე სამლოცველო სწორედ ბაზილიკის ამ კედლები მოიყოლა ქვეშ და დაანგრია. ყველა აღნიშნული მონაცემის შეჯერებით გამოდის, რომ აღნიშნული სამარხი დიდი ბაზილიკის გაუქმების შემდგომ პერიოდშია მოწყობილი, მაგრამ არა კომპლექსის გაუკაცრიელების რომელიღაც ქრონოლოგიურ შუალედში (თუკი ასეთი ხანმოკლე შუალედის არსებობას საერთოდ დავუშვებთ), არამედ დაახლოებით V-VI სს-თა მიჯნაზე აგებული და VII სს-ში დაანგრეული №2 ეკლესიის ფუნქციონირებისას.

მაშასადამე, ყველა განხილული არგუმენტი თითქოს იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული მცირე სამლოცველო, დროის გარკვეულ მონაკვეთში დიდ, სამნავიან ბაზილიკასთან ერთად მოქმედებდა და, გამორიცხული მათი თანადროულად აგებაც არ არის. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დაისვას კითხვები, თუ რა სპეციფიური ფუნქციური დატვირთვა გააჩნდა ამ მცირე სამლოცველოს; რით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული ქალაქ ნეკრესში, მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევის შემდგომ სამეფო ხელისუფლების ძალისხმევით პრაქტიკულად უმაღვე აგებული, იმდროინდელი მრევლის სავარაუდო რაოდენობის ერთობლივი წირვა-ლოცვის-თვის სრულიად საკმარისი, გრანდიოზული ბაზილიკის გვერდითვე დამატებითი, მცირე სამლოცველოს აგება? უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაზილიკის ძირითადი კორპუსის მომიჯნავე, მაგრამ მაინც რამდენადმე განცალკევებული სამლოცველო, რაღაც განსაკუთრებული რელიგიური რიტუალისთვის ყოფილა გამიზნული.

<sup>126</sup>. აფხაზავა, ნოე. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი, 1979. გვ. 98.

ამ სამლოცველოს განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვის დადგენის მცდელობისას, ბუნებრივია, თვალი გადახვავლეთ დაახლოებით ამ ეპოქის საზღვარგარეთის მახლობელი ქრისტიანული ქვეყნების სატაძრო ხუროთმოძღვრების ჩვენთვის ხელმისაწვდომ ნიმუშთა რამდენადმე მსგავს სტრუქტურულ კომპონენტებს. ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში, თითქმის ყველა აღმოსავლურ-ქრისტიანულ რეგიონში, სამრევლო თუ სამონასტრო მთავარი ტაძრების ცენტრალური სივრცეებისგან რამდენადმე განცალკევებულად ან სულაც მახლობლად, მაგრამ ცალკე მდგომი სამლოცველო კორპუსის სახით, როგორც წესი, კრიპტების გარდა მხოლოდ სანათლავები, იგივე ბაპტისტერიუმები იყო მოწყობილი.<sup>127</sup> ამ დანიშნულების სივრცეებს, იმხანადვე ეკლესიებში კანონიკურად მკაცრად განსაზღვრული ადგილები არ ჰქონდათ მიჩნილი. მაგალითად, ერთი და იმავე რეგიონის, წმინდა მიწის V-VI საუკუნეების ტაძრებში, სანათლავი სათავსები ტაძრის ძირითადი სივრციდან მუდამ საკმაოდ განცალკევებული იყო, თუმცა ისინი ნაოსიდან სხვადასხვა მხარეს გვხვდება: ავდათში – დასავლეთით; ბეთ-იერაპეტში – ჩრდილო აღმოსავლეთით; სუსიტას კათედრალში – ჩრდილოეთით; მამშიონში – სამხრეთით და ა.შ.<sup>128</sup> ამავე რეგიონის რამდენიმე V ს-ის ტაძარში, ბაპტისტერიუმს საკურთხევლის გვერდითა, პასტოფორიუმისათვის (სამკვეთლოსა თუ სადიაკვნესთვის) ჩვეულ ადგილებზეც ვხვდებით – მაგალითად ჰეროდიუმის ჩრდილოეთ ეკლესიაში.<sup>129</sup> სანათლავის ეკლესიის გვერდით, მაგრამ დამოუკიდებელი ნაგებობის სახით მოწყობის ნიმუშად შეიძლება დავისახელოთ ქირბით ედ-დეირის მონასტრის (პალესტინა, V ს) მთავარი, ქვაბოვანი ტაძრის შესასვლელთან მდებარე ბაპტისტერიუმი.<sup>130</sup>

როგორც ჩანს, აღნიშნულ ეპოქაში, სანათლავების განცალკევებით მოწყობის ასეთივე პრაქტიკა უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული საქართველოშიც – ბოლონისის სიონის საკათედრო, ბაზილიკური ტიპის V-VI სს-ის ტაძარს ხომ ბაპტისტერიუ-

<sup>127.</sup> საზღვარგარეთურები ამ ეპოქის უძველეს ეკლესიებში ბაპტისტერიუმების ძირითადი სივრციდან ამგვარად მოფარებულ, სეპარატულ მდებარეობას შემდეგი მოტივით ხსნან: როგორც ცნობილია, IV ს-სა და V ს-ის პირველ მეოთხედში ქრისტიანული ეკლესია ჩვითი ბავშვების მონათვლას კრძალავდა – ჩილების მონათვლის ტრადიციას სათავე 418 წელს, კართაგენი ჩატარებული ადგილობრივი საეკლესიო კრების № 124 წესმა დაუდო ([https://azbyka.ru/otekhnik/Nikodim\\_Milash/pravila-pomestnyh-soborov-s-tolkovanijami/#0\\_180](https://azbyka.ru/otekhnik/Nikodim_Milash/pravila-pomestnyh-soborov-s-tolkovanijami/#0_180)). მანამდე, ეკლესია ნათლისძების უფლებას, შესაბამისი მოსამზადებელი პერიოდისა და ქრისტიანობის არსში ჩაწვდომის შემდეგ, მხოლოდ მოზრდილ ადამიანებს აძლევდა. აქედან გამომდინარე, ზოდასრული ადამიანების ნათლობის რიტუალი, კერძოდ კი წყალში „შთაფლვა“, გასაგები მიზეზის გამო, ეკლესიის ძირითადი დარბზიდან იზოლირებულ ოთახი უნდა მომზდარიყო. გარდა ამისა, სავარაუდო ამავე სათავსში ტარდებოდა მოძღვართა სწავლები და განმარტებითი საუბრები კათაკმევლებთან (მოსანათლად მოსამზადებელ კონტიგენტთან).

<sup>128.</sup> John, Wilkinson. Christian Worship in the Byzantine Period. *Ancient Churches Revealed*. Jerusalem, Israel Exploration Society, 1993. გვ. 18.

<sup>129.</sup> Netzer, Ehud; Birger-Calderon, Rivka; Feller, Ayala. The Churches of Herodium. *Ancient Churches Revealed*. Jerusalem, Israel Exploration Society, 1993. გვ. 220-224.

<sup>130.</sup> Hirschfeld Yizhar. 1992. გვ. 126.

მი ცალკე სათავსის სახით აქვს მიშენებული. სამწუხაროდ, კიდევ უფრო ადრეული ხანების ბაზილიკური თუ სხვა ტიპის ტაძრები საქართველოში ჯერჯერობით სულ ორიოდეა დაფიქსირებული და მათი ხუროთმოძვრულ-არქეოლოგიური კვლევაც საწყის სტადიაზე; ამდენად, დანამდვილებით იმის თქმა, თუ ამ ნაგებობათა რომელ ნაწილში თუ მინაშენში სრულდებოდა ნათლობის საიდუმლო, ძნელია.

ასეთ ვითარებაში, დანარჩენი ქრისტიანული სამყაროს აღნიშნულ, დაახლოებით სინქრონულ მაგალითებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ ეს სამლოცველოს ტიპის ნაგებობაც, დიდ ბაზილიკასთან არსებულ სანათლავს, ბაპტისტერიუმს წარმოადგენდა.

მოსაზრებას, რომ ჭაბუკაურის განხილული სამლოცველო სანათლავის ფუნქციას ასრულებდა, ერთის მხრივ ის ფაქტი ენინააღმდეგება, რომ მასში დადასტურებული არ არის სანათლავი აუზი. მაგრამ, მეორე მხრივ, მრავალ ბიზანტიურ თუ ევროპულ ადრეულ ქრისტიანულ სატაძარო კომპლექსშია დადასტურებული ბაპტისტერიუმები მოზრდილ ადამიანთა ნათლობისთვის შესაფერი, იატაკზე სადგარი, აბაზინისებური ემბაზებით. თვით საქართველოშიც ხომ ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის იატაკებში ჩაჭრილი, ზრდასრულ ადამიანთა „წყალში შთაფვლისთვის“ შესაფერისი სანათლავი აუზები? შვერილაფსიდიანი ნაგებობის ამ სავარაუდო ფუნქციას, კარგად ესადაგება იატაკის საგულდაგულოდ ფენილი კერამიკული ფილებით მოპირკეთება – მაშინ როდესაც, თვით ცენტრალური ტაძრის იატაკიც კი, დაახლოებით იმავე ხანაში, თიხაზე დაგებული ფიქალის ქვის ნატეხებით გაცილებით ნაკლებად ჰიგიენურად იყო მოფენილი. რაც შეეხება სანათლავს, ეს სათავსი იქ ჩასატარებელი ქრისტიანული საიდუმლოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანების ხშირად ფეხშიშველ მდგომარეობაში დგომას ითვალისწინებდა და მას ზუსტად შეეფერებოდა აგურის იატაკი – გარდა იმისა, რომ გამომწვარი თიხის ფენილი ქვაზე უფრო თბილია, ამგვარად მოწყობილ სათავსში, მოსანათლად აუცილებელი ნაკურთხი წყლის ინტენსიური დაღვრა, იატაკის ატალახებას არ გამოიწვევდა.

### თავი III. დოლოჭოპის სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა

2004 წელს, აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მეცნიერთა ჯგუფმა, ქ. ყვარლის შემოგარენში, მდ. დურუჯის მარჯვენა ნაპირზე, ხშირი ტყით და ეკალბარდით დაფარულ ტერიტორიაზე მოზრდილ ხელოვნურ ბორცვს მივაკვლიეთ; მის ზედაპირზე ალაგ-ალაგ, სუროსა და ხავსში გახვეული ქვითერის, ძლიერ დაზიანებული კედლების ნაშთები იყო შემორჩენილი (სურ. 36). ამ ნანგრევების გეოგრაფიული კოორდინატებით (GPS მონაცემებით): N 41° 58' <sup>25.4</sup>; E 045° 48' <sup>36.7</sup>.

არც ეს და არც ამ მიდამოში შემორჩენილი სხვა ისტორიული ნაგებობების ნაშთები, მანამდე გეოგრაფიულ რუკებზე დატანილი არ ყოფილა და მათ შესახებ არც რამე სახის ნერილობითი ინფორმაცია იყო შემონახული. თუმცა, როგორც დავრნმუნდით, ნეკრესის მონასტრიდან და ნაქალაქარის ჩვენ მიერ ადრე შესწავლილი ძეგლებიდან დასავლეთით, ორიოდე კმ-ით დაშორებული, ე. წ. „კუდიგორის“ სერით გამოყოფილი ეს დაბლობი, გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის ნასახლარებით ყოფილა მოფენილი<sup>131</sup>. ნაქალაქარ ნეკრესთან მისი სინქრონულობის და მჭიდრო მეზობლობის საფუძველზე, იმთავითვე ვივარაუდეთ, რომ ეს ვრცელი, ქალაქის ტიპის ნამოსახლარი, სხვა არა შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა იმავე ქალაქ ნეკრესის უკიდურესი დასავლეთი უბანი (როგორც შემდგომ ვნახავთ, ეს მოსაზრება შესაბამისი არქეოლოგიური მტკიცებულებებით, სავსებით დადასტურდა). ქ. ყვარლის მიმდებარე უბნის ბინადარნი კი, მათ მეხსიერებაში შემონახული თქმულების მიხედვით, ამ ადგილს ნასოფლარი დოლოჭოპის სახელით იცნობენ, თვით ამ ნანგრევს კი, ზოგიერთი უხუცესი მცხოვრები „თამარის მარანს“ უწოდებს; ხანდაზმულმა მოსახლეებმა, რამდენჯერმე ეს ადგილი ტოპონიმ „ნათლისმცემლითაც“ მოიხსენიეს, რაც, როგორც შემდგომ ვნახავთ, ფრიად საყურადღებოა.<sup>132</sup>

<sup>131.</sup> ნასახლარზე ცხოვრების მიმდინარეობის ქრონოლოგიური ჩარჩოების წინასწარ ამგვარად განსაზღვრისას, ვეყრდნობით დაზვერვების დროს მიწის ზედაპირიდან აკრეფილი კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტების სტილისტურ ანალიზს, რომელთა დეტალურად ნარმოდგენა ამჯერად, პუბლიკაციის მიზანმიმრთულებას სცილდება.

<sup>132.</sup> ამ ნანგრევებიანი ბორცვის სამხრეთით, დაახ. 50 მ-ის დაშორებით ჩამოედინება პატარა, ანკარა მდინარე, რომელიც მდ. დურუჯის იქვე, 200-ოდე მეტრში ერთვის, ხოლო სათავეს ჩრდილოეთით 3-4-ოდე კმ-ით დაშორებული, კავკასიონის ქედის მაღალ, ტყიან მთებს შორის მოქცეული ხევების წყაროებიდან იღებს. ამ მდინარეს, დღეს მოსახლეობა „სალესავის ხევს“ უწოდებს. მდინარის სახელწიგების სერთ სიტყვა-სიტყვითი ეტიმოლოგია, დიდ ვერსულის მთემელა. მეორეს მხრივ კი, გამორიცხული არ არის, რომ ეს ტოპონიმი დროთა განმავლებაში (როგორც ტაძრის, ისე დასახლების ფუნქციონირების შეწყვეტის დროს), მსგავსი ჟღერადობის „სალოცავის ხევიდან“ იყოს ტრანსფორმირებული.

ამ მდინარეს ნაქალაქარის ფუნქციონირების დროს, ალბათ საკმაოდ ღრმა კალაპოტი ექნებოდა და, ასევე გაცილებით ღრმა, მდ. დურუჯის ხევის შეერთების ადგლზე „ხერთვისს“ კონფიგურაციის კონცხს შექმნიდა, რომელზედაც ყოფილა გამენებული ეს სატაძრო კომპლექსი. ამრიგად, ქალაქის ამ



სურ. 36. ნაქალაქარი ნეკრესი. დოლოჭოპის ბაზილიკის ნანგრევები გათხრების დაწყებამდე  
Fig. 36. Former City of Nekresi. The ruins of Dolochopi basilica at the beginning of the excavations

ჩვენ მიერ მიკვლეული, დიდი ხნის წინ ჩაქცეული, ბორცვად ქცეული ნაგებობის ზედაპირზე ხილული კონსტრუქციების რამდენიმე ფრაგმენტის კონფიგურაციის საფუძველზე (აღმოსავლეთ კედლის შემორჩენილი ქვის 1-2 წყობის აფსიდისებრად მორკალულობა, ერთგან ჯვრის გეგმის სვეტის მოხაზულობა, ჩრდილოეთის კედლის ნაშთის აღმოსავლეთ-დასავლეთ ღრძიზე დამხრობა) ვივარაუდეთ, რომ ეს ნანგრევები, დიდი ალბათობით, გრანდიოზული სამნავიანი ბაზილიკის ნაშთებს ფარავდა. თავიდანვე ცხადი იყო ისიც, რომ გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ქალაქის ტერიტორიაზე ნაგები ასეთი კლასიკური ბაზილიკა, ამ მხარის ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტაძარი უნდა ყოფილიყო; ამიტომაც, ინფორმაცია ამ აღმოჩენის თაობაზე მაღევე გამოვაქვეყნეთ პერიოდულ პრესაში.<sup>133</sup> იმავე, 2006 წელს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ ორიოდე დაზვერვითი თხრილი გაავლო, რის შედეგადაც ჩვენი წინასწარი მოსაზრების მართებულობაში კიდევ

უპნის სასმელი წყლით მომარაგების გარდა, დოლოჭოპის უპნის ამ ერთადერთი მდინარის ხეობას, ოდითგანვე საფორტიფიკაციო მნიშვნელობაც ექნებოდა და მას, დიდის ალბათობით, როგორც ამ უზიშვნელოვანების ქრისტიანული საკულტო კომპლექსის (იხ. ქვემოთ) სუფთა, „ნმინდა“ წყლით უზრუნველყოფ წყაროს, განსაკუთრებული საკრალური დატვირთვაც მიენიჭებოდა.

<sup>133.</sup> ბახტაძე, ნოდარ. ყვარლის რიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი აღმოჩენები. გაზეთი ყვარელი, №19-20. ყვარელი, 2006. გვ. 1, 6-7.


უფრო დავრწმუნდით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 2007-2012 წლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს რამდენიმეგზის მივმართეთ წინადადებით, რათა საბიუჯეტო თანხები გამოეყოთ აღნიშნული ძეგლის არქეოლოგიურად გამოსაკვლევად.

მოთხოვნილი არქეოლოგიური სამუშაოების დაფინანსება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ 2012 წელს მოახერხა და, აქედან მოყოლებული 2019 წლის ჩათვლით, დოლოჭობის ბაზილიკის კომპლექსზე მეტ-ნაკლები მასშტაბის არქეოლოგიურ კვლევას (განათხარი კონსტრუქციების საკონსერვაციო სამუშაოებთან მონაცვლეობით), ყოველწლიურად ახორციელებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია.<sup>134</sup>

## პაზილიკის ნაგრევებზე მოყვარილი გვიანდელი სამაროვანი და სამლოცველო ნიში

როგორც გათხრების დაწყების შემდეგ მალევე გამოირკვა, ჩვენი ვარაუდი ამ ტაძრის ფრიად ადრეულობის თაობაზე, რეალობას შეესაბამებოდა. ნიშანდობლივი იყო იმ ფაქტის დადასტურება, რომ ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული, იმხანად უკვე დანგრეული და უფუნქციო ბაზილიკის ინტერიერი და მიმდებარე ფართობები თითქმის მთელ პერიმეტრზე, იმუამინდელი მახლობელი დასახლებული პუნქტის (ალბათ, უკვე სოფლის) ბინადრებს მეტად მჭიდრო სამაროვნის მოსაწყობად გამოუყენებიათ; სამარხების-თვის გაჭრილ ორმოებს, ტაძრის მინის საფარქვეშ შემორჩენილი კონსტრუქციების ნაშთები, კიდევ უფრო დაუზიანებია. ამ გარემოებამ ტაძრის თავდაპირველი გეგმარებისა და კონსტრუქციების სრულყოფილად გამოვლენა მნიშვნელოვნად გაართულა და ბაზილიკის იატაკის ჰორიზონტის დონემდე დასვლის პროცესიც გაახანგრძლივა. თუმცა, მიუხედავად ამ „გვიანდელი“ სამაროვნის მიმართ არქეო-

<sup>134.</sup> როგორც დაზვერვით სამუშაოებს 2004-2006 წლებში, ისე არქეოლოგიურ ექსპედიციებს 2012-2019 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნამყალი მეცნიერ თანამშრომელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ ბახტაძე. ძეგლზე ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებში მუშაოვად, ჯერ როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი-პრაქტიკობრივი მუშაოების მინის საფარქვეშ შემორჩენილი კონსტრუქციების ნაშთები, კიდევ უკვე დაუზიანებია. ამ გარემოებამ ტაძრის თავდაპირველი გეგმარებისა და კონსტრუქციების სრულყოფილად გამოვლენა მნიშვნელოვნად გაართულა და ბაზილიკის იატაკის ჰორიზონტის დონემდე დასვლის პროცესიც გაახანგრძლივა. თუმცა, მიუხედავად ამ „გვიანდელი“ სამაროვნის მიმართ არქეო-



სურ. 37. დოლოჭოპის ბაზილიკის ფარგლებში არქეოლოგიურად შესწავლილი გვიანანტიკური და შუა საუკუნეების სამარხები

Fig. 37. Late Antique and medieval tombs excavated within Dolochopi Basilica

ლოგიური სამუშაოების დამკვეთების მხრივ შედარებით ნაკლები ინტერესისა, <sup>135</sup> ბუნებრივია, ჩვენმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ბაზილიკის ეტაპობრივად გამოსავლენი კონტურების პრეპარაცია-ფიქსაციის პარალელურად, ამ ქვა-ყუთების ტიპის სამარხების სკუპულოზური კვლევაც მოიცვა.

იმის დასტურად, რომ ჩვენ ამ სამაროვნის სტრატიგრაფიული განშრევებების ქრონოლოგიურად დიფერენცირებაში არ შევმცდარვართ და, შესაბამისად, დოლოჭოპის დიდი ტაძრის ფუნქციონირების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის და-

<sup>135.</sup> ვგულისხმობთ დამფინანსებელი ორგანიზაციის მიერ გამუდმებით, ფაქტიურად მხოლოდ უძველესი ბაზილიკის შემორჩენილი გეგმაოების ბოლომდე გამოსავლენად შემოთავაზებულ ტემპსა და მატრიცალურ რესურსს. აქევ აღვნიშნავო, რომ სამუშაოების დამკვეთის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობა 2014-2019 წლებში, არა მხოლოდ მომდევნო პერიოდის სამრივნის თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად კვლევების დაფინანსებაზე აცხადებდა უარს, არამედ თვით ბაზილიკის ცენტრალური დარბაზის ირგვლივ განლაგებული ავთენტური ნაწილების – გალერეების, ეგვიპტურებისა და ნართულების გამოსავლენ სამუშაოებსაც ზედმეტად მიიჩნევდა. რომ არა ჩვენი ექსპედიციის მხრივ ქართველი სამეცნიერო საზოგადოებრიოებისადმი გამუდმებული მიმართვა დამატარებისთვის და მათი თანდაგომა, ვერც ტაძრისგან განუყოფელი ეს ელემენტები იხილავდა მზის შუქს და ვერც ბაზილიკის წინარე ქრონოლოგიური ფაზის უძველესი ქრისტიანული ეკლესია.

სადგენად მეტად მყარი მარკერები გაგვაჩნია, მოკლედ წარმოვადგენთ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის რეზიუმირებულ შედეგებს.

დოლოჭოპის ბაზილიკის ინტერიერში, არქეოლოგიურად სრულად შევისწავლეთ ტაძრის წყობიდან საბოლოოდ გამოსვლისა და დანგრევის შედეგად გაჩენილი, მინის ცუმუსოვანი ფენით დაფარული, ნაშალი სამშენებლო მასალის 2-3 მ სისქის მასა, მასში ჩაჭრილი 101 სამარხითურთ (სურ. 37). სამარხების აბსოლუტური უმრავლესობა (ერთეულ გამონაკლისთა გარდა), როგორც ანტიკური ხანის, ისე ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში მეტად გავრცელებულ, ე.წ. „ქვა-ყუთების“ (იგივე ქვასამარხების) ტიპს განეკუთვნებოდა.<sup>136</sup>

სამარხთა მოწყობისთვის ე. წ. ფიქალის ტიპის სიპი ქვებისაგან გამოთლილი ფილები ყოფილა გამოყენებული. „ყუთების“ სივრცის ვერტიკალურად შემკვრელი ფილები მეტ-ნაკლებად გულმოდგინედ იყო დამუშავებული და უფრო ხშირად მართკუთხედთან მიახლოვებული მოხაზულობა ჰქონდათ. გაცილებით ხშირად, ოთხივე გვერდითი ფილა ერთიანი იყო, თუმცა გვხვდებოდა 2 ან მეტ კომპონენტიანი გვერდებით შედგენილი და მომცრო ქვებით შემოზღუდული ქვასამარხებიც კი. სამარხები ზემოდან სხვადასხვა ზომის, ორიდან ოთხამდე ქვის ფილით იყო დახურული. ზოგ შემთხვევაში, გადახურვის ძირითად ფილებს შორის დარჩენილ ღრიჭოებზე დამატებით, მცირე ზომის ბრტყელი ქვის ფილებიც ეფარა. ქვა-ყუთებში მიცვალებულები ქრისტიანული დაკრძალვის წესის მიხედვით იყო ჩასვენებული, ანუ, ზურგზე გაშოტილად, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე დამხრობით, თუმცა, ორიენტირებაში გვხვდებოდა მცირედი ცდომილებებიც. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ პირაღმა, თავით დასავლეთისაკენ, პირით აღმოსავლეთისაკენ. ხელები დაწყობილი ჰქონდათ მენჯის მიდამოებში ან მკერდზე, მეტად იშვიათად კი ნეშტის გასწვრივაც. სამარხების დიდი უმრავლესობა კოლექტიური იყო, ანუ, ეს ქვა-ყუთები საოჯახო-საგვარეულო აკლდამებს წარმოადგენდა: მათში, როგორც ჩანს, რამდენიმე ათეულობით წლის განმავლობაში ასაფლავებდნენ ამათუ იმ ოჯახის გარდაცვლილ წევრებს (სურ. 38). სამარხებში სხვადასხვა სქესის და ასაკის ადამიანების ჩონჩხები ეწყო (სურ. 39). მხოლოდ ბავშვთა სამარხები იყო მეტინილად ინდივიდუალურები – როგორც ჩანს, ბავშვების ხშირი სიკვდილიანობის პირობებში, მათ დასამარხად დიდი ქვა-ყუთების ხელახლად გახსნას ერიდებოდნენ და სახელდახელოდ ანყობდნენ მინის ზედაპირთან გაცილებით ახლოს ახალ ყუთებს – უმეტესწილად უფრო ადვილად მოსაპოვებელი პატარა, ბრტყელი ან რიყის ქვებით (სურ. 40).

<sup>136</sup>. მამიაშვილი, ვაჟა. დოლოჭოპის ბაზილიკის სამარგვანი. არქეოლოგის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებელი ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2015.



სურ. 38. XII საუკუნის ქვა-ყუთის ტიპის კოლექტიური სამარხი, № 99.  
Fig. 38. 12th century stone box-type collective burial, № 99.

აღსანიშნავია, რომ ამ სამაროვანზე, ერთი და იმავე აღნაგობისა და პერიოდის ქვის სამარხებიდან, მიცვალებულთა დაკრძალვის შემდეგ ნახევარზე მეტი სპეციალურად ჩაყრილი მიწით იყო ამოვსებული სახურავი ფილების დაფარებამდე, დანარჩენში კი მიცვალებულები მიწისგან თავისუფალ სივრცეში იყვნენ ჩასვენებულნი. ამჟამად ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თავიდანვე ამგვარად იყო სამარხები დიფერენცირებული, თუ არა. ზოგადად, ქვა-ყუთის შექმნის იდეა, თავისი არსით ენინაალმდეგება მათი შიდა სივრცის მიწით ამოვსებას: ქვის ყუთი ხომ, ისევე როგორც ნებისმიერი მასალით ნაგები აკლდამა თუ დასაკრძალავი კამერა, კაცობრიობის ისტორიის მეტად აღრეული საფეხურებიდანვე სიმბოლურად სახლს, საცხოვრისს განასახიერებდა და მათ კონსტრუქციებს მიცვალებულის სხეული (განურჩევლად მათი რელიგიური მრნამსისა) სწორედ მიწის პირდაპირი დაყრისგან უნდა დაუცვა: წინააღმდეგ შემთხვევაში, რა აზრი ექნებოდა ასეთ შრომატევად „მშენებლობას“? სუდარაში გახვეულ მიცვალებულებს პირდაპირ ორმო-სამარხებში დაკრძალავდნენ და დამარხვის ეს წესი გაცილებით ეკონომიურიც იქნებოდა.

შესაბამისად, დოლოჭობის ბაზილიკაში განვითარებულ შუა საუკუნეებში „ჩაშვებულ სამაროვანში“, ქვა-ყუთების მიწით მასობრივ შეგვსებას, სხვა ახსნა უნდა მოვუძებოთ. ალბათ, ორი ძირითადი ვარაუდი უნდა დავუშვათ:

ა) შესაძლოა, მიწით ივსებოდა ის ქვის სამარხები, რომელშიც მიცვალებულთა რაოდენობა უკვე იმდენად ბევრი იყო, რომ მათში სხვა, ახლად გარდაცვლილთა ცხედრების ჩასვენება შეუძლებელი ხდებოდა. ამდენად, ამ ქვის სამარხების მიწით ამოვსება, საოჯახო ქვა-ყუთის ფუნქციონირების შეწყვეტის ერთგვარი გამოხატულება უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მიწის დაყრას ყოველი დაკრძალვის შემდეგ სავალდებულო წესად ვიგულისხმებთ, ეს პროცედურა კოლექტიურ ქვის სამარხების მოწყობას აზრს საერთოდ დაუკარგავდა: ყოველი მომდევნო მიცვალებულის დაკრძალვისას, საჭირო გახდებოდა მიწის მასის „ყუთიდან“ ხელმეორედ ამოღება, თანაც, ეს პროცედურა აუცილებლად გამოიწვევდა წინა მიცვალებულების ნეშტების აღრევას და დანაწევრებას.

მართლაც, მიწით შევსებული ყოველი სამარხის პრეპარაციის დროს კარგად გამოჩნდა, რომ სულ ბოლოს, და მასზე ოდნავ ადრე გარდაცვლილთა ჩონჩხები ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო ჩასვენებულები, ანუ, უკანასკნელი ნეშტის დამარცვისას, წინა გვერდზე „მიუწევიათ“; ეს მაშინ, როდესაც კიდევ უფრო ადრე დაკრძალული მიცვალებულების ნეშტების ნაწილები მათ ფეხებთან ან ქვა-ყუთის სხვა კიდეებში იყო მიწყობილი, რაც, სწორედ რომ, მიწის მხოლოდ უკანასკნელი ნეშტის დაკრძალვის შემდეგ ჩაყრაზე მიგვითითებს.

ბ) ქვის სამარხების მიწით შევსების მიზეზის სხვანაირი ახსნაც შეიძლება (ჩვენ, უფრო ამ ვერსიას ვემხრობით). ამ მეორე ვარაუდით, ქვა-ყუთის მიწით ამოვსება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მძარცველთა საწინააღმდეგო ღონისძიებებთან. მართლაც, სამარხების ნაწილის ხელყოფა მძარცველებისგან, არაერთხელ და დანამდვილებით დაფიქსირდა ამ სამაროვანზე. ამაზევე მიგვანიშნებს სამარხების პრეპარაციის დროს გამოვლენილი ნეშტების ფიზიკური მდგომარეობა – ბოლოს დაკრძალულ მიცვალებულთაგან, თითქმის ყველას დაზიანებული აქვს გულ-მკერდის, კისრის და ხელის მტევნების ძვლები, ეს ფაქტი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ განძის მაძიებლების „სამიზნეს“ მიცვალებულების გულ-მკერდზე და მკლავებზე არსებული სამკაულები წარმოადგენდა. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მძარცველებისაგან სამარხების დაცვის მიზნით, ოჯახის წევრებმა ასეთი გამოსავალი მონახეს – ქვა-ყუთები მიწით ამოავსეს. სავარაუდოდ, აღნიშნული ქმედებით განძისმაძიებლები სამარხების ძარცვისას სირთულეს წააწყდებოდნენ, რადგან მოროდიორისთვის გაცილებით იოლი იმ ქვა-ყუთებიდან იქნებოდა სამკაულის ამოღება, სადაც მიცვალებულების ნეშტები ცარიელ ყუთებში ეწყო და მხოლოდ ფილებით იყო გადახურული (ვარაუდობთ, რომ ძარცვის შემთხვევების დიდი ნაწილი ღამე, სიბნელეში ხდებოდა, რაც ნეშტების მიწით დაფარვის შემთხვევაში „განძის“ ძიების პროცესს გაართულებდა). მახლობელი სოფლის მოსახლეთა მიერ ამ სასაფლაოს პატრიონობაზე ის ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ ჭირისუფლებს გაძარცვული სამარხებიც მიწით ამოუვსიათ და ქვის ფილებით ხელახლა, საგულდაგულოდ გადაუხურავთ.



სურ. 39. XII საუკუნის ქვა-ყუთის ტიპის კოლექტიური სამარხი, № 86  
Fig. 39. 12th century stone box-type collective burial, № 86



სურ. 40. XI საუკუნის ბავშვის ქვის  
სამარხი, № 77

Fig. 40. Child's stone tomb, 11th century,  
№ 77

დატვირთულობა, სავარაუდოდ დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ-რელიგიურ ფაქტორთან, რომ ტერიტორია წმინდა ადგილს წარმოადგენდა, მისი საკურთხეველი წმინდანთა ნაწილებზე იყო აგებული და ამით, განკითხვის დღეს, აქ დასვენებულ მიცვალებულებს იმქვეყნად ცხონების, მარადიულ სასუფეველში მოხვედრის შანსი ემატებოდათ.<sup>137</sup> და ბოლოს, ალბათ, საგვარეულო საძვალის ოდესლაც სახელ-განთქმულ ნატაძრალზე მოწყობა, სულ ცოტა, პრესტიულადაც ითვლებოდა.

ცხადია, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია დოლოჭოპის სატაძრო კომპლექსის ფიზიკური დესტრუქციის შედეგად მასში ღვთისმსახურების საბოლოოდ შეწყვეტის, აგრეთვე თვით სამაროვნის, შესაბამისად კი ამ ტერიტორიაზე „პოსტ-ურბანული“,

<sup>137.</sup> ნიკეიის მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (787 წ) საბოლოოდ დადგენილი მრნამსით, განკითხვის უამს წმინდანებისა და მართლების სულების ზეციური სასუფევლისკენ ბრწყინვალედ ამაღლება, მათი უახლოესი გარემოცვის წევრების (მათ შორის, ალბათ, მეზობლად დაკრძალულების) სულებსაც შეიძლებოდა შეხებოდა, როგორც თანმხლებებს, ერთგვარ აბალას (Ostrogorsky, George. *History of the Byzantine State*. New Brunswick: Rutgers University Press, 1969. გვ. 231).

არქეოლოგიურმა კვლევამ დაგვანახა, რომ ამ სამაროვანზე ბაზილიკის მიმდებარე სოფლის (ან სოფლების) მცხოვრები, ძირითადად საშუალო და დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები იკრძალებოდნენ.

ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ სამაროვნის მოწყობა ტაძრის ინტერიერში შემთხვევითი არ იყო. მაგალითად, საგულისხმოა ერთი ფაქტორი: სამაროვანი მოწყობილია არა თავდაპირველად აგებული ბაზილიკის მთელ სივრცეში, არამედ მეორე ფაზის – როგორც შემდგომ ვნახავთ, დაზიანებისა და რეკონსტრუქციის შედეგად ზომით შემცირებული დარბაზული ეკლესიის ინტერიერში და მისადგომებთან. ეს ფაქტი კი იმით უნდა აიხსნას, რომ VIII საუკუნის ჩათვლით ფუნქციონირებადი ეკლესიის მრევლის შთამომავლებს, ეკლესიის მოშლის შემდგომ პერიოდში, მესხიერებაში შემორჩენილი ჰქონდათ დარბაზულად გადაკეთებული ეკლესიის არსებობა და არა V საუკუნის დიდი ბაზილიკის მასშტაბი და პროპორციები. არსებულ სამარხთა სიმჭიდროვე და სამაროვნის გა-

სოფლის ტიპის დასახლების ფუნქციონირების ზუსტი პერიოდის განსაზღვრა; ამიტომაც, ამ საკითხის ჩვენებული შეფასების დასტურად, მოკლედ წარმოვადგენთ ამ სამაროვნის შემადგენელ სამარხებში ჩვენ მიერვე არქეოლოგიური კვლევით დაფიქსირებული არტეფაქტების ყველაზე ტიპიურ ან გამორჩეულ სახეობებს, მათი დამზადება-მოხმარების ქრონოლოგიური ჩარჩოების თაობაზე სპეციალისტთა მიერ დღემდე გამოთქმული, ყველაზე დამაჯერებელი მოსაზრებებითურთ.

დოლოჭობის ბაზილიკის სამაროვაზე აღმოჩენილი ნივთიერი მასალიდან ყველაზე მრავალრიცხვოვნად ბრინჯაოს, სპილენძის, რკინისა და მინის სამაჯურებია წარმოდგენილი. აღმოჩენილ სამაჯურებში გვხვდება ყველა ის სახეობა, რომელთა ანალოგებიც მრავლადაა დადასტურებული შუა საუკუნეების საქართველოს სხვა სამაროვნებზე.

### პრინჯაოს სამაჯურები

ბრინჯაოს სამაჯურები ძირითადად რკალგახსნილებია, სამკუთხა ან ბრტყელ-განივევეთიანი. შუაში შესქელებული, ზურგის შევიწროებულ ბოლოებზე ირიბად ნაკანრი ხაზებით. სამაჯურების უმრავლესობა მოპოვებულია №7 სამარხიდან; ერთ-ერთ ინდივიდს, ქალის ნეშტს, მარჯვენა ხელზე ასხმული ჰქონდა ბრინჯაოს ოთხი სამაჯური (ტაბ. V: 8-11). ამათგან ყველაზე მასიური, საკმაოდ განსხვავებული სტილისაა: ის რკალგახსნილია, სამკუთხა განივევეთიანი; ღერო შიგნიდან ბრტყელია, ზურგი კი წახნაგური. შევიწროებულ ბოლოებზე ირიბი ნაჭდევი ხაზები გასდევს. ღეროს სიგანე შიდაპირზე – 0.3 სმ. d – 5.1 სმ (ტაბ. V: 8). ნივთის თითქმის ზუსტი ანალოგია სოფ. თოკში მოპოვებული ბრინჯაოს სამაჯური, რომელიც X - XI საუკუნეებით თარიღდება.<sup>138</sup>


### მინის სამაჯურები

აღმოჩენილია მინის სამაჯურების როგორც მთელი, დაუზიანებელი ნიმუშები, ისე ფრაგმენტები. უკლებლივ ყველა სამაჯური წრიული ფორმისაა და რკალშეკრული. შედუღების (გადაბმის) ადგილები მცირედ დაბრტყელებულია და წიბოიანი. მათი მხატვრული სტილი და დამზადების ტექნიკა განსხვავებულია.

ძირითადად გამოიყოფა ორი ტიპის სამაჯურები: 1 – სადაზედაპირიანი, მრგვალგანივევეთიანი; 2 – წვრილადგრეხილი, მრგვალგანივევეთიანი.

№8 სამარხში დადასტურებული ხუთი სამაჯურიდან სამი დაუზიანებელია, ორი კი დაზიანებული. სულ, 5 სამაჯურიდან 4 ლურჯი ფერის მინისგანაა დამზადებული, ერთი კი შავია (ტაბ. VI: 2, 3, 6). ერთი სამაჯური წვრილად გრეხილი, მრგვალგანივ-

<sup>138.</sup> ჯავახიშვილი, ქეთევან. არქეოლოგიური კომპლექსი სოფელ თოკიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. №4 (50-B). თბილისი, 2014. გვ. 236.



სურ. 41. თიხის ჭინჭილა  
№46 ქვა-ყუთის ტიპის  
სამარხიდან. IX საუკუნე  
Fig. 41. Ceramic jug from  
stone box-type burial, №46.  
9<sup>th</sup> century

სიგანე – 0.3 სმ; d – 1.8 სმ. (№14 სამარხიდან).

2. ვერცხლის ბეჭედი, ელიფსური ფორმის. ფარავს აქეთ-იქით აქვს 2 ჰორიზონტული შვერილი (ჯვრის იმიტაცია). ბრტყელგანივევეთიანი, მცირედ წიბოიანი რგოლით. ფარავზე ამოკვეთილია რომბი, რომელშიც ამოკანრულია ფიფქისებრი ორნამენტი. სათითე რგოლზე და ფარავის გვერდებზე ამოკვეთილია ირიბად ნაკანრი ხაზები (ტაბ. V: 16). ფარავის სიგანე – 1.3 სმ; ღეროს სიგანე – 0.5 სმ; d – 1.9 სმ (№30 სამარხიდან).

### პრინციპების გამოყენება

1. ბრინჯაოს ბეჭედი. ვიწრო და გრძელი რომბული ფარავით. ფარავზე, პატარა წრეში ამოკვეთილია გეომეტრიული ორნამენტი. აქვს ოდნავ დაბრტყელებული

კვეთიანია. სამაჯურების დიამეტრი 6.2-დან 7.2 სმ-მდეა. სამაჯურები, მრავალრიცხვოვანი ანალოგიური მასალის მიხედვით, XI-XIII სს-ით თარიღდება.

№46 სამარხში მინის შვიდი სამაჯური აღმოჩნდა, აქედან ექვსი ფრაგმენტების სახით. უკლებლივ ყველა ფრაგმენტი შავი მინისაა, სადაზედაპირიანი და მრგვალგანივევეთიანი. ერთადერთი დაუზიანებელი სამაჯური შავი ფერის მინისაა, ღერო მრგვალგანივევეთიანი (d – 7.5 სმ), ზედაპირი დაღარულია, შედუღების ადგილი დაკბილულია (ტაბ. VI-1).<sup>139</sup>

დოლოფობის ბაზილიკის სამაროვნზე ლითონის ბეჭედიცაა აღმოჩენილი. ვიზუალურად გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი: ორნამენტირებული და უორნამენტო, სადაზედაპირიანი ბეჭდები.

### ვერცხლის გამოყენება

1. ვერცხლის ბეჭედი, ელიფსური ფორმის. ფარავს აქეთ-იქით აქვს ორი ჰორიზონტული შვერილი (წარმოადგენს ჯვრის იმიტაციას). ბეჭდის რგოლი ბრტყელგანივევეთიანია. ფარავზე ამოკვეთილია რომბი, რომელშიც ამოკანრულია ფიფქისებრი ორნამენტი. სათითე რგოლზე და ფარავის გვერდებზე ამოკვეთილია ირიბად ნაკანრი ხაზები (ტაბ. V: 14). ფარავის სიგანე – 1 სმ; ღეროს სიგანე – 0.3 სმ; d – 1.8 სმ. (№14 სამარხიდან).

2. ვერცხლის ბეჭედი, ელიფსური ფორმის. ფარავს აქეთ-იქით აქვს 2 ჰორიზონტული შვერილი (ჯვრის იმიტაცია). ბრტყელგანივევეთიანი, მცირედ წიბოიანი რგოლით. ფარავზე ამოკვეთილია რომბი, რომელშიც ამოკანრულია ფიფქისებრი ორნამენტი. სათითე რგოლზე და ფარავის გვერდებზე ამოკვეთილია ირიბად ნაკანრი ხაზები (ტაბ. V: 16). ფარავის სიგანე – 1.3 სმ; ღეროს სიგანე – 0.5 სმ; d – 1.9 სმ (№30 სამარხიდან).

### პრინციპების გამოყენება

1. ბრინჯაოს ბეჭედი. ვიწრო და გრძელი რომბული ფარავით. ფარავზე, პატარა წრეში ამოკვეთილია გეომეტრიული ორნამენტი. აქვს ოდნავ დაბრტყელებული

<sup>139</sup>. დოლაბერიძე, რუსუდან. ფეოდალური ხანის საქართველოს მინის სამაჯურები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXVIII - B. თბილისი, 1969. გვ. 68-69; უგრელიძე, ნუცა. ნატელურის მინის სანარმო. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგისათვის, ტ. III. თბილისი, 1963. გვ. 61-68; ჭილაშვილი, ლევან. ძველი გავაზი. თბილისი, 1975. ტაბ. LVIII-2, LX-2, LX.

წრიული, წვრილი რკალი, ბრტყელი და ოდნავ შესქელებული მხრებით (ტაბ. V: 15). ფარაკის სიგანე – 0.5 სმ; ღეროს სიგანე – 0.2 სმ; d – 0.7 სმ (№39 სამარხიდან).

### სპილენძის ჰეზდები

1. სპილენძის ბეჭედი. ოთხუთხა ფორმის ფარაკით, ბრტყელგანივე თიანი რგოლით. ფარაკსა და რგოლზე გარდამავალ, ოდნავ შემსხვილებულ მხრებზე ამოკანირულია პატარა ხაზები (ტაბ. V: 17). ფარაკის სიგანე – 0.7 სმ. ღეროს სიგანე – 0.2 სმ. d – 1.7 სმ (№30 სამარხიდან).

2. სპილენძის ბეჭედი. ოთხუთხა, მასიური, სადაზედაპირიანი ფარაკით, ოდნავ შესქელებული მხრებით (ტაბ. V: 19). ფარაკის სიგანე – 1 სმ; ღეროს სიგანე – 0.3 სმ; d – 1.9 სმ (№7 სამარხიდან).

3. სპილენძის ბეჭედი. მასიური, გეომეტრიულად ორნამენტირებული ფარაკით. ოდნავ შესქელებული მხრებით (ტაბ. V: 18). ფარაკის სიგანე – 1.2 სმ; ღეროს სიგანე – 0.2 სმ; d – 2 სმ (№7 სამარხიდან).

ეს ბეჭდები, მრავალ ანალოგიურ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, X-XIII საუკუნეებით თარიღდება.<sup>140</sup>

### გულსაკიდი მძივები

სამარხებში (№№ 8; 21; 38; 43) დაფიქსირებულია სპილენძის გულსაკიდები (ტაბ. V). ისინი სფერული მოყვანილობისაა, ფუყე შიგთავსით, თავზე ყუნწით. საინტერესო ნიმუშია №19 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის, წვრილბურთულოვანი გულსაკიდი. სფეროს თავზე ყუნწი აქვს. სფეროების შეუღლების ადგილზე მირჩილული აქვს ოთხ-ოთხი პატარა ბურთულა (ტაბ. V: 3).

მსგავსი ტიპის გულსაკიდ მძივებს, საქართველოში არქეოლოგიურად შესწავლილი სხვა სამაროვნების მასალის გათვალისწინებით, IX-XIII საუკუნეებით ვათარიღდება.<sup>141</sup>

### ნახევრადპირზასი ქვების მძივები

№7, 13, 26 სამარხებში, მიმოფანტულ მდგომარეობაში მიკვლეულია ნახევრად ძვირფასი ქვებისგან დამზადებული, სხვადასხვა ფორმის გულსაკიდები: 1. ცილინდრული; 2. მრგვალ-ბრტყელი; 3. ცილინდრული, ზარისებრი – ექვსწახნაგა ფორმის; 4. ბიკონუსური მძივები (ტაბ. VII).

<sup>140</sup>. დოლაბერიძე, რუსუდან. XI – XIII სს. ბეჭდები. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII – B. თბილისი, 1977. გვ. 145–151, 166; ჭილაშვილი, ლევან. არქში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბილისი, 1991. გვ. 142; რამიშვილი, რამინ. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი. თბილისი, 1970. გვ. 109. Kalantarian, Aram. *Dvin: histoire et archéologie de la ville médiévale*. Neuchâtel, 1996. გვ. 167, სურ. 23–35.

<sup>141</sup>. ლალაშვილი, გიორგი. არქეოლოგიური გათხრები „ამიდასტურის“ ნმინდა გიორგის სახელობის ტაძრობა. თბილისი, 2011. გვ. 188; ჭილაშვილი, ლევან. 1991. გვ. 58; რამიშვილი, რამინ. 1970. გვ. 95, 109.

მძივები, ძირითადად დამზადებულია გამჭირვალე სარდიონისგან, სადაფისგან, გიშრისგან და პასტისგან.

ეს მძივები, საქართველოს სხვა სამაროვნებიდან მომდინარე მასალების სა-ფუძველზე, ზოგადად X-XIII საუკუნეებით თარიღდება.<sup>142</sup>

### თიხის ჭურჭელი

სამაროვანზე, № 46 სამარხში, განსვენებულისთვის ჩატანებული ერთი ჭინჭილა აღმოჩნდა. ჭურჭელი მიცვალებულს თავის მარჯვენა მხარეს ედო. ჭინჭილა თხელკედლიანია, მოწითალო, კარგად განლექილი თიხის (სურ. 41). აქვს გადაშლილი პირი, ცილინდრული ყელი, მკვეთრად გამოყვანილი ბიკონუსური მუცელი და ბრტყელი ძირი. ბრტყელგანივევეთიანი ყური მიძერნილია მუცლის ყველაზე განიერ რეგისტრზე და პირზე. ის პირის ზედაპირიდან 0.3 სმ-ითაა აცდენილი. ჭურჭლის ზედაპირი ნაპრიალებია. ზომები: h – 8.6 სმ; პირის d – 6 სმ; ძირის d – 4.5 სმ. აღნიშნულ ჭურჭელს ზუსტი პარალელი ეძებნება – ეს არის ნეკრესის ნაქალაქარზე გათხრილი მარნის ინტერიერში აღმოჩენილი ჭინჭილა, რომელიც IX-X საუკუნეებით დათარიღდა.<sup>143</sup>

გარდა სამარხების ინვენტარისა, ამ სამაროვნის ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრაში სასაფლაოს ზედაპირზე, სხვადასხვა ვითარებაში მიმოფანტული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების სტილისტური ანალიზიც დაგვეხმარა.

ნიმუშად წარმოვადგენთ სამაროვანზე მოპოვებული თიხის ჭინჭილებისა და ჭრაქების რამდენიმე ტიპურ, საკმაოდ სრულად შემონახულ ნიმუშს.

1. თიხის სასმისი, მსხლისებრი ფორმის, აგურისფრად გამომწვარი, თხელკედლიანი, კარგად განლექილი და შედარებით სუსტად ნაპრიალები; ძირი ბრტყელია და ოდნავ გამოყოფილი ქუსლი აქვს. სწორი ყელი პირდაპირ ებმის მუცელს; პირი ძალიან თხელკედლიანი აქვს და გარედან ოთხ ადგილას შეზნექილია; ზედხედიდან ოთხფურცლოვანი ვარდულის იმიტაციას ქმნის. პირის ოთხივე შეზნექვის ადგილას ვერტიკალურად, ფუნჯით, ჩამოვლებული აქვს შავი საღებავის ზოლი, რომელიც მუცლამდე ჩამოუყვება. შემოჩენილი აქვს ყურის ნაწილი, რომელიც პირამდე მოდის. ამ ტიპის ჭურჭელი ცნობილია უინვალის ნაქალაქარიდან, გუდარეხიდან, კვეტერის ციხიდან, დმანისიდან, რუსთავიდან და ივრის ხეობიდან. ყოველი მათგანის ყურის ზედა პორიზონტი ოდნავ აღემატება ჭურჭლის პირის

<sup>142.</sup> ჯაფარიძე, ვახტანგ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის მოკლე ანგარიშ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. II. თბილისი, 1971. გვ. 81. ტაბ. VII.

<sup>143.</sup> ჭილაშვილი, ლევან. 1991. გვ. 58, 142.

სიმაღლეს, საშუალოდ 0.5-1 სმ-ით. აქედან გამომდინარე, ამ სასმისსაც, დღემდე მოპოვებული ანალოგიური ჭურჭლების მსგავსად, ყური საგრძნობლად აცილებული ექნებოდა ყელს (ტაბ. VIII: 1).  $h - 13.5$  სმ.  $d - 4.5$  სმ.<sup>144</sup>

2. თიხის სასმისი, მსხლისებრი ფორმის, აგურისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი, თხელკედლიანი, ოდნავ ნაპრიალები. ძირი ბრტყელია და ოდნავ გამოყოფილი ქუსლი აქვს. ამ ჭურჭელს შემორჩენილი აქვს ყური, რომელიც მიძერნილი აქვს მუცელზე და თხელკედლიან პირზე. როგორც ამ ტიპის სხვა ჭურჭლებში, ამ შემთხვევაშიც ყური ჭურჭლის სიმაღლეს აღემატება 0.8 სმ-ით. ყელზე შემორჩენილი აქვს ფუნჯით დატანილი შავი და წითელი საღებავების კვალი. წითელი საღებავით დატანილი ტალღისებური ორნამენტი ჰორიზონტულად შემოუყვება ყელს. ამის ქვევით შემორჩენილია შავი საღებავის კვალი, რომელიც სწორხაზოვნად აქვს შემოვლებული ყელს. შავი ხაზიდან მუცლისაკენ, ვერტიკალურად დაშვებულია წრფივი ხაზები (ტაბ. VIII: 2).  $h - 11.8$  სმ; პირის  $d - 4$  სმ; ძირის  $d - 4.5$  სმ.<sup>145</sup>

3. თიხის სასმისი, მოთეთრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი, თხელკედლიანი; პირი ოდნავ გადაშლილი აქვს. ყელზე ჰორიზონტულად შემოუყვება მრავლობითი ამოკანწრული ზოლები. ყელი პირდაპირ ებმის მუცელს, რომელზეც დატანილია რვა კანელური. ამ ჭურჭელს, სხვებისგან განსხვავებით, არ აღენიშნება მოხატვის კვალი (ტაბ. VIII: 3). პირის  $d - 5$  სმ.  $h - 11.5$  სმ.

უნდა ითქვას, რომ სამაროვნის ზედაპირზე მოპოვებული თხელკედლიანი ჭინჭილების კლასიფიკირებით და სტატისტიკის კვლევით, ძალზე საინტერესო სურათი გამოიკვეთა: აქ დაფიქსირებულია ჭინჭილების უამრავი, დაახლოებით 400-მდე ფრაგმენტი (მათი რაოდენობის მეტ-ნაკლები სიზუსტით დათვლა მოხდა ჭურჭლის ძირების რიცხვით). ბუნებრივია გაჩნდა კითხვა, თუ რატომ იყო წარმოდგენილი სასუფრე ჭინჭილები ასე ჭარბად სამაროვნის ტერიტორიაზე, თანაც ზედაპირულად. ვთქიერობთ, აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ კახეთის რეგიონში, არამედ მთელ საქართველოში, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში და ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ, მეტად ძირძველ, ხანგრძლივ, „ალაპი“ – საფლავზე გასვლის და ღვინით მიცვალებულის შესანდობრის თქმის ტრადიციასთან. <sup>146</sup> მათი რიცხვოვნებიდან გამომ-

<sup>144</sup>. ლომთათიძე, გიორგი. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბილისი, 1977. ტაბ. XIII-4, 5; მუსხლისებრი, ლევან; ხიდაშელი, შალვა; ჯაფარიძე, ვახტანგ. გუდარების პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ) არქეოლოგიური კამპანიის ანგარძში. თბილისი, 1954. გვ. 80-81, სურ. 33; ლანჩავა, ომარ. ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი, 2007. გვ. 187.

<sup>145</sup>. ჩხატარაშვილი, მერი. რუსთავის შუა საუკუნეთა მოუქიქავი კერამიკის ერთი თავისებური სახეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, № 5. თბილისი, 1964. ტაბ. III-6.

<sup>146</sup>. „ალაპი“ ბერძნული სიტყვაა და „ძმურ ტრაპეზად“ ითარგმნება ქართულად; ანუ, ეს არის მიცვალე-

დინარე, დიდი ალბათობით, ამ ჭურჭლებით ღვინის საფლავთან დატოვებაც ამავე ტრადიციის შემადგენელი რიტუალი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ეს ნაკეთობანი სამაროვნის თანადროულია.<sup>147</sup>

ამრიგად, სამარხეული ინვენტარისა და სამაროვნის ფუნქციონირების დროს მიმოფანტული არტეფაქტების შესწავლამ დაგვარჩმუნა, რომ პირველი სამარხები სახურავისა და კედლების ქვის კონსტრუქციების ნანგრევებით ლამის სანახევროდ სავსე ინტერიერში, დაახლოებით VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე მოუწყვიათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლად დანგრეული ტაძრის იატაკიდან ესოდენ მაღლა, ფაქტობრივად საშენი მასალის გროვაში, მიცვალებულებს არავინ დამარხავდა. სულ ცოტა 4-5 ათწლეული მაინც დასჭირდებოდათ ამ ყოფილი საკათედრო ტაძრის მახლობლად აღმოცენებული სოფლის ბინადრებს, რომ მის ინტერიერში ნაყარ ქვა-ლორლზე ჰუმუსის მაგვარი ფენით გაჩერილი ზედაპირი ბუნებრივ რელიეფად აღექვათ და სასაფლაოდ გამოყენებინათ. ამის შემდეგ, აგროკულტურული მეურნეობის განვითარებისთვის ამ მეტად ხელსაყრელ ბუნებრივ გარემოში, სოფლის ტიპის დასახლებული პუნქტში ცხოვრება უნუკე ტად, ალბათ ეკონომიკურად აღმავლადაც (სამაროვანზე დადასტურებული, ქონებრივად თანდათან დაწინაურების ნიშნების მიხედვით), დაახლოებით XIII საუკუნის შუა ხანებამდე გრძელდებოდა.

როგორც სამაროვანზე დაკრძალვების უეცარი შეჩერება მიგვანიშნებს, ამ პერიოდში აღნიშნულ დასახლებაში ცხოვრება მოულოდნელად შეწყვეტილა, სერიოზული კატაკლიზმის შედეგად; ვფიქრობთ, რომ ეს მოვლენა, დიდი ალბათობით, შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო საქართველოს ამ მხარეში ხორეზმის შაჲ ჯალალ ედ-დინის ან მონღოლი დამპყრობლების ერთ-ერთ პირველ, გამანადგურებელ ლაშქრობებთან.<sup>148</sup> ინტენსიური ცხოვრების შეწყვეტის შემდეგ, კონკრეტულად ამ მიდამოებში მოსახლეობის მასობრივი ბინადრობის ინტერვალი, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, 3 საუკუნე მაინც გაგრძელებულა.

ბულის მოსახსენიებელი „ჭურის ჭამა“. ეს ტრადიცია სათავეს უნდა იღებდეს გვიანანტიკური ხანიდან – სიმბოლურად, ეს იყო „საიდუმლო სერობის“ მოგონება. IV საუკუნეში საეკლესიო კრებებმა ჩამოაშორა აღაშს ზიარება, ხოლო კოსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებებმა (680 და 692 წე) აკრძალა ალაპის გამართვა ტაძარში და ამით საეკლესიო შინაარსი დაუკარგეს მას. თუმცა, აღმოსავლეთ მართლმადიდებელ ქრისტიანებში დიდასწან შემორჩა ეს ტრადიცია, როგორც წმინდათა და გარდაცვლილ ნათესავთა მოსახსენებელი სერობა.

<sup>147.</sup> ამ სამაროვნის ფუნქციონირების ხანის მიწის ზედაპირის პორიზონზე, საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა იმჟამინდელი სააღაპო რიტუალიდან შემორჩენილი სხვა კერამიკული ნანარმის ფრაგმენტებიც. მათში ჭრბობს განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული და მოუჭიქავი სასუფრე ჭურჭელი (ტაბ. IX), რომელთაც მრავალი ანალოგი ექვენებათ X-XIII საუკუნის ქრისტიანული არქეოლოგიური ძეგლებდან; ამვე ფენებში დადასტურდა ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების 10-მდე ზეთით გასანთაბელი თიხის ჭრაქიც (ტაბ. X).

<sup>148.</sup> ქამთააღმენერელი. „ასწლოვანი მატიანე“. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1959. გვ. 173-191.

დოლოჭოპის ბაზილიკის მიდამოებში ცხოვრება რომ გვიანი შუა საუკუნეების რაღაც ეტაპზე მაინც აღდგენილა, ამისი ირიბი დასტური, ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი გადმოცემის გარდა, არქეოლოგიური მონაცემებითაც მივიღეთ. 2013 წლის სეზონში, საკურთხევლის დასავლეთით მიჯრით მიმდებარე ფართობზე დაახლოებით კვადრატული მოხაზულობის, დასავლეთისკენ ფართოდ გახსნილ ლიობიანი ნაგებობის კონტურები გამოვლინდა. ნაგებობის უხეირო წყობა და კირ-ტალახის მეტად სუსტი შემკვრელის გამოყენება, აგრეთვე მისი ქრისტიანული ლიტურგიის პროცესისათვის სრულიად შეუსაბამო ადგილზე მდებარეობა, გარეგნულადაც კი გამორიცხავდა მისი და დოლოჭოპის ბაზილიკის თანაფუნქციონირებას ამ ტაძარში (ან მის რომელიდაც ნაწილში) თუნდაც მეტად შეზღუდული სახით მიმდინარე ღვთისმსახურების სტადიაზე.

გათხრებმა აშკარად დაგვანახა, რომ ეს ნაგებობა IX-XIII საუკუნეების სამაროვნის შემადგენელ სამარხებზე (№№30, 32, 35, 36) დაუშენებიათ, თანაც ისე, რომ სრულიად არ უზრუნიათ, შენობა კონკრეტულად რომელიმე მათგანზე, ან ერთობლივად, სამარხთა ჯგუფზე დაედგათ, ვთქვათ, მემორიალური მიზნით; ამ მომცრო, საკმაოდ არაპროპორციული გეგმის და ულაზათო ნაგებობის მშენებლებისთვის, დიდი ალბათობით, ამ კონკრეტული სამარხების არსებობაც კი უცნობი იყო – ტაძრის კონსტრუქციების იმუამად უკვე ჰუმუსით დაფარულ ნანგრევებზე აღნიშნული კედლების ამოყვანისას, ზოგიერთი ამ ქვა-ყუთის ზედა საფარველი ფილა დაუზიანებიათ კიდეც. გარდა ამისა, ამ ნაგებობის თიხატკეპნილი იატაკის ჰორიზონტულ დონეზე, აშკარად გვიან შუა საუკუნეებში დამზადებული, მეტად პრიმიტიულად ნაძერწი და გამომწვარი თიხის ჭურჭლის რამდენიმე მცირე ფრაგმენტიც დადასტურდა. ამდენად, ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე სრული უფლება გაგვაჩნია დავასკვნათ, რომ ეს მომცრო ნაგებობა ნატაძრალის ინტერიერში გვიან შუა საუკუნეებში ჩაუდგამთ.

ცნობილი ისტორიული ფატია, რომ 1614-1617 წლებში, ირანის შაჰის, აბას I-ის მიერ ორგანიზებული გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად, კახეთის, მდ. ალაზნის „გაღმა მხარის“ ტერიტორიები, დღევანდელი ყვარლის მუნიციპალიტეტის მიდამოების ჩათვლით, განსაკუთრებით დაზარალდა. ამ მხარის კატასტროფულად შემცირებული მოსახლეობის ჩანაცვლება თანდათან, XVII – XVIII სს-ში მოხდა მდ. ივრის ხეობის ზემო ნელიდან, ისტორიული ფშავის ბინადართა ნაწილის ჩამოსახლებით. მთიელი მოსახლეობის დიდი ნაკადი ფშავის სოფელ ყვარადანაც ჩამოსახლებულა – საკმაოდ მძლავრი ნაგებობების ნაშთებითა და საინტერესო ნაციხარ-ნატაძრალებით მოფენილი ნასოფლარი „ყვარა“ დღესაცაა შემორჩენილი თიანეთის რაიონში.<sup>149</sup> სწორედ აქედანაა წარმომდგარი ტოპონიმი „ყვარელი“.

<sup>149.</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2. თბილისი, 2004. გვ. 382, 383.

დაახლოებით ამ ხანაში აღნიშნული, ცალ მხარეს ნიშისებურად გახსნილი ნაგებობის აღმართვა ზედ ბაზილიკის ნანგრევებზე, ისიც ზუსტად საკურთხევლის ნაშთის წინ, ცხადია, შემთხვევითი არჩევანი არ იქნებოდა; შესაძლოა, მახლობელ სოფლებში შემორჩენილ მკვიდრ მოსახლეთაგან საკარალურად მიჩნეულ ამ ადგილზე ახალი სამლოცველო, ე. წ. „ნიში“, ახალმოსახლე ყვარლელებმა თუ დოლოჭობელებმა ააგეს იდესლაც სახელოვანი ქრისტიანული ტაძრის მემორიალად. ასეთი დაშვების შემთხვევაში, ამ საკურთხევლისწინა მცირე ნაგებობის დანიშნულება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვიან შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული, „გახალეურებული“ ქრისტიანობისთვის დამახასიათებელი „სახატების“ ანალოგიური უნდა იყოს.<sup>150</sup>

## დიდი გაზილიკის ცუროთმოძღვრული აღნაგობა და სტილისტურ-პროცესოგიური ანალიზი

დოლოჭობის ბაზილიკის ინტერიერისა და ფასადების მიმდებარე ფართობების საბოლოო კატასტროფის დროინდელი ნანგრევი მასებისგან, აღნიშნული „ჩაშვებული“ სამარხებისგან და გვიანდელი „სახატისგან“ ეტაპობრივად, არქეოლოგიური მეთოდით განთავისუფლების შემდეგ, პრაქტიკულად სრულად გამოვლინდა ჭაბუკაურის ტაძარზე კიდევ უფრო მასშტაბური ბაზილიკის ხუროთმოძღვრული აღნაგობა (სურ. 42).<sup>151</sup> მისი მხოლოდ ცენტრალური დარბაზის სიგრძე-სიგანეც კი (36 მ x 18.5 მ), მნიშვნელოვნად აღემატება აღმოსავლეთ საქართველოში აქამდე ცნობილ ყველა ბაზილიკურ ტაძარს (სურ. 43, 44, 45). ეს დარბაზი 5 წყვილი, ჯვრისებრი გეგმის სვეტების ორი რიგით არის დაყოფილი სამ ნავად. სვეტები 1.5-2 მ სიმაღლემდეა შემორჩენილი. ისინი მართულთხა გეგმის, დაახლოებით 2 მ x 2 მ სიგრძე-სიგანის, 20-25 სმ სიმაღლის, დღემდე კარგად შემონახულ ბაზისებზე დგას. ბაზილიკის კედლები და სვეტები აგებულია ფლეთილი, კარგად ნარჩევი, აგრეთვე, მდ. დურუჯის რიყეზე შეგროვილი ქვით, მეტად მტკიცე დუ-

<sup>150.</sup> ბარდაველიძე, ვერა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. 1. თბილისი, 1974; კიკაძე, ზურაბ. „ხალხური ქრისტიანობა“ აღმოსათვლეთ საქართველოს მთიანეთში. მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, თბილისი, 08.07.2010. გვ. 15-17.

<sup>151.</sup> ბახტაძე, ნოდარ. დოლოჭობის ბაზილიკზე 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. ჰუმანიტარულ კვლევათა უურნალი კადმოსი, №4. გვ. 273-303. თბილისი, 2012 (რედ. ზ. კიკაძე); ბახტაძე, ნოდარ; მამიაშვილი, ვაჟა; გაბეგაძე, ბაჩანა. დოლოჭობის ბაზილიკის არქეოლოგიურ კვლევა ნაქალაქარ ნეკენისში. ონლაინ არქეოლოგია. №8. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გვ. 110-131. თბილისი, 2015 (<http://www.heritagesites.ge/geo/archeology/online/>). ბახტაძე, ნოდარ; მამიაშვილი, ვაჟა... 2017; ბახტაძე, ნოდარ. უძველესი ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკენისში და მოსაზრებანი პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრების ხუროთმოძღვრული აღნაგობის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული კადგემის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) №1. თბილისი, 2018. გვ. 88-114.




სურ. 42. დოლოჭოპის ბაზილიკის აეროფოტო  
Fig. 42. Aerial photo of Dolochopi Basilica complex

ღაბის ხსნარზე. თაღების გამოსაყვანად და სვეტების კაპიტელებად გამოყენებულია შირიმის ნათალი ქვები. ბაზილიკის შიდა სივრცის კედლები კირით ყოფილა შელესილი და, ისევე როგორც ჭაბუკაურის ბაზილიკის ინტერიერი, წითლად იყო შელებილი. ცენტრალურ დარბაზში სამი მთავარი, განიერი შესასვლელია დატანებული: დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან (1.40 მ - 2.10 მ სიგანის, მნიშვნელობისძად მიხედვით). გარდა ამისა, ნაოსში თითო-თითო დამატებითი შესასვლელიცაა: ჩრდილოეთისაში (დასავლეთ განაპირა) და სამხრეთისაში (აღმოსავლეთ განაპირა).

ცენტრალური დარბაზის იატაკი პირველ რეკონსტრუქციამდე (იხ. ქვემოთ), მოგებული ყოფილა მართკუთხა (ძირითადად კვადრატული) ფორმის სპეციალურად დამზადებული, საშუალო სიმკვრივის, გამომწვარი კერამიკული ფილებით (უფრო ხშირად 20-25 სმ x 20-25 სმ x 6 სმ ზომის). იატაკის ეს ფენილი, ამჟამად ფრაგმენტებადღლაა შემორჩენილი.

დოლოჭოპის ბაზილიკის შუა ნავის აღმოსავლეთ კიდეში მოწყობილი ყოფილა მკვეთრად ნალისებური გეგმური მოხაზულობის საკურთხევლის აფსიდი. გათხრისას, მის იატაკზე გამოვლენილი, ნგრევის დროს ჩამოშლილი, დუღაბიანი ქვის ბლოკების კონფიგურაციის მიხედვით დავადგინეთ, რომ აფსიდი ზემოდან ქვითკირის კონქით იყო შემოსაზღვრული. საკურთხეველს ირგვლივ სასულიერო პირთა დასაბრძანებელი, ოთხსაფეხურიანი, ქვის წყობით გამოყვანილი მერხი შემოუყვება. ამ ხარისხის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში კი, მერხის ზედაპირზე კიდევ უფრო




სურ. 43. დოლოჭოპის ბაზილიკის ძირითადი კორპუსის გეგმა  
Fig. 43. Plan of main building of Dolochopi Basilica

მაღლა, სამეუფეო ტახტია დაფუძნებული, რომელზე ასასვლელადაც ოთხი საფეხურია მოწყობილი. მსგავსად მოწყობილი საკურთხევლები, საქართველოში ცნობილ ტაძრებში არქეოლოგიურად დღემდე არ დადასტურებულა (სურ. 46).<sup>152</sup> საკურთხევლებზე ამგვარად შემოყოლებული ხარისხები და სამეუფეო ტახტები (სინთრონონი; ქართულად – მაღალდასაჯდომელი), ცნობილია მხოლოდ ბიზანტიური სამყაროს ადრეული შუა საუკუნეების საკათედრო ტაძრებიდან – წირვისას მათზე მსხდომი სასულიერო იერარქები ქრისტეს და მის მოციქულებს განასახიერებდნენ.<sup>153</sup>

მეტად საყურადღებოა, რომ დოლოჭოპის ბაზილიკის საკურთხევლის ამბიონი დასასვლელისკენ ცენტრალური ნავის პირველ წყვილ სვეტებამდე მართკუთხა „ავანსცენისებურადა“ გამოწეული. რადგანაც საკურთხევლის შემაღლება ნაოსის

<sup>152.</sup> ერთადერთი გამონაკლისია ბაგრატის საკათედრო ტაძარი ქუთაისში. სულ ახლახან, 2019 წლის ზაფხულში ამ ტაძრის საკურთხევლში ჩემ მიერ ჩატარებული ხუროთმოძღვრული კვლევის შედეგად არ გამოვრიცხავ, რომ ეს მაღალდასაჯდომელი XI საუკუნის გუმბათანი ტაძრის ქვეშ არქეოლოგიურიდ, საძირკვლის დონეზე დადასტურებული, V სის დღი ბაზილიკის საკურთხევლის შემორჩენილი და ნაილობრივ რესტავრირებული ელემენტია; ან კიდევ, ძველი საკურთხევლის რეკონსტრუქციისას, მისი ელემენტებით ნასაზრდოება, რემინისცენციური თემაა.

<sup>153.</sup> Koch, Guntram. *Frühchristliche Kunst*. Stuttgart, 1995.გვ. 46-48.




სურ. 44. დოლოფოპის ბაზილიკა. ჭრილი 1-1 (თავდაპირველი ეკლესიის ნაშთების ჩვენებით)  
Fig. 44. Dolochopi Basilica. Cross-section 1-1 (showing the remains of the initial church)

იატაკიდან 90 სმ-ს აღწევდა, ამბიონზე დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ასასვლელად, მისი მართკუთხა პლატფორმის გვერდების სიგანის, 3 საფეხურიანი კიბეებია მოწყობილი. აღსანიშნავია, რომ არც ამგვარი პომპეზური ამბიონი შეგვხვედრია ჯერჯერობით გვიანანტიკურ თუ შუა საუკუნეების ქართულ ბაზილიკებში; სამაგიეროდ, მსგავსი პარადული ამბიონები ახასიათებს გვიანანტიკურ რომაულ და აღრეპიზანტიურ სამყაროთა ცენტრალური პროვინციების ცნობილ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ბაზილიკებს.<sup>154</sup>

საქართველოს ამ პროვინციაში ქრისტიანული ტაძარმშენებლობის პრინციპების დამკვიდრების პირველი ეტაპებისთვის თვალის გასადევნებლად, ზოგადად გვიანანტიკური ხანის იძერის სამეფოში მიმდინარე პოლიტიკურ-კულტურულ და რელიგიურ პროცესებში ამ ტაძრის როლის შესაფასებლად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაზილიკის საკურთხევლის იატაკებები სივრცეში ვრცელი, დაახლოებით 15 კვ. მ. ფართობის კრიპტის აღმოჩენა, რომელიც, უდავოდ, ტაძრის მშენებლობის დროსაა დატანებული (სურ. 47). (VI ს-ში, მინისძვრის შედეგად ბაზილიკის ნაწილობრივი დესტრუქციის შემდეგ, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, ეს კრიპტა გაუუქმდიათ, ქვა-ლორლით ამოუქსიათ და საკურთხევლის იატაკის პორიზონტიც 80 სმ-ით დაუდაბლებიათ). ამ კამერის ცენტრალურ ნაწილში, იატაკზე, დაშენებული ყოფილა ხის ძელებით ნაშენი, მაღალი ხარისხის კირით შეპათქაშებული წმინდა ნაწილების ჩასასვენებელი რელიქვარიუმი, რომელიც ამჟამად გეგმის დონეზედა იკითხება. როგორც ჩანს, აკლდამის სარდაფის სართულისაგან გამყოფ ხის კოჭოვან გადახურვაზე მოწყობილი თავდაპირველი საკურთხევლის იატაკზე, სწორედ ამ ლუსკუმის თავზე, დადგმული იქნებოდა ტრაპეზის მაგიდა (შესაძლოა, დაახლოებით ჭაბუკაურის ბაზილიკაში დადასტურებული ტიპის: ოთხ ფეხზე დაფუძნებული ზედაპირის ფილით, ან, სულაც ხისა). საკურთხევლის იატაკის ქვეშა კრიპტაში, წმინდა ნაწილების ან წმინდანთა ნეშტების მოსათავსებელი ამგვარი რელიქვარიუ-

<sup>154.</sup> Wilkinson, John. Cristian Worship in Byzantine Period. *Ancient Churches Revealed*. Jerusalem, Israel Exploration Society, 1993. გვ. 19, 20.



სურ. 45. დოლოჭოპის ბაზილიკა. ჭრილი 2-2 (თავდაპირველი ეკლესიის ნაშთების ჩვენებით)

Fig. 45. Dolochopi Basilica. Cross-section 2-2 (showing the remains of the initial church)

მების (ოსუარიუმების) არსებობა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა გვიანანტიკურ რომაულ და ადრებიზანტიკურ ქრისტიანულ ტაძრებში,<sup>155</sup> საქართველოში კი მსგავსი კონსტრუქცია, ამგვარად თვალსაჩინო სახით პირველად აქ გამოვლინდა.

საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდითი ნავების გაგრძელებაზე, მოწყობილი ყოფილა სწორკუთხა გეგმის პასტოფორიუმები – ნავებიდან თითო შესასვლელით; ჩრდილოეთის პასტოფორიუმს ჩრდილოეთ სივრციდანაც ჰქონია ავტონომიური კარი (რომელიც მოგვიანებით, ტაძრის ფუნქციონირების ხანძივე გაუუქმდით), სწორედ ამიტომ საეჭვოა, რომ ეს ოთახი ტაძრის აგების ხანაში სამკვეთლოს ფუნქციას ასრულებდა: უძველესი თუ თანამედროვე ქრისტიანული ლიტურგიებიდან გამომდინარე, ამგვარი დანიშნულების სათავსი ასეთ ელემენტს არ საჭიროებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენდა გასაკვირად, ამ პასტოფორიუმებიდან, დიდი ალბათობით, სარკმლებით არც ერთი ნათდებოდა (სამხრეთისა – დანამდვილებით), უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სათავსებს, ისევე როგორც ჭაბუკაურის ბაზილიკის პასტოფორიუმებს, სამკვეთლოსა და სადიაკვნეს დაკანონებული ფუნქციები ჯერ არ გააჩნდათ. როგორც ჭაბუკაურის ბაზილიკის მაგალითზე უკვე აღვნიშნეთ, ადრეული ქრისტიანული სამყაროს ზოგიერთი რეგიონის უძველეს ტაძრებში (მაგალითად, სირიაში, კარიაში)<sup>156</sup> და, როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოშიც, ამ სათავსებს ძირითადად საკურთხევლის კონსტრუქციისთვის მეტი სიმყარის მისანიჭებლად აგებდნენ (როგორც ალტერნატივას შვერილი, ნაკლებად სტატიკური საკურთხევლებისა);<sup>157</sup> ამასთან, საკურ-

<sup>155.</sup> Milburn, Robert. *Early Christian Art and Architecture*. University of California Press. Berkley, Los Angeles, 1988. გვ. 213-215; Netzer, Ehud; Birger-Calderon, Rivka; Feller, Ayala. *The Churches of Herodium. Ancient Churches Revealed*. Jerusalem, 1993. გვ. 224; Majcherek, Grzegorz. *Excavating the basilicas. Studia Palmyrenskie*, XII. Warsaw, 2013. გვ. 254-256.

<sup>156.</sup> Tchalenko, Georges. 1990. გვ. 142-165; Tchalenko, Georges; Baccache. Paris, 1979-1980. გვ. 23-34, 46-55; Serin, Ufuk. *Early Christian and Byzantine Churches at Iasos in Caria. An Architectural Survey. Monumenti di antichità cristiana II*. Vatican City, 2004. გვ. 173-176; Blid, Jesper. 2006. გვ. 34, 35, 78, 79.

<sup>157.</sup> ადრექრისტიანული ბაზილიკების „მართკუთხა პარალელეპიდედისებური“ კორპუსებიდან აღმოსავ-

თხევლების აქეთ-იქით გაჩენილი ეს სივრცეები, მეტად მოსახერხებელი აღმოჩნდა ლიტურგიკული თუ პრაქტიკული საჭიროებისათვის დამატებითი, თუმცა კანონიკურად არა მკაცრად განსაზღვრულსათავსების მოსაწყობად (მათ, ლოკალური მოთხოვნილებისამებრ, საეკლესიო ინვენტარის შესანახად, სამღვდელოების სატრაპეზოდ, კრიპტებად, ხანდახან კი ბაპტისტერიუმებადაც იყენებდნენ). მხოლოდ VII-VIII საუკუნეებში შეიძინა ჩრდილოეთის პასტოფორიუმმა სამკვეთლოს, სამხრეთისამ კი სადიაკვნეს მყარად განსაზღვრული ფუნქცია.<sup>158</sup>

ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ცენტრალურ დარბაზს მთელ სიგრძეზე გაუყვებოდა მისივე ხნოვანების, ერთიანი გარე კედლებით შექმნილ სივრცეებში მოქცეული გალერეების, ეგვტერების და სტოების სისტემა (რომელთა შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-დან 1.5 მ-დან მერყეობს).

როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის გალერეების უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილებში ნალისებრი გეგმის აფსიდით დასრულებული ეგვტერები ყოფილა მოწყობილი. არ გამოვრიცხავთ, რომ ჩრდილოეთის სამღლოცველოს, შესაძლოა თავ-დაპირველად ბაპტისტერიუმის (სანათლავის) ფუნქცია გააჩნდა (მის იატაკში მოწყობილი აუზი, შესაძლოა განვითარებულ შუა საუკუნეებში მეტად ინტენსიურად ჩაშვებულმა სამარხებმა შეინირა).

მეტად საინტერესო აღნაგობის ყოფილა ჩრდილოეთის გალერეის დასავლეთ ნაწილი: ის გარე სივრცესთან დაკავშირებული იყო ხუთი განიერი, თაღებით გა-დახურული ღიობით. ეს თაღები ბაზილიკის ჩრდილოეთ ფასადს სიმსუბუქეს და საზეიმო ელფერს სძენდა, თანაც, ჩრდილოეთიდან ნაოსში შესასვლელი მთავარი კარის წინა სივრცეს, ნახევრად ღია კარიბჭის სახეს აძლევდა (სურ. 48). ისტორიულ ლანდშაფტთან მორგების თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელმა პოზიციამ და ამგვარად განსაკუთრებულად დამშვენებამ დაგვარნმუნა, რომ სწორედ ეს გახლავთ ტაძრის საპარადო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფასადი (ალბათ, აღმოსავლეთის ფასადთან ერთად). უაღრესად საყურადღებოა ისიც, რომ ამ საფასადო თაღებისთვის მაქსიმალურად დახვეწილი ფორმის მისაცემად, მშენებლობის მესვეურებს სპეციალური დაკვეთით, მრავლად (დაახლოებით 300 ერთეულამდე) დაუმზადებიათ მოზრდილი (40 სმ x 40 x 8 სმ), საუცხოოდ გამომწვარი კერამიკული ფილები. ფილების სისქე ცალ მხარეს ერთნაირად შემცირებულია, რათა ისინი ნახევარნრეზე

ლეთით ნახევარნრიულად შეერთო საკურთხევლები რომ პრობლემას უქმნიდა ამ ტაძართა სტატიკურობას, ზოგან ცხადლივ დასტურდება; მაგალითად, გვიანანტიკურ ხანაშივე, აგების შემდეგ ძალზე სწრაფადვე, დამატებითი ანტისეისმური ღონისძიების სახით, ზოგჯერ ასეთ საკურთხევლებს ქვით-კირის მასიურ, მართკუთხა მოცულობებში ათავსებდნენ სარკოფაგისებურად, მარჯვნივ და მარცხნივ კი პასტოფორიუმისებრ ოთხხებს უმატებდნენ, რაც ფაქტიურად კონტრფორსების როლს ასრულებდა (Petrova, Svetla. The Baptistry of the Basilica in Parthicopolis. Niš and Bizantium. Fifteen International Symposium. The collection of Scientific Works, XV. Niš, 2016. sur. 1, გვ. 134, 136).


<sup>158.</sup> Mišković, Ana. 2013. გვ. 7-20.



სურ. 46. დოლოჭოპის ბაზილიკა. საკურთხეველი და მიწისქვეშა კრიპტა  
Fig. 46. Dolochopi Basilica. Sanctuary and underground crypt

„სოლისებურად“, ანუ, ერთმანეთზე მჭიდროდ მორგებულად ჩაეშენებინათ. ფასა-დის ფორმირების ეს ერთი დეტალიც კი თვალნათლივ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით, მატერიალური რესურსების და დროის დაუნანებლადაც იღწვოდნენ დამკვეთები ამ სახელმწიფო მნიშვნელობის ტაძრისთვის კონსტრუქ-ციულად და ესთეტიკურად სრულყოფილი სახის მისაცემად.

ბაზილიკა, სრული სახით ფუნქციონირებისას, ცენტრალური დარბაზის დასავ-ლეთის კედლით მიბჯენილი ყოფილა ავტონომიურად ნაგებ, ზოგადი სქემით ნარ-თექსის მსგავს, ჩრდილოეთ-სამხრეთ დერძზე წაგრძელებულ ქვითკირის შენობაზე (სიგრძე-სიგანე: 26 მ x 7.3 მ) (სურ. 49). შენობის დამხრობა ბაზილიკის დარბაზის დასავლეთ კედლისგან ისეა აცდენილი სამხრეთით, 3<sup>0</sup>-ით, რომ ჩრდილოეთ კუთ-ხესთან მათი კედლები ერთმანეთს ეხება, დარბაზის სამხრეთ-დასავლეთის კუთხე კი 1.2 მ-თაა დაცილებული ამ ნაგებობის აღმოსავლეთის კედელს. ამ „ფსევდო-ნართექსის“ სივრცე, ორი, 1მ სიგანის კედლით სამ, გვერდიგვერდ მოწყობილ ოთახად ყოფილა დატიხრული. სათავსთა იატაკები ფიქალის ფლეთილი ფილებით ყოფილა მოგებული. შენობის ამ სამივე ოთახში შესვლა, მხოლოდ დასავლეთის და აღმოსავლეთის კედლების ცენტრალურ ნაწილებში დატანებული თითო კარით შეიძლებოდა; ამასთან, აღმოსავლეთის კარი ბაზილიკის ცენტრალური დარბა-ზის დასავლეთის შესასვლელზე ისეა მიბჯენილი თუ გასწორებული, რომ დასავ-




სურ. 47. დოლოჭოპის ბაზილიკა. გრძივი ჭრილი საკურთხეველზე და მიწისქვეშა კრიპტაზე (რეკონსტრუქცია)

Fig. 47. Dolochopi Basilica. Longitudinal cross-cut in the Sanctuary and crypt (Reconstruction)

ლეთიდან ტაძარში შესვლა, მხოლოდ ამ „ფსევდო-ნართექსის“ გავლით შეიძლებოდა. არადა, გათხრისას გამოვლენილი სურათი, სრულიად არ შეესაბამებოდა „კლასიკური“ ნართექსის ფუნქციას: თითოეული ოთახის იატაკის ჰორიზონტიდან ოდნავ ამონეულად, „ჩაყრილი“ ყოფილა მოზრდილი ქვევრები: 4 სამხრეთისაში, თითო-თითო კი ცენტრალურსა და ჩრდილოეთის ოთახში. აქვე გვხვდება სამეურნეო მოწყობილობები – თონე და კერა (სამხრეთის ოთახში). ამდენად, სახეზეა ასკარად სამეურნეო დანიშნულების, მარნისა თუ საკუჭნაო-სამზარეულოს ფუნქციების შემთავსებელი ნაგებობა. გათხრების საწყის ეტაპზე ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ნაგებობა შეიძლებოდა დიდი ბაზილიკის მიწისძვრის შედეგად ნგრევის შემდეგ, მისი შემოკლებული სახით რეკონსტრუქციის დროს მოწყობილი მარანი ყოფილიყო, ფაქტობრივი მასალით გამოირიცხა. უპირველეს ყოვლისა, ამ ნაგებობის ადრეულობაზე, მისი სათავსების იატაკებზე გათხრებისას დაფიქსირებული ნივთიერი მასალა მეტყველებულს. მაგალითად, სამხრეთის ოთახში, შენობის ფუნქციონირების პირველი ფაზის შესატყვის იატაკზე აღმოჩნდა მსხლი-სებრი მოყვანილობის, გარედან წითლად ნაპრიალები თიხის დოქის (თუ სასმისის) პირისა და მუცლის ფრაგმენტი, რომელის ყელი და მუცელი ნაკანრი, ტალღოვანი ორნამენტით ყოფილა შემკული (სურ. 50). ჭურჭლის ყელზე გამოწვის შემდეგ (ანუ, მოხმარებისას) ამოკანტული ქართული ასომთავრული ნარნერაა: „მი(ჸ)აილ“ თუ „მი(ს)აილ“.<sup>159</sup> ამ ჭურჭლის ანალოგიური ნაკეთობანი გვიანანტიკური ხანის

<sup>159.</sup> ნარნერის მე-3 ასო-ნიშანის ნაკითხვაში მევლევარები ვერ ვთანხმდებით: ამოკანტულისას ასო „ჰანი“ ვერ გამოყვანეს სრულად თუ ეს ასო „სანია“. თუმცა, იმისდა მოუხედავად, რომელი ნაკითხვაა აქედან მორთებული, ორივე შემთხვევაში აქ გამოყვანილია მოელ ქრისტანულ სამყაროში მეტად გავრცელებული მამაკაცის საკუთარი სახელის, „მიქაილ-მიჰაილ-მისაილ“-ის რომელიდაც ვარაცია – სამივე



სურ. 48. დოლოჭოპის ბაზილიკის ძირითადი კორპუსის თეორიული რეკონსტრუქცია  
Fig. 48. Theoretical reconstruction of Dolochopi Basilica

აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე არქეოლოგიურ ძეგლზეა მიკვლეული და მყარად თარიღდება IV-V სს-ით, რასაც წარწერის პალეოგრაფიული ანალიზიც უჭერს მხარს.<sup>160</sup> დაახლოებით ამავე ხნივანების ანალოგები ეძებნება ამ ნაგებობის თავდაპირველი იატაკების დონეზე მიკვლეულ სხვა არტეფაქტებსაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ნაგებობის სათავსთა იატაკებზე მიმობნეული აღმოჩნდა ზუსტად ბაზილიკის გადასახურად გამოყენებული ზომებისა და სტილის ბრტყელი და ღარიანი კრამიტები, ხოლო აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლების გაყოლებაზე კი ბაზილიკის სახურავების მოსართავად გამოყენებული ანტეფიქსების ანალოგიური ფრაგმენტები. ამდენად, უცილობლად დადასტურდა, რომ დიდი ბაზილიკის მინისძვრის შედეგად წყობიდან გამოსვლის დროს, მის ნაოსზე დასავლეთიდან მიბჯენილი ეს ნაგებობაც ზუსტად ისე იყო გადახურული და აღკაზმული, როგორც ძირითადი კორპუსი.

ამგვარად, გამოდის, რომ ეს შენობა დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების ეპოქაში-

ეს ფორმა, მეტ-ნაკლებად დადასტურებულია ადრექტისტიანული სამყაროს ამა თუ იმ რეგიონის წერილობით წყაროებმა. რაც შეეხება დახლოებით ამ სტილის თახის ჭინჭილების მოხმარებისას, მათ ზედაპირზე საკუთარი სახელების გამოყვანას (დიდი ალბათობით, მფლობელების), თანაც მუდამ პირ-ყელის მიდამოებში, ასეთი ფაქტი რამდენიმეგზისაა დადასტურებული ადრექტისტიანული ხანის ქართულ არქეოლოგიურ მასალებში. მაგ., ჭილაშვილი, ლევან. რუსთაველი „თეფალე“ – ქართლის პატრიკიოსის მოციქული. აკად. სიმონ ჭავანაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-B, თბილისი, 1961. გვ. 399-402.

<sup>160</sup> ჭილაშვილი, ლევან. თბილისი, 1990, სურ. 13; აბრამიშვილი, როსტომ; ჭილაშვილი, ლევან. 1962. (2-60:46); ბასტაძე, ნოდარ. 2013. გვ. 5, სურ. 2.



სურ. 49. დოლოჭოპის ბაზილიკის „ფსევდო-ნართექსი“ (სავარაუდო, ეპისკოპოსის სასახლე)  
Fig. 49. “Pseudo-narthex”of Dolochopi Basilica (Presumably the Bishop’s Palace)

ვე იყო ჩართული სატაძრო კომპლექსის ანსამბლში და, რაოდენ საკვირველადაც არ უნდა მოგვეჩებულის, ბაზილიკის ნაოსში დასავლეთის კარით მოხვედრა, სწორედ ამ „სამეურნეო“ სათავსის გავლით იყო შესაძლებელი. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრაქტიკულად მთელი ქრისტიანული სამყაროს ბაზილიკურ ტაძრებში ხაზგასმულად უმთავრესი, სწორედ დასავლეთის შესასვლელებია ხოლმე, საიდანაც ცენტრალური ნავში ვევდებით და პარადულ მსვლელობას ტაძრის „იდეოლოგიური ცენტრისკენ“, უმთავრესი საკრალური ადგილისკენ, საკურთხევლისკენ ვიწყებთ – ასეთი სქემა ხომ ზოგადად ბაზილიკური ნაგებობების გრძივ ღერძზე წაგრძელებისა და მათი სივრცეების სვეტნარის მწერივებით სწორედ ამ მიმართულებით დაყოფის ამოსავალი პრინციპია.<sup>161</sup> მაგრამ, აქვე უნდა გავიხსენოთ,



სურ. 50. თიხის დოქის პირ-ყელი ასომთავრული წარწერით  
Fig. 50. Ceramic Jug's throat with Georgian asomtavruli inscription

<sup>161.</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ბოლნისის სიონის, V საუკუნის მე-2 ნახევრის საყოველთაოდ ცნობილი ბაზილიკა, რომლის გეგმორების ამოსავალ პრინციპად, ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის, სწორედ სანინალმდევრო მოვლენას მიიჩნევს: თითქოსდა, ამ ბაზილიკას თავდაპარველად დასავლეთიდან შესასვლელი კარ შეენებულა არ ჰქონდა დატახტებული, რითაც ხუროთმოძღვარს სწორედ ამ ნაგებობის ბაზილიკურიბის არსის გაქარწყლება სურდა, რათა მხოლოდ გვერდითა კარებით შესულ მორწმუნებებს საკურთხევლისკენ რიტმული, პარადული მსვლელობის ეფექტი არ შეეგრძნოთ (?!) (ყუბინაშვილი, გიორგი. *Болниссский Сион. Тбилиси, 1940.* გვ. 143, 144, 193). ჩვენ, ზოგადად ქართული ეკლესიების „ანტიბაზილიკურობისკენ“ მიღრებილების ამ კონცეფციის (ყუბინაშვილი, გიორგი. 1959. გვ. 15; Beridse, Wakhtang; Neubauer, Edith. *Die Baukunst des Mittelalters in Georgien.* Berlin, 1980. გვ. 18; Plontke-Lüning, Annegret. *Frühchristliche Architektur in Kaukasien. Die Entwicklung des christlichen Sakralbaus in Lazika, Iberien, Armenien, Albanien und Grenzregionen vom 4. bis zum 7. Jh.* Wien, 2007. გვ. 251, 252. ვრცლად, იხ. ქვემოთ) და კონტრეტულად ამ ტაძარში დასავლეთის კარის გვიანდელობასაც, კატეგორიულად არ ვეთანხმებით: დასავლეთის კედლის, ქვის ქვედა ორ წყობა შესანიშნავად მიგვანიშნებს, რომ აქ კარი თავდაპირველადგვე იყო დატანებული და გვიან შეა სუკუნებში, აგურის წყობით ამ კარს მხოლოდ ახალი საპირე წყობები და შეისრული თაღის მიმდებარე სიბრტყეები ამოუშენეს.

რომ დოლოჭოპის ბაზილიკის ეს კარი, ნაოსში ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შესასვლელ კარებზე გაცილებით ვიწროა და მრევლის დიდ ნაკადზე თითქოს მართლაც არ არის გათვლილი. ესე იგი, როდესაც დიდი ბაზილიკა შენდებოდა, შესასვლელი მართლაც დასავლეთის „სამეურნეო“ ნაგებობიდან („ფსევდო-ნართექსიდან“) დაგეგმეს. რადგანაც ამ გრძივ შენობას ავტონომიური აღმოსავლეთის კედელი აქვს, რომელშიც დარბაზში შესასვლელი კარი გვიან არის გაჭრილი, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაგებობა ბაზილიკზე ადრეულია და, ის კი არ არის მიშენებული ბაზილიკის დასავლეთ კედელზე 3<sup>0</sup>-ით აცდენილად, არამედ პირიქით, ბაზილიკა მიუდგავთ მასზე იმგვარად, რომ მისი გრძივი ღრძი ზუსტად ყოფილიყო აღმოსავლეთზე ორიენტირებული (სურ. 66). ამდენად, ამ ორი შენობის, ბაზილიკის ძირითადი დარბაზის და „ფსევდო-ნართექსის“ არასინქრონულობა სახეზეა; და მართლაც, მათი შემკვრელი დუღაბის ხარისხიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან – დასავლეთის ნაგებობა გაცილებით სუსტი შემკვრელობის კირხსნარითა აშენებული.

ვინაიდან სრულიად წარმოუდგენელია, რომ ასეთ პომპეზურ ტაძარში შესასვლელი დასავლეთით უკვე მდგარი და „უცნაური თავგამოდებით“ შენარჩუნებული მარნიდან მოეწყოთ, დასავლეთის „ფსევდო-ნართექსის“ თავდაპირველ შესაძლო ფუნქციაზე კარგად უნდა დავფიქრდეთ. ჩვენი აზრით, გათხრისას დაახლოებით ბაზილიკის დარბაზის იატაკის პორტიკიზულ დონეზე გამოვლენილი ოთახები, ორსართულიანი სასახლის პირველ სართულზე გამართულ სამეურნეო (მარანი, საკუჭნაო, სამზარეულო და ა. შ) სათავსებს წარმოადგენს.

იმის შესახებ, თუ ვისი კუთვნილი შეიძლებოდა ყოფილიყო ამდენად გრანდიოზული საკათედრო ტაძრის მშენებლობისას, მასზე დასავლეთიდან მიდგმული კორპუსის სახით შენარჩუნებული სასახლე, რომლიდანაც მფლობელი პირდაპირ ტაძრის ნაოსში შედიოდა პერსონალურად მისთვის მოწყობილი კარით, ვგონებ, ორი აზრი არ უნდა არსებობდეს: ის მხოლოდ ნეკრესის ეპარქიის მმართველი-ეპისკოპოსი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამის ფაქტობრივი დასტური არ გაგვაჩნია, მაგრამ ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს საეკლესიო იერარქი, თავისი რეზიდენციის მეორე, საცხოვრებელი სართულიდან გადმოსახედი სარკმლის ღიობის თუ ქორედის საშუალებით, ხანდახან ნაოსში ჩაუძრანებლადაც კი ესწრებოდა ტაძრის დარბაზში მიმდინარე რიტუალებს, პირ-სახით საკურთხევლისკენ მიმართული.

ადრექრისტიანული ბიზანტიური სამყაროს (მაგალითად, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების) არქიტექტურულად და არქეოლოგიურად შესწავლილი საეპისკოპოსო კომპლექსების არაერთი მაგალითით<sup>162</sup> ვრწმუნდებით, რომ

<sup>162</sup>. Кленина, Елена. Раннебизантийский епископский комплекс в Херсоне. *Античная древность и средние века. Вип. 38.* Екатеринбург, 2008. გვ. 64-78; Георгиев Павел; Витлянов Стоян. *Архиепископията-манастир в Плиска.* София, 2001. გვ. 45.

საკათედრო ტაძრების უმჭიდროესი მეზობლობა ეპისკოპოსების რეზიდენციებთან თუ საცხოვრებელ სახლებთან, სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა და მეტად ხშირად, კომპლექსის ეს ორი უმთავრესი კომპონენტი, ერთმანეთზე მიჯრითაც არის ხოლმე აგებული. უფრო მეტიც, ასეთი მჭიდრო ტერიტორიული სიახლოვე საკათედრო ტაძარსა და საეპისკოპოსო რეზიდენციებს შორის, დაახლოებით V საუკუნის დასაწყისიდან კანონიკურ ნორმადაც ქცეულა: კართაგენის IV ადგილობრივ საეკლესიო კრებას (401 წ) ასეთი წესი ოფიციალურადაც კი დაუკანონებია.<sup>163</sup>

მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რა ფაქტორების საფუძველზე ვვარაუდობთ საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური შუალედის არსებობას დოლოჭობის საკათედრო კომპლექსის შემადგენელი ამ სასახლისა და დიდი ბაზილიკის აგების ხანათა შორის, ოდნავ ქვემოთ, ნაშრომის შესაბამის ნაკვეთში დავუბრუნდებით.

ირგვლივ სტოების, ეგვტიერებისა და ნართექსების სისტემით გარშემორტყმული სამნავიანი ბაზილიკები, IV-VI სს-ში (და, ხანდახან უფრო გვიანაც, VII-VIII სს-ში) ხუთნავიანი ბაზილიკების პარალელურად, საქმაოდ იყო გავრცელებული როგორც რომის იმპერიის ცენტრალურ პროვინციებში, ისე პერიფერიებში, პრაქტიკულად მთელი ადრეული ქრისტიანული სამყაროს ქვეყნებში.<sup>164</sup> ასეთი აღნაგობის ეკლესიები, ერთის მხრივ, წირვა-ლოცვაზე მორწმუნეთა განსაკუთრებით ჭარბი რაოდენობით (თუნდაც მომიჯნავე სათავსები მყოფთა) დასწრებას უზრუნველყოფდა; ამასთანავე, მსგავსი გეგმარება საშუალებას იძლეოდა ტაძრის ერთსა და იმავე მოცულობაში მოექციათ და ცენტრალური დარბაზიდან მარტივად მისადგომი გაეხადათ სხვადასხვა დამატებითი ფუნქციის სამლოცველო-ეგვტიერები, სამწირველო კრიპტითურთ, თუნდაც ბაპტისტერიუმი და სხვ.; როგორც ჩანს, დამატებითი სათავსებით, როგორც ხანდახან უზოდებენ „გარშემოსავლელებით“ სამმხრივ (ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით) გაფართოებული სამნავიანი ბაზილიკები, დიდწილად ხუთნავიანი ბაზილიკების ტექნიკურად უფრო ადვილად განსახორციელებელ ალტერნატივადაც განიხილებოდა: ხუთნავიანი ბაზილიკების აგება, სამნავიანებთან შედარებით დიდ ტექნიკურ-კონსტრუქციულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, და ისინი, სეისმომედეგობის თვალსაზრისითაც გაცილებით „მოწყვლადები“ იქნებოდა. სწორედ ამიტომ, დამატებით სივრცეების მიღებას, ხშირად ამ სახით ამჯობინებდნენ ხოლმე. გვხვდება იმის მრავალი შემ-

<sup>163.</sup> [https://azbyka.ru/otekhnika/Nikodim\\_Milash/pravila-pomestnyh-soborov-s-tolkovanijami/#0\\_180](https://azbyka.ru/otekhnika/Nikodim_Milash/pravila-pomestnyh-soborov-s-tolkovanijami/#0_180). წესი 71 (82).

<sup>164.</sup> Milburn, Robert. *Early Christian Art and Architecture*. University of California Press. Berkley, Los Angeles, 1988. გვ. 155-157; Атанасов, Георги. *Раннохристиянски светци-мъченци от Българските земи (I-IV в.)*. София, 2011. გვ. 40, 43, 87; Klenina, Elena. Early-Christian Churches Architecture of Chersonesos in Taurica. *Studi Di Antichità Christiane*, LXVI. Città del Vaticano, 2016. გვ. 2261, სურ. 5; Daugters, Erin. Basilica Function in the Urban Landscape of Late Antique Cyprus. *The School of Theology, Southwestern Baptist Theological Seminary*. Fort Worth, Texas, 2015. გვ. 82-100; Hill, Stephen. The Early Byzantine Churches of Cilicia and Isauria. *Birmingham Byzantine and Ottoman Monographs*. Vol. 1. Vermont, 1996. გვ. 73-77, 93-94, 107-110.

თხვევაც, როდესაც ტაძარი ამგვარად გართულებულ გეგმარებას, ექსპლუატაციის პერიოდში, დამატებითი სათავსების მიშენების შედეგად მიიღებდა ხოლმე, თუმცა, ამათგან ადვილად გამოირჩევა თავდაპირველადვე ასეთნაირად ჩაფიქრებული ნიმუშები. ბუნებრივია, ასეთი განსაკუთრებით პომპეზური იერსახისა და ტევადობის სამნავიანი ბაზილიკების შექმნის საჭიროების წინაშე, ადრებიზანტიური სამყაროს ქვეყნების საერო და სასულიერო იერარქები, უპირველესად დიდი ქალაქების მთავარი სამრევლო ტაძრების, უფრო კი საეპარქიო ცენტრების – საკათედრო ტაძრების მშენებლობისას აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

მეორე მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ სამნავიანი ბაზილიკების ფასადების ირგვლივი სტილით, ნართექსებით თუ ნახევრადლია გარშემოსავლელებით გაფორმება, გარკვეულ ქრისტიანულ რეგიონებში თვითმყოფადი სტილის ელემენტებადაც იქცა. სამნავიან ბაზილიკებში ასეთი „არაუტილიტარული“, ირგვლივი კონსტრუქციების ფართოდ გამოყენების მაგალითები თვით სამხრეთ კავკასიაშიც გხხვდება – მაგალითად, დვინის IV-V სს-ის ბაზილიკა სომხეთში.<sup>165</sup> შესაძლოა, ნაწილობრივ ამავე ტიპს მივაკუთვნოთ ბოლნისის სიონის ბაზილიკა (V ს-ის მე-2 ნახევარი), უპირველესად კი კახეთშივე, გურჯაანის მუნიციპალიტეტში მდებარე ვაზისუბნის ბაზილიკა (პირობითად დათარიღებული VI ს-ით) და ნაქალაქარ ნეკრესის მახლობლად მდებარე გვიანანტიკური ხანის კოდევ ერთ დასახლებულ პუნქტში, არეშის ნაქალაქარზე აღმოჩნდილი სამნავიანი ბაზილიკა (V ს).<sup>166</sup>

ნაქალაქარ ნეკრესის ამ სატაძრო კომპლექსის შემთხვევაში, ბაზილიკის ნართექსი, მსგავსი პროპორციის სასახლის ორსართულიანი კორპუსი ცვლის. შესაბამისად, დოლოჭობის ბაზილიკის ფასადების სილუეტებიც, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ხუთნავიანი ბაზილიკებისა: ყველაზე მაღლა აღმართული იქნებოდა ორფერდად გადახურული ცენტრალური ნავი (რომლის კეხის პორიზონტული ნიშნული, ჩვენი გამოთვლით, 17-18 მეტრს აღწევდა);<sup>167</sup> ჩრდილოეთით და სამხრეთით კი, გვერდითი ნავებისა და გალერეების ცალფერდა სახურავები, ზემოდან ქვემოთ, ორჯერადი ტეხილობით განიცდიდა გრადაციას. სწორედ ცენტრალური ნავის, გვერდითებზე მაღლა აღმართულ ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში იყო დატანებული ფართო, კუთხეებში ნათალი შირიმის ქვით გამოყვანი-

<sup>165.</sup> Garsoian, Nina. *Dvin. The Oxford Dictionary of Byzantium*. Oxford, 1991. გვ. 12-23.

<sup>166.</sup> ბერიძე, ვახტანგ. 1974. გვ. 23, 24; ტებენევა, გიორგი, 1959. გვ. 79-82; ჭილაშვილი, ლევან. 1991. გვ. 8-43.

<sup>167.</sup> ასეთი გამოთვლის შესაძლებლობაში, ძირითადად იმ ბეჭნიერ შემთხვევას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ცენტრალური დარბაზის ჩრდილოეთ კედლის გარე საბრტყები, შემორჩენილი აღმოჩნდა ჩრდილიეთის გალერეის გადასახური პორიზონტული კოჭების ჩასამაგრებელი ბუდეების რიგი; სწორედ ამის ზემოთა ხის ნივნივების ტიპური დაფერდებების და ცენტრალური კორპუსის კედლებში დატანებული სარკმელების ოპტიმალურ სისტემების გათვალისწინებით მოხერხდა ბაზილიკის მაქსიმალური სიმაღლის მიახლოებითი გამოთვლა ± 1 მ-ის სიზუსტით.

ლი სარქმელები.<sup>168</sup> ბაზილიკის მძღავრად აზიდული ცენტრალური ნავის ფონზე, დასავლეთიდან მიმდებარე სასახლის ორსართულიანი, მაგრამ მასზე გაცილებით დაბალი (საცხოვრებელი ფუნქციის გამო) მოცულობაც, დიდი ალბათობით, და-სავლეთით ცალფერდად დახრილი სახურავით იქნებოდა გადახურული. მონუ-მენტალიზმისაკენ აშკარად მიდრეკილ ამ ტაძრის ხუროთმოძღვარს, ჩრდილოეთ-სამხრეთ გალერეებისა და დასავლეთით მიბჯენილი სასახლის კორპუსის ერთ მხატვრულ თემაში გაერთიანება – დაახლოებით თანაბარსიმაღლიან და მსგავსხა-სიათიან ელემენტებად წარმოჩენა, ვფიქრობთ, არ გაუჭირდებოდა.

დაახლოებით ასეთი გეგმიური სქემის ბაზილიკების მშენებლობის წესი კავ-კასიისათვის და, კერძოდ, საქართველოსთვისაც უცხო არ იყო V ს-ში; როგორც აღვნიშნეთ, ბოლნისის სიონის ტაძრის გეგმაც ამ თემის ვარიაციას წარმოადგენს (და, დიდი ალბათობით, ბოლო დრომდე საქართველოში უძველეს „ნამდვილ“ ბა-ზილიკად მიჩნეული ამ ტაძრის სივრცული აღნაგობაც, დოლოჭოპის ანალოგიური იქნებოდა).<sup>169</sup> თუმცა, დოლოჭოპის ტაძარი უფრო მასშტაბურიცაა და, თითქოს, რამდენადმე არქაული ელემენტების შემცველიც. ავთენტური გალერეებიანად და ნართექსის ადგილმონაცვლე სასახლიანად, დოლოჭოპის ბაზილიკის სრული პერი-მეტრის გარე ზომებია 44 მ x 28 მ, რითაც მას დღესდღეობით, ლამის არ გააჩნია ანალოგი მთელ კავკასიის რეგიონშიც კი (სომხეთში სანახევროდ, ჯერჯერობით არასრული პერიმეტრით გამოვლენილი, იმავე დვინის ბაზილიკის გარდა).<sup>170</sup> ამ ტაძრის დახვენილი სივრცულ-გეგმარებითი, კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტა, ტოლს არ უდებს რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ცენტრალური პროვინციების ჩვენთვის ცნობილ გრანდიოზულ ადრეექტისტიანულ ბაზილიკებს და ის, უდავოდ, მათ წრეში ექცევა.

გამოვლენილი სტილისტური ნიშნებით ცხადი გახდა, რომ დოლოჭოპის ბაზი-ლიკის აღნაგობა, ერთის მხრივ საკმაოდ ახლოს დგას დღესდღეობით პირობითად V ს-ის დასასრულითა და VI ს-ით დათარიღებულ ნამდვილ, ანუ გეგმურად წაგ-რძელებულ, სვეტების მრავალი წყვილით დაყოფილ, მეტად ცნობილ ქართულ სამნავიან ბაზილიკებთან – იგივე ბოლნისის სიონთან, ურბნისის წმ. სტეფანეს, კაწარეთის სამების, ხირსის ბაზილიკებთან<sup>171</sup> და ა.შ.; თუმცა, მეორე მხრივ, ყვე-ლა ჩამოთვლილი ბაზილიკისგან განსხვავებით, მას ხის კონსტრუქციებზე დაყ-რდნობილი კრამიტის სახურავი გააჩნდა (სურ. 48). ამაზე, ჭაბუკაურის ბაზილი-

<sup>168.</sup> მინისძვრის შემდგომ რესტავრაციის გადარჩენილი ფართობების გათხრებისას, შირიმის კონსტრუ-ქციების ასეთი ფრაგმენტები, მათ შორის კუთხეებში მართობულად გარდატეხილებიც, სწორედ ნაო-სის ამ ადგილებში, სვეტების მიდამოებში აღმოჩნდა ჩამოცვენილი.

<sup>169.</sup> ბერიძე, ვახტანგ. 1974. გვ. 88-90.

<sup>170.</sup> Կալանтарյան, Արամ. Материальная культура Дvinы. Археологические Памятники Армении, 5. Ереван, 1970.

<sup>171.</sup> Чубинашвили, Гиорги. 1959. გვ. 56-68.



სურ. 51. დოლოჭოპის ბაზილიკის ჩრდილოეთის კედელი. გადახურვის ხის კოჭების ბუდეების მნიშვნელოვანი

Fig. 51. North wall of Dolochopi Basilica. Sockets for the wooden roofing beams

კის ანალოგიურად, გათხრისას დაფიქსირებული სურათი მიანიშნებს: კედლებზე შემორჩენილი არ არის საბჯენი თაღების საყრდენი პილასტრები ან კონსოლები; როგორც შესაბამისმა გაზომვებმა გვიჩვენა, ჩამონგრეული და ხელახლად გამოყენებული შირიმის ცალმხრივ თაღურად მორკალური დეტალებიდან, ჭაბუკაურის ბაზილიკის დარად, არც ერთი გამოდგებოდა ცენტრალური თუ გვერდითი ნავების გადამხურავი ქვის კამარების საბჯენი თაღების ელემენტებად. აյ არც შირიმისგან ნათალი იმპოსტებია დადასტურებული, თუმცა, დარბაზის ჩრდილოეთის კედელი იმ სიმაღლემდეა შემორჩენილი, რომ ნავების გადასახურად რაიმე სახის კრონშტეინების გამოყენების შემთხვევაში, თუნდაც მათი ჩასამაგრებელი ბუდეები, გაცილებით ქვედა ჰორიზონტზეც ნათლად უნდა იყოს შემორჩენილი.

ბაზილიკის თავდაპირველი იატაკის ზედაპირზე მიმობნეული იყო მისი დანგრევის დროს ჩამოცვენილი კრამიტების და ბრტყელი, კერამიკული, ზედა მხარეს დაკბილული ანტეფიქსების ნამსხვრევების ინტენსიური ფენა, მათში გაბნეული უამრავი ნაჭედი ლურსმნით (ტაბ. XI: 1-7). გარდა ამისა, განსხვავებით ჭაბუკაურის ბაზილიკისგან, დოლოჭოპის ბაზილიკის ამგვარად გადახურვაზე, ზეზეურად შემორჩენილი ქვის კონსტრუქციების ელემენტები, უკვე სავსებით ცალსახად მეტყველებს. საქმე ის არის, რომ ძირითად დარბაზსა და ჩრდილოეთის გარშემოსავლელს შორის შე-

დარებით მაღალ ჰორიზონტამდე (7.2 მ) შემორჩენილ კედლის ნაშთს ჩრდილოეთი-დან, მთელ სიგრძეზე, დაახლოებით 6.5 მ სიმაღლეზე, ერთმანეთისგან 1.5-1.7 მ-ის დაშორებით, დატანებული აქვს ხის ჰორიზონტული, 24 სმ x 25 სმ კვეთის კოჭების ბუდეები. ცხადია, ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩრდილოეთის გალერეის ხის ცალ-ფერდა გადახურვის კონსტრუქციის ფუძის კოჭების ჩასამაგრებლები (სურ. 51).

დოლოჭობის ბაზილიკაში დადასტურებულ გეგმურ და კონსტრუქციულ ელე-მენტთაგან, ზოგიერთი (მაგალითად, მრავალსაფეხურიანი სინთრონონი, ავანსცე-ნისებური ამბიონი, გადახურვის ხის კონსტრუქციები), ჩვენთვის აქამდე ცნობილ, V-VI სს-ების და შემდგომი პერიოდის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებში სრულიად არ გვხვდება. ბაზილიკის ზოგიერთი უჩვეულო, V ს-ის შემ-დგომი ქართული ტაძრებისთვის უცხო დეკორატიული ელემენტიც – ინტერიერის ერთიანად წითლად შელებილი შელესილობა, სახურავის ფერადად მოხატული, დაკბილული ანტეფიქსებით შემკობა და სხვა, იმაზე მიგვითითებს, რომ ტაძ-რის სტილი ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებში და ზოგიერთ მათ მიმდებარე რეგიონებში IV-V სს-ში გავრცელებული ქრისტიანული ბაზილიკების გეგმარების პრინციპებით არის ნასაზრდოები და, ამდენად, მისი აგებაც დაახ-ლოებით იმავე ხანებში უნდა ვივარაუდოთ.<sup>172</sup>

## **ეილი ბაზილიკის ფუნქციონირების თანადროული სამარხები და ეამორიალური კონსტრუქციები**

როგორც უკვე ვივარაუდეთ, დოლოჭობის სატაძრო კომპლექსი V ს-ში ქარ-თლის სამეფოს ამ განაპირა მხარეში ქრისტიანული რელიგიის უმნიშვნელოვანეს ფორმოსასტს და, თითქმის უეჭველად, საეპარქიო ცენტრსაც წარმოადგენდა. ამ მოსაზრებას დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების პერიოდში მის ინტერიერში, ია-ტაკის ქვეშ მონცყობილი სასულიერო და საერო პირების სამარხების კვლევის შე-დეგებიც უჭერს მხარს.

გამოირკვა, რომ ბაზილიკის ცენტრალური დარბაზის იატაქვეშა წიაღი მხო-ლოდ და მხოლოდ ტაძრის სასულიერო მსახურთა, თანაც, საკმაოდ მაღალი იე-რარქიის პირთა განსასვენებლად იყო განკუთვნილი. ამათგან, ჯერჯერობით არქეოლოგიურად შევისწავლეთ: № 48, №58, №90 და №97 ქვა-ყუთის ტიპის სამარხები (სურ. 52).

<sup>172.</sup> Krautheimer, Richard, 1965. გვ. 45-56; Okada, Yasuyoshi. Early Cristian Architecture in the Iraqi Sous-Western Desert. *Al-RÄFIDÄN*, Vol. XII. 1991. გვ. 71-83; Preusser, Conrad. *Nordmesopotamische Baudenkmäler, althistorischer und islamischer Zeit*. Wissenschaftliche Veröffentlichungen der Deutschen Orientgesellschaft, Band 17. Leipzig, 1911. გვ. 34-53, 62-67.



სურ. 52. დოლოჭოპის პირველი ეკლესიის საკურთხეველში ჩაჭრილი სასულიერო პირების სამარხები (№90, №97)

Fig. 52. The tombs of the clergy cut in the sanctuary of the first Church of Dolochopi (№90, №97)

განსაკუთრებით საყურადღებოა არქეოლოგიური გათხრებით ამ სივრცეში გამოვლენილ ორ სამარხში დაფიქსირებული, მიცვალებულთა ქრისტიანულად დაკრძალვის წესის საკმაოდ უჩვეულო ელემენტები. ვნახოთ, რაში გამოიხატება მათი ორიგინალურობა.

ეს სამარხები №58 (სურ. 53) და №97 (სურ. 54), ტაძრის სივრცეში განლაგებით და სხვა კონსტრუქციებთან სტრატიგრაფიული მიმართებიდან გამომდინარე, უდავოდ დიდი ტაძრის სრული, თავდაპირველი ხუროთმოძღვრული სახით ფუნქციონირების დროს არის მოწყობილი, ანუ, V საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული, VI საუკუნის დაახლოებით 50-იან წლებამდე ქრონოლოგიურ შუალედში.

კონსტრუქციის მხრივ, ტიპოლოგიურად, ორივე სამარხი ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულ სახეობას, ქვის სამარხებს, იგივე ქვა-ყუთებს განეკუთვნება. სამწუხაროდ, ორივე სამარხი უინვენტაროა, მაგრამ მეტად საყურადღებოა მათი გამორჩეულად საგულდაგულოდ მოწყობის ნიშნები და იქ დაკრძალული ნეშტების პოზა.

სამარხი №58 (კვ. F – 8). ქვა-ყუთის ოთხივე კედელი თითო-თითო, ნათალი ქვის ვერტიკალურ ფილას წარმოადგენს. სიგრძე – 207 სმ; სიგანე დასავლეთით – 70 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 50 სმ; სიღრმე – 48 სმ. დამხრობა: აღმოსავლეთ-დასავლეთი. სამარხი გადახურული იყო ანალოგიურად მოპოვებული და დამუშავებული 4 ფილით. სამარხის იატაკზე, ზურგით მაღლა, დაგებული იყო ოთხი ბორტიანი კრამიტი, რომელთა ზომები ემთხვევა დოლოჭოპის დიდი ბაზილიკის გათხრების დროს იატაკზე, მიმოფანტულ მდგომარეობაში აღმოჩენილ გადახურვის კრამიტის ზომებს. სამარხში გულაღმა, გაშოტილ პოზაში ჩასვენებული იყო ფრიად ტანმაღლალი (2 მეტრამდე) ინდივიდის ნეშტი, რომელსაც მარცხენა ხელი გულზე ჰქონდა დაკრეფილი, მარჯვენა ხელის ძვლები კი (იდაყვის, სხივის, მაჯის, ნების და ფალანგის ძვლები, მათთვის განკუთვნილ ადგილებზე) ხერხემლის

პარალელურად ჰქონდა მაღლა შემართული, უეჭველად „მაკურთხებელ“ პოზაში. ანთროპოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ნეშტი განეკუთვნებოდა 45-50 წლის მამაკაცს, რომელსაც მარჯვენა, დიდ წვივის ძვალზე, სიცოცხლეში მიღებული მოტეხილობა და შეხორცება აღნიშნებოდა. ნეშტის თავის ქალა ჩამოდებული იყო სპეციალურად ჩაყოლებულ, 15 სმ x 19 სმ ზომის რიყის ქვაზე.

სამარხი №97 (კვ. C – 12, 13). სამარხი გადახურულია ერთი მასიური, მთლიანად ნათალი ქვის ფილით. ფილის ზომებია: სიგრძე სამხრეთიდან – 261 სმ, სიგრძე ჩრდილოეთიდან – 231 სმ, სიგრძე დასავლეთით – 83 სმ-ი, სიგრძე აღმოსავლეთით – 86 სმ. ფილის სისქე ცვალებადია და მერყეობს 3-დან 5 სანტიმეტრამდე.

ოთხი მასიური ფილით შედგენილი ქვის სამარხი ყუთის ზომებია: აღმოსავლეთით – 57 სმ, სისქე 3-4 სმ-ი; დასავლეთით – 60 სმ, სისქე 5-6 სმ; ჩრდილოეთიდან – 230 სმ, სისქე 6-11 სმ; სამხრეთიდან – 240 სმ, სისქე 6-9 სმ. სამარხის სიღრმე 55 სმ-ია. ნეშტი დაკრძალულია თავით დასავლეთისკენ, გულალმა, გაშოტილ პოზაში; მიცვალებულს მარცხენა ხელი მერჯზე აქვს დადებული, მარჯვენა ხელის ძვლები კი (იდაყვის, სხივის, მაჯის, ნების და ფალანგის ძვლები თავ-თავის ადგილებზე) იდაყვში მოხრილია და ხერხემლის პარალელურად აქვს მაღლა შემართული, კურთხევაზე მიმანიშნებელ პოზაში. ნეშტის თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა სპეციალურად ჩადებულ რიყის ქვაზე, რომლის ზომებია 8 სმ x 12 სმ. თავის ქალის მდგომარეობის მიხედვით აშკარაა, რომ მიცვალებულს თავი ამ ქვაზე ჰქონდა დადებული და რბილი ქსოვილიდან გამოთავისუფლების შემდეგ, თავის ქალა აღმოჩნდა არა გაშოტილ პოზისთვის დამახასიათებელ მდგომარეობაში, სახით მაღლა, არამედ თითქმის ვერტიკალურად, აღმოსავლეთით მაყურებლის პოზაში. მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ სამარხი მიწით არ შეუვსიათ, მაგრამ ქვა-ყუთი საუკუნეების მანძილზე წყლის დინების



სურ. 53. მაღლალი იერარქიის სასულიერო პირის სამარხი დოლოჭობის ბაზილიკის დარბაზის ცენტრში (№58)

Fig. 53. Tomb of high ranking cleric in the centre of the Dolochopi Basilica naos (№58)



სურ. 54. მაღალი იერარქიის სასულიერო პირის სამარხი დოლოჭოპის ბაზილიკის წინარე ეკლესიის საკურთხეველში (№97)  
Fig. 54. Tomb of high ranking cleric in Dolochopi initial church sanctuary (№97)

იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ დაკრძალულნი ტაძარში ამდენად განსხვავებულად, გასათვალისწინებელია, რომ ორივე ეს სამარხი ეკლესიის იდეოლოგიურ-ლიტურგიკული თვალსაზრისით თვალსაჩინოდ გამორჩეულ, მეტად საპატიო ადგილებშია მოწყობილი: № 58 სამარხი დიდი ბაზილიკის შუა ნავში, ზუსტად ცენტრში, თანაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის შესასვლელების შემაერთებელ ღერძთა ჯერულად გადაკვეთის ადგილზეა განთავსებული; ამდენად, მასში დაკრძალული მიცვალებული, თითქოს პირისპირ შესცეროდა საკურთხევლის საკრალურ სივრცეს, რომელიც სიმბოლურად, ზეციურ სასუფეველს განასახიერებდა. № 97 სამარხი კი წინარე, IV საუკუნის შუა ხანების ეკლესიის მართკუთხა საკურთხევლის იატაკის ქვეშ მდებარეობს. მართალია, ეს სამარხიც დიდი ტაძრის ფუნქციონირებისას არის მოწყობილი (ამაზევე მეტყველებს ნეშტის ფრაგმენტის რადიოკარბონული დათარიღების შედეგი),<sup>173</sup> მაგრამ ქვა-ყუთი იმდენად ზუსტად, სიმეტრიულად არის „ჩადგმული“ საკურთხევლის ცენტრში, რომ მისმა შემქმნელებმა

<sup>173</sup> ანალიზი ჩატარდა გლაზგოში, შოტლანდიის უნივერსიტეტის გარემოს დაცვის კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში 2019 წლის იანვარში. ანალიზის კოდი: SUERC-83856 (GU49866). ამ გამოკვლევის მიხედვით, აღნიშნული პირი, ყველაზე დიდი ალბათობით V ს-ის შუა ხანებში უნდა გარდაცვლილყო.

გან ჩატანილი მიწის კარგად განლექილი, 25 სმ-ის სისქის მასით შევსებულა, რომელიც პორიზონტულად იყო მოსწორებული.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ორივე ეს სამარხი, მინიმუმ საქართველოს მასშტაბით მაინც, სრულიად უნიკალურია მოწყობილობის დამატებითი ელემენტებისა და მათში ჩასვენებული მიცვალებულების ნეშტების პოზის გამო – ვგულისხმობთ მიცვალებულთა მაღლა, მაკურთხებელ პოზაში შემართულ მარჯვენა მკლავებს და მათ თავქვეშ ამოდებულ ქვებს.

უთუოდ ზედმინევნით იცოდნენ ამ მხარის დიდი სიწმინდის, პირველი ქრისტიანული ტაძრის საკურთხევლის პერიმეტრი (დიდი ტაძრის ჩრდილოეთ ნავში მოქცეული ეს ადგილი, ახალ მღვდელმსახურებს ალბათ განსაკუთრებულადაც ექნებოდათ მონიშნული რაიმე ფორმით, თაყვანსაცემად). გამორიცხული არც ის არის, რომ მიწისძვრისგან დაქცეული პირველი ტაძრის გეგმის დონეზე შემორჩენილ საკურთხეველში, თავის დროზე იქ მოღვაწე, ფრიად პატივმისაგები სასულიერო პირიც კი დაეკრძალათ.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ორივე ამ სამარხის განსაკუთრებულ, კერამიკული იატაკებით გამართულობასაც გავითვალისწინებთ, მათში მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, ვთქვათ, ძველი თუ განახლებული ტაძრის მაშენებელი-ეპისკოპოსების ან განსაკუთრებით სახელგანთქმული წმინდა მოღვაწეთა ნეშტები უნდა განისვენებდნენ.

ასეთი დაშვებას, სავსეპით შეესაბამება ამ ორივე პირისთვის მაკურთხებელ პოზაში შემართულად დატოვებული მარჯვენა მკლავები. მართალია, ჯერჯერობით ასეთი პოზით მიცვალებულთა დაკრძალვას საქართველოსა და ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნებში პირდაპირი ანალოგი ვერ მოეძებნა (შესაძლოა, ზოგადად გვიანი ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების პირველი ფაზების სამაროვნების სათანადო რაოდენობით შეუსწავლელობის გამო), მაგრამ ლოგიკურად, ვინ, თუ არა მაღალი რანგის სასულიერო პირები უნდა დაეკრძალათ მრევლის მაკურთხებელ პოზაში შემართული მარჯვენით?

სამაგიეროდ, ორივე ამ სამარხში დაფიქსირებული კიდევ ერთი რიტუალი – მიცვალებულთა თავქვეშ ბალიშად ამოდებული რიყის ქვა, საკმაოდ დამაჯერებლად მიგვანიშნებს ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთ ტრადიციაზე და, შესაბამისად, ამ მიცვალებულთა სასულიერო წრესთან კავშირზე. იმის დასტურად, რომ შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე, ასეთი წესით ქრისტიანი ბერების, მათ შორის წმინდანად შერაცხულ ცნობილ მოღვაწეებს დაკრძალვა საკმაოდ მიღებული იყო როგორც ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოშიც, მრავალი საბუთი გაგვაჩნია. მაგალითად, საქართველოშივე, ოდნავ წამომჯდარის ასოციაციას იწვევდა წმ. დავით გარეჯელის ძვლოვანი ნეშტი, რომელიც მისივე სახელობის მონასტერში, წმ. დავითის ლავრაში, ფერისცვალების ეკლესიის საკურთხევლიდან ოდნავ სამხრეთ-დასავლეთით მოწყობილ განსასვენებელში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის დროს გამოვლინდა – მიცვალებულის თავის ქალა სპეციალურად ჩატანებულ ქვაზე ჰქონდა დასვენებული.<sup>174</sup>

<sup>174</sup>. სხირტლაძე, ზაზა. წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი. თბილისი, 2006. გვ. 68-70.

ანგარიშგასაწევია ის ცნობაც, რომ გარკვეული თეოლოგიური მოსაზრებებით, ადრექრისტიანულ ხანის გარკვეულ მონაკვეთებში, ბიზანტიურ სამყაროში მღვდლებს, უფრო კი ეპისკოპოსებს, ზოგჯერ დამჯდარ პოზაში მარხავდნენ.<sup>175</sup>

ბუნებრივია, საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა სიმბოლური თეოლოგიური დატვირთვის მატარებელია ასეთი წესი. მკვლევართა ნაწილი, ამ ტრადიციას უკავშირებს ძველ აღთქმაში (დაბადება, 28, 12-15), იაკობის სიზმარში აღწერილი სცენას, სადაც იაკობი თავის ქვეშ ბალიშად ქვის ლოდს იყენებს. გამოღვიძების შემდეგ იღებს ქვის ლოდს და სვეტად დგავს, ზედ ზეთს ასხამს და ადგილს „ბე-თელ“-ს უნიდებს რომელიც ღვთის სახლს ნიშნავს (ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით კი, ღვთის სახლად ყოველთვის მიჩნეულია ეკლესია). ზოგიერთი თეოლოგი მეცნიერის აზრით კი, სასულიერო წოდების მიცვალებულთათვის თავქვეშ ამოდებული ქვა, ქრისტეს სამარხში, იუდეური ტრადიციის თანახმად უფლის თავქვეშ დადებული იმ ქვის სიმბოლოა, რომელიც, შუა საუკუნეების მოგზაურთა აღწერებით, დიდხანს ინახებოდა რელიქვიად იერუსალიმში.<sup>176</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში, დოლოჭობის კომპლექსში დაკრძალული აღნიშნული მიცვალებულების ანატომიური პოზები და ატრიბუცია, სამარხთა ხაზგასმულად საპატიო ადგილებში და გამორჩეულად მოწყობასთან ერთად, ამ მიცვალებულთა მაღალ სასულიერო იერარქიისადმი კუთვნილობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ზუსტად ნაოსის ცენტრში, ხაზგასმული პატივით მოწყობილი № 58 სამარხი იმ ვარაუდის დაშვების საბაბსაც გვაძლევს, რომ ეს ქვა-ყუთიც, მასში დაკრძალული უაღრესად მაღალი იერარქიის სასულიერო პირის (შესაძლოა, ტაძრის მაშენებელი ეპისკოპოსის) ნეშტით, მსგავსად ქალაქ ნეკრესშივე, ჭაბუკაურის ბაზილიკაში დაფიქსირებული ასეთივე აღნაგობის, სავარაუდოდ წმინდა ნაწილთა დასაბრძანებელი რელიქვარიუმისა, ტაძრის ცენტრში ოდესლაც მდგარი, ხის ან ქვის ბერძის სტრუქტურის ერთ-ერთი იდეოლოგიური კომპონენტია. ეკლესიების ნაოსების ცენტრში მსგავსი, იმუამინდელი ლიტურგიისთვის აუცილებელი ბერძის მოწყობის ტრადიცია ხომ, როგორც ჭაბუკაურის ბაზილიკაზე საუბრისას აღვნიშნეთ, IV-VI სს-ში ფრიად გავრცელებული იყო ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთის პროვინციებში, განსაკუთრებით კი ჩრდილო-დასავლეთ სირიაში? ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ზუსტად ამ სამარხის ზემოთ და აღმოსავლეთ მიმდებარე ფართობზე, ბაზილიკის ფუნქციონირების პირველი ფაზის (იხ. ქვემოთ) თიხის ფილებით მოგებული იატაკი, დაახლოე-

<sup>175.</sup> <http://www.newadvent.org/cathen/03071a.htm>

<sup>176.</sup> Беляев, Леонид. Камень под головой и лестница в небо: археология, иконография, источник. *Вестник Православного Свято-Тихоновского гуманитарного университета. Вопросы истории и теории христианского искусства*, V. 2 (5). Москва, 2011. გვ. 82.

ბით 4 კვ. მ. ფართობზე, რაღაც ხელოვნურ მიწისქვეშა სიცარიელეში ჩაქცეულ მდგომარეობაში დაგვხვდა. 1.5 მ-მდე სიღრმის ამ ქვაბულში, იატაკის ფილების გარდა, მრავლად იყო მიმოფანტული კირ-ბათქაშში არეული სამშენებლო ქვები და, ბაზილიკის ნგრევისას სახურავიდან ჩაცვენილი კრამიტების და ანტეფიქსების ფრაგმენტებიც კი. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი დაზიანების გამო ჩვენ ამ მიწისქვეშა სტრუქტურაში ჩაშენებული კედლების კონფიგურაცია ვერ დავადგინეთ, ვფიქრობთ, აქ ბაზილიკის იატაკის ქვეშ მოწყობილ კრიპტის ნაშთთან უნდა გვქონდეს საქმე. შესაძლოა, აღნიშნული ქვა-ყუთი, ოდესლაც სწორედ ქვითკირით ამოყვანილ ისეთივე სარდაფისებრ კონსტრუქციაში იდგა, როგორშიც საკურთხევლის ქვეშა ლუსკუმა. დიდი ალბათობით, დაახლოებით V საუკუნეში მომხდარი მიწისძვრის დროს დანგრეული ეს კრიპტა, ტაძარში ოდნავ მოგვიანებით ჩატარებული რესტავრაცია-რეკონსტრუქციისას, მსგავსად საკურთხევლის ქვეშა საძვალისა, გააუქმის, ოლონდ მასში ჩადგმული ქვა-ყუთი წმინდანის ნეშტითურთ, აქ ადგილზე დატოვეს. ცხადია, იმავდროულად გააუქმებდნენ თვით ბემასაც, და ამის სავარაუდო მიზეზის დადგენაც შესაძლებელია: ჩვენ ვფიქრობთ, რომ დოლოჭოპის ტაძარი ორიდან ერთ-ერთი, საბოლოო მიწისძვრისა და რესტავრაციის შემდეგ (იხ. ქვემოთ) სამონასტრო დანიშნულებისა გახდა. ჩრდილოეთ სირიის მაგალითზე კი, არაერთ ცნობილ არქეოლოგს აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომ ბემები მხოლოდ გვიანანტიკურ რომაულ და ადრებიზანტიურ სამრევლო ტაძრებში იდგა, მონასტრებში კი, გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრებით, ლიტურგიისას, მათ არ იყენებდნენ.<sup>177</sup>

როგორც გამოირკვა, დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების ხანაში, დოლოჭოპის ბაზილიკაში მხოლოდ მნიშვნელოვანი იერარქები არ ყოფილან დაკრძალულნი. საერო პირების, უთუოდ არისტოკრატიის ნარმომადგენლების დასამარხად ცალკე სათავსი, სამხრეთის გალერეა, უფრო სწორად კი ამ გალერეის იატაკევეშა ლია, კატაკლიმბური სივრცე ყოფილა გამოყოფილი. ვნახოთ, როგორი თანამიმდევრობით, ფაქტებისა და არგუმენტების რა ერთობლიობით გახდა შესაძლებელი ამ უმნიშვნელოვანესი დასკვნის გამოტანა.

2018-2019 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას, ასეთი სურათი წარმოჩნდა. ამ გალერეის ფიქალის ქვით მოგებული იატაკის ზედაპირის ზემოთ, კატასტროფის დროს ტაძრის კონსტრუქციების ნგრევის შედეგად გაჩენილი ფენები, სტრატიგრაფიულად შემდეგნაირად იყო განშრევებული: ზედ იატაკის ფილებზე, დანარცხებისას დიდ-პატარა ფრაგმენტებად დამსხვრეული უამრავი კრამი-

<sup>177.</sup> Loosley, Emma. *The Architecture and Liturgy of the Bema in Fourth to Sixth-Century Syrian Churches*. Leiden-Boston, 2012.




სურ. 55. დოლოჭოპის ბაზილიკის სამხრეთის გალერეა. მიწისძვრის დროს ნანგრევი მასების განფენა იატაკზე და №106 სამრჩის გამოვლენა  
Fig. 55. Southern gallery of Dolochopi Basilica. Scatter of rubble after an earthquake (showing tomb №106)

ტი<sup>178</sup> და ანტეფიქსი იყო მიმოფანტული (სურ. 55). ამავე ფენაში დადასტურდა ხის კონსტრუქციების საუკუნეების განმავლობაში მიწადქცეული ნაშთები და რკინის 2 ათეულამდე მოზრდილი ლურსმანი. აღსანიშნავია, რომ ამ შრეში ცეცხლისგან დანახშირებული ხის ფრაგმენტები სრულიად არ დადასტურებულა, რაც სახურავის ხანძრის შედეგად ჩამოშლას და, შესაბამისად, ეკლესიის მტრის მიერ დარბევა-გაჩანაგებას პრატიკულად გამორიცხავს. არადა, იმ ეპოქაში, ასეთი მძლავრი ნაგებობის ძალადობით დანგრევა, შენობის სტატიკურობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორის, გადახურვის ერთიანად შეერული, ჩარჩოსებრი კონსტრუქციებისათვის ცეცხლის წაკიდების გარეშე, „საქმის“ მნიშვნელოვნად გართულებას უდრიდა.

<sup>178.</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრამიტების ფორმა და ზომები ზუსტად ემთხვევა იმ კრამიტებისას, რომლებითაცაა ნაგები იბერიის გვიანანტიკურ ნაქალაქარ ურბნისში აღმოჩენილი ბავშვთა სამარხები. ეს სამარხები მკვლევართა მიერ მყარადა IV-V საუკუნეებით დათარიღებული (ჯამაა, ჯამლეთ. 1980. გვ. 16; ლომთათიძე, გიორგი. ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი. ექსპედიციის ნამუშევარი 1953-1956 წლებში, ნაწილი პარველი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მაცნე, № 2. თბილისი, 1964. გვ. 93).

ამის ზემოთ, ბაზილიკის კედლების საშენად გამოყენებული მასალა – დიდა-ლი ქვები და მათი მოზრდილი ბლოკები იყო მიმოფენილი, დუღაბის ნაფშვენთან ერთად. იმის გარკვევაც მოხერხდა, რომ გალერეის იატაკზე ძირითადად მისი ჩრდილოეთი კედლის (ანუ, მთავარი დარბაზის სამხრეთის კედლის) ნაწილები ჩა-წოლილა (გალერეის სამხრეთის კედელი კი, როგორც შემდეგ დაფიქსირდა, ტაძ-რის გარე პერიმეტრზე გადაწოლილა დიდრონ, ხანდახან მხოლოდ ოდნავ დანა-წევრებულ ბლოკებად). ამრიგად, ყველა ნიშნით, სამხრეთ გალერეის ამ იატაკის ჰორიზონტს ზემოთ არქეოლოგიურად გამოვლენილი სტრატიგრაფიული სურათი, ბუნებრივი კატაკლიზმით, დიდი ალბათობით მინისძვრით გამოწვეულ ნგრევის შედეგს ასახავდა. ვფიქრობთ, ეს იყო VI ს-ის მეორე ნახევარში მომხდარი, ტაძ-რის მეორეჯერ დამაზანებელი მინისძვრა, რომელმაც ნაგებობის ძირითადი კონ-სტრუქციები სანახევროდ მაინც დაანგრია (იხ. ქვემოთ).

ამ იატაკზე, დიდი ბაზილიკის ჩამოშლილი კონსტრუქციების ხელუხლებელი კვალის ფიქსაციისა და აღების შემდეგ, ფიქალის დასალაგებელი თხელი თიხა-ხსნარის და თიხატკეპნილის ქვემოთ, გალერეის მთელ სიგრძეზე, ყამირი გრუნ-ტის ნაცვლად, ჩვენდა გასაკვირად, დიდ სიღრმეზე სპეციალურად ჩაყრილი, დაახლოებით 1.5 მ სისქის მინის ერთგვაროვანი ფენა დადასტურდა; ეს ნაყარი,



სურ. 56. კატაკლიმპური სამაროვანი დოლოჭოპის ბაზილიკის სამხრეთის გალერეის ქვეშ. ხედი აღმოსავლეთით

Fig. 56. The catacomb cemetery under the southern gallery of Dolochopi Basilica. View to the east

აშენად ამ სატაძრო კომპლექსის მიმდებარე ფართობებიდან ადგილმონაცვლებული კულტურული ფენები, მცირე რაოდენობით არტეფაქტების (ძირითადად სამშენებლო კერამიკის) ფრაგმენტებსაც კი შეიცავდა. სულ მალე, ფართო და ღრმა თხრილის მოკირნყლული ფსკერიდან 20-30 სმ-ზე ამოზიდული, ქვა-ყუთის ტიპის აკლდამების სახურავების რიგის დადასტურების შემდეგ, ყველაფერი ნათელი გახდა: ჩვენ მიერ ზემო ჰორიზონტზე პრეპარირებული, ბაზილიკის ნერევის დროინდელი ნაშალი მასით მოფენილი იატაკი მეორადად, რეკონსტრუქციის შემდეგ ყოფილა მოწყობილი, მას შემდეგ, რაც გალერეის სარდაფის სართულში ტაძრის ავთენტური, 30 მ-მდე სიგრძისა და 3 მ სიგანის კატაკომბური ტაპის კრიპტა გაუუქმებიათ და მთელი ეს სივრცე მიწით ამოუვსიათ (ტაბ. XII: 1, 2).


თავდაპირველად კი, ამ გვირაბისებრი კრიპტის ჭერს გალერეის ხის კოჭოვან კონსტრუქციებზე დაგებული ხის იატაკი წარმოადგენდა. იმაზე, რომ ეს კატა-კომბური დერეფანი თავდაპირველად ღია სივრცედ იყო ჩაფიქრებული, მისი კედლების საკმაოდ სუფთად მოლესილობაც მეტყველებს. კრიპტაში შესასვლელი, სავსებით სრულყოფილი, 1.2 მ სიგანის კარის ღიობი სარდაფის აღმოსავლეთ კიდეში, ზედ მისი იატაკის ჰორიზონტულ დონეზე დადასტურდა (სურ. 56). კრიპტის ამ გვირაბისებურ, ღილის სინათლეს აბსოლუტურად მოკლებულ, მეტად დაბალ სივრცეში (დაახლოებით 1.5 მ სიმაღლის), იატაკის ქვეშ და მისგან ნაწილობრივ შემაღლებულად ჩამწკრივებულ, საგულდაგულოდ გათლილ-მოწყობილ, ქვა-ყუთის ტიპის 8 აკლდამაში საერო პირების, სავარაუდოდ ამ ქალაქის თუ პროვინციის დიდგვაროვანი მოქალაქების ნეშტები აღმოჩნდა დაკრძალული (სურ. 57).

ამ გალერეის აღმოსავლეთ კიდეში მდებარე სამლოცველოს (სამწირველოს) სარდაფში მოწყობილი კიდევ ორი სამარხიც, ტიპოლოგიურად თითქმის ზუსტად დერეფნისქვეშა კატაკომბაში დადასტურებული ქვა-ყუთების ანალოგიურია. თვით ამ მოცრო, აგრეთვე დაახლოებით 1.5 მ სიღრმის კრიპტას, განსხვავებით გალერეის კრიპტა-სარდაფისგან, ქვედა ჰორიზონტიდან დამოუკიდებელი შესავლელი არ ჰქონია. როგორც ჩანს, საჭიროების შემთხვევაში, მასში ეგვტერის დასავლეთ ნაწილის იატაკში მოწყობილი ლუკისებრი ღიობით, თუნდაც ხის კიბის გამოყენებით ჩადიოდნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მასშტაბით, გვიანანტიკური და ადრეული შეუსაუკუნების ხანის ქრისტიანული ტაძრების გათხრებისას თავდაპირველი ქრონოლოგიური ფაზის ვრცელი, მით უმეტეს კატაკომბური სამაროვანი პირველად აქ დადასტურდა, დაკრძალვის იმუშავებული ნეს-ჩვეულებებში კარგად გასარკვევად, სამარხების კონსტრუქციებს, მათში დაკრძალული ნეშტების პოზებსა და ატრიბუციას ვრცლად წარმოვადგენთ (წუმერაცია მიცემული გვაქვს აღმოჩენის თანმიმდევრობის მიხედვით, აღმავლობით, დასავლეთიდან აღმოსავლეთით) (სურ. 37).

## გალერეის სარდაფში დაღასტურებული სამარხები:

სამარხი №106. (A ფართი, K – 2, 3; L – 2, 3) (სურ. 58). დამხრობა: აღმოსავლეთ – დასავლეთი. სიგრძე – 183 სმ; სიგანე დასავლეთით – 85 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 75 სმ; სიღრმე – 90 სმ; სამარხის გვერდები მოწყობილი იყო: ჩრდილოეთი-სა – 4, სამხრეთის – 2, დასავლეთის და აღმოსავლეთის კი თითო-თითო ფიქალის ბრტყელი ქვით. ქვა-ყუთი გადახურული იყო 4 ბრტყელი, ფლეთილი ფიქალის ქვით. სამარხი ნაურნ წყალთან ერთად ჩასული მინით ნანილობრივ იყო ამოვსებული. სამარხში დაფიქსირდა ერთი მიცვალებული. ნეშტი თითქოსდა ზურგზე გაშოტილი ესვენა, მაგრამ თავის ქალა სახით ჩრდილოეთისკენ იყო მოთავსებული, პროფილში. ფეხების ძვლები გვერდულად ეწყო – მარცხენა ფეხის წვივის ძვლები, მუხლში მოხრილად, მარჯვენა ფეხის წვივის ძვლების ქვეშ დაფიქსირდა. მარჯვენა ხელის იდაყვის და სხივის ძვლები მოხრილად, ხერხემლის ქვეშ ჰქონდა მოყოლილი. ხერხემლის ქვეშ დაფიქსირდა აგრეთვე ხელის მტევნის ძვლები. ერთ-ერთ ფალანგზე ვერცხლის ბეჭედი იყო ნამოცმული. მარცხენა ხელის მხრის და იდაყვის ძვლები მოხრილად, დასავლეთისკენ იყო შემართული. სამარხის ფსკერზე



სურ. 57. კატაკომბური სამაროვანი დოლოფონის ბაზილიკის სამხრეთის გალერეის და კრიპტის ქვეშ: 1. აეროფოტო; 2. გახსნილი სამარხები; 3. გრძივი ჭრილი ხედით ჩრდილოეთით

Fig. 57. The catacomb cemetery under the southern gallery and crypt of Dolochopi Basilica: 1. Aerial photo; 2. Open tombs; 3. Longitudinal cross-cut, view to the North



სურ. 58. №106 აკლდამა  
Fig. 58. Tomb №106

შემორჩენილი იყო მიცვალებულის დაკრძალვის წინ რიტუალური მიზნით დანთებული ცეცხლის მძღვრი კვალი – ნახშირის ფენა.

სამარხი №110. (A ფართი, კვ. K – 4, 5; L – 4, 5) (სურ. 59). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე. სიგრძე – 203 სმ; სიგანე დასავლეთით – 92 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 95 სმ; სიმაღლე – 50 სმ. სამარხის გვერდები შედგენილია ფიქალის ნათალი ქვის 4 ფილით. გადახურული იყო უხეშად გამოთლილი ქვის 3 ბრტყელი ფილით. შუა ფილაზე კედლის კონსტრუქციიდან გადმოვარდნილი რამდენიმე ლოდი იყო დანარცხებული, რასაც ეს ფილა ჩაუტეხავს (ეს ალბათ, იმ მიწისძვრის შედეგია, რომლის შემდეგაც ეს კატაკომბური გალერეა მიწით შეავსეს და გაამაგრეს). ჩრდილოეთის და სამხრეთის გრძივ ფილებს გარედან, ბოლოებში, ორ-ორი, ვერტიკალურად მიბჯენილი რიყის ქვა ამაგრებს. ეს ქვები ვერტიკალური ფილების გარეთ გადაწყვის საწინააღმდეგოდაა ჩადგმული და მათზე გადახურვის ბრტყელი ფილებიც იყო ჩამოდებული. სამარხში მიწის მასა მცირედად იყო ჩასული. სამარხში აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდიგვერდ დაკრძალული ორი ნეშტი. ჩრდილოეთით მდებარე ინდივიდი უფრო გვიანაა დაკრძალული და მისი მარჯვენა მკლავის ძვლები სამხრეთის ნეშტზეა ნაწილობრივ დადებული. დაკრძალვის პოზა ქრისტიანულია: ხელები ორივეს დალაგებული აქვს მენვების და მეერდის არეში. სამარხი უინვენტაროა. ქვა-ყუთის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს ჩაჭრილი აქვს ამ გალერეის ადგილზე ადრე არსებული, პირველი ეკლესის (იხ. ქვემოთ) კომპლექსის სამეურნეო სათავეში ჩადგმული ქვევრი.

სამარხი №111. (A ფართი, კვ. K – 6, 7; L – 6, 7). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე. სიგრძე – 205 სმ; სიგანე დასავლეთით – 67 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 75 სმ; სიმაღლე – 36 სმ. ქვა-ყუთი გადახურული იყო 3, საკმაოდ კარგად ნათალი და ერთმანეთთან კარგად მორგებული ფიქალის ფილით. სამარხს გვერდები შედგება 4 ნათალი, ბრტყელი სიპი ფილისგან; ამ ვერტიკალურ ფილებს, გარეთ გადაზნექვის საწინააღმდეგოდ, ჩრდილო-დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, თითო-თითო რიყის ქვა უდგას, მიბჯენილად, ვერტიკალურად. სამარხში წყლის უონვით მიწის მასა მცირედ იყო ჩასული. სამარხში დაფიქსირდა ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩანვენილი ორი

ნეშტი, თუმცა, სამხრეთით დაკრძალვა უფრო გვიან-დელია და მას ნაწილობრივ დაუფარავს ჩრდილოეთის ჩონჩხი. ჩრდილოეთ მხარეს დაკრძალულ ნეშტს თავის ქალის პრეპარაცია ვერ მოხერხდა. ორივე ნეშტს ხელები მენჯის არეში აქვს დალაგებული. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №112. (A ფართი, კვ. K – 8, 9; L – 8, 9). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე. სიგრძე

– 192 სმ; სიგანე დასავლეთით – 76 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 78 სმ; სიღრმე – 41 სმ. სამარხი გადახურული იყო 2, საკმაოდ კარგად ნათალი ფიქალის ფილით; დასავლეთის ქვა დიდია, ლამის მთლიანად ფარავდა ქვა-ყუთს, ხოლო მეორე ფილა, აღმოსავლეთით, მცირე, დარჩენილი ღიობის დასაფარად იყო გამოყენებული. სამარხს გვერდები შედგენილია 4 ნათალი, სიპი ქვის ფილით, რომლებსაც გვერდების გასამაგრებლად, გარედან, ჩრდილო-დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით, თითო-თითო უხეშად ნათალი ქვა უდგას. სამარხში მიწის მასა მცირედ იყო ჩასული. სამარხში დაფიქ-სირდა ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩაწენილი ორი ნეშტი. პრეპარაცია მხოლოდ ბარძაყის, დიდი და პატარა წვივის ძვლებისა მოხერხდა. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №113. (A ფართი, კვ. K – 9, 10; L – 9, 10). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე. სიგრძე – 207 სმ; სიგანე დასავლეთით – 36 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 49 სმ; სიღრმე – 52 სმ. სამარხი გადახურული იყო 2, საკმაოდ კარგად ნათალი ფიქალის ფილით. ერთი, მთლიანი ქვა ქვა-ყუთის დიდ ნაწილს ფარავდა, ხოლო მეორე ფილა აღმოსავლეთით დარჩენილი ნაწილის დასაფარად იყო გამოყენებული. სამარხის გვერდები შედგება 4 ნათალი სიპი ფილისგან, რომლებსაც გვერდების გასამაგრებლად, გარედან, ჩრდილო-დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით, ფილებს თი-თო-თითო რიყის ქვა უდგას. სამარხი თავისუფალი იყო მიწის მასისგან. სამარხში დაფიქსირდა ერთი ნეშტი, რომელსაც მარცხენა (ჩრდილოეთი) ხელი გაშლილ მდგომარეობაში, სხეულის პარალელურად დაუფიქსირდა, ხოლო მარჯვენა ხელი მენჯზე ჰქონდა დადებული. სამარხში აღმოჩნდა რკინის ბალთის ფრაგმენტი.



სურ. 59. №110 აკლდამა  
Fig. 59. Tomb №110

სამარხი №114. (A ფართი, კვ. K – 10, 11; L – 10, 11). დამხრობა: აღმოსავლეთ – დასავლეთი. სიგრძე – 188 სმ; სიგანე დასავლეთით – 54 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 52 სმ; სიმაღლე – 39 სმ. სამარხი გადახურულია 3, კარგად ნათალი ფიქალის ფილით. სამარხს გვერდები შედგება 4 ნათალი სიპი ფილისგან. ჩრდილოეთის და სამხრეთის გრძივ ფილებს ბოლოებში ორ-ორი, გარედან ვერტიკალურად მიბჯენილი უხეშად დამუშავებული ფლეთილი ქვა ამაგრებს. სამარხში თითქმის ერთმანეთის გვერდიგვერდ დაფიქსირდა ორი ნეშტი; თუმცა, ჩრდილოეთის მხარეს დაკრძალული ინდივიდი პირველადია, და შემდეგი მიცვალებულის დაკრძალვისას მისი ნეშტი გვერდით გაუწევიათ, რა დროსაც ჩონჩხი საგრძნობლად დაშლილა. სამარხი თავისუფალია წყლის ჟონვით მოხვედრილი მინის მასისგან. სამარხი უნვენტაროა.

სამარხი №115. (A ფართი, კვ. K – 11, 12; L – 11, 12). დამხრობა: აღმოსავლეთ – დასავლეთი. სიგრძე – 204 სმ; სიგანე დასავლეთით – 79 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 84 სმ; სიმაღლე – 35 სმ. სამარხი თავიდან ერთი მთლიანი ფილით ყოფილა დახურული. როგორც ჩანს, რაღაც ვითარებაში, ფილა სამ ნაწილად დამსხვრეულა (ესეც მინისძვრის დროს ხომ არა?), რის შემდეგაც აღმოსავლეთის მოზრდილ ნაწილზე დასავლეთის ორი მცირე ფრაგმენტი ზემოდან ჩამოდეს („შეაკონინეს“), ხოლო დამოკლებულ სახურავს კუთხეებში ქვემოდან დამატებითი, მცირე ზომის ბრტყელი ქვები შეულაგეს. გვერდები შედგება 4 ნათალი სიპი ფილისგან, რომლებსაც, გარეთ გადაზნექვის თავიდან ასაცილებლად, ჩრდილო-დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, თითო-თითო ფლეთილი ქვა აქვს გარედან მიბჯენილი. სამარხი თავისუფალი იყო მინის მასისგან. სამარხში დაფიქსირდა ერთმანეთის გვერდზე დაკრძალული ორი ნეშტი; ჩრდილოეთისა პირველადაა დაკრძალული, სამხრეთის ინდივიდი კი შემდეგ დაუკრძალავთ და მას ნაწილობრივ გადაუფარავს ჩრდილოეთის ჩონჩხი. ნეშტებს ხელები მენჯის და მუცლის არეში აქვთ დაფიქსირებული. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №116. (A ფართი, კვ. K – 13, 14; L – 13, 14). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე. სიგრძე – 198 სმ; სიგანე დასავლეთით – 77 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 81 სმ; სიღრმე – 37 სმ. სამარხი გადახურულია ფიქალის 2 ნათალი ფილით. სამარხს გვერდები შედგება 4 ნათალი სიპი ფილისგან, რომლებსაც გარედან, ჩრდილო-დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით, თითო-თითო რიყის ქვა აქვთ ჩამაგრებული გვერდების მდგრადობისთვის. სამარხი თავისუფალი იყო მინის მასისგან. სამარხში დაფიქსირებული ორი ნეშტიდან, თითოეულის ბარძაყის, დიდი და პატარა წვივის ძვლების პრეპარაცია მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა: რკინის ბალთის ერთი ფრაგმენტი და ერთი სპილენძის ბეჭედი.

## სამოსავლოს პრივატურულები და დასაცურულები სამარხები

სამარხი №117. (A ფართი, კვ. K – 15, 16; L – 15, 16) (სურ. 60). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ დერძზე. სიგრძე – 202 სმ; სიგანე დასავლეთით – 54 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 46 სმ; სიმაღლე – 44 სმ. სამარხი გადახურულია ფიქა-ლის, საკმაოდ კარგად გათლილი 3 ფილით. სამარხს გვერდები შედგება 4 ნათალი სიპი ფილისგან (ჩრდილოეთის ფილა შემდგომ, რაღაც ძალის ზეწოლით, ორად გაბზარულა), რომელსაც გვერდების გასამაგრებლად, გარედან, ჩრდილო-დასავ-ლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ აღმოსავ-ლეთით, თითო-თითო მოზრდილი, ფლეთილი ქვა აქვს ჩამაგრებული. სამარხი მოგვიანებით ჩასულ მინის მასას არ შეიცავდა. სამარხში დაფიქსირდა ერთი ნეშ-ტი, რომელსაც ხელები მუცლის და მენჯის არეზე აქვს დალაგებული. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი №118. (A ფართი, კვ. K – 16, 17; L – 16, 17) (სურ. 60). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ დერძზე. სიგრძე – 207 სმ; სიგანე დასავლეთით – 61 სმ; სიგანე აღმოსავლეთით – 66 სმ; სიმაღლე – 43 სმ. სამარხი გადახურულია სიპი



სურ. 60. კატაკომბური სამარხები (№117, 118) დოლოჭოპის ბაზილიკის სამხრეთის კრიპტაში  
Fig. 60. The catacomb tombs (№117,118) in the southern crypt of Dolochopi Basilica

ქვის კარგად ნათალი 2 ფილით. ერთი ფილა ლამის მთლიანად ფარავდა სამარხის კონსტრუქციას, მეორე ფილა კი დამატებით, აღმოსავლეთით დარჩენილი ძალიან მცირე სივრცის დასახურად არის გამოყენებული. სამარხის იატაკისთვის გამო-ყენებულია ერთი მთლიანი, კარგად ნათალი სიპი ქვა; მისი და სამარხის გვერდე-ბის შეუღლების ადგილი, ნიბობი, მოლესილია კირხსნარით. სამარხის გვერდები შედგება 4 ნათალი, მთლიანი სიპი ფილისგან. ჩრდილოეთის და სამხრეთის გრძივ ფილებს, თავსა და ბოლოში თითო-თითო, გარედან ვერტიკალურად მიბჯენილი, კარგად შერჩეული ფლეთილი ქვა ამაგრებს. სამარხი წყლისგან ჩატანილი მინის მასისგან პრაქტიკულად თავისუფალი იყო. სამარხში დაფიქსირდა ერთი ნეშტი, რომელიც ძალიან დაზიანებული აღმოჩნდა, ამიტომ მხოლოდ მენჯის და თავის ქალის ფრაგმენტების პრეპარაცია მოხერხდა. სამარხი უინვენტაროა.



სურ. 61. სამარხეული ნივთები დოლოჭოპის ბაზილიკის სამხრეთის გალერეის კატაკომბური სამაროვნის №116 აკლდამიდან

Fig. 61. Burial items from tomb №116 of the catacomb cemetery under the southern gallery

ყუთს აქვს პრაქტიკულად ერთი მთლიანად გამოთავს აკლდამი (ბაზილიკი), დანარჩენები კი აკლდამის სიგრძის გარდიგარდმო დალაგებული 3, 4 ან 5 ფილითაა ზემოდან დახურული.

აღსანიშნავია ამ კრიპტა-დერეფანსა და სამწირველოს სივრცეში მოწყობილი ქვა-ყუთების კონსტრუქციის ერთი თავისებურება, რაც მათ საქართველოში დღემდე შესწავლილ სხვა ქვის სამარხებისგან გამოარჩევს. საქმე ისაა, რომ მინაში მთლიანად ჩაფლულ ქვა-ყუთებს „გვერდითი ფიცრების“ გარეთ გადაშლისაგან შემაკავებელი და სახურავის ფილების სიმძიმის გადამანანილებელი დგარები არ ჭირდებოდათ: ამ ფუნქციას ქვის ყუთის მოწყალის შემდეგ, თხრილის გვერდებში დარჩენილ სიცარიელებში პირთამდე ჩაბრუნებული და დატყაპნილი მინა ასრულებდა (იგივე გრძელი „ფიცრების“ სამარხის ცარიელ სივრცეში ჩაწოლას, მათ შორის გარდიგარდმო ჩაჭედილი, ქვის განივი ფილები ეწინააღმდეგებოდა). ასეთი „ჩვეულებრივი“, გარედან „კონტრ-ფორსებით“ გაუმაგრებელი ქვა-ყუთების ანალოგად, სხვაგან რომც არ ვეძიოთ, თვით დოლოჭოპის ამ ბაზილიკის ინტერიერში IX-XII საუკუნეში მოწყობილი, ზემოთ აღნერილი ვრცელი სამაროვნის 109-ვე სამარხი გამოდგება.

ვნახოთ, გალერეის ქვეშა და სამლოცველოს კრიპტაში დადასტურებულ სამარხებს, რა ელემენტები ანათესავებს ან განასხვავებს ერთმანეთისგან. ქვა-ყუთების ოთხივე „კედელი“ უკლებლივ თითო, საკმაოდ კარგად გათლილი ან კლდის ზოდიდან „აპობილი“, შემდეგ ოთხეუთხად დამუშავებული ქვის ფიცრებისგან შედგება. ქვის გრძელი (ჩრდილოეთის და სამხრეთის) ფიცრები, ზომაში ოდნავ გაცდენილია მათდამი ვერტიკალურად ჩადგმულ, თავ-ბოლოს შემომზღვდულავ ფილებს. ამ ქვა-ყუთებიდან (ანუ, ქვის ფიცრებით შედგენილი სარკოფაგებიდან), ფსკერად მთლიანი ქვა მხოლოდ ერთში, №118-შია გამოყენებული. დანარჩენი ქვა-ყუთების ფსკერი კი მიწისაა – თიხატკეპნილით ან მოკირნყვლით მოსწორებული. სახურავებიც, მხოლოდ 2 ქვა-ლით არ გამოთლილი ქვისა (ბოლოში მცირებაზე არ გამოთლილი), დანარჩენი ქვა-ყუთების ფსკერი კი მიწისაა – თიხატკეპნილით ან მოკირნყვლით მოსწორებული. სახურავებიც, მხოლოდ 2 ქვა-

სამხრეთის გალერეის ქვეშ მოწყობილი ქვა-ყუთების შემთხვევაში კი, რადგანაც მათი გვერდების ვერტიკალური ქვის ფილები მიწიდან ამოზიდული იყო (თუნდაც 20-30 სმ-ზე), „ყუთების“ თავებთან და ბოლოებთან, როგორც ჩრდილოეთით ისე სამხრეთით, 2-2 ქვის ბლოკის შედგმა მოკირნყლულ იატაკსა და სახურავ ფილებს შორის, წესად უქცევიათ. სარდაფის იატაკში ნაწილობრივ ჩამაგრებულ ამ „კონტრფორსებზე“, ყუთების ქვის სახურავი ფილების სიმძიმეც ნაწილდებოდა, რაც მათ სტატიკურობას მატებდა და, შესაბამისად, გრძევ კედლებს გარე სივრცეში გადაწყოლისგან (ან გადატეხისგან) იცავდა. ვინაიდან ამ ქვა-ყუთების ზედა ნაწილები ღია, საკმაოდ ვიწრო სივრცეში იყო განლაგებული, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ სახურავებზე დამატებით მოქმედ ძალად, გვირაბში გამვლელ ადამიანთა წონასაც ითვალისწინებდნენ. ამრიგად, ქვა-ყუთების ზედა ნაწილების ამგვარი კონსტრუირება, ამ დერეფნის თავდაპირველადვე კატაკომბური აღნაგობის კიდევ ერთი დამადასტურებელი არგუმენტია.

როგორც ვნახეთ, კატაკომბის ზოგი სამარხი ინდივიდუალურია, უმეტესობა კი წყვილადი – ანთროპოლოგიური თვალსაზრისით დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მათში გვერდიგვერდ მამაკაცისა და ქალის ნეშტები ესვენა. წყვილთა განსასვენებელი სამარხები თავიდანვე განიერი მოუწყვიათ (თითქმის ორმაგად ფართო, ვიდრე „მარტოხელა“ პერსონებისა). ეჭვგარეშეა, რომ ამგვარი ქვა-ყუთები მეუღლების განსასვენებლებია.

აქვე, კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ კონსტრუქციულადაც და შინაარსობრივადაც, ამგვარად მოწყობილი კატაკომბური სამაროვანი, ჯერჯერობით სრულიად უნიკალურია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგადად კავკასიის მასშტაბითაც. მეორე მხრივ კი მსგავსი, ღია სივრცეებიანი, სარდაფისებრი კრიპტა-გალერეები (ასეთივე ვიწრო, თუ გაცილებით ფართო), ჩვეულებრივი მოვლენაა გვიანორომაულ-ადრებიზანტიური სამყაროს ქრისტიანულ ტაძრებში.<sup>179</sup> ამრიგად, დოლოჭობის ბაზილიკის აღნაგობა, ამ ელემენტითაც ენათესავება აღნიშნულ რეგიონთა უძველეს ქრისტიანულ ტაძრებს.

ყველა ნიშნით, დოლოჭობის ბაზილიკის აღწერილი კატაკომბური სამაროვანი, ამ მხარის სოციალურად დაწინაურებულ პირთა, არისტოკრატთა განსასვენებლებია. იქ დადასტურებული დაკრძალვის წეს-ჩვეულებების მხრივ, განსაკუთრებულად საინტერესოდ მიგვაჩნია №106 სამარხი, რომელიც ამ გალერეის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, სარდაფის რეგისტრში მდებარეობს. პირველად სწორედ ის

<sup>179</sup>. Zelinger, Yehiel; Barbé, Herbé. A Byzantine Monastery in Nahal Qidron, Jerusalem. *Atiqot 89 – Publication of Israel Antiquities Authority*. Jerusalem, 2017. გვ. 59-65; Poulou-Papadimitriou, Natalia; Elissavet Tzavela; Ott, Jouergen. Burial Practices in Byzantine Greece: Archaeological Evidence and Methodological Problems for Its Interpretation. *Rome, Constantinople and Newly-Converted Europe. Archaeological and Historical Evidence*. Vol. I. Leipzig, 2013. გვ. 382, 397, 399.

გაიხსნა, თუმცა, როგორც შემდგომ დავრწმუნდით, ამ კატაკომბში ჩამწკრივებული სამარხებიდან, ქრონოლოგიურად ის სულ ბოლოსაა მოწყობილი. სხვა სამარხთა მსგავსად, მისი ქვა-ყუთიც საკმაოდ გულმოდგინედ არის „შეკრული“ კარგად გათლილი, სწორი გეომეტრიული ფორმის ფილებით. სამარხში დაკრძალული ახალგაზრდა ქალი, ჩვენდა გასაკვირად, „სანახევროდ ქრისტიანულ“ პოზაში იყო ჩაწვენილი. აი, რას ვგულისხმობთ: როგორც აღვნიშნეთ, მიცვალებული თითქოსდა ზურგზე გაშოტილი ასვენია, მაგრამ ფეხები თითქმის გვერდულად ეწყო, რადგანაც მარცხენა ფეხის წვივი, მუხლში მოხრილად, მარჯვენა ფეხის ქვეშ ჰქონდა გადაჯვარედინებული. მარჯვენა ხელის მოხრილი მკლავი ზურგს უკან ჰქონდა მოყოლილი (ხერხემლის ქვეშ დაფიქსირებულ თითების ფალანგებზე ვერცხლის ბეჭედიც კი აღმოჩნდა წამოცმული), მარცხენა ხელის მკლავი კი დასავლეთისკენ იყო შემართული. და, ბოლოს – თავი სახით ჩრდილოეთისკენ ჰქონდა მიტრიალებული, ანუ, პროფილში. ამრიგად, სახეზე გვაქვს დაკრძალვის წესი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე (და არამარტო), წინაქრისტიანულ ხანაში ხანგრძლივად და თითქმის საყოველთაოდ გავრცელებულ, მიცვალებული გვერდზე, მოკუნტულად, ემბრიონის პოზაში დამარხვის წესსა და გაშოტილ პოზას შორის, რაღაც შუალედურ ფორმას უფრო გვაგონებს. თუ ამ გარემოებას იმასაც დაუუმატებთ, რომ სამარხის შიგნით მიცვალებულის დაკრძალვამდე „ავი სულებისგან გასაწმენდად“ დანთებული ცეცხლისა და ნახშირის ინტენსიური კვალიც დავადასტურეთ, რაც აგრეთვე გვიანაწიეურ ხანასა და, გამონაკლისის სახით, ადრექრისტიანულ პერიოდშიც ფრიად გავრცელებული „ხალხურად“ დაკრძალვის რიტუალის ნაწილია,<sup>180</sup> ამ სამარხის სანახევროდ წარმართულობა ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს.

ადრეულ ქრისტიანულ ხანაში (ძირითადად IV-VI საუკუნეებში), ქრისტიანული საზოგადოებების სამაროვნებზე მიცვალებულთა წარმართულ პოზაში დაკრძალვის შემთხვევები იშვიათი არ არის საქართველოში, თუმცა, დიდ უმრავლეს შემთხვევებში, ეს პრეცედენტები ფიქსირდება ხოლმე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ან მთისწინა ზოლის დასახლებებში. მსგავსად დაკრძალული ნეშტები, არქეოლოგების მიერ აღმოჩნდილია ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ დაღესტნის დაახლოებით VIII-X სს-ით დათარიღებულ ქრისტიანული თემების სამაროვნებზეც (ანუ, სავარაუდოდ, მაშინდელი ნეკრესის ეპარქიის შემადგენელ, კავკასიონს გადალმა მდებარე დიდოეთისა და ხუნძეთის ტერიტორიებზე).<sup>181</sup>

ბუნებრივია, თვალნათლივ ქრისტიანულ საზოგადოებებში მიცვალებულთა ამგვარად დაკრძალვის წესი, მოსახლეობის შეგნებაში წარმართული ტრადიციე-

<sup>180</sup>. აფხაზავა, ნოე. ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბილისი, 1988. გვ. 26, 27.

<sup>181</sup>. ათაევ, დიბირ. ხრისტიანული ძეგლები ავარიის ეპოქის შემადგენელ, კავკასიონს გადალმა მდებარე დიდოეთისა და ხუნძეთის ტერიტორიებზე.

ბისადმი სრულ თუ ნაწილობრივ ერთგულებას მიეწერება ხოლმე; ზუსტად არა-ვინ უწყის, შინაგანად რამდენად ღრმად ჰქონდათ გამჯდარი მოსახლეობის ასეთ ჯგუფებს იმხანად ქრისტიანული რწმენა: კვლავ წარმართულ ღვთაებებს ეთაყ-ვანებოდნენ ისინი თუ, უპრალოდ, რაღაც გადმონაშთ, ხალხურ წეს-ჩვეულებებს უწევდნენ ანგარიშს, სამღვდელოებისგან მაღულად. ნიშანდობლივია, რომ ასეთ პოზებში, უმეტესად ქალები იკრძალებოდნენ (ალბათ, როგორც ქრისტიანულ წმინ-და წიგნების სწავლებებში ნაკლებად გარკვეული და, ამდენად, წინაპართა ტრა-დიციების ოჯახის წიაღში მაღულად შემნახავი).<sup>182</sup> ეს კონკრეტულ შემთხვევა კი, ჯერჯერობით სრულიად უნიკალურია: ქვეყანაში ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად წარმოშობილ, ალბათ დიდად სახელგანთქმულ რელიგიურ ცენტრში, საკა-თედრო ტაძარში, მაღალი იერარქიის სამღვდელოების (დიდი ალბათობით, ეპის-კოპოსების) განსასვენებელი ნაოსის მეზობელ სათავსში, დიდგვაროვანი ქალი სა-ნახევროდ წარმართულადაა დაკრძალული (შემთხვევითობა გამორიცხულია). ასეთ პრეცენტები დათანხმება, უთუოდ დიდი კომპრომისი იქნებოდა სამღვდელოე-ბის მხრივ, ამ დიდგვაროვან ოჯახში შემონახული ტრადიციისა თუ მისი წევრი მთიელი, თუნდაც ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ქალბატონის რწმენის მიმართ. ისიც თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დათმობებზე წასვლა, ამ რეგიონის სრული ქრისტიანიზაციის საწყის პერიოდს დიდად ვერ გადმოცდებოდა.

საბოლოოდ არც იმ ვარაუდის გამორიცხვა შეიძლება, რომ ამ სამარხში ქრის-ტიანული ოჯახის წევრი, მაგრამ ჯერ კიდევ მოუნათლავი ყმაწვილი ქალი იყოს დაკრძალული – V საუკუნის ჩათვლით ხომ საქართველოშიც, ისევე როგორც ზო-გადად ქრისტიანულ სამყაროში, ჯერ კიდევ არ იყო წესად შემოღებული ჩვილთა ნათლობა და ქრისტიანულ რწმენაზე შესადგომად, სამღვდელოება ყმაწვილთა მხრივ შეგნებული ნების გამოხატვას ელოდებოდა.

როგორც ალვნიშნეთ, ტაძრის ამ ნაწილში დადასტურებული სტრატიგრაფიის მიხედვით, ეს სამარხი დიდი ბაზილიკის დანგრევაზე, ანუ, VI საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი ვერ იქნება. სამარხში მიცვალებულისთვის ჩაყოლებუ-ლი ერთ-ერთი სახეობის სამყაულს, ვერცხლის საყურეს მოოქრული საკიდით (ტაბ. XII: 7), ანალოგი მოეძებნა V საუკუნის ქართულ არქეოლოგიურ მასალებში. მეორე მხრივ, აქვე დაფიქსირებულ ვერცხლის ჭვინტიანი მშვილდსაკინძის ტი-პის ნაკეთობებს, მეცნიერები V-VI საუკუნეთა მიჯნას მიაკუთვნებენ (ტაბ. XII: 6).<sup>183</sup> დანარჩენი სამარხეული ინვენტარის ანალოგებიც, მეტ-ნაკლები სიზუსტით,

<sup>182.</sup> აფხაზავა, ნოე. 1988. გვ. 52, ტაბ. 24, 26, 30.

<sup>183.</sup> ნიორაძე, გიორგი. კარსნის ხევის სასაფლაო. საქართველოს მუზეუმის შრომები, ნაკვეთი №4. თბილისი, 1926. გვ. 21-22, ტაბ. II-28; ტყეშელაშვილი, თთარ. სამთავროს სამაროვნის ახ. 6. II-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XX-B. თბილისი, 1959. გვ. 322, ტაბ. II, სურ. 17; ტაბ. III, სურ. 13; თეხოვ, ბაგრატ. *Материальнаяная культура*

აგრეთვე V ს-იდან VI ს-ის პირველ ნახევრამდე ინტერვალითაა დათარიღებული ქართული და ჩრდილოკავკასიური სამაროვნების ზოგიერთი მკვლევარის მიერ (ტაბ. XII: 4, 5, 8-12).<sup>184</sup>

ამ ნეშტიდან აღებული ძვლოვანი ნიმუშის რადიოკარბონული ანალიზის შედეგად მიღებული კალიბრირებული თარიღი, მეტად დიდი ალბათობით, V ს-ის დასასრულზე ან VI ს-ის პირველ ნახევარზე მიგვანიშნებს.<sup>185</sup> ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს დაკრძალვა აღნიშნულ გალერეა-კრიპტაში ქრონოლოგიურად სულ ბოლოა (იხ. ქვემოთ), ეს მონაცემი სრულ შესატყვისობაშია როგორც სამარხეული ინვენტარის წარმოდგენილ კლასიფიცირებასთან, ისე დოლოჭობის დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების პერიოდის ხუროთმოძღვრული ანალიზის შედეგებთან. ამ კატაკომბური სამაროვანის ზოგიერთი სხვა სამარხიც VI საუკუნის დასაწყისით თარიღდება – №113 სამარხში აღმოჩენილია ამ ხანის რკინის ბალთის ფრაგმენტი (სურ. 61: 1), ხოლო №116 სამარხის ნეშტს თან აბლდა იმავდროული ბალთის ერთი ფრაგმენტი და ერთი ბრინჯაოს ბეჭედი (სურ. 61: 2, 3).<sup>186</sup> დაახლოებით ამავე ხანას უნდა განეკუთვნებოდეს გალერეის აღმოსავლეთით მდებარე სამლოცველოს იატაკის ქვეშ, ასევე ღია სივრციან კრიპტაში განთავსებული, ყველა სტრატიგრაფიული ნიშნით დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების დროსვე მოწყობილი, 2 (№117 და №118) სამარხი ქვა-ყუთიც.

უფრო მეტიც: აღნერილ ეგვტერისქვეშა კრიპტასა და გალერეის სარდაფის სივრცეებში სამარხების მოწყობა, ლოგიკურად თუ შევხედავთ, აღმოსავლეთიდან, სამლოცველოს ქვეშა კრიპტიდან უნდა დაწყებულიყო. კერძოდ, პირველად და ყველაზე საფუძვლიანად, ხაზგასმული პატივით აგებულ (ძირიც და სახურავიც განსაკუთრებულად გათლილი თითო ქვისაა და წიბოებიც შელესილია „ჰერმეტიზაციის-თვის“) №118 ქვა-ყუთში უნდა დაეკრძალათ მეტად მაღალი წოდების საერო პირი.

населения среднего течения реки Большой Луахви в I-VIII вв. Тбилиси, 1987. Сур. 30-1; კიკვიძე, იაზო; ჭილაშვილი, ლევან. აღნეფერდალური ხანის სამაროვანი ქუთანისათან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-B. თბილისი, 1961. ტაბ. 1:13; მინდორაშვილი, დავით. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის ნები გველეთის სამაროვანზე. ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქოლოგიური კვლევის ცენტრის უურნალი, №5. თბილისი, 2000. გვ. 85, ტაბ. II-28:92.

<sup>184.</sup> ჩიხლაძე, ვერა. უნიცალის სამაროვანზე მოპოვებული საკინძები. ძიებანი საქართველოს არქოლოგიაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთარ ლორთული მუზეუმის სახელმწიფო არქოლოგიური კვლევის ცენტრის უურნალი, №15-16. თბილისი, 2005. გვ. 207, ტაბ. II-182; დიდი მცხეთის არქოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის კოლექციებიდან. კატალოგი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა: ირმა დოლიძემ, ვახტანგ ნიკოლაშვილმა, ნიკოლოზ მაისურაძემ. თბილისი, 2016. გვ. 100; მაისურაშვილი, ნიკოლოზ; დილმელაშვილი, ქეთევან; მშვილდაძე, მარიკა; წონელია, მედეა; კობერიძე, კობა; ჯანაშვილი, ნინო; ჩადუნელი, ნიკოლოზ. ფიქრისგორის სამაროვანი. თბილისი, 2018. გვ. 165, ტაბ. LVII-9.

<sup>185.</sup> ანალიზი ჩატარდა გლაზგოში, შოტლანდიის უნივერსიტეტის გარემოს დაცვის კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში. ანალიზის კოდი: SUERC-76886 (GU46136).

<sup>186.</sup> აფხაზავა, ნოე. 1979. ტაბ. XL; Воронов, Юрий; Шенкао, Николай. Вооружение воинов Абхазии IV-VII вв. Древности эпохи Великого переселения народов V-VIII веков. Советско-Венгерский сборник. Москва, 1982. გვ. 121-165.

გამორიცხული არც ის არის, რომ აღნიშნული სამწირველოსა და კრიპტის სისტემის მოწყობა, სწორედ რომ ამ კონკრეტული ფეოდალის და მისი მეუღლის დასაკრძალად გაეთვალისწინებინათ წინასწარ. ასეთი, ვფიქრობთ არცთუ უსაფუძვლო მსჯელობით, მისგან დასავლეთით, წინასწარ დატოვებულ სივრცეში მოწყობილ №117 ქვა-სამარხში მისი მეუღლე თუ პირდაპირი მემკვიდრე უნდა დაემარხათ; ამის შემდეგ, დიდი ალბათობით, თავიდანვე იმავე საგვარეულოს წარმომადგენელთა საძალე-კრიპტად ჩაფიქრებულ კატაკომბში, ასევე აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმდევრობით (ეგვტერის საკურთხევლიდან და, თანაც, გამორჩეულად პატივსაცემი წინაპრის სამარხიდან მინიმალური დაშორების სურვილით), დანარჩენ სამარხებსაც მოაწყობდნენ. დაქორწინებულ წყვილთათვის, ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალებისას, წინასწარ „ორადგილიან“, ფართო ქვა-ყუთებს აგებდნენ, ხოლო დაუქორწინებელი ყმაწვილებისთვის ინდივიდუალურებს.

ამ კრიპტისა და კატაკომბური სამარხი გალერეის გათხრის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებაც: დაახლოებით VI საუკუნის დასაწყისში მომხდარი, ტაძრის ნაწილობრივ დამაზიანებელი პირველი მინისძვრის შემდეგ,<sup>187</sup> შენობის სტატიკურობის გაძლიერების მიზნით ეს ღია, სართულშუა ხის კონსტრუქციებით გადახურული სივრცეები მინით ამოუვსიათ და სართულების გამყოფი ხის კონსტრუქციის ნაცვლად, ახალა უკვე თიხატკეპნილი იატაკის ზედაპირი ფიქალის არცთუ კარგად მორგებული ქვებით მოუპირკეთებიათ. ამით ჩაფიქრებული მიზანი მიღწეულ იქნა: სამხრეთ გალერეას და ბაზილიკის ცენტრალური დარბაზის სამხრეთ კედელსაც გაცილებით მყარი, სეისმურად მედეგი საფუძველი შეექმნათ; თუმცა, იატკეჭეშა კატაკომბების სივრცეში მოწყობილ აკლდამებთან თავისუფალი წვდომა და მათში განსვენებული მიცვალებულების ნეშტების სულთა ცხონებანეტარებისთვის კონტაქტური ზრუნვა (ძვლოვან ნაწილებზე წმინდა ზეთის ცხება, საკმევლის კმევა და ა. შ.), ცხადია, უკვე შეუძლებელი გახდებოდა.

## **დოლოჭოპის დიდ პაზილიკაში დაფიქსირებული არქეოლოგიური სურათი თანადროულ პუნებრივ, ისტორიულ და რელიგიურ-კულტურულ მოვლენათა ფორმები**

დოლოჭოპის დიდი ბაზილიკის IV-V საუკუნეთა მიჯნაზე, ყველაზე გვიან კი V საუკუნის პირველ ათწლეულებში აგების და მისი თავდაპირველი სახით მხოლოდ VI საუკუნის შუა ხანებამდე ფუნქციონირების შესაძლებლობას, საფუძვლიანობას

<sup>187.</sup> ეს, დიდი ალბათობით, იგივე მინისძვრა უნდა იყოს, რომელმაც ბაზილიკის რიგ სხვა კონსტრუქციებთან ერთად, მთავარი დარბაზის საკურთხევლის ქვეშა და ამავე დარბაზის ცენტრში მდგრად ბემს ქვეშა კრისტები დაანგრია (რომელცც, შენობის რესტავრაციისას, სესმომედეგობის გაძლიერების მიზნით, აგრეთვე ნატკეპნი მინით და ლოდებით შეავსეს).

მატებს გათხრებისას ამ ტაძრის თავდაპირველი იატაკის ზედაპირის ჰორიზონტზე, სხვადასხვა გარემოებების წყალობით გაჩენილ მიწის ფენებში ჩატკეპნილი, ქართულ არქეოლოგიური ძეგლებიდან კარგად ცნობილი ტიპის, V ს-ით დათარიღებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.<sup>188</sup>

ცენტალური ნავის ჩრდილო-აღმოსავლეთ სვეტთან (A ფართის კვ. D-14), იატაკის ჰორიზონტთან ახლოს აღმოჩენილია მოჩალისფრო კეციანი, კარგად განლექილი თიხის დოქი (ტაბ. XIII: 1). ის ბრტყელძირიანია, ყელის ქვედა ნაწილზე, მხრებთან ახლოს, ზედაპირზე ერთი რელიეფური წიბო შემოუყვება. მხარზე შემორჩენილი აქვს ყურის მიძერნვის ადგილი, რომელიც, დიდი ალბათობით, აცდენილი უნდა ყოფილიყო პირის სიმაღლეს (ყელზე მიძერნვის ადგილი არ ფიქ-სირდება). მუცლის ზედა ნაწილს ჰორიზონტულად, ფართო ზოლად შემოუყვება სავარცხლისებრი იარაღით წვრილად ნაკანრი ტალღისებრი ორნამენტი. მუცლის ქვედა ნაწილზე, ძირამდე, ასევე ჰორიზონტულად შემოუყვება სწორი, პარალელური, რელიეფური ზოლები. შემორჩენილი h – 17 სმ; ძირის d – 11 სმ.

ეს დოქი ურბნისის ნაქალაქრზე, XVI და XX უბანზე, „დამწვარ ნაგებობაში“ აღმოჩენილი ჭურჭლის ანალოგიურია და კარგად თარღდება V საუკუნით<sup>189</sup>.

ამავე ჰორიზონტზე (A ფართი, კვ. B-14) აღმოჩნდა მსხლისებრი ფორმის, მოყავისფრო, საშუალოდ განლექილკეციანი, წვრილმარცვლოვანი თიხის დოქი (ტაბ. XIII: 2). ის ბრტყელძირიანია, სამტუჩა („ოინოპოიას“ მსგავსი) მოყვანილობის პირი აქვს. შემორჩენილი აქვს პირს ზემოთ აზიდული მრგვალგანივეთიანი ყური, რომელსაც პირთან შეერთების ადგილზე დაძერნილი აქვს კოპი. h – 21 სმ; ძირის d – 13 სმ. ეს ჭურჭელი, სტილისტურად და შესრულების ტექნიკოლოგით, ძალიან ჰგავს გვიანანტიკური ხანის ნაქალაქარ ჭერემში, II უბანზე №3 სამარხში აღმოჩენილ დოქს, აგრეთვე, ნაქალაქარ ურბნისში, № 25 ხის სარკოფაგში აღმოჩენილ ხელადას.<sup>190</sup> გარდა ამისა, მსგავსი ჭურჭელი დაფიქსირდა მდ. ძამას ხეობის მარცხენა ნაპირზე, ზღუდერის სახელით ცნობილ ბორცვზე გათხრილ №1 ორმოსამარხში.<sup>191</sup> მკვლევართა აზრით, არც ერთი ამ ჭურჭლის დამზადების ხანა, არ სცილდება IV-V საუკუნეთა ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

დოლოჭოპის ბაზილიკის სამხრეთ ნავში, სამხრეთ კედლიდან 8 სმ-ის დაშორებით (A ფართი, კვ. L-11), იატაკში ჩადგმული აღმოჩნდა ცალყურა თიხის ქოთანი (ტაბ. XIV: 1). ის მოშავო-მონაცრისფროდაა გამომწვარი, კეცი – წვრილმარცვლო-

<sup>188</sup> ჭილაშვილი, ლევან. 1964. ტაბ. XLI-XLIII; აბრამიშვილი, როსტომ; ჭილაშვილი, ლევან. 1962. გვ. 200, 201; ბახტაძე, ნოდარ. 2013. გვ. 50, 62, 64; მამაიძეშვილი, ნანა. 2004. ტაბ. VI-4, IX, XI.

<sup>189</sup> ჭილაშვილი, ლევან. 1964. გვ. 44.

<sup>190</sup> მამაიძეშვილი, ნანა. 2004. ტაბ. XX-1; აფხაზავა, ნოე. 1979 ტაბ. II-10.

<sup>191</sup> ნემსაძე, გურამ. თიხის ჭურჭელი ძამას ხეობიდან. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XLI-B. თბილისი, 1991. 117-129. სურ. 2.

ვანი მინარევებით; აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, მომრგვალებული ბაკო, დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი. მუცელზე მიძერწილია ბრტყელგანიკვეთიანი ყური.  $h - 19$  სმ; პირის  $d - 16.4$  სმ; ძირის  $d - 10.5$  სმ. ეს ქოთანი, შესაძლოა, ტაძარში დადასტურებულ ჭრაქებში ჩასასხმელი საწვავი ნედლებულის კომპაქტურ რეზერვუარად გამოიყენებოდა (ქოთნის შიდა კედლებზე და ძირზე აღინიშნება მყარად დალექილი, შავი მასა).

მსგავსი მოყვანილობის ქოთნები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს გვიანანტიკურ ხანის ძეგლებზე. მაგალითად, ამ ჭურჭელს ანალოგები ეძებნება ვარდციხის ნაქალაქარზე და IV-VI სს-ით თარიღდება.<sup>192</sup>

ამ ჭურჭლის ანალოგიური ნაკეთობა გვხვდება აგრეთვე ნაქალაქარი ჭერემის II უბანზე, სასახლის I დარბაზის დაზიანებულ იატაკზე და თარიღდება IV-V საუკუნეებით.<sup>193</sup>

დოლოჭობის ბაზილიკის სამხრეთ გალერეის იატაკზე მიკვლეული თიხის არტეფაქტებიდან, საკმაოდ მყარად დამათარილებელი მნიშვნელობა აქვს ერთი სახეობის თიხის დოქის ფრაგმენტებს. ისინი კარგად განლექილი, მონითალო, წვრილმარცვლოვანი მინარევებიანი თიხისგანაა დამზადებული; ზედაპირს, მუცელსა და ყელს შორის, პორიზონტულად შემოუყვება ტალისებრად ნაკანტი და ნაჭდევი ორნამენტი. ზოგიერთ მათგანს შემორჩენილი აქვს მრგვალგანიკვეთიანი ყურის ნაწილები (ტაბ. XV: 1-7). თიხის ჭურჭლის ეს ფრაგმენტები დამაჯერებლად თარიღდება V საუკუნით – ნაქალაქარების: რუსთავის, ჭერემის, ურბნისის და ლოჭინის ნასოფლარის გათხრების დროს მოპოვებულ გვიანანტიკური ხანის ნივთიერ მასალასთან შედარების საფუძველზე.<sup>194</sup> აგრეთვე, ამ გალერეაში აღმოჩნდა ზემოთ აღნერილი, იატაკში ჩადგმული ქოთნის მსგავსი ჭურჭლის პირის ფრაგმენტები (ტაბ. XV: 8, 9), რომლებიც V ს-ით თარიღდება.<sup>195</sup>

განსაკუთრებით საინტერესოა ბაზილიკის იატაკის პორიზონტულ დონეზევე აღმოჩენილი ინტერიერის გასანათებელი ხელსაწყოების – ლითონის ცხაურში ჩასალაგებელი მინის კანდელებისა და მათი ვერცხლის საკიდებლების ნაშთები

<sup>192.</sup> ჯაფარიძე, ვახტანგ. ვარდციხის ნაქალაქარი (ეგრისის ქალაქების არქეოლოგიური შესწავლისათვალის), თბილისი, 1989. ტაბ. XVII-74-945; XVIII-73-375.

<sup>193.</sup> მამაიაშვილი, ნანა. 2004. გვ. 134, 135; ტაბ. III-3. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაქალაქარ ჭერემის ამ უბნის არქეოლოგიურად შესწავლის დროს გამოვლენილი მასალის მიხედვით, შეცნიერებმა გამოთქვეს შემდეგი ვარაუდი: მათი აზრით იმ ტერიტორიაზე, სადაც ნერილობითი წყაროების მიხედვით მეფე ვახტანგ გორგასალს სასახლე აუგია, ფიქსირდება უფრო ადრეული, II-IV საუკუნეებით დათარიღებული კულტურული ფენები.

<sup>194.</sup> აბრამიშვილი, როსტომ; ჭილაშვილი, ლევან. 1962. გვ. 197-201; მამაიაშვილი, ნანა. 2004. ტაბ. VI-4, LIX, XI; სინაურიძე, მანანა. 1966. გვ. 62, ტაბ. XI-1, 2; ბახტაძე, ნოდარ. 2013. გვ. 23-25; პაჭიაშვილი, ნაზი; ჯაფარიძე, იოსებ. რუსთავის ისტორიული მუზეუმის გზამკვლევი. თბილისი, 2014. გვ. 20.

<sup>195.</sup> სინაურიძე, მანანა. 1966. გვ. 52, 53; ტაბ. VIII.

(ტაბ. XVI). ამ ტიპის გასანათებლები „პოლიკანდელონების“ სახელითაა ცნობილი მთელ გვიანრომაულ-ბიზანტიურ სამყაროსა და მიმდებარე რეგიონებში. მათ, ზოგადად, ასეთი სახე ჰქონდათ: კარკასის ზედა ნაწილს წარმოადგენდა წრიული ფორმის ლითონის ბრტყელი დისკო, შუაში დიდი სიცარიელით. დისკოში მიმდევრობით დატანებული იყო წაწვეტებულძირიანი მინის ჭრაქების ჩასაწყობი მრგვალი ფოსოები. დისკოს ოთხი მხრიდან მირჩილული ჰქონდა ლითონისვე დასახსრული ღერო ან ჯაჭვი, რომლითაც ხელსაწყოს ჭერში ჰყიდებდნენ. დოლოჭოპში ფრაგმენტულად აღმოჩენილ პოლიკანდელონებს, საკმაოდ ახლობელი პარალელები ეძებნება IV-VI სს-ის ბიზანტიურ-სირიულ საეკლესიო გამოყენებით ხელოვნების ნიმუშებიდან.<sup>196</sup>

ქართული დამწერლობის ისტორიისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტრატიგრაფიულად დანამდვილებით დიდი ბაზილიკის VI საუკუნეში დანგრევის ფენაში, აღმოჩენდა თიხის რამდენიმე (10-მდე) ბრტყელი ანტეფიქსის ფრაგმენტი, რომელთა ცენტრალურ ნაწილებში, გამოწვამდე, პალეოგრაფიულად და კალიგრაფიულად პრატიკულად ერთნაირად, ამოღარვით გამოყვანილია ქართული ასომთავრული გრაფემა „ანი“ (სურ. 62: 1-5). რა აზრობრივ-სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა ტაძრის მაინცდამაინც აღმოსავლეთ ფასადზე განლაგებული ეს მონოგრამები, ჯერჯერობით უცნობია.<sup>197</sup> თუმცა, IV-V საუკუნეთა მიჯნაზე, გამართული ხელით შესრულებული ქართული ასონიშნის დადასტურება, მაინც მრავლისმთქმელია – თუნდაც საქართველოს აღმოსავლეთ განაპირა მხარეში ამ ტაძრის აღმშენებელთა და მრევლის ეთნიკური იდენტობის განსასაზღვრად.

ბაზილიკის კონსტრუქციების ნანგრევებით დაფარულ იატაკებზე მოპოვებული ნივთიერი მასალის: სამშენებლო კერამიკის, სალიტურგიო თუ საყოფაცხოვრებო ნაკეთობების ნაშთების განფენის სურათის და ნივთების სტილისტური ანალიზით, რამდენიმე ათწლეულის სიზუსტით მაინც განისაზღვრა ამ ტაძრის ბაზილიკის სახით ფუნქციონირების შეწყვეტის ხანა. ბაზილიკის ეს მეორე, გაცილებით მასშტაბური ნგრევა დაახლოებით VI საუკუნის მიწურულს მომხდარა, მეტად ძლიერი მიწისძვრის შედეგად.<sup>198</sup> როგორც დავადგინეთ, გარდა დარბაზისა და სამხრეთ გა-

<sup>196</sup> Papadopoulou, Barbara. Bronze Lamps and Polycandela. *The Averof Collection in the Baron Tositsas Foundation Museum Metsovo, Epirus, NW Greece*. Nyon, Geneve, 2003. გვ. 260, ტაბ. 122, სურ. 14, 15.

<sup>197</sup> და მანც, შეუძლებელია პირველივე შესაძლო ახსნად არ მოგვამიქრდეს ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მტკაცედ დგომის მოწოდების ფორმა – „ამენ“, რაც ნიშნავს: „ასეა“, „მართლა“, „უეჭველად“, „დე იყოს ასე“. მაგ.: „ამენ, ამენ, გეტყვი თქვენ“ (იოანეს სახარება, 12:24; ეს ფორმა იმანეს სახარებაში მოხსენიებულია 26-ჯერ, მათესთან 28-ჯერ, მარკოზთან 14-ჯერ, ლუკასთან 7-ჯერ). სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვა „ამენ“ განძრობებულია ასე: „იყავნ, აღსრულდეს, გინა მრნამს ჭეშმარიტად, გინა მტკიცედ იყავნ...“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I. თბილისი, 1991. გვ. 50-51).

<sup>198</sup> ეს მიწისძვრა არ უნდა აგვერიოს უფრო ადრე, VI საუკუნის დასაწყისში მომხდარ, აგრეთვე

ლერეის სახურავების სრული ჩანგრევისა, ბაზილიკის სამხრეთის ნავისა და სამხრეთის გალერეის კედლები თითქმის სრულად გადაწოლილა სამხრეთით, ნავების დამყოფი სვეტების სანახვროდ დანგრეულა, დარბაზის ჩრდილოეთ კედელი და ჩრდილოეთ გალერეის თაღნარიანი კედელი კი თითქმის გადარჩენილა. ამ სტიქიური მოვლენის რეალურობის დასტურად მრავალი არგუმენტის მოყვანა შეგვიძლია. პირველი არგუმენტი ის უბრალო გარემოებაა, რომ იმ ეპოქაში, საბრძოლო მოქმედებაში მონაწილე ადამიანთა მრავალრიცხვოვან ჯგუფსაც კი, ასეთი გრანდიოზული ქვითკირის კედლების მიზანმიმართულად, ერთდროულად, ერთ მხარეს (ამ შემთხვევაში, სამხრეთით) გა- დაწვენის ტექნოლოგიური საშუალება არ ექნებოდა. თუმცა, დამანგრეველ მინისტრაზე, ნანგრევი მასების განფენის სტრატიგრაფიული სურათიც ნათლად მეტყველებს. მაგალითად, დიდი ბაზილიკის იატაკის ყველა იმ ფართობზე, რო- მელსაც შემდგომ რესტავრაცია არ შეხებია (მთავარი დარბაზის დასავლეთ კიდე,



სურ. 62. ქართული ასო-ნიშნების გამოსახულებები დოლოჭოპის ბაზილიკის თიხის ანტეფიქსებზე

Fig. 62. Georgian inscriptions on the clay antefixes of Dolochopi Basilica

საკმაოდ ძლიერ, თუმცა არა ამდენად დამანგრეველ მინისტრის შედეგადაც ბაზილიკის მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი დაზიანდა. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, ამ მინისტრის შედეგების აღმოსაფხვრელად ბაზილიკის და სამხრეთის გალერეის მთელ სიგრძეზე (ეგვატერის ჩათვლით) მოწყობილი კრიპტა მინით ამოავსეს შენობის სეისმომედეგობის გაზრდის მიზნით. როგორც გამოირკვა, ამ მინისტრის შედეგად დაზიანებულ ზოგ სხვა სათავსშიც ჩატარებულა რეკონსტრუქცია: როგორც ჩანს, ამ დროს დაზანგებულა და ახლებურად აუგიათ ჩირდილოეთის გალერეის აღმოსავლეთ ნაწილი ეგვატერითურთ; შესაძლოა ამ დროსვე გადაწინეს აღმოსავლეთით სამხრეთის სამნირველოს საკურთხეველი. იმუშავდ განუცდია რეკონსტრუქცია ბაზილიკის მთავარ საკურთხეველსაც. როგორც ჩანს, მინისტრის დროს ჩაქცეულმა საკურთხევლის გადახურვამ (კონქმა) საკურთხეველის თავდაპირველი სინირინინი, ხის ძელებით გადახურული კრიპტა და მასში ჩადგმული ლუსკუმაც დაანგრია. რესტავრაციისას, მშენებლებს აფსადის სეისმომედეგობის გაძლიერების მიზნით, კრიპტა საერთოდ გაუუქმებიათ და ნანგრევი მასით ამოუქსიათ (ამ შემავსებულ მასში, ქვებთან ერთდ ბაზილიკის გადახურვის შემადგენელი, მინისტრისას დამსხვრეული კრამიტებისა და ანტეფიქსების ფრაგმენტებიც მრავლად იყო შერეული); თანაც, ალბათ ეპოქის მოთხოვნისდა შესაბამისად, საკურთხევლის ამბიონი შესამჩნევად დაუდაბლებიათ და მასზე ასალი, ზემოთ აღნერილი 4 ხარისხიანი მაღალდასაჯდომელი მოუწყვიათ.

სამხრეთის გალერეა), კედლებისა და სვეტების ნაშალის ქვეშ, ძალზე კარგად გამოჩნდა კატაკლიზმის დროს ჩატარებული კრამიტებისა და ანტეფიქსების ერთგვა-როვანი, მძლავრი ფენა, რომელშიც, შიგადაშიგ, რკინის ნაჭედი ლურსმებიც იყო შერეული (ტაბ. XI). ამასთან, ამ ფენაში სრულიად არ გამოვლენილა დანახშირებული ხის კონსტრუქციები; თანაც, იატაკზე დანარცხებულ კრამიტებსა და ანტეფიქსებს, სრულიად არ ემჩნეოდა ხანძრის კვალი. ასეთი სურათი, უპირველესად, კვლავ იმ ვერსას ადასტურებს, რომ ბაზილიკა თაღოვანი კამარით კი არა, ხის კოჭოვან-ნივნივებიან სისტემაზე დალაგებული, ბრტყელი და ღარიანი კრამიტის კომბინაციით იყო გადახურული; მეორეც, ასეთი განფენა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ტაძარი მტრის მიერ სპეციალურად არ არის დანგრეული: წინააღმდეგ შემთხვევაში, უთუოდ წაუკიდებდნენ ცეცხლს კედლების დამაგვირგვინებელ და სახურავის შემკვრელ ხის კონსტრუქციებს – მათი განადგურება კედლების რღვე-ვასაც გაცილებით გაადგილებდა.

ამდენად, ბაზილიკის ნგრევის ვითარება ასე წარმოგვიდგა: თავდაპირველად (განსხვავება, ალბათ წამები იყო) მიწისძვრის მძლავრი ბიძგებისგან ხის წვრილ, ადვილად დეფორმირებულ-დამსხვრეულ ნივნივებზე დალაგებული კრამიტის დიდალი მასა ჩამოიშალა და იატაკებზე მიმოიფანტა – იმჟამინდელი ბაზილიკების ჭრები ხომ, თითქმის როგორც წესი, ქვემოდან აფიცრულები არ იყო. შემდეგ იატაკებზე კედლების მეტ-ნაკლები ზომის ბლოკებად დაშლილი კონსტრუქციები, ზოგან კი მთელი კედლებიც გადმოწოლილა, სახურავის მასიური ხის კოჭოვან კონსტრუქციებთან ერთად. პრეპარაციით, კრამიტის უკვე ჩამოყრილ ფენაზე და-ნარცხებული ამ კედლების ნაწილებიც კარგად დავაფიქსირეთ, თუმცა ხის კონ-სტრუქციების ფორმების დადგენა სრულიად ვერ შევძელით: შემდგომი საუკუნეების განმავლობაში მეტეოროლოგიური წესტის ზემოქმედებისგან, ისინი სრულიად დაშლილი და მიწად ქცეული დაგვხვდა.

ისტორიულ ნაგებობათა სეისმომედეგობის მეცნიერთათვის საყურადღებოა, რომ ბაზილიკის ყველა კედელი ერთი და იმავე ბიძგების შედეგად არ დანგრეულა; პირველივე ბიძგების შედეგად სამხრეთის გალერეის განაპირა კედელი გადაქცეულა, ვინაიდან მასზე ზენოლა, თავისივე სიმძმის გარდა, ნაგებობის მთელმა დანარჩენმა, ჩრდილოეთით მდებარე კონსტრუქციებმაც მოახდინა (შესაბამისად, ეს კედელი ერთგვარ შემაკავებელ „ბუფერად“ იქცა ჩრდილოეთიდან შეჯახებული კედლებისთვის). ეს კედელი ისე უცბად „გადატეხილა“ ძირში, რომ მის გადახლეჩილ ძირა კედელზე, მაშინ ჯერ კიდევ ჰაერში მყოფი კრამიტები და ანტეფიქსები მიმოფენილა, რაც გათხრისას კარგად დაფიქსირდა. შემდეგი ბიძგისას ასეთივე ბედი სწვევია ამჯერად უკვე განაპირად ქცეულ, ცენტრალური დარბაზის სამხრეთ კედელს, რომელიც ასევე დაბალ ნიშნულზე „გადატყყდა“

და სამხრეთის გალერეაში „ჩანვა“. ბაზილიკის ყველაზე ნაკლებად სეისმომედეგი მზიდი ელემენტები, სვეტები, მათზე თაღნარის საშუალებით დაყრდნობილი ნავ-თაშორისი კედლებითურთ, უთუოდ ამ კედლელთან ერთად დაინგრეოდა, თუმცა მეტ-ნაკლებად – მათი გრძივი თაღური ბმა, ამ დროს უკვე დაშლილი იქნებოდა, ამიტომ ზოგიერთი სვეტი სანახევროდ მაინც გადარჩებოდა. ასეთი მსჯელობით, უკვე გასაგები გახდა, თუ რატომ გადაურჩა მიწისძვრას თითქმის უვნებლად დარბაზის ჩრდილოეთის კედელი – ალბათ, თანდათან ბიძგებიც შესუსტდა, თანაც, მასზე ჩრდილოეთის გალერეის და ეგვტერის დაბალი კონსტრუქციების ზეწოლა გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ სვეტნარიანი, სტატიკურად თითქოს სუსტი – ჩრდილოეთ გალერეის ჩრდილოეთის, თაღნარიანი კედლელიც თითქმის სრულიად უვნებლად გადარჩა: მისი ნგრევა თავადაც გადარჩენილმა, ცენტრალური დარბაზის ჩრდილოეთის კედელმა შეაკავა. და, ყველაზე უვნებლად, ბაზილიკის მთავარმა საკურთხეველმა გაუძლო მიწისძვრას – ერთიანად ქვითკირის კონქით შეკრული მასიური კედლების წყალობით (როგორც აღვნიშნეთ, საკურთხეველი კონქითურთ, კიდევ დიდხანს მდგარა ტაძრის გაუქმების შემდეგაც და დრო-უამისგან დაშლილი, მოგვიანებით დანარცხებულა განვითარებული შეუა საუკუნეების სამარხების ზედაპირზე).

იმისთვის, რომ ნარმოდებენილი სტრატიგრაფიული სურათის ანალიზით შემუშავებული, დოლოჭოპის გრანდიოზული ბაზილიკის თეორიული რეკონსტრუქცია უფრო დამაჯერებელი გახდეს, ტაძრის ამ კონკრეტულ ხანასა და ურბანულ სივრცეში აღმოცენების ხელშემწყობ ისტორიულ, პოლიტიკურ თუ კულტურულ-იდეოლოგიურ ვითარებას კიდევ ერთხელ, საგანგებოდ უნდა გადავავლოთ თვალი.

როგორც ჩვენივე კვლევებით ცხადი გახდა, დღესდღეობით საქართველოში, მასშტაბითა და მეტ-ნაკლებად მსგავსი აღნაგობით, დოლოჭოპის ბაზილიკის შესატყვისი ტაძარი, მხოლოდ იგივე ნეკრესის ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილშია გამოვლენილი (ჭაბუკაურის ბაზილიკა). გამოდის, რომ ჯერჯერობით საქართველოში დანამდვილებით დადასტურებული, გვიანრომაულ-ადრებიზანტიური სტილით ნაგები ორივე ბაზილიკა ქ. ყვარლის მახლობლად, ერთმანეთისგან 4-5 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა. ესოდენ გრანდიოზული დოლოჭოპის ბაზილიკა რომ მხოლოდ ქალაქური ტიპის დასახლებაში შეიძლებოდა აეგოთ, ვფიქრობთ, საეჭვო არ არის. მეორე მხრივ, შეუძლებელია დავუშვათ, რომ ადრე ჩვენ მიერ გათხრებით პირობითად ლოკალიზებულ ისტორიულ ქალაქ ნეკრესის საზღვრებიდან (უშუალოდ ნეკრესის მონასტრის წინა დაბლობები) ამდენად მცირე მანძილზე, იმავდროული და ისტორიული წყაროებისთვის სრულიად უცნობი, დამოუკიდებელი ქალაქი არსებობდა. ამდენად, ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებით საბოლოოდ დადასტურდა ჩვენი წინასწარი დაშვება, რომ გვიანანტიკური ხანისა

და ადრეული შეუა საუკუნეების ვრცელი ნამოსახლარი, რომლის ფარგლებშიც დოლოჭოპის ბაზილიკა ყოფილა აგებული, ტაძრის მშენებლობის ხანაში ქალაქ ნეკენის უბანი იყო.<sup>199</sup>

ასეთი დასკვნის კვალობაზე, ერთი შეხედვით, სხვა შეუსაბამობის წინაშე ვდგებით: ამდენად მასშტაბური ორი ბაზილიკის (ჭაბუკაურისა და დოლოჭოპის) ერთდროული ფუნქციონირება, თუნდაც მეტად დიდ, მრავალუბნიან ქალაქში, რომელი წარმოსადგენია (მეტადრე, იმის გათვალისწინებით, რომ ორთავე ამ ეკლესიის გეგმარებაში, საკათედრო ტაძრებისთვის დამახასიათებელი რიგი ნიშნები გამოვლინდა). შესაბამისად, ამ პრობლემის გადასაწყვეტად, მეტად მნიშვნელოვანია ამ ორი ძეგლის ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოების ურთიერთმიმართების დაზუსტება.

კვლევის დღევანდელ ეტაპზე დოლოჭოპისა და ჭაბუკაურის ბაზილიკების სტილისტურ-გეგმარებითი და შედარებითი ანალიზი შემდეგზე მეტყველებს: როგორც ჩანს, ჭაბუკაურის გაცილებით არქაული გეგმარების, უცხო ნიშნებით უფრო მკაფიოდ აღძექდილი ბაზილიკა (მას ხომ გარდა ხის კოჭვანი გადახურვისა, სწორკუთხა გეგმის საკურთხეველი და კვადრატული კვეთის სვეტები აქვს) დოლოჭოპის ბაზილიკაზე რამდენიმე ათწლეულით მაინც ადრეულია; ამ უკანასკნელში გვხვდება ნალისებრი გეგმის აფსიდი, ჯვრის გეგმის ნავების გამყოფი სვეტნარი, ვრცელი პასტოფორიუმები, რითაც ეს ნაგებობა უკვე საკმაოდ ახლოს დგას სავარაუდო V ს-ის შეუა ხანებსა თუ || ნახევარში აგებულ ქართულ ბაზილიკათა სტილთან (თუნდაც, ბოლნისის სიონის არქიტექტურასთან); „გარდამავალ“ საფეხურზე მიმანიშნებელი აქ მხოლოდ გადახურვის ხის კონსტრუქციებია. დოლოჭოპის ბაზილიკის ხუროთმოძღვრული თემის ამგვარ შეფასებასა და ტაძრის IV-V საუკუნეთა მიჯნით დათარიღებას სავსებით შეესატყვისება მისი ნანგრევების უადრეს სტრატიგრაფიულ ფენებში დადასტურებული არტეფაქტები (ტაბ. XI-XVI).

შესაბამისად, გარკვეული საფუძველი გაგვარინია ვივარაუდოთ, რომ დოლოჭოპის ბაზილიკა მას შემდეგ აიგო, რაც ჭაბუკაურის ბაზილიკა IV-V სს-თა მიჯნაზე ან, ყველაზე გვიან, V საუკუნის 20-იან წლებში მომხდარი დამანგრეველი მინისძვრის შედეგად გამოვიდა წყობიდან (იხ. ზემოთ – ჭაბუკაურის ბაზილიკის არქოლოგიური კვლევის შედეგები).<sup>200</sup>

<sup>199</sup>. ერთმანეთისგან 2-3, თუნდაც 3-4 კმ-ით და მეტად დაცილებული უბნები, საკმაოდ დამახასიათებელი იყო ანტიკური ხანის ქართული ქალაქებისთვის: საკმარისია გავისხენოთ თუნდაც „დიდი მცხეთა“, რომლის მრავალრიცხოვანი უბნები დამოუკიდებელი ქალაქების შთაბეჭდილებასაც კი ახდენს (აფაქიძე, ანდრია; გობეჯიშვილი, გრიგორე; კალანდაძე, ალექსანდრე; ლომთათიძე, გიორგი. მცხეთა I. არმაზისხევის არქოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1955. გვ. 1-7).

<sup>200</sup>. ბატტაძე, ნოდარ. ნეკენის ნაქალაქარზე გამოვლინილ ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №19. თბილისი, 2010.

თუკი ჩავთვლით, რომ ეს ორი ბაზილიკა (დიდი აღბათობით, ერთი და იმავე საეპისკოპოსოს საკათედრო ტაძრები) ერთმანეთის შემცვლელია, ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალი ტაძრის, ამჯერად უკვე მდ. დურუჯის პირას აგება, ჭაბუკაურის მიდამოებიდან ქალაქ ნეკრესის ცენტრის აღმოსავლეთისკენ ადგილმონაცვლეობამ გამოიწვია. ეს ქმედება, შესაძლოა, „მეგაპოლის“ ნეკრესის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის კონკრეტული მოტივით – დურუჯის ხეობისკენ გადაწევის სურვილით ყოფილიყო ნაკარნახევი. ვფიქრობთ, რომ უკვე ამ ეპოქაშივე, იძერის სამეფოს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებზე საქართველოს სახელმწიფოს ზეგავლენის გაძლიერება უნდა ყოფილიყო.<sup>201</sup> დურუჯ-ჩელთის ხეობათა ერთიანი ეკონომიკური ზონის მთავარი ქალაქის – ნეკრესისა და, შესაბამისად, ეპარქიის ცენტრის აღმოსავლეთით გადანაცვლება ამ გეო-პოლიტიკურ გათვლას უთუოდ ნაადგებოდა – დურუჯის ხეობის აყოლებით, ალბათ, იმუამადაც მოხერხებული გზა მიემართებოდა დიდოეთისკენ (ხოლო ნაქალაქარ ნეკრესის არქეოლოგიურად უფრო ადრე გამოკვლეულ, ჭაბუკაურის ტაძრის შემოგარენში განვითარებულ უბნებს, უშუალოდ კავკასიონის მთავარი ქედის მიმართულებით ასეთი უღელტეხილი არ გააჩნია).<sup>202</sup>

## დიდი პაზილიკის უკანასკელი რეკონსტრუქცია

აღნიშნული, დაახლოებით VI საუკუნის მიწურულს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ მაღევე, როგორც ჩანს, იძერის ამ მხარის საერო ოფიციოზს და ეპარქიის მმართველებს სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო ფართომას-შტაბიანი ღონისძიებები ჩაუტარებიათ. დოლოჭოპის სანახევროდ დანგრეული ბაზილიკის შუა და ჩრდილოეთის ნავები სახელდახელოდ, დამოკლებული და დავიწ-როებული სახით აღუდგენიათ – აღმოსავლეთიდან მე-4 წყვილ სვეტებამდე (სურ. 63). ამ მიზნით, სვეტებს შორის არსებული ფართო ლიობები ბაზილიკის დანგრეული ნაწილების მასალით (მათ შორის შირიმის მეორადად, ხშირად შეუსაბამოდ გამოყენებული დეტალებით) შეუვსიათ და, ამჯერად, მხოლოდ ორფერდა სახურავქვეშ მოქცეული, კარტანებული მასიური კედლით გაყოფილი ორნავია-


<sup>201.</sup> მუსხელიშვილი, დავით. 2003. გვ. 171.

<sup>202.</sup> რა თქმა უნდა, კატეგორიულდ არც ის დაშვება არის გამოსარიცხი, რომ ქალაქის ცენტრის, ან მხოლოდ საკათედრო ტაძრების ასეთი ადგლობირნაცვლებია, ისტორიული წყოროებით (ზოქცევაზე ქართლისაა, 1979. გვ. 134; აბულაძე, ილია. 1955. გვ. 121) ცონბილ იმ მოვლენას უკავშირდებოდეს, რომლის მიხედვითაც VI ს-ში ნეკრესის ეპისკოპოსის, წმ. აბიბოს ნეკრესელის ძალისხმევით მდ. ივრის ხეობის ზემო წელში მდებარე ძველი დასახლებულ პუნქტიდან, ყვარადნ, ქრისტიანობაზე მოქცეული ნარმართ მოსახლეობის დაახ. ამ ადგილებში გამოსახლებამ მოხდა; ან იქნებ, ეს გადმოცემა დროში რამდენადმე აღრეულია და სინამდვილეში ოდნავ უფრო ადრე, ვთქვათ, V ს-ში მოხდა ყვარას მხარის მთის მოსახლეობის მიგრაცია ნეკრესის „ქვეყანაში“, დოლოჭობში, ანუ დღეეპნდელი ყვარლის მდგამობში? ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დადგეს საკითხი უძველეს „ყვარდე“ მოსახლეობის აქ დაქვედრების და თვით ტაძრონიშ ყვარელის დღევანდელ საზღვრებში გაჩნის გადახედვის შესახებ.

ნი ეკლესია გამოუყვანიათ; მას ჩრდილოეთით ეგვტერც ჰქონია შენარჩუნებული. განახლებულ ტაძარს წინამორბედისგან შემორჩა მეტად მყარი კონსტრუქციების წყალობით მინისძვრას გადარჩენილი საკურთხეველი კონქითურთ და ორივე პასტოფორიუმი. განახლებული ტაძრის „არაბაზილიკურობაზე“ ისიც მეტყველებს, რომ ამ კედლებში დიდი ბაზილიკის თაღებისა და კაპიტელების ნათალი ელემენტები უხვად, მაგრამ სრულიად უადგილოდ გამოუყენებიათ; საყურადღებოა, რომ შესაძლო მორიგი მინისძვრის შიშით, ამ კედლებისთვის ძალზე მძლავრი საძირკვლები მოუწყიათ.

ამ დროსვე, ჩრდილოეთის პასტოფორიუმში, მის აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ, ქვის დაბალი ტიხრის ამოშენებით, საწნახელისებური ძვალთშესალაგი გაუმართავთ (სურ. 64). აღსანიშნავია, რომ შეიცავს ამ საწნახელში გამოვლინდა ფიქალის ქვის ფილებით აწყობილი პატარა, ყუთისებრი ლუსკუმა, რომელშიც ადამიანის ხელის მტევნის ძვლები იყო ჩაწყობილი. ეს სხვა არა შეიძლება იყოს, თუ არა „ოსუარიუმი“, წმინდა ნაწილებითურთ. საძვალის აღმოსავლეთ კიდესთან, სწორედ ამ ლუსკუმასთან, მიჯვრით იყო ჩალაგებული 20-მდე ადამიანის თავის ქალა, რაც კიდევ უფრო გვიმტკიცებს რწმენას მთელ ამ მოწყობილობათა საკრალური დანიშნულებისადმი.

უნდა ითქვას, რომ VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე ამ პასტოფორიუმში საძვალის მოწყობაც მეტად ნიშანდობლივი ფაქტია. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საკურთხეველზე ჩრდილოეთიდან მიმდებარე პასტოფორიუმში მაინც და მაინც სამკეთლოს მოწყობის ტრადიცია, მთელ ქრისტიანულ სამყაროსა და საქართველოშიც, VII-VIII საუკუნეებიდან მკვიდრდება. სამაგიეროდ, ჩრდილოეთ პასტოფორიუმები ხშირად, განსაკუთრებით სამონასტრო ტაძრებში, კრიპტებად გამოიყენებოდა ხოლმე. ამ შემთხვევაშიც, აღნიშნულ საძვალეში მიცვალებულთა მეორადად დაკრძალვის, აშკარად ბერული წესი დაფიქსირდა. თანაც, მიცვალებულთა ძვლები აღნიშნულ მცირე სანაწილე-ლუსკუმასთან იყო ხაზგასმით მჭიდროდ შემოწყობილი („საწნახლის“ დანარჩენი მოცულობა კი თითქმის ცარიელი იყო, აღსათ მომავალი ნეშტების მოლოდინში).



სურ. 63. მინისძვრის შემდეგ, შემცირებული სახით რეკონსტრუირებული დოლოჭოპის ბაზილიკა.

გეგმა

Fig. 63. Dolochopi Basilica, reconstructed and reduced in size after the earthquake. Plan

ეს გარემოება, დოლოჭოპის ბაზილიკის რესტავრირების შემდგომი ფუნქციონირების ხასიათზე დაფიქრების საბასს იძლევა. საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, დოლოჭოპის დიდი ბაზილიკის მიწისძვრისაგან დანგრევა, ამ მხარის ეკონომიკისა და, შესაბამისად ნეკრესში ქალაქური ცხოვრების დაქვეითების პერიოდს დაემთხვა. ამ ნეგატიურ მოვლენაში, ალბათ, დიდი წვლილი მიუძღვოდა V საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, მეტადრე VI საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებისა და განსაკუთრებით კახეთ-ჰერეთის

მიმართ, სასანური ირანის მხრივ მრავალნლიან აგრესიულ პოლიტიკას.<sup>203</sup> ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ იმხანად, ამ რეგიონებში უცხო, თავსმოხვეული მაზდეანური რელიგიაც საქამაოდ გავრცელდა ქრისტიანობის შევიწროების ხარჯზე; ზოროასტრიზმის ალტერნატივად კი, ირანული მმართველობა მოსახლეობას მათი ოფიციოზის მიერ ანტიბიზანტიური სტრატეგიის საფუძველზე მფარველობაში მოქცეული, მონოფიზიტური ან ნესტორიანული ქრისტიანული დოქტრინის ალიარებას სთავაზობდა ქალკედონური აღმსარებლობის ნაცვლად.<sup>204</sup> როგორც ჩანს, დიდწილად სწორედ ამ უცხო პოლიტიკური ძალის მიერ იძულებით თავსმოხვეული კულტურულ-რელიგიური ზეგავლენის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მოძრაობის ფონზე მიმდინარეობდა ასურელი მამების მოღვაწეობა საქართველოში VI ს-ის მეორე ნახევარში.<sup>205</sup> ალბათ, ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ამ დასის ერთ-ერთი, გამორჩეულად აქტიური მოღვაწის, აბიბოს ნეკრესელის მიერ განეული დიდი ძალისხმევა დამპყრობლების დისკრიმინაციული იდეოლოგიური პოლიტიკის წინააღმდეგ ნეკრესის მხარეში. ამ წმინდანის ცხოვრების განსხვავებული რედაქციები დაბეჯითებით მიგვანიშნებენ მის ენერგიულ საქმიანობაზე ქრისტიანული აღმსარებლობის, დიდი ალ-



სურ. 64. დოლოჭოპის ბაზილიკის ჩრდილოეთის პასტოფორიუმი. კრიპტა  
Fig. 64. Northen pastophorium of Dolochopi Basilica.  
Crypt

<sup>203.</sup> ჯავახიშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I. თხზულებაზე XII ტომად, ტომი I. თბილისი, 1979. გვ. 282-286, 300.

<sup>204.</sup> ჯავახიშვილი, ივანე. 1979. გვ. 386-415; მუსხელიშვილი, დავით, 2003. გვ. 248-251.

<sup>205.</sup> ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები. ს. კაკაბაძის რედაქციით. თბილისი, 1928.

ბათობით, სწორედ ქალკედონური დოქტრინის დამკვიდრებაზე ნეკრესის ეპარქიაში, რომლის წინამძღვრლიც თავად იყო.<sup>206</sup> ისევე როგორც ასურელი მამების სახელით შერაცხული ამ პლეადის სხვა მოღვაწენი, ჭეშმარიტი სარწმუნოების დამკვიდრებას და სჯულის განწმენდას მხოლოდ მოსახლეობასთან ქადაგებით კი არა, საკუთრივ მისი და თანამოაზრების ასკეტურად ცხოვრების მაგალითითაც ცდილობდა. როგორც უკვე აღვინიშნეთ, მან ქალაქ ნეკრესის შემოგარენში, „ნაზვრევ გორაზე“ მძლავრი და სახელოვანი მონასტერი დააარსა, მაგრამ ისევე როგორც ბიზანტიური სამყაროს სხვა, საქვეყნოდ სახელგანთქმული მისიონერი-ასკეტები, ის მონასტერთა ქსელის გაფართოებას ამ ეპარქიისა თუ მეგაპოლი-სის სხვა ადგილებშიც ეცდებოდა. ჩვენ მიერ დოლოჭოპის სატაძრო კომპლექსის გათხრისას დადასტურებული, ახლახანს აღნიშნული სამონასტრო წესით მონ-ყობილი საძვალე თუ ეკლესის უშუალო მიმდებარე ფართობებზე კომპაქტური სამეურნეო ნაგებობა-მოწყობილობების და საცხოვრებლების მშენებლობა, შე-საძლოა სწორედ ამ მოვლენას ასახავდეს: ეგებ აბიბოს ნეკრესელის ნაყოფიერი მოღვაწეობის ნიშნები, დოლოჭოპის ტაძრის აღნიშნულ ნგრევათაგან, ერთ-ერთის შემდგომ ჩატარებულ რესტავრაცია-რეკონსტრუქციასა და ამ კომპლექსის სამონასტრო ფუნქციისადმი მისადაგებაშიც უნდა დავინახოთ. იქნებ იმიტომაც, VI ს-ის მიწურულს ახლად დაარსებული მონასტრის მოთხოვნილებას დოლოჭო-პის ზომით შემცირებული ტაძარი საცავით აკმაყოფილებდა. მართლაც, რო-გორც არქეოლოგიურმა გათხრამ დაგვანახა, დიდი ბაზილიკის გაუქმებულ ფარ-თობებზევე იმხანად გაჩნდა სამეურნეო მოწყობილობები: მაგალითად, მარანი, საკვები პროდუქტების საცავები და სხვ. (დასავლეთის „ფსევდო-ნართექსში“, ჩრდილოეთის გალერეის დასავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ ფასადზე მიმდება-რე ვრცელ ტერიტორიაზე). მეორე მხრივ, მახლობელი ქრისტიანული ქვეყნების გამოცდილებით, შესაძლოა ეს რესტავრირებულ-რეკონსტრუირებული ტაძარი, რეგიონის საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური სიტუაციისა და ეკონომიკის დაქ-ვეითების ფონზე, სამონასტროსთან ერთად, შეთხელებული მოსახლეობის სამ-რევლო ფუნქციასაც ითავსებდა. თუმცა, როგორც ნაქლაქარ ნეკრესს, ისე ამ ახალ მონასტერსაც, შემდგომი აღმოჩინება და დიდად გაფართოება აღარ ეწე-რა. სულ მალე, აღმოსავლეთ საქართველოში არაბი დამპყრობლების ექსპანსიამ საქალაქო ცხოვრება საბოლოოდ დააქვეითა, ხოლო რიცხობრივადაც შემცირე-ბულმა მონასტრებმა მხოლოდ საფორტიფიკაციო ნიშნით ხელსაყრელ ადგილებ-შიდა განაგრძეს არსებობა-განვითარება; ამ ნიშნით კი, ოდესადაც ვრცელი და ძლიერი ქალაქ ნეკრესის მიდამოებში, იდეალურ ადგილებად, ნაზვრევი გორის კომპლექსს და მის მოპირდაპირედ, ასევე საკმაოდ მიუდგომელი „კუდიგორის“

<sup>206.</sup> მოქალაქეობაი და წამებაა აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისაა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. თბილისი, 1964. გვ. 14-17.

უკიდურეს სამხრეთ კონცხზე მდებარე წმინდა სამების მონასტერს მიიჩნევდნენ.<sup>207</sup>

ვფიქრობთ, რომ ამ მოვლენათა ფონზე, ვიზუალურადაც და კონსტრუქციულადაც საქმაოდ უხეიროდ აღდგენილი თითქმის ფუნქციადაკარგული დოლოჭოპის ეს ეკლესიაც, დაახლოებით VIII საუკუნეში საბოლოოდ გამოსულა წყობიდან – ალბათ სწორედ არაბი დამპყრობლების მიერ ქალაქ ნეკრესის დარბევისა და საბოლოოდ გაჩანაგების შედეგად. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს მოვლენა კახეთში არაბი სარდლის, მარვან იბნ მუჰამადის (მურვან-ყურუს) გამანადგურებელ ლაშქრობას უკავშირდებოდეს.<sup>208</sup> ამის შემდეგ, ტაძრის ნანგრევებს ნაქალაქარის მიდამოებში წარმოქმნილი სოფლის ტიპის დასახლების მცხოვრებნი სასაფლაოდღა იყენებდნენ.

## **დოლოჭოპის დიდი ჩაზილიკის წინარე პრისტიანული ფაქტი და მისი ანსამბლის სავარაუდო შემადგენლობა**

2015-2016 წლებში დოლოჭოპის ბაზილიკის გათხრებმა კიდევ ერთ აღმოჩენამდე მიგვიყვანა: გამოირკვა, რომ ეს გრანდიოზული, IV-V სს-თა მიჯნის ტაძარი კიდევ უფრო ადრეული, 25 მ-მდე სიგრძის და 15 მ სიგანის ქრისტიანული ბაზილიკის ნანგრევებზე ყოფილა აღმართული (სურ. 66, 44, 46). ამ პირველადი ნაგებობის ქვის, შიგნიდან და გარედან კირით შელესილი კედლების 2-4 წყობიანი ნაშთები საძირკვლებითურთ, კარგად იყო შემორჩენილი ბაზილიკის ნაოსის და ჩრდილოეთის გალერეის ინტერიერის იატაკის ქვეშ. კარგად ეტყობოდა, რომ წყობიდან გამოსული პირველი ეკლესიის ფლეთილი კირქვით ნაგები კედლები 1-2 წყობის დონეზე ისე მოუსწორებიათ, რომ მათი ზედაპირები ზუსტად მშენებარე დიდი ბაზილიკის იატაკების პორიზონტს გასწორებოდა (ასე განსაჯეთ, ის ვერ-

207. ბახტაქე, ნოდარ. ნაქალაქარ ნეკრესის მიდამოებში ახალამოჩენილი სამების სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის შედეგები. ძიებაზი საქართველოს არქეოლოგიაში. თბილისი, 2011. გვ. 303-317.


208. ვფიქრობთ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლისა და მესვეურებისთვის, აგრეთვე თეოლოგ და, საკარაუდოდ, ბუნებისმეტყველე მეცნიერებისთვისაც, მნიშვნელოვანა შემდეგი ფაქტიც: ბაზილიკის შუა ნავის დასავლეთ კიდეში, დანამდვილებით ტაძრის VIII ს-ში დანგრევის შემდგომ შექნილი ნოშალისა და მინის უძრავი ფენის ქვეშ, ბუნებრივად „დაკონსერვებული“ დარჩენილა სარქველით დაფარული, წყლით თითქმის სავსე დიდი (დაახ. 1 ტ ტეგადობის), სრულიად საღა ქვევრი. მასში შემონახული წყლის ანალიზი ჩავატორებისეთ საქართველოს გაერთიანებული წყალმომრაგების კომპნიის უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილ ლაბორატორიას და გამოირკვა, რომ ეს ანკარა წყაროს წყალია და არა წვიმისა; ამასთან, სასმელი თვისებებით (მინერალებით გაჯერება, მექანიკური მინარევებისაგან და მავნე ბაქტერიებისგან დაცულობა) აბსოლუტურად ხარისხიანა, თანაც, ჰიდროლოგთა ტერმინით რომ ვთქვათ, „ცოცხალია“. ვფიქრობთ, არსებობის სრული უფლება აქვს ვერსას, რომ ქვევრში 1300 წლის წინანდელი ნაურთის წყალი ასხია – მით უმეტეს, რომ წყლის ასეთ თვისებების შენარჩუნება 1300 წლის განმავლობაში, ზემოდან მჭიდროდ დახურულ, მაგრამ თიხის მასალის ფორიანობის გამო მაინც არაპერმეტულ ჭურჭელში, საერო მეცნიერული მეთოდებით, ვგონებთ ვერ აიხსნება.

სიაც კი არ გამოგვირიცხავს, რომ პირველი ეკლესიის მიმართ მოწინების ნიშნად, მისი გეგმური მოხაზულობა ამგვარად შემოინახეს ახალი ტაძრის იატაკზე, და რომ ეს კონტურები იატაკზე დაგებულ თიხის ფილებს შორის ალაგ-ალაგ მაინც იკითხებოდა).

ჩვენ, ამ ტაძრის გეგმარების გამოვლენა კარების ღიობებითურთ, პრაქტიკულად სრულად შევძელით – გამონაკლისია მთავარი დარბაზის სამხრეთის კედლის ერთი, დაახლოებით ხუთმეტრიანი მონაკვეთი, რომელიც, სავარაუდოდ, ბაზილიკის დარბაზის ცენტრში ბემისა და კრიპტის მშენებლობას შეეწირა (სურ. 67). უაღრესად საყურადღებოა, რომ ეს გახლავთ ბაზილიკის ტიპის ეკლესიის გამარტივებული ნაირსახეობის, ე.წ. „სამეკლესიანი ბაზილიკის“ ჯერჯერობით უადრესი ნიმუში საქართველოში და, შესაძლოა, ერთ-ერთი უძველესი გამოვლინება მთელ ქრისტიანულ სამყაროშიც კი.<sup>209</sup> ამ ტიპის ეკლესიები ოდნავ მოვიანებით, VI-IX საუკუნეებში, ფართოდ გავრცელდა პრაქტიკულად მთელ საქართველოში (მეტადრე, კახეთში) და, რიგ შემთხვევებში, სტილისტურად მეტად დახვეწილი, თვითმყოფადი, სხვა ქვეყნებში მსგავსი სქემით ნაშენი ტაძრებისგან ადვილად გამოსარჩევი სახეც შეიძინა. ალბათ ამიტომაც, დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მათი გენეზისის ხანად VI საუკუნე მიიჩნეოდა.<sup>210</sup> დოლოჭობის ამ პირველი ქრონოლოგიური ფაზის ტაძრის კიდევ ერთი გეგმარებითი თავისებურება ის გახლავთ, რომ მისი ცენტრალური დარბაზის საკურთხეველი მართკუთხა გეგმური მოყვანილობისაა; საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით კი, გვერდითი გალერეების აღმოსავლეთ ბოლოებში, კვადრატული ფორმის სრულყოფილი პასტოფორიუმებია მოწყობილი. ამ ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა თიხის ბრტყელი, დიდ ბაზილიკაში გამოყენებულთაგან სტილისტურად ოდნავ, მაგრამ მაინც განსხვავებული ანტეფიქსების რამდენიმე ეგზემპლარი – მათი

<sup>209.</sup> ასეთი ხუროთმოძღვრული აღნაგობის, „გამარტივებული“ ბაზილიკები, დიდხანს ითვლებოდა მხოლოდ საქართველოს ქრისტიანული ტაძარმშენებლობისთვის დამაასათებელ ფენომენად (ყაბინაშვილი, გიორგი. 1959. გვ. 198-200). მართლაც, ჯერჯერობით, ამგვარი ქრისტიანული ეკლესიებს ინტენსიურად გავრცელების, თუნდაც ლოკალური რეგიონი, დასავლურ თუ აღმოსავლურ ქრისტიანული სამყაროს ქვეყნებში, ვერ გამოვყავით. თუმცა, რამდენადმე მსგავსი გეგმარების ეკლესიები, როგორც ჩანა, სპონტანერულ, აქა-იქ მანაც იგებოდა. მაგალითად, ასეთ გეგმარებით ქარგაზე აგებულ V ს-ის რამდენიმე ქრისტიანულ ტაძარს, უკანასკნელ ათწლეულებში მცნიერებმა ერაყსა და სპარსეთის ყურის რეგიონის სხვა ქვეყნებში მიაკვლიერა (Okada, Yasuyoshi. French-Kuwait Archaeological Mission in Failaka. 2017. გვ. 24, sur. 11, 23; Okada, Yasuyoshi, 1991. sur. 1; Elders, Joseph. The lost churches of the Arabian Gulf: recent discoveries on the islands of Sir Bani Yas and Marawah, Abu Dhabi Emirate, United Arab Emirates. Proceedings of the Seminar for Arabian Studies, vol. 31. London 2001. გვ. სურ. 2, 5). მსგავსი აღნაგობის, V ს-ის ბაზილიკების რამდენიმე ნიმუში ცნობილია პალესტინაში, კონტინენტურ საბერძნეთსა და კუნძულ კრეტაზეც (Zelinger, Yehiel; Segni, Leah. A Fourth-Century Church Near Lod (Diospolis). *Atiqot* 56. Publication of Israel Antiquities Authority. Jerusalem, 2006. გვ. 460-462; Sweetman, Rebecca. Late Antique Knossos. Understanding the City: Evidence of Mosaics and Religious Architecture. *The Annual of the British School at Athens*, Vol. 99. Athens, 2004. გვ. 343-348, სურ. 7).

<sup>210.</sup> ყაბინაშვილი, გიორგი. 1959. გვ. 123-145.




სურ. 66. დოლოჭოპის სატაძრო კომპლექსის გეგმა (განათხარი თავდაპირველი ტაძრის და ეპისკოპოსის სასახლის გეგმების ჩვენებით)

Fig. 66. Plan of Dolochopi Basilica (showing excavated plans of the initial church and bishop's palace)

ქვედა, მასიური ნაწილები, ძირიდან კბილანების დასაწყისამდე შესამჩნევად განიერდება ირიბხაზოვნად (ტაბ. XVII). ასეთი, მხოლოდ ხის კონსტრუქციებში ჩასამაგრებლად გამოსადეგი ანტეფიქსები კი, როგორც ადრეც აღვინიშნეთ, იმაზე მეტყველებს, რომ ეს პირველი ეკლესიაც ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი კრამიტის საბურველით იყო გადახურული.

გათხრისას, ამ თავდაპირველი ტაძრის მოკირნებულ, თიხატკეპნილ იატაკთა ზედაპირებზე, ჩატკეპნილ მდგომარეობაში, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანან-ტიკური ხანის ძეგლებზე არაერთგზის დადასტურებული ტიპის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა. მაგალითად, სამხრეთის პასტოფორიუმში, იატაკის დონეზე დაფიქსირდა დიდი ზომის თიხის დოქი (ტაბ. XVIII: 3). ის მოვარდის-ფრო-მოწითალო, კარგად განლექილ კეციანია. პირგადაშლილია, ბაკო მომრგვალებულია, ზედაპირი კარგადაა ნაპრიალები. ბრტყელგანივევეთიანი ყურის ერთი ბოლო მოძერწილია მუცელზე, მეორე ბოლო კი ნაკლულია და, სავარაუდოდ, პირზე უნდა ჰქონიდა მიძერწილი. შემორჩენილი ზომებია:  $h = 18$  სმ; პირის  $d = 10.6$  სმ; ყურის სიგანე – 3.1 სმ; ყურის სისქე – 0.6 სმ. ეს ჭურჭელი ჭერემის ნაქალაქარზე, №6 სამარხში დადასტურებული დოქის ანალოგიურია. ძეგლის გამთხრე-



სურ. 67. დოლოჭოპის სატაძრო კომპლექსის

თავდაპირველი ეკლესის გეგმა

Fig. 67. Plan of the Dolochopi complex initial church

ლი. კეცი მოწითალოა, წვრილმარცვლოვანი, მინარევებიანი; ჭურჭელს ეტყობა ცეცხლის მოქმედების კვალი.  $h = 12$  სმ; პირის  $d = 16$  სმ; ძირის  $d = 11$  სმ. ნაკეთობა მსგავსია ნაქალაქარ ჭერემში, ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის ჯამებისა, რომლებიც IV-V საუკუნეებით თარიღდება.<sup>212</sup>

ამ ეკლესის სამხრეთის პასტოფორიუმის იატაკზევე აღმოჩნდა მოყავის-ფრო კეციანი, კარგად განლექილი და ნაპრიალები თიხის დოქის გვერდის ფრაგმენტი (ტაბ. XVIII: 2). მას მუცელზე, ჰორიზონტულად შემოუყვება მსხვილად ნაკანრი, რამდენიმე ზოლიანი, ტალისებრი ორნამენტი. ამ ორნამენტული სარტყელის ქვემოთ, ჰორიზონტულადვე, ერთ რიგად შემოუყვება ნაჭავი ორნამენტის ზოლი. დოქის ამ ფრაგმენტს ზედაპირის პრიალა ფაქტურით და მასზე ასახული ორნამენტის მიხედვით, ზუსტი ანალოგი ეძებენება ლოჭინის ნასოფლარზე აღმოჩენილი ჭურჭლის სახით, რომელსაც მკვლევარები აგრეთვე IV-V სას-ით ათარიღებენ.<sup>213</sup>

როგორც ვხედავთ, თავდაპირველი ტაძრის ამ ჰორიზონტზე დადასტურებული ნაკეთობანი, ზოგადად IV-V საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა და, ჩვენი დღევანდელი ცოდნით, მათი კონკრეტულად IV საუკუნისადმი მიკუთვნება, ჯერჯერობით ძნელდება. თუმცა, ჩვენ ამ ეკლესის აგების ხანად ზუსტად IV საუკუნეს არა მხოლოდ მომდევნო ფაზის ტაძრის – დიდი ბაზილიკის მიმართ

<sup>211.</sup> აღნიშნული სამარხი, გვიანანტიური ხანის ინვენტარის გარდა, მასში ჩასვენებული ჩონჩხის წარმართული ანატომიური პოზითაცა საყურადღებო – მარტენა გვერდზე მოხრილი კიდურებით (მამაიაშვილი, ნანა. 2014. ტაბ. XII).

<sup>212.</sup> მამაიაშვილი, ნანა, 2014. გვ. 127-128, ტაბ. LVI-2, LVII-3<sup>3</sup>.

<sup>213.</sup> აბრამიშვილი, როსტომ; ჭილაშვილი ლევან. 1962. გვ. 203; სინაურიძე, მანანა. 1966. ტაბ. XI.

ლი-მკვლევარები ამ ჭურჭელს III-IV სას-ის ნაწარმად მიიჩნევენ.<sup>211</sup>

საყურადღებოა ტაძრის იატაკის დონეზე აღმოჩენილი, არცთუ კარგად ცნობილი სახეობის თიხის ჭურჭელიც (ტაბ. XVIII: 1). ეს არის ცალყურა ბადია, რომელსაც ფართო პირი, ბრტყელი ძირი, მომრგვალებული ბაკო და ბრტყელგანივევეთანი ყური აქვს. ყურის ორივე ბოლო მუცელზეა მიძერწი-

ქრონილოგიური წინსწრებისა და აღნიშნული არტეფაქტების აღმოჩენის საფუძველზე მივიჩნევთ.

გათხრებისას გამოვლენილი, ზემოთ აღწერილი სტრატიგრაფიული სურათი და მისი წყობიდან გამოსვლის პერიოდის ორგანული მასალის რადიოკარბონული ანალიზის შედეგები ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს წინარე „ბაზილიკა“ სწორედ რომ IV ს-ის მიწურულში დანგრეულა მიწისძვრისგან და IV-V საუკუნეთა მიჯნაზევე, მისი ნაგრევების მოსწორების შედეგად შექმნილ პლატფორმაზე ახალი, ზემოთ აღნიშნული გრანდიოზული ბაზილიკა აუგიათ.<sup>214</sup> ამრიგად, დოლოჭობის დიდი ბაზილიკის ქრონილოგიურად წინმსწრებ ფენაში, დღემდე გამოვლენილ IV ს-ის ქართულ ტაძართა შორის ერთ-ერთი ყველაზე მასტიაბური აღნაგობის და კარგად შემონახული ნიმუში დადასტურდა (ის ნეკრესის ნაქალაქარზევე გათხრილი ჭაბუკაურის ბაზილიკაზე ოდნავ მოკლეა, თუმცა, სიგანით ტოლია).

როგორც დავრწმუნდით, დოლოჭობის დიდი ბაზილიკა მასშტაბით, ზოგადი გეგმარებით, შემკულობის სტილით და მშენებლობის ტექნიკით, საკმაოდ ახლოს დგას ჭაბუკაურის IV ს-ის ბაზილიკასთან, თუმცა, მასზე გრანდიოზულია და უფრო რთული კონსტრუქციებიც ახასიათებს. მეორე მხრივ, ჭაბუკაურის ბაზილიკას საკურთხევლის აღნაგობით, სწორედ რომ, დოლოჭობის ეს წინარე ტაძარი ენათესავება და არა დიდი ბაზილიკა. თუკი ამ სამი ეკლესიის არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილ არქიტექტურულ თავისებურებებს, არტეფაქტებს და იქ მოპოვებული ნიმუშების რადიოკარბონული დათარიღების შედეგებს გავითვალისწინებთ, სავსებით ლოგიკური იქნება, მათი მშენებლობის თანმიმდევრობა ასეთი ქრონილოგიური სქემით ნარმოვიდგინოთ: შესაძლოა, დოლოჭობის დიდი ბაზილიკა ქალაქ ნეკრესშივე, ოლონდ მის სხვა, მდ. დურუჯის პირას მდებარე უბანში აიგო IV ს-ის მიწურულს მომხდარი (ან, თუ რადიოკარბონული დათარიღების შესაძლო ცდომილებას გავითვალისწინებთ, სულ ოდნავ გვიან), ერთი და იმავე მიწისძვრის შედეგად დანგრეული ჭაბუკაურის ბაზილიკისა და დოლოჭობის პირველი, „სამეკლესიიანი“ ბაზილიკის სანაცვლოდ. მეორე მხრივ, ჭაბუკაურის ბაზილიკის V ს-ის პირველ მეოთხედში

<sup>214.</sup> 2016 წელს გლაზგოს უნივერსიტეტის გარემოს კვლევის ცენტრის ლაბორატორიაში ჩატარებული, ამ ტაძრის დაზღვევისა და ფუნქციონირების შეწყვეტის დროინდელი ორგანული ნაშთის რადიოკარბონულმა დათარიღების შედეგი ასეთა: 95%-იან ალბათობით, ეს მოვლენა მომზდარა ჩვ. წ. 387 წელს (გმოვლენის კოდი SUERC-70629). აქვე დავძენთ, რომ ამავე ლაბორატორიაში 2017 წელს ჩატარებულ რადიოკარბონული ანალიზების შედეგებმა, დოლოჭობის დიდი ბაზილიკის სამშენებლო ფენიდან აღებული ორგანული ნაშთის თარიღად ჩვ. წ. 401 წელი განსაზღვრა დახსროებით იგივე ალბათობით (SUERC-76888). მიწისძვრისგან დღით ბაზილიკის მეორედ ნგრევის (დარბაზულ ეკლესიად გადაკეთების წინმსწრები კატასტროფის) ფენიდან აღებულმა ნიმუშებმა კი, ეს მოვლენა VI ს-ის შუა საუკუნებით დაათარიღა (SUERC-76886; SUERC-76887). ამდენად, რადიოკარბონული მეთოდით დათარიღების პასუხებმა, დოლოჭობის კომპლექსის ყველა ქრონილოგიური ფაზის ნაგებობების ჩვენებულ, ტრადიციული მეთოდით განსაზღვრულ თარიღებს მეტი დამაჯერებლობა შესძინა.

დანგრევის ზემოთ აღნიშნული ვერსია, ანუ, მისი და დოლოჭოპის პირველი ეკლესიის დროის 2-3 ათწლიანი მონაკვეთის განმავლობაში თანაარსებობა, საბოლოოდ არ უნდა გამოვრიცხოთ.

შეიძლება, დაისვას კითხვა: ჭაბუკაურის ბაზილიკისა და დოლოჭოპის პირველი ეკლესიის თანაარსებობის, შემდგომ კი ჭაბუკაურის და დოლოჭოპის დიდი ბაზილიკების თუნდაც მცირე ხნით ერთდროულად ფუნქციონირების განმავლობაში, ამათგან რომელი წარმოადგენდა ქალაქ ნეკენის მთავარ, და შესაბამისად, ნეკენის ეპარქიის საკათედრო სატაძრო კომპლექსს? ჩვენი არქეოლოგიური კვლევების ამჟამინდელ ეტაპზე, ამ საკითხზე ცალსახა პასუხის გაცემა გვიჩირს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, საკმაოდ კარგადაა ცნობილი ადრეული ქრისტიანული სამყაროს საკათედრო-სატაძრო კომპლექსების შემადგენელი ვრცელი ატრიბუცია და მათი აუცილებელი კომპონენტები. გარდა დიდი ტაძრისა და ბაზისტერიუმისა, ეს არის, უპირველეს ყოვლისა ეპისკოპოსის სასახლე.<sup>215</sup> საყურადღებოა, რომ ნეკენის ნაქალაქარის აღნიშნული ორი უადრესი სატაძრო კომპლექსიდან, ჯერჯერობით ასეთი სასახლის ნიშნები მხოლოდ დოლოჭოპის ბაზილიკის ანსამბლში დადასტურდა, თანაც გაირკვა, რომ ეს ნაგებობა როგორც უძველეს, ისე V ს-ის განახლებულ ტაძართან ერთადაც ფუნქციონირებდა.

საქმე ის არის, რომ 2019 წელს დოლოჭოპის სატაძრო კომპლექსის დიდ ბაზილიკაზე დასავლეთიდან მიმდებარე „ფსევდო-ნართექსში“ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ (იხ. ზემოთ) კარდინალურად შეცვალა ჩვენი შეხედულება მისი აგების ეპოქისა და დანიშნულების თაობაზე. საბოლოოდ დადასტურებული სტრატიგრაფითა და იატაკზე მიკვლეული არტეფაქტების ანალიზით გამოირკვა, რომ ეს შენობა სულაც არ ყოფილა დიდ ტაძარზე გვიან, მისი ფუნქციონირების ბოლო ფაზაზე, კომპლექსის მონასტრად გადაკეთების დროს მიშენებული მარანი (როგორც ეს ადრე გვეგონა).<sup>216</sup> პირიქით, ახლადგამოვლენილი ნიშნებით, დიდი ბაზილიკა სწორედ რომ ამ ნაგებობას მიადგეს აღმოსავლეთიდან, ოდნავ აცდენილად, რათა ბაზილიკის გრძივი ღერძის ორიენტაცია ზუსტად აღმოსავლეთ-დასავლეთ დამხრობისთვის გაესწორებინათ. ამის შედეგად ტაძრის დასავლეთ კედელსა და ამ შენობას შორის დარჩენილი, ცალმხრივ ოდნავ გაფართოებული ვიწრო სივრცე, ჩატკეპნილი ქვებით, მინითა და კირის ხსნარით ამოუციათ, რაც, ალბათ, ანტისეისმურობის თვალსაზრისით გამართლებული იყო. ამრიგად

<sup>215</sup>. Klenina, Elena. The Bishoprc and Eaerly Christian Architecture in Chersonesos in Taurica. *Acta XV Congressus International Archaeologiae Christianae (Tolleti 8-12.9.2008). Pars I. (Città del Vaticano 2013)*; Кленина, Елена. Раннебизантийский епископский комплекс в Херсоне. Античная древность и средние века. Вип. 38. Екатеринбург, 2008. გვ. 64-78.

<sup>216</sup>. ბაზტაქე, ნოდარ; მამიაშვილი, ვაჟა... 2017. გვ. 48.



სურ. 68. დოლოჭოპის ბაზილიკის ნაშთები ამჟამად  
Fig. 68. Remains of Dolochopi Basilica today

გამოირკვა, რომ ანსამბლის ამჟამინდელი დომინანტი ნაგებობა – კავკასიის მას-შტაბით ისედაც გიგანტური ბაზილიკა, ქრისტიანული ეპარქიის საკათედრო ცენტრის შემადგენელი, მხოლოდ ერთ-ერთი ნაგებობა ყოფილა (სურ. 68). უფრო ადრე კი, IV საუკუნის მე-2 ნახევარში, აქ სატაძრო კომპლექსი უკვე არსებობდა – ის მოიცავდა თავდაცვითი ზღუდეებით და სხვადასხვა დამხმარე შენობებით გარშემორტყმულ, მინიმუმ 2500 კვ.მ. ფართობიან შიდა ეზოს, რომლის ცენტრში განლაგებული იყო თავდაპირველი, მართულთხა საკურთხევლიანი „მცირე“ ტაძარი; მისგან დასავლეთით, ოდნავ დაშორებით კი უკვე იდგა ორსართულიანი, დიდი ალბათობით, ეპისკოპოსის სასახლე. სწორედ ამ ორსართულიანი სასახლის პირველ სართულს წარმოადგენს ჩვენ მიერ გათხრილი მარნისა და საკუჭნაოების სის-

ტემა. სასახლე, როგორც ჩანს, IV საუკუნის მიწურულს მომხდარ იმ მიწისძვრას გადაურჩა, რომლის დროსაც პირველი ტაძარი დაინგრა. კატასტროფის შემდეგ მალევე, „სამეკლესიანი“, მართვულთა საკურთხევლიანი ტაძრის მოსწორებულ საფუძველზე და მიმდებარე თავისუფალ ფართობებზე (ძირითადად, სამხრეთით და აღმოსავლეთით), გაცილებით დიდი, დღემდე შედარებით კარგად შემორჩენილი, გრანდიოზული სამანავიანი ბაზილიკა ჩაუშენებიათ. ახალ ტაძარს პრაქტიკულად სრულად შეუესია შიდა ეზო, თანაც, კომპლექსში მის ირგვლივ მდებარე სასახლე და დამხმარე ნაგებობები იმგვარად გადაუფარავს და „შეუთავსებია“, რომ ისინი ამ 18 მ-მდე სიმაღლის, ფრიად მონუმენტური ტაძრის მოცულობაში დაქვემდებარებულ, თუმცა, თითქმის ორგანულ შემადგენელ ელემენტებადღა აღიქმებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დიდებული ანსამბლის ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრი სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ განვლილ საველე სეზონებში, ამ გიგანტური სატაძრო კომპლექსის ეზოს ირგვლივ განლაგებული მრავალი თავდაცვითი და დამხმარე-სამეურნეო ნაგებობის ნაშთი ნარმოჩინდა, რომელთა ძირითადი ნაწილები მიმდებარე ტერიტორიის ჯერ კიდევ არქეოლოგიურად შეუსწავლელ ფართობებშია მოქცეული.<sup>217</sup> მომავალ სეზონებში, IV-V საუკუნეების ამ უნიკალური საკათედრო-სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიურად სრულად შესწავლა, უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოში პირველი ქრისტიანული ღვთისმსახურების ცენტრების დაარსების ისტორიულ-თეოლოგიური საფუძვლებისა და მათი ხუროთმოძღვრული აღნაგობის შესახებ ჩვენი ცოდნის გაღრმავების საქმეს.

<sup>217</sup>. მაგალითად, პირველი ეკლესიის ანსამბლის შემადგენელი ნაგებობების ნაშთები უნდა იყოს ჩვენ მიერ გამოვლენილი, ბაზილიკას აღმოსავლეთ კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხზე შემოყოლებული, ფრიად უცნაური კონსტრუქციები (სურ. 71). ჩვენ გვვინაა, რომ ამ ნაგებობათა კედლების ნაწილი დღდე ბაზილიკის მშენებლებმა ტაძრის ამ ნაწილის სეისმომედეგობის გაზრდის მიზნით, ურთგვირი კონტროლრესების ფუნქციით დატოვეს ადგილზე (ისევე, როგორც დასავლეთს კედლები მიბჯინეს ძველ სასახლეს). იმაზე, რომ აღნიშნული კონსტრუქციები დიდ ბაზილიკასთან ერთად ჭუნქციონირებდა დროის გარკვეულ პერიოდში, მათ იატაკებზე ჩვენ მიერ დაფიქსირებული, VI საუკუნის შუა ხანებში მომხდარი, ბაზილიკის პირველი, ნანილობრივი ნგრევის დროს (იხ. ზემოთ) ჩაცვენილი კრამიტების და ანტეფიქსების ფრაგმენტებიც მეტყველებს.

## თავი IV. დისკუსია პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრების ხუროთმოძღვრული სტილის შესახებ

„პლატონი ჩემი მეგობარია,  
მაგრამ ქეშმარიტება უფრო დიდი მეგობარი“  
**არისტოტელე**

როგორც დავინახეთ, განვლილი ორი ათწლეულის განმავლობაში ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად, იბერიის სამეფოს ერთი და იმავე ქალაქის – ნეკრესის ფარგლებში, IV ს-ის შუა ხანებიდან დაახლოებით V ს-ის მეორე ათწლეულამდე შუალედში მეტ-ნაკლებად ურთიერთმსგავსი გეგმარებითი სტილით და ზუსტად ერთნაირი ტექნიკით ნაგები სამი, ფრიად მონუმენტური ქრისტიანული ტაძარი გამოვლინდა. მათგან უადრესი და ბოლო ტაძრის მშენებლობის პერიოდებს ერთმანეთისგან ყველაზე მეტი, 5-6 ათწლეული აშორებს. უფიქრობთ, მხოლოდ ეს გარემოებაც კი საკმაოდ ანგარიშგასაწევი არგუმენტია შემდეგი დასკვნის გამოსატანად: როგორც ჩანს, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებიდან (ისტორიული დოკუმენტების ბოლოდროინდელი, ურთიერთშეჯერებული კვლევებით, დაახლოებით 326 წელი) მოყოლებული, IV საუკუნის დარჩენილი შეიდი ათწლეულის და, ცხადია, V საუკუნის პირველი ათწლეულების განმავლობაშიც, იგებოდა მოზრდილი, რომაული და ადრებიზანტიური ქრისტიანულ სამყაროთა წიაღში მიღებულ ლიტურგიკულ კანონთა მოთხოვნების გათვალისწინებით დაგეგმარებული ტაძრები. ამასთან, ეს აღმოჩენები განამტკიცებს ნდობას ქართულ წერილობით წყაროებში შემონახული იმ ცნობის მიმართ, რომლის მიხედვითაც ამათგან უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ტაძრები დიდწილად მაინც იბერიის სამეფოში, ოფიციოზის მიერ საბერძნეთიდან (მემატიანე აქ, შეიძლება გულისხმობდეს ზოგადად რომის იმპერიას) მოწვეული ხუროთმოძღვრების ხელმძღვანელობით თუ ზედამხედველობით იგებოდა.<sup>218</sup>

არა გვინია, თანამედროვე საზღვარგარეთელ ისტორიკოს მეცნიერთა დიდ უმრავლესობას, ასეთი დასკვნა უჩვეულოდ მოეჩვენოთ: რახანია მათ წერეში საყოველთაოდაა აღიარებული, რომ გვიანანტიკურ ხანაში ზოგადად საქართველო, კერძოდ კი მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე იბერიის სამეფო, ადრეული ქრისტიანული სამყაროს განუყოფელ, იდეოლოგიურად და კულტურულად თითქმის

<sup>218.</sup> ცხადია, გარკვეული პერიოდის, ვთქვათ 1-2 ათწლეული შემდეგ, ადრეული ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთ რეგიონებში ადგილმონაცვლე, ქრისტიანულ ტაძართა მასობრივად მშენებელ ინტერნაციონალურ „მექრებს“, ამ ახალ გეგმარებით თემას უკვე ნაზიარები ადგლობრივი, იბერიელი ხუროთმოძღვრები შეენაცვლებოდნენ.

მუდმივად პროგრესირებად ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ სახელმწიფოზეც უნდა გავრცელებულიყო ფრიად კომპეტენტური ევროპელი ხელოვნების ისტორიკოსების მიერ განვლილ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უცილობელ ჭეშმარიტებადა მიჩნეული, ადრექრისტიანულ სამყაროში საეკლესიო ხუროთმოძღვრების გენეზისისა და გავრცელების საბაზისო დებულებები, რომელთა არსის ჩვენეულ წვდომას, მოკლედ აქვე წარმოვადგენთ.

რომის თვალუწვდენელ იმპერიაში რელიგიური შემწყნარებლობის ედიქტის გამოცემის (ახ. წ. 313 წ) და, ოდნავ მოგვიანებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ, როგორც ცენტრალურ, ისე პროვინციათა საერო და სასულიერო ხელისუფალთა მცდელობით, პრაქტიკულად მყისიერად დაიწყო სიმბოლურად ახალი სარწმუნოების ძლევამოსილების განმასახიერებელი დიდი, არცთუ იშვიათად კი გრანდიოზული ეკლესიების მშენებლობა. ამ ქვეყნების ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული მოსახლეობის წირვა-ლოცვაზე მასობრივად მოსაზიდად, ყველაზე შესაფერისად ბაზილიკური ტიპის ტაძრები<sup>219</sup> იქნა მიჩნეული, რომლებიც შედარებით მარტივი კონსტრუქციული ხერხებით, ფრიად ტევადი სივრცეების შექმნის საშუალებას იძლეოდა. მართალია, საუკუნეზე მეტი ხნის წინ, საეკლესიო ხუროთმოძღვრების ევროპელ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი შეეცადა ბაზილიკური ტაძრების გეგმარებითი სტილი სპეციალურად ქრისტიანული ღვთისმსახურებისთვის შექმნილ არქიტექტურულ თემად წარმოეჩინა,<sup>220</sup> მაგრამ დღესდღეობით, ამ საკითხთა მკვლევარ საზღვარგარეთელ მეცნიერებს რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ; ისინი ერთსულოვნად მიჩნევენ, რომ ახლადგაქრისტიანებული მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობის წირვა-ლოცვაზე მოსაზიდად შესაფერი, ახალი არქიტექტურული ფორმის ძიებისთვის თვით ამ ძლევამოსილი იმპერიის სულიერ საჭეთმპყრობლებს და საერო ხელისუფლებსაც კი არ დაუკარგავთ დიდი დრო – რომის იმპერიის წიაღში, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი თავყრილობების მოსაწყობად საყოველთაოდ მიღებული ბაზილიკის ტიპის ნაგებობანი, სავსებით მოსახონი აღმოჩნდა ამ ახალი მისისითვისაც.<sup>221</sup> მანამდე ცნობილ ბაზილიკურ ნაგებობათა სივრცულ ვარიაციებს დაემატა პრაქტიკულად ერთადერთი სავალდებულო არქიტექტურული ელემენტი – ჯერ კიდევ ფარული ქრისტიანობის დროინდელი სახლ-სამლოცველოებისთვის აუცილებელი ატრიბუტი – მთავარი დარბაზის (ნაოსის) აღმოსავლეთ მხარეს მოწყობილი განვითარებაზე მინიშნებით, ჯერ კიდევ ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ისტორიოგრაფი, III-IV სს-ის რომაელი საეკლესიო მწერალი, ევსები პამფილიელი (ევსარიელი) აღნერს (Евсей, Кесарийский. 1853, გვ. 430-436).

<sup>219.</sup> ქრისტიანული ეკლესიის კანონიკურ ხუროთმოძღვრულ აღნაგობას, აშკარად ბაზილიკურ გეგმარებაზე მინიშნებით, ჯერ კიდევ ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ისტორიოგრაფი, III-IV სს-ის რომაელი საეკლესიო მწერალი, ევსები პამფილიელი (ევსარიელი) აღნერს (Евсей, Кесарийский. 1853, გვ. 430-436).

<sup>220.</sup> Zesterman, August. *Die antiken und die christlichen Basiliken nach ihrer Entstehung, Ausbildung und Beziehung zu einander dargestellt*. Leipzig, 1847. გვ. 133-172; ტუბინაშვილი, გიორგი. 1940. გვ. 196-198; ჯაბუა, ნათელა. 2009. გვ. 19.

<sup>221.</sup> Mango, Cyril. *The Art of the Byzantine Empire 312-1453*. New-Jersy, 1972; Krautheimer, Richard. 1965.

ბილი საკურთხეველი; ამ საკრალური დანიშნულების სივრცეებს, ნიშის ან ოდნავ მოზრდილი, დასავლეთისკენ გახსნილიობიანი სათავსის სახე ჰქონდა (შიგნიდან ნახევარწრიულთან მიახლოებული ან მართკუთხა გეგმის). ბაზილიკურ ტაძართა კონსტრუქციული საჭიროებიდან გამომდინარე, საკურთხევლების სივრცეები ან აღმოსავლეთის კედლის გარეთ იყო „შვერილად“ გატანილი, ან შენობის აღმოსავლეთ მართკუთხა დაბოლოების სტრუქტურაში ჩაწერილი.<sup>222</sup>

ანტიკური, ბერძნულ-რომაული მონუმენტური ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი სტილით შესრულებული მხატვრული დეტალებით (იონიური და კორინთული ორდერებით, მხატვრულად დამუშავებული ფრიზებით, ფრონტონებით, მოზაიკური იატაკებით და ა.შ.) შემკული, წარმართული ხანის პროტოტიპებზე არანაკლებად პომპეზური, სამნავიანი ან ხუთნავიანი ბაზილიკები, იმპერიის მეტროპოლიასა თუ პერიფერიებში, ქრისტიანობის ტრიუმფალურად გავრცელების ეპოქაში, IV-V სს-ში მრავლად იგებოდა. ცხადია, ამ შემთხვევაში ცნებების: „პომპეზური“, „გრანდიოზული“, გინდაც „დიდის“ შესაბამისობა ბაზილიკათა რეალურ ზომებთან, მანაც პირობითა: გამომდინარე საეკლესიო ორგანიზაციებში მათი მმართველობითი როლიდან, კონკრეტული რეგიონის ბიბლიურ-საუფლო მოვლენათა ეპიცენტრებთან გეოგრაფიული სიახლოებიდან, თუ უბრალოდ, ეპარქიათა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დანინაურების დონიდან, განსხვავება ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონის ბაზილიკურ ნაგებობათა შორის, მათი მონუმენტურობის თვალსაზრისით, უთუოდ იყო. მაგალითად, მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ეპიზოდებთან და წმინდა მოციქულთა მოღვაწეობასთან უშუალოდ დაკავშირებული, ფრიად ვრცელი და შესაბამისად აღკაზმული, თვით ამ ქვეყნების თუ სხვა ქრისტიანული რეგიონებისთვის ერთგვარ ეტალონებად ქცეული ტაძრებიდან, შეგვიძლია დავასახელოთ მაცხოვრის ალდგომის ძევლი ბაზილიკა იერუსალიმში,<sup>223</sup> წმ. პეტრეს ბაზილიკა რომში, ქრისტეს შობის ბაზილიკა ბეთლემში და სხვ.<sup>224</sup> რიგ შემთხვევებში, ასეთ ტაძრებს, მასშტაბებით და დეკორატიული გაფორმებით ტოლს არ უდებდნენ მონასტიციზმის მდიდარი ტრადიციების მქონე რეგიონების მემორიალური, მომლოცველთა დიდ ნაკადებზე გათვლილი ბაზილიკები ან იმპერიის ეკონომიკურად ძლიერ პროვინციათა ცენტრებში, მმართველი

<sup>222</sup>. ამ უკანასკნელი, ე.წ. „სამნაწილადი“ ტიპის საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით, სტატიკური მდგრადობის გაზრდის მიზნით გაჩენილ მართკუთხა ოთახებს, ე. წ. პასტოფორიუმებს, ჯერ კიდევ IV საუკუნიდან, ამა თუ იმ ეკლესიის კერძო საჭიროებისათვის იყენებდნენ სხვადასხვა მიზნით, ძირითადად სასულიერო პერსონალის დროებით მისასვენებლად, საკელესიო ინვენტარის შესანახ „სალაროებად“, ბაზტისტერიუმებად ან კრაპტებად. მხოლოდ მოგვიანებით, დაახ. VII-VIII საუკუნიდან, მათ თითქმის მტკიცედ დაუმტკიცებადთ განსაზღვრული ფუნქცია: ჩრდილოეთ პასტოფორიუმს სამკეთლისი (ბერძ.-პროთეზისი), სამხრეთისას კი სადიაკვნესი (Beyer, Hermann. 1925. გვ. 59; Krauthemer, Richard. 1981. გვ. 69, 361).

<sup>223</sup>. Coüasnon, Charles. *The Church of the Holy Sepulchre (Jerusalem)*. London, 1974.

<sup>224</sup>. Milburn, Robert. 1988. გვ. 94-98.

არისტოკრატის განსაკუთრებული მცდელობით აგებული ბაზილიკები<sup>225</sup> (მაგალითად, წმ. პახომის ბაზილიკა ეგვიპტეში, კოურიონის დიდი ბაზილიკა კუნძულ კვიპროსზე, ლეპტის მაგას ბაზილიკა ლიბიაში, ტრიპოლითან და სხვ.).<sup>226</sup> მეორე მხრივ, სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ იმპერიის კულტურულ-ეკონომიკურად დაწინაურებული ცენტრებიდან დაშორებულ პროვინციებში, ქრისტიანული ბაზილიკები მეტ-ნაკლებად გაუბრალოებული სქემებითაც შენდებოდა და ისინი გაცილებით მცირე ზომისაც იყო.<sup>227</sup> მე-20 საუკუნის ცნობილი მეცნიერების მიერ გამოთქმულია არცთუ უსაფუძვლო მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ რომის იმპერიის პერიფერიულ პროვინციათა უმეტესობაში, ეკლესიათმშენებლობის ხელოვნების საწყის ხანა დიდი შემოქმედებითი ძიების ეპოქად ვერ ჩაითვლება – ხელისუფალთა და სამღვდელო იერარქთა მხრივ დაჩქარებით, ერთსა და იმავე ზოგად ქარგაზე აგებულ მოზრდილ ბაზილიკათა დიდი ნაწილი არამცთუ რადიკალურად ახალ მხატვრულ ფორმათა ძიებით, არამედ დიდად ეფექტური კონსტრუქციული გადაწყვეტითაც არ გამოირჩეოდა; უფრო მეტიც – კანონზომიერადაა მიჩნეული ის მოვლენაც, რომ სუსტი სამშენებლო ხერხებით, ნაჩქარევად აგებული ასეთი ბაზილიკები, შედარებით ადვილად ეწირებოდა ხოლმე მიწისძვრებს თუ სხვა სტიქიურ-კლიმატურ მოვლენათა ზემოქმედებას.<sup>228</sup>

<sup>225.</sup> ამ ეპოქაში „გიგანტური“ ეკლესიათმშენებლობის მომძლავრებაზე მსჯელობისას, ალბათ არც ის ფსიქოლოგიური მომენტი არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ რომის იმპერიის პროვინციების ქრისტიანობაზე ახლადმოქცეული მმართველები (მეტროპოლიტები) კულტურულ პერიფერიებშიც კი), ასებათ ერთმანეთს ეჯაბრებოდნენ კიდევ იმაში, თუ რომელი მათგანი უფრო მეტი ძალისმევით გამოიჩინდა თავს ასეთი პომპეზური ტაძრების მშენებლობაში მთელი არსებით ჩართულ იმპერიატორთა და მათი უახლოესი გარემოცვის წინაშე.

<sup>226.</sup> Hedstrom, Darlene. *The Archaeology of Early Christian Egypt. Oxford Handbook of Early Christian Archaeology*. Editors: David K. Pettegrew, William R. Caraher, and Thomas W. Davis, 2019. გვ. 665-675; Grossmann, Peter. *Christliche Architektur in Ägypten*. Leiden, 2002. გვ. 45-56; Megaw, Arthur. *Excavations at the Episcopal Basilica of Kourion in Cyprus in 1974 and 1975: A Preliminary Report. Dumbarton Oaks Papers, Vol. 30*. Washington, 1976. გვ. 345-371; Spolia, Beyond. *Architectural Memory and Adaptation in the Churches of late Antique Africa. North Africa Under Byzantium and Early Islam*. Editors: Susan Stevens and Jonathan Conant. Washington, 2015. გვ. 222-231.

<sup>227.</sup> თავისთავად ცხადია ისიც, რომ ქალაქებისა და მოზრდილი დასახლებების ორგანიზებულად მონათლული, მრავალრიცხვოვანი მრევლისთვის გამოიზულ ტევად ტაძრებთან ერთად, თითოეული პროვინციის ცენტრიდან დაშორებულ, „მივარდნილ“ დაბა-საფლებში, აგრეთვე იმპერიის არაერთ რეგიონში ესოდენ სწრაფად გავრცელებული ქრისტიანული მარტომყოფებლობის იდეის მიმდევარ მცირერიცხოვან ასკეტთა ჯვეუბის სასოფლოებული უდანასწილების გაცილებით შომცრო და ნაკლებად სახიერო ეკლესიებიც მრავალი იგივეოდა. მაგალითად ალანიისანავარი, რომ პირველი ქრისტიანი ასკეტების მიერ დაარსებულ მონასტრებში, პროფესიონალ მშენებელთა დაუქმარებლად, უშუალოდ ბერების ძალისხმევითე შექმნილი ეკლესიები არა მხოლოდ ზომებით იყო პატარა, არამედ დიდი სამრევლო ტაძრებისთვის იმანავა უკვე ჩამოყალიბებულ ხეროვნობის კანონიერას, პრაქტიკულად არ ითვალისწინებდა (Hirschfeld, Yizhar. 1992. გვ. 112-129; სურ. 52, 54, 57, 60, 61).

<sup>228.</sup> მხოლოდ, ოდნავ მოგვიანებით, V საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც პირველი ბაზილიკების საჩქაროდ მშენებლობა-რეკონსტრუქციის „ციიბ-ცხელებამ“ გადაირა, ალნიშნული ქვეენების ხურით-მოძღვრები და მმართველი წრები შეუდგნენ ამ თემის ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით შემოქმედებითად ხელახალ „გააზრებას“ და სწორედ ამის შედეგად შეიქმნა თითქმის ყველა დალექულ რეგიონში ძველი, კლასიკური ბაზილიკების მოდელებისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიაციები, ხმირად კი სრულად ორიგინალური შედევრებიც (Кондаков, Никодим. *Археологическое путешествие по Сирии и Палестине*. Санкт-Петербург, 1904. გვ. 62).

თანამედროვე ევროპელი მეცნიერების მიერ ეგვიპტეში შემორჩენილ საეკლესიო ხუროთმოძღვრების რამდენიმე უძველეს ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევები პრაქტიკულად ადასტურებს ამ შეხედულებას. მაგალითად: კოპტური და ზოგადად ქრისტიანული მონასტიციზმის საწყის ეტაპთან დაკავშირებულ რეგიონში, ფაიუმის უდაბნოში, ცნობილი გერმანელი არქეოლოგის, პიტერ გროსმანის ხელმძღვანელობით ჩატარებული გათხრების შედეგად<sup>229</sup> აღმოჩნდა ბაზილიკა, რომელიც დაახლოებით 150 წლის განმავლობაში, ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენით 3-ჯერ ყოფილა დანგრეული და საფუძვლიანად განახლებული. თავდაპირველი ბაზილიკა (გარე ზომები 47 მ x 24 მ) აგებული ყოფილა თვით კოპტური ქრისტიანული მონასტიციზმის დამფუძნებლის, წმ. პახომის ძალისხმევით 336-337 წლებში (ეს თარიღი ამ წმინდანის ცხოვრების აღწერებითაა დაზუსტებული)<sup>230</sup>. პირველ, გარშემოსავლელიან სამნავიან ბაზილიკას, გეგმის მართულთხა პერიმეტრში ჩაწერილი, ნახევარწრიული ფორმის საკურთხევლის აფსიდი ჰქონია, საერთო სივრციდან კედლებით გამოყოფილი პასტოფორიუმები კი არ გააჩნდა. მეორე ფაზის 5 ნავიანი ბაზილიკა ამ პირველი ტაძრის დანგრევიდან 50-ოდე წლის შემდეგ, მასზევე დაშენებული, ოლონდ არა თავდაპირველ საძირკვლებზე, 385-412 წლებში, არქიეპისკოპოს თეოფილოსის თაოსნობით (მისი გარე ზომებია 70 მ x 30 მ). ამ ბაზილიკას უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული ოთახები (პასტოფორიუმები) ჰქონია საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით. ამ ტაძართა ნანგრევებზე სულ ბოლო, ე.წ. „წმ. პახომის დიდი ბაზილიკა“ კი 459 წელსაა აგებული (ამ ხუთნავიანი ბაზილიკის გარე ზომებია 95 მ x 38 მ)<sup>231</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გრანდიოზული ბაზილიკის ნახევარწრიული მოხაზულობის, სწორკუთხედში ჩაწერილი გეგმის აფსიდსაც გვერდითა, პასტოფორიუმის მსგავსი სწორკუთხა სათავსები გააჩნია.<sup>232</sup>

არქეოლოგიური მეთოდებით თუ მიწის ზედაპირზე შემორჩენილი ნანგრევების სახით, კოპტური მონასტიციზმის კიდევ რამდენიმე ცენტრშია დაფიქსირებული რომაული და ბიზანტიური ხანის საწყისი ეტაპების (IV-V სს) საკმაოდ მოზრდილი ბაზილიკები (დელ ელ ჰაიბი, კირპით მეჰამედი და სხვ.),<sup>233</sup> რომელთა გეგმარებაშიც, ბაზილიკური თემის შემოქმედებითად განვითარების ნიშნებს, მართლაც ვერ ვხედავთ.

აღნიშნული ტიპის ტევადი, თუმცა ნაკლებად მონუმენტური, რამდენადმე

<sup>229.</sup> გათხრები მიმდინარეობდა ეგვიპტის სიცელეთა საბჭოს ეგიდით 1974-1989 წლებში, გარკვეული ინტერვალებით. გათხრებს პერიოდულად პ. გროსმანის ნაცვლად უძლებოდნენ პ. ვ. ელდერები და პ. ლიესი.

<sup>230.</sup> Rousseau, Philip. *Ascetics, Authority and the Church*. Oxford, 1978. გვ. 52

<sup>231.</sup> Grossmann, Peter. 2002. გვ. 43-48.

<sup>232.</sup> Emmel, Stephen. *Christianity and Monasticism in Upper Egypt*. Vol.2. Kairo, 2010. გვ. 34-36.

<sup>233.</sup> Badawy, Alexander. *Coptic Art and Archaeology: The Art of the Christian Egyptians from the Late Antique to the Middle Ages*. Cambridge, MA: MIT Press, 1978. გვ. 45-67; 80-92.

უნიფიცირებული სტილის ბაზილიკების მშენებლობის „აზვირთება“ შეინიშნება დალმატიის, კორინთოს, ესპანეთისა და გვიანანტიკური რომის იმპერიის არაერთ სხვა ევროპულ პროვინციაში.<sup>234</sup>

IV ს-ისა და V ს-ის პირველი ნახევრის სომხურ ტაძრებზე დაკვირვებითაც, იმავე სურათს ვხედავთ: წმ. გრიგოლის გრანდიოზული ბაზილიკა დვინში, სავ-სებით კანონიკური გეგმარებისაა; აფარანის ბაზილიკას არაგაცოტნის რაიონში, დაახლოებით 27 მ-სიგრძე აქვს; ის შევრილაფსიდიანია, ნაოსი 3 წყვილი სვეტითაა დაყოფილი, აღმოსავლეთით აქვს პასტოფორიუმიც.<sup>235</sup>

V ს-ში, გეგმურად დანამდვილებით ბაზილიკური თემის, თუმცა სივრცობრივად და კონსტრუქციულად რამდენადმე გაუბრალოებულ ნიმუშებს მრავლად ვხვდებით სასანური ირანის იმპერიის წიაღში აგებულ ქრისტიანულ (ნესტორიანულ და სირიაკულ კონფესიათა) ტაძრებს შორის; აქ ტრადიციული რომაულ-ბიზანტიური ბაზილიკების დამახასიათებელი ატრიბუციიდან სახეზე გვაქვს მხოლოდ მათგან გადმოღებული ზოგადი სქემა – კოლონებით დაყოფილი ნავები, შვერილი საკურთხეველი და, უპირატესად ორფერდა ქანობიანი გადახურვა. თუმცა, გადახურვის ორფერდიანობაც, პრატიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ქვეყნების კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, უპრობლემოდ განიცდიდა ცვლილებას: მაგალითად, მეტად ცხელ კლიმატურ გარემოში, არაპე-თის ყურის მიმდებარე რეგიონებში, როგორც წესი ბრტყელ, მიწურ გადახურვას იყენებდნენ მცხუნვარე მზის სხივებისგან დამცავი სქელი საიზოლაციო საფარით (მით უმეტეს, იშვიათი ნალექების გამო, ორფერდიანი ქანობის საჭიროება, იქ პრაქტიკულად არ იყო).<sup>236</sup>

ამდენად, ვსაუბრობთ რა გვიანრომაულ-ადრებიზანტიურ იმპერიათა შემადგენელი თუ მიმდებარე რეგიონების უადრესი ქრისტიანული ტაძრების მშენებელთა მიერ მეტროპოლიის პოლიტიკურ ცენტრებსა და ქრისტიანობის საყოველთაოდ აღიარებულ წმინდა ადგილებში აგებულ უპირველესი ბაზილიკური ტაძრებიდან ზოგადი აღნაგობის დასესხებაზე, ჩვენ სრულიადაც არ ვგულისხმობთ სახელგანთქმული პროტოტიპებიდან პერიფერიათა ბაზილიკების სრულ კოპირებას და იმავე ქარგაზე მრავლგზის შტამპირებას (ფასადების და ინტერიერების დეკორატიული გაფორმების ელემენტების ჩათვლით). ქრისტიანული

<sup>234.</sup> Mišković, Ana. 2013. გვ. 7-12; Vilar, López. *Les Basíliques paleocristianas del suburbio occidental de Tarraco: el templo septentrional*. Tarragona, 2006; *Atlas of the Christian Monuments of the Aegean. From the Christian Years to the Fall of Constantinople*. Athens, 2014. გვ. 84, 103-105, 109-117, 117, 132, 151-152.

<sup>235.</sup> Thierry, Jean Michel. *Armenien Art*. New-York, 1989. გვ. 545.

<sup>236.</sup> Elders, Joseph. *The lost churches of the Arabian Gulf: recent discoveries on the islands of Sir BaniYas and Marawah, Abu Dhabi Emirate, United Arab Emirates. Proceedings of the Seminar for Arabian Studies*, vol. 31. London 2001. გვ. 47-57; Okada, Yasuyoshi. 2017.

სამყაროს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში, აღნიშნულ ეტალონურ ბაზილიკა-თაგან გადმოღებული, ლიტურგიის სიმბოლური აუცილებლობებისადმი მისადა-გებული ზოგადი ხუროთმოძღვრული თემის ფარგლებში, ადგილობრივი სამშე-ნებლო ტრადიციებისა თუ ხელმისაწვდომი საშენი მასალების თავისებურებების გათვალისწინებით, ბაზილიკათა საკმაოდ თვითმყოფადი ტიპოლოგიური ნაირ-სახეობანიც იქმნებოდა.

მაგალითად, მეტად სახასიათო სურათი გამოიკვეთა ქრისტიანობის გარიურაჟ-ზე რომის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის, სირიის სხვადასხვა პრო-ვინციათა ბაზილიკების კვლევის შედეგად. გვიანანტიკურ ხანაში ამ რეგიონში შექმნილი კონკრეტული ისტორიულ ვითარების, შეძლებულ სპონსორთა და შემ-სრულებელთა ინდივიდუალური, დახვეწილი გემოვნების თუ ხელსაყრელი, პლას-ტიკური ფორმების მიღების უნარის მქონე საშენი მასალის არსებობის ფაქტორთა თანხვედრის წყალობით, ხშირად არა მარტო ვრცელი და ლიტურგიკაზე კანონი-კურად მორგებული, არამედ მხატვრულად საკმაოდ საინტერესოდ, რამდენადმე ახლებურად გააზრებული ბაზილიკების მთელი წყება აშენდა. მათი სტილისტური გადაწყვეტა მთელ რიგ თვითმყოფად ელემენტებსაც შეიცავდა – რომ არაფე-რი ვთქვათ ფასადების შემაკობელ, დეკორატულად თავისებურად დამუშავებულ ქვის დეტალებზე, ხშირ შემთხვევებში, აქ ახალმა სივრცულ-გეგმურმა ელემენ-ტებმაც კი იჩინა თავი – მაგალითად, დასავლეთის კედლის კიდეებში აღმართულ-მა კოშკების წყვილმა (რაც, შემდგომ, იმპერიის სხვა მხარეებშიც გავრცელდა და რომანული თუ გოთური სტილის საეკლესიო ხუროთმოძღვრების განუყოფელი ელემენტი გახდა). ნიშანდობლივია, რომ ჩრდილოეთ სირიაში, IV ს-ის მეორე ნა-ხევარსა და V ს-ის დასაწყისში ათობით, საკმაოდ დახვენილი გეგმარების სამნა-ვიანი ბაზილიკა დადასტურებული, რომლებიც სივრცული აღნაგობითა თუ ფა-სადთა სტილისტური გადაწყვეტით, აშკარად ერთი და იგივე სტილის საეკლესიო ნაგებობათა მაღალპროფესიულ ვარიაციებად შეიძლება ჩაითვალოს; ქალაქების, ანტიოქიასა და ალეპოს შორის მოქცეულ, სულ რაღაც 40-ოდე კმ-ით შემოწერილ ფართობზე, ერთი და იმავე დამკვეთის (მარკიანუს კირუსის)<sup>237</sup> და ხუროთმოძღვარის (ან ტაძარმშენებელი „გილდიის“) მიერ 390-420 წლებში აგებულია 7 დიდი ბაზილიკა, რომელებიც ნატიფი გეგმარებითა და შემცულობით, ერთმანეთთან აშ-კარა სტილისტურ ნათესაობას ამჟღავნებს.<sup>238</sup>

<sup>237.</sup> Milburn, Robert. 1988. გვ. 125.

<sup>238.</sup> მათ შორის ყველაზე ცნობილია ბრადის, იგივე ოულიანის კათედრალი – 8 წყვილი კოლონით 3 ნავად დაყოფილი ბაზილიკა, სწორკუთხედში ჩაწერილი ნახევარწრიული მოხაზულობის საკურთხევლის აფსიდით, მარჯვნივ და მარცხნივ მართვულთა პასტოფორიუმებით. ამ „შვიდეულის“ შემადგენელი დანარჩენი ბაზილიკებიც რამდენადმე მსგავსი გეგმარებითი სქემით ხასიათდება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში დღემდე ჩატარებული სამეცნიერო კვლევები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პოლიტიკური თუ თეოლოგიური კონფლიქტების ნიადაგზე წარმოშობილ, არსებით განსხვავებებს მოველოდეთ რომის იმპერიის შემადგენლ ქვეყნებისა და დროის გარკვეულ პერიოდებში ამ იმპერიის ე.წ. „კლიენტ“ (ფაქტობრივად, ვასალურად დამოკიდებულ) ქრისტიანულ სახელმწიფოთა ტაძარმშენებლობის ტენდენციებს შორის. ისიც თვალსაჩინოა, რომ მკაფიო განსხვავება ამ სტატუსის ქვეყნების პირველ ქრისტიანულ ტაძართა ზოგად გეგმარებით სტრუქტურათა შორის, არც რომის იმპერიის ცენტრებიდან მათ გეოგრაფიულ დაშორებას გამოუწვევია.

ამრიგად, მეცნიერულად სრულად დამტკიცებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ გვიანრომაულ-ადრებიზანტიური ქრისტიანული კულტურის გავლენის სფეროში მოქცეულ პრაქტიკულად უკლებლივ ყველა ქვეყანაში, მეტროპოლიაში ამ მოძღვრების ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარების შემდეგ (IV ს-ის I ნახევარი), 1-2 საუკუნის განმავლობაში, უკვე მასობრივად გავრცელდა დაახლოებით ერთი და იგივე სქემის, მაგრამ მეტ-ნაკლები ოსტატობით და შემოქმედებითი სახეს-ხვაობით ნაგები ბაზილიკური ტიპის ტაძრები; თუმცა, ამ რეგიონების ბაზილიკათა ტიპოლოგიური სხვაობა ყველაზე ნაკლებად, მაინც ამ ნაგებობათა აბსოლუტურ ზომებს ეხებოდა – მრევლის მაქსიმალური რაოდენობის (რა თქმა უნდა, კონკრეტული საჭიროების და უახლოეს მომავალში მორწმუნეთა რიცხვოვნების ზრდის გათვალისწინებით) დასწრება წირვა-ლოცვებზე, ნებისმიერი პროვინციის საერო თუ სულიერ წინამძღოლთა განუხრელ მიზანს შეადგენდა – დაწყებული მეტროპოლიდან, ყველაზე დაშორებული პერიფერიების ჩათვლით.

აქვე უნდა ითქვას, რომ დღესდღეობითაც კი, ჩამოთვლილ ევრაზიულ ადრექტისტიანულ რეგიონებში მდებარე, უადრესი სამრევლო-სატაძრო კომპლექსებიდან (რომ ალარაფერი ვთქვათ სამონასტრო ანსამბლებზე), არქეოლოგიურად და ხანდახან არქიტექტურულადაც, გაცილებით ხშირად მხოლოდ ბაზილიკების ცენტრალური დარბაზების (ნაოსების) და საკურთხევლის არეებია ხოლმე სრულად შესწავლილი. შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევოდა კომპლექსის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ისეთ ავთენტურ ნაწილებსაც კი, როგორც არის ნართექსი, ატრიუმი, მინაშენი კრიპტა-ეგვტერები, ბაპტისტერიუმი და სხვ. ეს უმთავრესად იმიტომ ხდებოდა, რომ ანსამბლის დომინანტის, ყველაზე დიდი და ფუნდამენტური ნაგებობის – სამი თუ ხუთნავიანი ბაზილიკის კორპუსი ფიზიკურად გაცილებით უკეთესად არის ხოლმე შემონახული (თუმცა, შემდგომი რეკონსტრუქციების დროს, მაინც მეტ-ნაკლებად შეცვლილად) და მათი თავდაპირველი სახის თეორიული რეკონსტრუქციაც შედარებით ადვილია.<sup>239</sup> რაც შეეხება კომ-

<sup>239</sup>. მაგალითად, უძველესი ქრისტიანული ტაძრებით იმდენად მდიდარ რეგიონში, როგორიც სირიაა,

პლექსის დანარჩენ შენობა-ნაგებობებს, ისინი ხშირად სრულადაა ნანგრევებში მოქცეული ან შემდგომ ეპოქებში რეკონსტრუქციის გამო, მათი ნაშთები საძირკვლის დონეზეა საძირბელი, ხოლო არქეოლოგიური მეთოდით გამოვლენა ხანგრძლივ, ძვირადლირებულ კვლევებს მოითხოვს. მიუხედავად ამისა, რომაული და ადრე ბიზანტიური იმპერიების ცენტრებსა თუ დღესდღეობით ევროპული კვლევებისთვის ხელმისაწვდომ რეგიონებში მდებარე არაერთი უძველესი სატაძრო კომპლექსის თავდაპირველი აღნაგობა თითქმის სრულად ვიცით – ისინი ან ფიზიკურადაა გამოვლენილი, ან მათი თეორიული რეკონსტრუქციაა შესრულებული სანდო, მეცნიერულ არგუმენტებზე დაყრდნობით (ამის კარგი მაგალითებია, თუნდაც იგივე ქრისტეს აღდგომის ტაძრის კომპლექსი იერუსალიმში ან წმ. პეტრეს პირველი ბაზილიკა რომში).

ამდენად, დღეს ჩვენთვის დანამდვილებითაა ცნობილი, რომ განმხოლოებული, რამდენადმე მასშტაბური და მნიშვნელოვანი ბაზილიკური ტაძრები იმხანად „ბუნებაში“ არ არსებობდა.<sup>240</sup> ლიტურგიისა თუ ქრისტიანული ღვთისმსახურების სხვა აუცილებელი რიტუალების სრულყოფილად ჩასატარებლად, კონკრეტული სამწყსოს იდეოლოგიურად შემზადების მიზნით, გარდა მთავარი ეკლესიის ავთენტური კომპონენტებისა, კომპლექსში ჩართული იყო სხვადასხვა დანიშნულებისა და გეგმარების სამლოცველოების, ეგვტერების, კრიპტა-მარტინიუმების სისტემები და, აუცილებლად სანათლავიც (ბაპტისტერიუმი).<sup>241</sup>

ცხადია, ყველაზე ხშირად ამ კომპლექსებში ღვთისმსახურების, დამხმარეპერსონალის ყოფა-ცხოვრებისთვის თუ სატაძრო მეურნეობის გაძლილის საჭიროებისთვის აგებული შენობები იყო ჩართული. თუკი ტაძარი საკათედრო იყო, მასთან მიჯრით მიშენებული საეპისკოპოსო სასახლე ხომ პრაქტიკულად კანონიკითაც კი იყო განსაზღვრული.<sup>242</sup> ისიც უნდა ითქვას, რომ IV საუკუნიდანვე, იმ საკათედრო ტაძრებშიც კი, რომლებიც ფიციიალურად მონასტრებად არ ითვლებოდა, ქრისტიანული მსახურების წესრიგის, მეურნეობის მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად და რიტუალებისთვის მოსამზადებლად, მუდამ იმყოფებოდა

არქეოლოგიურად, სრულად მხოლოდ ორიოდე კომპლექსია შესწავლილი ევროპელი მეცნიერების მიერ. დანარჩენი, ასეულობით სატაძრო ანსამბლის ნაწილები კი ზედაპირულადა დათვალიერებული მრავალრიცხვანი ექსკურსიების დროს და მათი ცენტრალური ტაძრების სავარაუდო არქიტექტურული აღნაგობა დღემდე მხოლოდ ნაშთების ფოტოებით და სქემატური სახითაა შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში (Butler, Howard Crosby. *Early Churches in Syria*. London, 1929; Majcherek, Grzegorz. 2013. გვ. 251-268).

<sup>240.</sup> ასეთი ვითარება მხოლოდ დღესდღეობითაა შექმნილი ტურისტულ ობიექტად ქცეულ ზოგიერთი ბაზილიკის ირგვლივ (განსაკუთრებით ჩვენში), სადაც ამ კორტუსის ეზო-კარი და ტაძრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინაშენი კომპონენტები ან გარშემოა კიდევ ჩიმარხული და არქეოლოგიურად შეუსწავლელია, ან, სამწუხაროდ, მეთოდოლოგიურად გაუმართავი სარესტავრაციო სამუშაოების დროსაა განადგურებული.

<sup>241.</sup> Hedstrom, Darlene. *The Monastic Landscape of Late Antique Egypt*. Cambridge University Press, 2017; Klenina, Elena. 2013.

<sup>242.</sup> [https://azbyka.ru/otekhnik/Nikodim\\_Milash/pravila-pomestnyh-soborov-s-tolkovanijami/#0\\_180](https://azbyka.ru/otekhnik/Nikodim_Milash/pravila-pomestnyh-soborov-s-tolkovanijami/#0_180). წესი 71 (82).

რამდენიმე ბერი და მორჩილი, რომლებიც იქ სამონასტრო წესით ცხოვრობდნენ და მათი სამყოფელი სენაკების რიგიც ამავე ანსამბლებში იყო გაერთიანებული.

აუცილებლად გათვალისწინებული იყო ოთახებიც, სადაც ნათლობისთვის შემზადების პროცესში მყოფ მრევლს – კათაკმევლებს, შესაბამისი საუბრები, ბიბლიის და სხვა წმინდა წიგნების კითხვა-განმარტებები უტარდებოდათ ყოველდღიურად.

იმხანად, ქრისტიანული ტაძრის განუყოფელი ნაწილი იყო შიდა ეზოებიც, რომელთაც მეტწილად, ჯერ კიდევ ადრეანტიკური ხანის რომაული არქიტექტურისთვის ესოდენ დამახასიათებელი „ატრიუმის“ აღნაგობა ჰქონდათ: ირგვლივ ოთხმხრივ პორტიკები შემოუყვებოდა და ცენტრში, თუკი ეს ტექნიკურად შესაძლებელი იყო, აუზებსაც აწყობდნენ; შიდა ეზოები უმეტესწილად ბაზილიკის დასავლეთით, მთავარი შესასვლელის წინ იყო განლაგებული. ატრიუმებს შესასვლელიც დასავლეთიდან ჰქონდა და, ამიტომაც, ამ კედლის ფასადები მხატვრულად განსაკუთრებულად იყო განყობილი კოშკებით, პილონებით, პილასტრებით თუ სხვა მორთულობით. აღნიშნული სარიტუალო თუ საყოფაცხოვრებო ნაგებობები, მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის და სამხრეთის ფასადების გასწვრივ, უმთავრესად მიჯრით იყო განლაგებული, მათი ნაწილი კი შიდა ეზოებსაც შემოუყვებოდა და ტაძარს ატრიუმის გავლით უკავშირდებოდა.

ამდენად, საქართველოშიც, უძველესი საეკლესიო ნაგებობათა პირველმკვლევარებსა თუ შემდგომი თაობის ხელოვნების ისტორიკოსებს, ყოველი მნიშვნელოვანი უძველესი ქრისტიანული სატაძრო კომპლექსი, წინასწარვე, არქეოლოგიური შესწავლის გარეშეც კი, მეტ-ნაკლებად ასეთივე დანიშნულებისა და მასშტაბის ნაგებობათა კრებულად უნდა წარმოედგინათ და არა განმხოლოებულ, უამიდან-უამიმდე მოსანახულებელ სამლოცველოდ.

ბუნებრივია, ქართული ქრისტიანული ტაძარმშენებლობის გენეზისისა და უადრესი საფეხურების პირველმკვლევარები, იმხანად მათ ხელთ არსებული მატერიალური საბუთების ფრაგმენტულობის ვითარებაში, გარდა ადრეული ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნებში მეცნიერულად დადგენილი, ზემოთ აღნიშნული ფაქტების ანალიზისა და განზოგადოებისა, უძველეს ქართულ და უცხოურ წერილობით ისტორიულ წყაროებსაც უნდა ჩაღრმავებოდნენ, რათა გაეაზრებინათ საკითხი – მემატიანებს პირველ ქართულ ქრისტიანულ ტაძართა აგების შესახებ დაცულ ცნობებთან ერთად, ამ ნაგებობათა გავრცელების არეალებისა და საეკლესიო სტრუქტურათა მასშტაბების შესახებაც ხომ არ ჰქონდათ შემონახული თუნდაც ირიბი მინიშნებანი.

არადა, ქართული თუ უცხოური რელიგიური-ისტორიული ხასიათის თხზულებები, იქერის სამეფოს გაქრისტიანებისა და იქ ეკლესიების მშენებლობის შესახებ, გარკვეულ ინფორმაციას მართლაც შეიცავს. რა თქმა უნდა, უპირველესად

საყურადღებოა იბერიის ხელისუფალთა პირველი ნაბიჯი ქართლში ქრისტიანული ტაძრების დასაფუძნებლად: „და წარავლინნა მირიან მეფემან და ითხოვნა საბერძნეთით ქვისა მთლელნი და კირით ხურონი. და მოსცნა მეფემან... და წარმოვიდეს მანგლისს და დადვეს საძირკული ეკლესიისა და დაუტევნეს სამსჭუალნი და ესრეთ მოვიდეს მცხეთად“.<sup>243</sup> იქვე მოთხოვბილია ქვეყნის მასშტაბით კიდევ რამდენიმე ეკლესიის მშენებლობაზე (წუნდა, ოძრხე, ერუშეთი...).

მაგრამ ეკლესიების დაფუძნების ადგილების შერჩევა და მშენებლობა ქაოტურად, არაორგანიზებულად ხომ არ მოხდებოდა? ცხადია, ვერც ერთ სახელმწიფოში, მმართველობის სისტემური ქსელისა და სტრუქტურული ერთეულების შექმნის გარეშე, ახალი რელიგიური დოქტრინა ფქხს მყარად ვერ მოიკიდებდა. მართალია, ქართლზე რომის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, მაგრამ ვიცნობთ რა იმუამინდელ პოლიტიკურ ვითარებას, უნდა ვიფიქროთ რომ, ქრისტიანული ეკლესიის სტრუქტურა იბერიის სახელმწიფოში, დაახლოებით რომის იმპერიის ეკლესიის მსგავსად უნდა მოწყობილიყო. მიღანის ედიქტის შემდგომ პირველ ხანებში, რომის იმპერიაში დამოუკიდებელი საეპისკოპოსოები არსებობდა, რომელთა საქმეში ჩარევა, ფორმალურად არავის შეეძლო. მიუხედავად ამისა, ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 და მე-7 კანონების მიხედვით, მათი უპირატესი ღვაწლის გამო, გამოყოფილია რომის, იერუსალიმის, ალექსანდრიის და ანტიოქიის საეპისკოპოსოები, რომელთაც დანარჩენ საეპისკოპოსოებზე მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნდათ, ოდნავ მოგვიანებით კი ისინი ავტოკეფალურ საეკლესიო ცენტრებად ჩამოყალიბდნენ და პატრიარქები ჩაუდგნენ სათავეში<sup>244</sup> (კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსომ ამ ეკლესიათა თანაბარი უფლება მოგვიანებით მიიღო). რომის იმპერიაში უფრო მცირე, საეკლესიო ერთეული იყო „პროვინცია“ (ქართულად „სამთავრო“), რომელსაც მიტროპოლიტები განაგებდნენ და რომელთაც, შესაბამისი საეკლესიო ცენტრის პატრიარქები აკურთხებდნენ. სამთავროში შემავალ ეპარქიებს კი ეპისკოპოსები ხელმძღვანელობდნენ.<sup>245</sup>

ქართლის ქრისტიანული ეკლესიის თავდაპირველი კუთვნილების საკითხი ჯერჯერობით საბოლოოდ გარკვეული არ არის. მაგალითად, არსებობს ჰიპოთეზა, რომ ვინაიდან II-IV სს-ში საეპისკოპოსოები ავტოკეფალური იყო, ასეთივე უნდა ყოფილიყო ქართლის ახლადგაქრისტიანებული ეკლესიაც და მას, ალბათ, მთავარეპისკოპოსი ედგა სათავეში.<sup>246</sup> შესაბამისად, IV საუკუნის მეორე ნახევრი-

<sup>243.</sup> „მოქცევად. ქართლისაა“ ჭელიშური რედაქცია. გოილაძე, ვახტანგ. თბილისი, 2009. გვ. 86; „მოქცევად. ქართლისაა“, შატერდის ქრებული, თბილისი, 1979. გვ. 323.

<sup>244.</sup> დიდი სკოლისკანონი. თბილისი, 1975. გვ. 232, 261.

<sup>245.</sup> ლომინაძე, ბაბილინა. საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია. „რელიგია“, 1-2. თბილისი, 1992. გვ. 118;

<sup>246.</sup> მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2000, გვ. 26.

დან, ქართლის ეკლესიას მიტროპოლიტები განაგებდნენ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ქართლის სახელმწიფოს საეკლესიო სტრუქტურები ერთი ეპისკოპოსის ამარა, ქვეყნის პრაქტიკულად სრულ ქრისტიანიზაციას თავს ვერ გაართმევდნენ. ეს წყაროთა ცნობებითაც დასტურდება: მაგალითად, მეფე მირიანი გარდაცვალების წინ მოიხსენიებს ეპისკოპოსებს (მრავლობით!) და მათ ქვეყნის განმანათლებლის, წმინდა ნინოს საფლავის თაყვანისცემას ავედრებს.<sup>247</sup>

ჩვენ ქართლის გაქრისტიანების შემდგომი პირველი ტაძრების ოდენობასა და სტატუსზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ საეპისკოპოსო (საკათედრო) ტაძრები მაინც, რომის ეკლესიაზე პირდაპირი იერარქიული დაქვემდებარების წყალობით, შეუძლებელია კანონიკურ ორგანიზაციას და საბაზისო ხუროთმოძღვრულ ფორმას მოკლებული ყოფილიყვნენ.

ამდენად, ფაქტობრივ და ლოგიკურ საბუთებზე დამყარებული, ობიექტური განხილვა ქართლის სახელმწიფოში ქრისტიანული საეკლესიო წყობისა დამყარებისა და სატაძრო ნაგებობათა მშენებლობის ვითარებისა, სრულიად არ იძლევა იმის დაშვების საბაბს, რომ რომაული სამყაროს სხვა ქრისტიანული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ამ სტრუქტურათა უკვე საყოველთაოდ აღიარებული წესებით ორგანიზებას, რამე განსაკუთრებული დაბრკოლებები შექმნოდა.

და, მიუხედავად ამისა, ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა უმრავლესობის ნაშრომებში, მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში და, არცთუ იშვიათად დღესდღეობითაც კი, ისტორიული ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე პირველი ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის სავარაუდო ვითარება, ამ ეპოქის საეკლესიო ნაგებობების ქრონოლოგიური ნიშნით დიფერენცირების თუ სტილისტურ თავისებურებათა პრობლემები, სულ სხვაგვარადა გაშუქებული.

განსხვავებით ძველი ქრისტიანული სამყაროს საეკლესიო ნაგებობათა მკვლევარ, სხვადასხვა დროის მრავალრიცხვოვან და მრავალეროვან საზღვარგარეთელ მეცნიერთაგან, ქართველ ხუროთმოძღვრების ისტორიკოსებს საკუთარ ქვეყანაში საეკლესიო ნაგებობათა გენეზისისა და ტიპოლოგიის პრობლემათა გადაჭრის გზაზე, ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მისვლა ძალზე გაუჭირდათ. ლამის ერთი საუკუნეა, რაც ქართველი ხელოვნების ისტორიკოსები და ზოგადად, შეუასენების ქართული კულტურის მკვლევარები, ცდილობენ ნათელი მოპონინონ საკითხს, თუ როგორი ხუროთმოძღვრული აღნაგობისა უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ აგებული პირველი ტაძრები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართველ სახელოვნებათმცოდნეო სკოლების წარმომადგენელთა მიერ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩამოყალი-

<sup>247</sup> მროველი, ლეონტი. 1955. გვ. 129.

ბებულ თეორიათაგან, სამეცნიერო მიმოქცევაში ყველაზე უფრო მყარად დამკვიდრებულ, XX საუკუნის 20-30-იან წლებში სახელდახელოდ შემუშავებულ ერთერთ კონცეფციას, სულ ცოტა შემდგომი 8 ათწლეულის განმავლობაში, არსებითი პროგრესი არ განუცდია. საუბარი გვაქვს ჩვენი წიგნის შესაბამის ნაკვეთებში უკვე წარმოდგენილ თეორიაზე, რომლის მიხედვითაც IV საუკუნისა და V საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ქრისტიანული ტაძრების დამახასიათებელ წიგნებად მათი მინიატურული ზომები და, პრაქტიკულად, არაკანონიკური გეგმარებაა გამოცხადებული.<sup>248</sup> ამავე კონცეფციის ავტორთა აზრით, ასეთი ვითარება გამოწვეული იყო რომის იმპერიის წიაღში იმხანად უკვე შემუშავებულ, ქრისტიანულ ეკლესიათა კანონიკურ გეგმარებასა და იქ ჩასატარებელ ლიტურგიკულ პროცესებში, იძერის ხელისუფალთა და ხუროთმოძღვართა გაუთვითცნობიერებლობით. ასე განსაკვეთ, აღნიშნულ თეორიაში სავსებით სერიოზულად განიხილებოდა ვერსია, რომ შესაძლოა, მშენებლები ქართლის სამეფოს პირველ ეკლესიებს, იმპერიის დაწინაურებული ქრისტიანული ცენტრებიდან ჩამოსული მისიონერების მიერ ქრისტიანული ტაძრების ზეპირად აღნერის საფუძველზე აგებდნენ და ორი გინალებს ამიტომაც ვერ ამსგავსებდნენ.<sup>249</sup>

ამავე კონცეფციით, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაოდ აღიარებული კანონიკის გათვალისწინებით დაგეგმარებული, სტილისტურად ჩამოყალიბებული ეკლესიების და, კერძოდ სრულყოფილი ბაზილიკების მშენებლობა სახელმწიფოს უმაღლესმა არისტოკრატიმ და სასულიერო იერარქებმა, ქვეყნის მასშტაბით ქრისტიანულ ტაძართმშენებლობაში გაბატონებული, ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების ევოლუციის გზით დაძლევის შემდგომ, მხოლოდ V საუკუნის ბოლოს დაიწყეს.<sup>250</sup>

აღნიშნული სამეცნიერო სკოლის გამორჩეული წარმომადგენლები – ხელოვნების ისტორიის მრავალ სხვა სფეროში ფრიად განსწავლული მკვლევარები, ბოლო 3-4 ათწლეულის განმავლობაში მაინც, აღბათ გრძნობდნენ ამ თეორიის ყავლგასულობას; თუმცა, ქართული საისტორიო საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან მომდინარე არაორაზროვან დაკვეთაზე, თვითონვე შეეფასებინათ კრიტიკულად აღნიშნული მოძღვრება, ისინი დანანებით აღნიშნავდნენ შემდეგს: რომ, ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ კორექციისთვის, ისევე როგორც თავის დროზე ამ თეორიის შემოქმედებს, მათ კვლავაც არ გააჩნდათ ხელთ მყარი მატერიალური საბუთები – აღმოსავლეთ საქართველოში მათვის კვლავაც უცნობი იყო IV ს-სა და, გინდაც V ს-ის

<sup>248.</sup> ჩუბინაშვილი, გოორგი. 1936. გვ. 23-25; ბერიძე, ვახტანგ. 1974. გვ. 8, 18.

<sup>249.</sup> ყუბინაშვილი, გიორგი. 1959. გვ. 134, 135.

<sup>250.</sup> ჩუბინაშვილი, გოორგი. 1936. გვ. 26, 53; ყუბინაშვილი, გიორგი. 1959. გვ. 135.

უკანასკნელ მეოთხედამდე აგებული, ობიექტური დამათარილებელი ნიშნებით აღმოჩნდილი ქრისტიანული ტაძრების ზეზეურად შემორჩენილი თუ არქეოლოგიური გათხრებით თუნდაც საძირკვლის დონეზე გამოვლენილი, რამდენადმე სრული გაგმიურ-მონახაზიანი ნიმუშები. ეს ფაქტორი, ნაწილობრივ მართლაც შეესაბამება რეალობას – არქეოლოგიური მეთოდებით, აღნიშნული თეორიის საწინააღმდეგოდ ცალსახად მეტყველი ძეგლები, ჯერ კიდევ ამ 15-ოდენ წლის წინათაც არ იყო გამოვლენილი (აյ არ ვგულისხმობთ სარესტავრაციო სამუშაოებისას, შედარებით გვიანდელი ეკლესიების ხუროთმოძღვრულ ქსოვილებში აღმოჩენილ, უმთავრესად საძირკვლებში მოქცეულ ცალკეულ ელემენტებს, რომელთა მიხედვითაც გადაჭრითი აზრის გამოთქმა, ამ ობიექტების ფართო-მასშტაბიანი, მეთოდოლოგიურად სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევის გარეშე, ძნელდებოდა).<sup>251</sup>

და, მიუხედავად ამისა, აღნიშნული, ოდესლაც სახელდახელოდ ჩამოყალიბებული თეორიის<sup>252</sup> დღემდე ქართული ქრისტიანული სატაძრო ხუროთმოძღვრების გენზისას თუნდაც ერთ-ერთ ოფიციალური ვერსიად განხილვა, ვხედავთ, რომ ზოგადად ქართული საისტორიო მეცნიერების საერთაშორისო იმიჯზე დადგებითად არ აისახა.

არადა, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ამ მკვლევარებს ადგილობრივი, ზემოთ აღნიშნული წერილობითი წყაროების ცნობები და ქრისტიანული სამყაროს დანარჩენი ქვეყნების სატაძრო ხუროთმოძღვრების შესახებ საზღვარგარეთ იმხანად უკვე გამოქვეყნებული დიდალი სამეცნიერო პუბლიკაციები ერთმანეთთან რომ შეეჯერებინათ, ჩვენში თვალნათლივ სრულყოფილი ეკლესიების დეფიციტის ახსნას ზემოთ მოხმობილის მსგავსივე ლოგიკური შტუდიებით კი არ ეცდებოდნენ, არამედ საქართველოშიც დაიწყებდნენ თუნდაც სრულად მიწის ქვეშ მოქცეული, კანონიკური ლიტურგიის ჩატარებასა და წირვა-ლოცვაზე მრავალრიცხვოვანი მრევლის დასწრებაზე გათვლილი ქრისტიანული ეკლესიების ნაშთების ძიებას (რა თქმა უნდა, ეს უნდა განხორციელებულიყო პროფესიონალ არქეოლოგებთან მუდმივი, მჭიდრო თანამშრომლობით და კონსულტაციებით).<sup>253</sup>

<sup>251.</sup> თუმცა, შეგვიძლია გავიხსენოთ გამონაკლისებიც: მაგალითად, სარეაბილიტაციო სამუშაოების თანხმები არქეოლოგიური კვლევებით, თავდაპირველი ფაზის, ბაზილიკური ტიპის ეკლესიების გეგმური სტრუქტურების ფრაგმენტული ნაშთები გამოვლინდა სამთავროს მონასტრის (მცხეთა) და სამთავრის განვითარებული შუა საუკუნეების ტაძების იატაკევჭმული, სულ ახლასან კი ქუთასშიც, ბაგრატის ტაძარში (ყოფიანი, გურამ. მეფე მირიანის ბაზილიკა. ბიზანტიოლოგია საქართველოში, II. თბილისი, 2009; ლანჩავა, ომარ; ისაკაძე, როლანდ. არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში. ქველი ხელოვნება დღეს, 1. თბილისი, 2010. გვ. 4-13).

<sup>252.</sup> ყუნიაშვილი, გიორგი, 1959. გვ. VIII.

<sup>253.</sup> სატაძრო ხუროთმოძღვრების ძეგლების არქეოლოგიურად კვლევის პროფესიონალიზმს აქ ხაზი იმიტომ გაფასვით, რომ რიგი უმნიშვნელოვანესა, მრავალ ქრონოლოგიურ ფაზიანი ქართული ტაძარი, თავდაპირველი ნაგებობის გეგმარების დადგენის მიზნით, XX ს-ის მე-2 ნახევარში, მხოლოდ და მხოლოდ ფრიად კომპეტენტური არქიტექტურის თეორეტიკოსებისა და რესტავრატორების მერ

ჩვენთვის ამჟამად ძნელია იმის განსჯა, თუ რატომ ჩათვალეს ხელოვნების ამ ისტორიკოსებმა გამორიცხულად იმის დაშვება, რომ ქრისტიანული ეპოქის გარიურაჟზე, IV ს-ის ბოლო ორი მესამედის და V ს-ის I ნახევრის განმავლობაში, ქართლის სამეფოშიც შენდებოდა რომაულ-ადრებიზანტიური სამყაროს ყაიდის, თუნდაც სირიულ-ანტიოქიური ტიპის ქრისტიანული ბაზილიკები, რომლებიც მომდევნო საუკუნეების განმავლობაში, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და თითქმის განუწყვეტლად მიმდინარე საბრძოლო პერიპეტიების შედეგად ლამის მინასთან იქნა გასწორებული, ან რომლებმაც ძლიერ დაზიანებულად და შემდგომ ძნელად საცნაურად რეკონსტრუირებულებმა მოაღწია ჩვენამდე. ფაქტია, რომ ასეთი ძეგლების ხანგრძლივი არქეოლოგიური ძიება პატივცემულმა მეცნიერებმა წინასწარვე უპერსპექტივოდ მიიჩნიეს და მიზნად დაისახეს უადრესი ქართული ქრისტიანული ბაზილიკები კვლავ მათ თვალსაწიერში მოქცეულ, არცთუ ჩამოყალიბებული სტილისტურ-გეგმარებითი სქემით ნაშენ, ქრონოლოგიურად და ზოგ შემთხვევაში ფუნქციურად ძნელად განსაზღვრად ნაგებობათა შორის ამოცნოთ.

